ყოველკვირეული ჟურნალი, გამოდის ოთხშაბათობით

ფასი: 1 ლარი

# სარკე

№31

31.VII-6.VIII 2013



## გრძნობა, რომელმაც სანდრო კაკულია და თამთა დემურიშვილი გააერთიანა

გვ.21

გვ.6

## ეძინა თუ არა ტოტო კუტუნიოს ქართულ სიმღერაზე

## ქიური დაგეგმილი სცენარით მოქმედებდა

## რა ხდებოდა იურმალას კულუარებში

## „შალახო და კინტაური არ არის ჩემი სტილი და ალბათ ეს ქიურიმაც იგრძნო“



გვ.42

## აჩიკო სოლოღაშვილი ეჭვიანი ქმარი დადგა

# სალომე ქათამაძეს პირველი ადგილი ქართველმა პროდიუსერებმა დააკარგვინეს?



გვ.35

## ჯანეტ ქერდიყოშვილი ახალ „ვია გრაში“ მოსახვედრად იბრძვის



გვ.30

## როგორ ირიგებს ვასიკო ოდიშვილი გაბუტულ ცოლს



გვ.33

„შეიძლება შევრიგდეთ“

## ეკო ფანგანს ბექა ჩხაიძემ სახლის სადარბაზო სასიყვარულო წარწერებით აუჭრელა

სარკე
+
„მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა“
მე-7 ტომი
ფასი ჟურნალთან ერთად
10 ლარი

ISSN 1987-9369

## „ჩემმა ქმარმა ახალგაზრდობა საყვარლებს შეალია, ცოლი კი სიბერეში გაუტკაბა“

გვ.13



ზაზა მარგველანის განახლებული სტომატოლოგიური კლინიკა
ტელ: 599-11-00-03
წინასწარი ჩაწერით
კბილები ერთ დღეში
www.margvelani.ge
რესტავრაციამდე
რესტავრაციამდე
რესტავრაციამდე
ერთ დღეში
ერთ დღეში
ორ სეანსში
რესტავრაციის შემდეგ
რესტავრაციის შემდეგ
რესტავრაციის შემდეგ




SALE
სამშაბათი
შეტევა ფასებზე!
მხოლოდ PSP-ში ყოველ სამშაბათს
ყველა მედიკამენტი სპეც ფასად სპეც დღეს!
100-ზე მეტი ყოველდღიური მოვლისა და ჰიგიენის საშუალებები ექსკლუზიურად დაბალ ფასად!
PSP №1
ჩემი ოჯახის აფთიაქი

# ნომერშია


**საკონკურსო ვნებები**

სალომე ქათამაძეს პირველი ადგილი ქართველმა პროდიუსერებმა დააკარგვინეს? — 6

**ბურუსით მოცული საქმე**

- მაწანწალა, ტერორისტი თუ მანიაკი — ვინ მოკლა 16 წლის გოგონა — 9
- საავადმყოფო, სადაც პაციენტი ყელში ჰყავთ ამოსული და ჟანგბადის გათიშვით ემუქრებიან? — 10

**გულახდილი საუბრები** — 12-13

**პოლიტიკა**

- გიორგი მარგველაშვილს ახალი ფრონტი გაუხსნეს — 16
- მანანა კობახიძე: „რესპუბლიკელებს არავინ აგიწროვებს!“ — 18
- დავით ზურაბიშვილი: „გიორგი მარგველაშვილი ჩემი პერსონით იყო უკმაყოფილო, თანამდებობიდან ამიტომაც მომხსნეს“ — 19

**სამეგობრო**

გრძნობა, რომელმაც სანდრო კაკულია და თამთა დემურიშვილი გააერთიანა — 21

**სიწმინდეები**

მადლით სავსე ურბნისი — 22

**კინონოსტალგია**

ფილმი, რომელშიც ბელურაც კი კარგად თამაშობდა — 24

**ტკივილი**

გიგა ლორთქიფანიძე უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ცოლის სახელს იმეორებდა — 26

**მოზარდები** — 28-29

**მეორე ნახევარი**

როგორ ირიგებს ვასიკო ოდიშვილი გაბუტულ ცოლს — 30

**სამზარეულო**

ზურა ინგოროყვა: „რობიკო სტურუას აგარაკზე შვიდდღიანმა ქეიფმა მკურნალობა წყალში ჩამიყარა“ — 31

**ნაცნობი სახე**

ეკო ფანგანს ბექა ჩხაიძემ სახლის სადარბაზო სასიყვარულო წარწერებით აუჭრელა — 33

**ეტაპი**

- გიო ხუციშვილმა ახალი რეპერტუარისთვის 12 კილო დაიკლო — 34
- ჯანეტ ქერდიყოშვილი ახალ „ვია გრაში“ მოსახვედრად იბრძვის — 35

**ავტომოყვარული**

გიორგი ხაბურზანია: „ყველაზე საშიში მძღოლები ქალები კი არა, 25 წლის ბიჭები არიან!“ — 36

**სარკის წინ**

ქეთა ლორთქიფანიძე: „როცა ქალი უყვართ, ის შიგნიდან ანათებს“ — 37

**შინ**

სალომე ბაკურაძის საძინებელი მეგობრებმა დაიპყრეს — 38

**სანთელ-საკმეველი**

„ბერი ანდრია გვამშვიდებდა, გარდაცვალებაში საშიში არაფერია, იქიდან შეგეწევითო“ — 41

**განსაცდელი**

კომაში მყოფი ჯაბა ბოჯგუა საკუთარ სიმღერებზე რეაგირებს — 40

**ცოლ-ქმრის კლუბი**

აჩიკო სოლოღაშვილი ეჭვიანი ქმარი დადგა — 42



№ 31 (797) 31 ივლისი — 6 აგვისტო, 2013

ჟურნალი სტამბას დასაბეჭდად გადაეცა 29.07.2013, 21.00 სთ-ზე.



**ცხოვრება ჩემოდნებზე**

კახა კუკავა: „ცოლმა იტალია „მუშა! მუშას!“ ძახილით მომატარა“ — 43

**მოგზაური**

კრეტა — ბერძნული მითების აკვანი — 45

**მხოლოდ ქალებისთვის** — 46

**დედიკოების სკოლა** — 48-49

**ჩემი მშვენიერი ლედი**

იური მეჩითოვი: „ხომ ლამაზია ეს ჩემი ცოლი, მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა“ — ამაზე დიდი სიმართლე არ არსებობს!“ — 50

**სპორტის მიღმა** — 51

**ადამიანის ინსტიტუტი** — 52


## ზაზა კოლელიშვილი: „მეც და სოსო ჯაჭვლიანსაც ლიკა ქავჟარაძე გვიყვარდა“



„მაშინ ლიკა პატარა და ლამაზი გოგო იყო. მან ქართულ კინოში ბევრი რამ შექმნა, მის შემოქმედებას ქართული კინოს ერთი ეტაპი უნდა დავარქვათ. ფანტასტიკა იყო. რა თქმა უნდა, ყველა ქართველ ბიჭს ჩემი შურდა, მე კი ძალიან ვამაყობდი. ვურეკავდი, ლიკა, შენთან ამოსვლა მინდა და თუ შეიძლება-მეთქი. მასთან რომ ავდიოდი, აუცილებლად საჩუქარი უნდა მიმეტანა...

როგორ შეიძლებოდა ლიკასთან ერთად 7 თვე გადაღებაზე ვყოფილიყავი და არ შემყვარებოდა?! მაშინ არც ცოლი მყავდა და არც — შვილი. ვარიანტი არ იყო, ლიკასთვის მეთქვა, რომ მიყვარდა, ეს ძალიან ძნელი იყო. კრეტინი უნდა იყო, რომ გვერდით ლიკა ქავჟარაძე გყავდეს და არ შეგიყვარდეს!“.


გვ.14



**სახალისო** — 56-57

**იყავით ჯანმრთელი** — 58-59

**ქალური მოთხრობები**

- თინათინ ბონი — „ბედნიერების ძიებაში“ (დასაწყისი) — 66
- ლელა ცუცქირიძე — „მამა“ — 68

**წმინდანები**

თუ ვეძებთ ღმერთს, ის ყოველთვის გამოგვიცხადებს თავის თავს — 72

**კითხვები მოძღვარს**

„მიწიერ ცხოვრებაში ოჯახურ სითბოსა და სიყვარულზე უფრო მეტი სიხარული არ არსებობს“ — 73

**გზა ტაძრისაკენ**

ვინ ამზადებს პატრიარქის უმაღლეს ჯილდოს — წმინდა გიორგის ორდენებს — 74

**ხელსაქმე** — 78



## ილია II: „არავის აქვს მიწის გაყიდვის უფლება!“

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ სამთაწყაროს მუსლიმი და მართლმადიდებელი მოსახლეობის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე განაცხადა: „არც მეფეს, არც პრეზიდენტს და არც პატრიარქს აქვს უფლება, მიწები გაყიდოს“.

სამთაწყაროს მოსახლეობის წარმომადგენლებმა პატრიარქს საქართველოს ხელისუფლებასთან შუამდგომლობა სთხოვეს, სოფელში გაყიდული სახნავ-სათესი მიწები ისევ მათ საკუთრებაში გადავიდეს.

— სოფელში 480 კომლი ვცხოვრობთ. წინა მთავრობამ კი 280 ჰექტარი მიწა გაგვიყიდა. სოფელში არ გვაქვს სახნავ-სათესი და საძოვარი მიწები, ამიტომ ძალიან მძიმე მდგომარეობაა. ეს მიწები თუ არ დაგვიბრუნდება, ჩვენს იქ ცხოვრებას აზრი ეკარგება. სამთაწყაროს მოსახლეობა მიწაზე მუშაობით არსებობს, ამიტომ ეს საკითხი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, — განაცხადა სამთაწყაროს მცხოვრებმა სიმონ ცინცაძემ.

პატრიარქმა მოსახლეობა დაამშვიდა და უთხრა, რომ მათი ყველა პრობლემა აუცილებლად მოგვარდება.

## პრემიერს საქართველოში შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციაზე თვალი აუხილეს

პრემიერმინისტრი ეკონომიკური დარგის ექსპერტებს შეხვდა, სადაც ქვეყნის ეკონომიკური სამოქმედო გეგმა და სტრატეგია განიხილეს. პრემიერის განმარტებით, ეკონომიკური სტრატეგიის გეგმა დამუშავების პროცესშია და, სავარაუდოდ, სექტემბრისთვის იქნება.

— ნახევრად ხუმრობით, მაგრამ აბსოლუტურად სერიოზულობით განვაცხადე, რომ მომავალში ჩემი ძირითადი ინტერესი მიმართული იქნება ეკონომიკური ექსპერტებისკენ. ჩემთვის საინტერესო ეკონომიკური სფეროა, მაგრამ პოლიტიკური სტაბილურობის გარეშე ეკონომიკა ვერ იქნება. გაურკვევლობა იმაზე მეტი რჩება დღევანდელ საქართველოს პოლიტიკაში, ვიდრე მე წარმომედგინა. ამ მხრივ მე თვალი ამიხილეს, მაგრამ დამატებითი გასაღები ვერ გამოვნახეთ. ჩვენ უნდა დაველოდოთ ოქტომბრის არჩევნებს და ვისურვოთ, რომ პოლიტიკურად უფრო მეტად სტაბილური და დაბალანსებული გარემო იყოს, — განაცხადა შეხვედრიდან გამოსულმა ივანიშვილმა.

## მარტვილში დავით საგანელიძის ფიტული დაწვეს



სამეგრელოში საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერ დავით საგანელიძის ფიტული დაწვეს. აქცია მარტვილში შედგა და მასში „ქართული ოცნების“ 150-მდე აქტივისტი მონაწილეობდა. ისინი საგანელიძის მიერ რეგიონში პარტიისა და საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელად შევარდნაძის კადრებისა და ყოფილი მხედრიონელების დანიშვნას აპროტესტებდნენ.

„ქართული ოცნების“ მარტვილის საარჩევნო შტაბის ყოფილი უფროსის ზურა ბიგვავას განცხადებით, მხედრიონელების რეანიმაციით და შევარდნაძის ხალხით საგანელიძეს სამეგრელოში გვირგვინს არ დაადგმევინებს და, თუ ასე გაგრძელდება, „ოცნება“ სამეგრელოში არჩევნებს წააგებს.

## ბიძინა ივანიშვილი პარლამენტს გაუნაწყენდა



პრემიერი ბიძინა ივანიშვილი პარლამენტმა გაანაწყენა. მიზეზი გედევან ფოფხაძის მიერ პარლამენტში ინიცირებული კანონპროექტია „იპოთეკით დატვირთული ქონების შესახებ“. პრემიერი კანონპროექტის განხილვის შეწყვეტას ითხოვს.

— ინიციატივა შეიძლება გამოიჩინო, ეს ნორმალურია, მაგრამ სამწუხაროა, რომ პარლამენტი ასე უპასუხისმგებლოდ მოიქცა. მთავრობის მხრიდან ეს საკითხი არ ყოფილა განხილული. მთავრობის პოზიცია არ გაითვალისწინეს და გადაწყვეტილება პირველი მოსმენით მიიღეს. მე მოვახერხებ, უმრავლესობას ავუხსნა, რომ ასე მოქცევა არ შეიძლება. არ შეიძლება, ბიზნესთან შეუთანხმებლად ბიზნესს უკარნახო. იქ ბანკები არიან და სწორედ მათ აქვთ იპოთეკური სესხები გაცემული. ბანკებთან შეუთანხმებლად მსგავსი კანონპროექტის მიღება მიუღებელია, — განაცხადა პრემიერმინისტრმა.

## „თბილისის საკრებულოს ახალი თავმჯდომარე ნაცზონდერია!“

მოძრაობა „ეროვნულების“ ლიდერი სანდრო ბრეგაძე პრემიერმინისტრ ბიძინა ივანიშვილს მიმართვას უგზავნის, სადაც თბილისის საკრებულოს ახალი თავმჯდომარის შესახებ სკანდალურ ინფორმაციას აქვეყნებს.

„ბატონო ბიძინა!!! შესაძლოა თქვენ არ გაქვთ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „ქართული ოცნების“ მიერ მხარდაჭერილი საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატი შიხიაშვილი და თქვენი საკრებულოს ფრაქციის წევრი ხაჩირიშვილი ნაციონალური მოძრაობის ზონდერჯგუფების ლიდერები გახლდნენ. კერძოდ, ბატონი ხაჩირიშვილი აქტიურ მონაწილეობას იღებდა 2007 წლის 7 ნოემბრის სისხლიან დარბევაში და ერთ-ერთ ზონდერდაჯგუფებას ხელმძღვანელობდა, რომელმაც მშვიდობიანი მომიტინგეები სასტიკი მეთოდით დაშალა. თვალსაჩინოებისთვის წარმოგიდგენთ ამაზრზენ ვიდეოკადრებს, რომლებზეც აღბეჭდილი არიან ბატონი ხაჩირიშვილი და მისი ზონდერები სისხლით მორწყულ რუსთაველის გამზირზე.

ამის გარდა, მინდა მოგახსენოთ, რომ კოალიციის მიერ მხარდაჭერილი საკრებულოს თავმჯდომარე ასევე გახლავთ ნაცზონდერი, რომელიც ასევე აქტიურ მონაწილეობას იღებდა ოპოზიციის წევრების დასახიჩრებასა და დარბევაში, ასევე ღიად ამართლებდა და იდეოლოგიურ მხარდაჭერას უწევდა 2011 წლის 26 მაისის სისხლიან დარბევას, რომელმაც გამოიწვია ადამიანთა მსხვერპლი. თვალსაჩინოებისთვის წარმოგიდგენთ აუდიოჩანაწერს, რომელზეც ასახულია, თუ როგორ ამართლებს და ახალისებს ბატონი შიხიაშვილი 26 მაისის დარბევასა თუ მკვლელობებს.

დიდი იმედი მაქვს, ამ ორივე ნაცზონდერს გარიცხავთ კოალიცია „ქართული ოცნების“ რიგებიდან. გიცნობთ რა თქვენ, ვაფასებ რა თქვენს ღვაწლს ნაცმოძრაობის დამარცხების საქმეში, მინდა, მტკიცედ მჯეროდეს, რომ თქვენ გვერდით ვერასოდეს ვიხილავთ ისეთ ადამიანებს, რომლებიც 9 წლის განმავლობაში მკვლელობებით, დაშინებით, დარბევით, დაპატიმრებით თუ სხვა ამაზრზენი სიბინძურით ცდილობდნენ, მიხეილ სააკაშვილისთვის შეენარჩუნებინათ ხელისუფლება და საქართველოს მოსახლეობა ჰყოლოდათ რეპრესირებულ მდგომარეობაში...“ — ნათქვამია სანდრო ბრეგაძის მიმართვაში.


სარკე — ჟურნალი გამოდის 1998 წლის 23 იანვრიდან

დამფუძნებელი — შპს „სარკე“
მთავარი რედაქტორი — მედეა სანაია
კომერც. დირექტორი — ვაჟა შენგელია

მთავარი რედაქტორის მოადგილეები — ირინე მჭედლიძე, ირმა გოგინაძე, ავთო ჩიტიძე.

პოლიტიკა — მანანა გეგია. საზოგადოება, სამართალი, შოუბიზნესი — ირინე მჭედლიძე, რუსუდან ადვაძე, ლანა კიკნაძე, სოფიო ბოჭორიძე, მანანა ნოდია, ავთო ჩიტიძე, ქეთი დინოშვილი, ეკა ლემონჯავა, თათია ბოჭორიძე. მედიცინა — აზა გაგოშიძე, ნათია ტოტიკაშვილი. ფოტო — ქეთი ყორიმლიშვილი. მხატვარი — ქეთი ხარატიშვილი.
კომპიუტერული მომსახურება: დაკაბადონება — ირმა გოგინაძე, ნონა კანდელაკი. ოპერატორი — მარინა ჟღენტი, მაია ფიფია. კორექტურა — ლანა გაბუნია, მაია ფიფია.
სარეკლამო სამსახური — მამუკა ბარბაქაძე; 599 975-699; e-mail: mgb7@mail.ru
მდივანი — იზა ბარბაქაძე.

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის ქ.№50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 296-75-43. ფაქსი: 296-75-43.
ელ.ფოსტა: SARKE@MAIL.RU ვებგვერდი: SANA.GE



რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. სტატიაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. ჟურნალისტის მიერ ჩაწერილი აუდიო მასალა ინახება 14 დღის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ სტატიის შესახებ პრეტენზიები არ მიიღება. „სარკეში“ გამოქვეყნებული ნაბეჭდი და ფოტომასალის გამოყენება რედაქციასთან შეუთანხმებლად აკრძალულია.




Cyan Magenta Yellow Black

## ნაციონალებს თბილისის საკრებულოში 7 ფრაქცია ექნებათ

ნაციონალურმა მოძრაობამ თბილისის საკრებულოში უმრავლესობა დაკარგა, მაგრამ, სამაგიეროდ 7 ფრაქცია შექმნა. ნაცმოძრაობას საკრებულოში 22 დეპუტატი ჰყავს, ფრაქციის შესაქმნელად კი 3 დეპუტატი საკმარისია.

— ერთიან ნაციონალურ მოძრაობას 22 დეპუტატი ჰყავს და 7 ფრაქცია შექმნეს. ალბათ ეს იმისთვის გააკეთეს, რომ გარკვეული პრივილეგიებით ისარგებლონ, რადგან რეგლამენტით განსაზღვრულია, რომ აპარატმა ფრაქცია უნდა უზრუნველყოს ავტომობილით, საწვავით, კადრებით, — ამბობს თბილისის საკრებულოს იურიდიული კომისიის თავმჯდომარე დავით ჯინჭარაძე.

ნაციონალი თამაზ შოშიაშვილი კი მას პასუხობს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარეობდა და არა — პრივილეგიების მიღების სურვილიდან.

— 25-მა ადამიანმა გადაინაწილა 24 თანამდებობა. მხოლოდ ქალბატონი გულიკო ზუმბაძე დატოვეს თანამდებობის გარეშე. მათ დღეს 5 ფრაქცია აქვთ და პლუს 19 თანამდებობა, ჩვენ მხოლოდ 7 ფრაქცია შევქმნებით, რათა გამოსვლების საშუალება და ბიუროზე ხმის უფლება გვქონდეს, — განმარტა შოშიაშვილმა.

## შალვა ნათელაშვილი სააკაშვილს და ივანიშვილს დებატებში იწვევს



შალვა ნათელაშვილი ტელედებატებში იწვევს პრეზიდენტობის კანდიდატთა „პატრონებს“ — ბიძინა ივანიშვილს და მიხეილ სააკაშვილს.

— ჩემთვის უმთავრეს კონკურენტებს ივანიშვილი და სააკაშვილი წარმოადგენენ, ამიტომ მათ ისევ ვიწვევ დებატებში. მათი დანიშნული სატელიტები ჩემში ნაკლებ ინტერესს და აზარტს იწვევენ, რადგან ეკუთვნიან არა საკუთარ თავს, არამედ თავიანთ პატრონებს. ამიტომ პრეზიდენტობის კანდიდატთა პატრონებს ვიწვევ დებატებში, თუ ამის თავი აქვთ. იმედია, ახლა მაინც დაგვისხდებიან ეთერში და არ გაიქცევიან, როგორც ეს წლების განმავლობაში ხდებოდა.

ეჭვი არავის ეპარება, რომ ნებისმიერი კონკურენტისთვის ჩემთან დებატები რთული იქნება. იმიტომ კი არა, რომ მათზე უკეთესი და ჭკვიანი ვარ, არამედ იმიტომ, რომ მართლები ვართ და მათ არ აქვთ უნარი, სიმართლეზე გასცენ მართალი პასუხი, რადგან თავად უსამართლობიდან მოდიან, — აცხადებს შალვა ნათელაშვილი.

## პარტიების დაფინანსების წესი საპრეზიდენტო არჩევნებამდე შეიცვლება

მმართველმა პარტიამ გადაწყვეტილება მიიღო, რომლის თანახმადაც პარტიების საბიუჯეტო დაფინანსების არსებული წესი საპრეზიდენტო არჩევნებამდე შეიცვლება და ახალი მოდელი ამოქმედდება.

საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე ზაქარია ქუცნაშვილმა განმარტა, რომ მიღებული გადაწყვეტილება სრულად შეესაბამება მემორანდუმში ჩადებულ პრინციპებს და ამით თემა პოლიტიკური პარტიების საბიუჯეტო დაფინანსების შესახებ დახურულად ცხადდება.

— დღევანდელი მდგომარეობით სახელმწიფო ბიუჯეტიდან 14 პოლიტიკური პარტია ფინანსდება. აქედან 7 საპარლამენტო პარტიაა, რომელთაგან 6 კოალიციაშია გაერთიანებული. დანარჩენი შვიდი კვალიფიციური სუბიექტია: „ახალი მემარჯვენეები“, „საქართველოს გზა“, ზურაბ ნოღაიდელის ყოფილი პარტია, „ქრისტიან-დემოკრატები“, „ქრისტიან-დემოკრატების“ სატელიტი პოლიტიკური გაერთიანება, „ევროპელი დემოკრატები“ და კობა დავითაშვილის „ხალხის პარტია“. აღნიშნულ 14 პარტიას კიდევ 4 პარტია დაემატება, რომლებსაც არც ერთ ბოლო არჩევნებზე ბარიერი გადალახული არ აქვთ. ესენია: ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, ლეიბორისტული პარტია, „თავისუფალი საქართველო“ და „ქართული დასი“. ისინი ერთჯერად დაფინანსებას მიიღებენ.

ამ 4 პარტიის გარდა ერთჯერად დაფინანსებას მიიღებენ „ახალი მემარჯვენეები“, ქრისტიან-დემოკრატები და ხალხის პარტია. დაფინანსების პრინციპი ასეთია: 7 საპარლამენტო პარტია მიიღებს დამატებით 300-300 ათას ლარს სახელმწიფო ბიუჯეტიდან და 7 არასაპარლამენტო პარტია, რომლებმაც საარჩევნო ბარიერი ვერ გადალახეს და ბარიერს მიღმა დარჩნენ, თითოეული ცალ-ცალკე მიიღებს 150-150 ათას ლარს. ასევე, საბაზისო დაფინანსება გაეზრდება 14-ვე კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტს, — აცხადებს ქუცნაშვილი.

## ელისო ჩაფიძემ თანამდებობიდან გათავისუფლება ითხოვა



ელისო ჩაფიძე „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს მდივანი აღარ იქნება. კოალიცია „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს გადაწყვეტილებით, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი დაკავებული პარტიული თანამდებობიდან გათავისუფლდა. მისი ადგილი კი საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარე ირინა იმერლიშვილმა დაიკავა.

როგორც ამბობენ, განხორციელებული საკადრო ცვლილებების მიზეზი ჩაფიძის თხოვნა გახდა. ახალგათხოვილმა დეპუტატმა თანამდებობრივი დატვირთვიდან გათავისუფლება ოჯახური პირობების გამო მოისურვა.

## მერიის ყოფილმა მაღალჩინოსნებმა ბრალი აღიარეს

რამდენიმე დღის წინ მერიის ყოფილ მაღალჩინოსნებს პატიმრობა გირაოთი შეეცვალათ, რამაც საზოგადოებაში კითხვები გააჩინა. ამის გამო საგამოძიებო სამსახური გათავისუფლებულთა ჩვენებებს ასაჯაროებს. ჩვენებებით ირკვევა, რომ ოპერაციის უკან ზურაბ ადეიშვილის გვარი ფიგურირებს. საქმე ეხება თბილისის მერიის მიერ დაფუძნებული „თბილისის განვითარების ფონდიდან“ ათეულობით მილიონი ლარის საბიუჯეტო სახსრების მითვისება-გაფლანგვის ფაქტს.

— მიმდინარე წლის 26 ივლისს საქართველოს მთავარი პროკურატურის შუამდგომლობით, საგამოძიებო სამსახურის წარმოებაში არსებულ აიპ „თბილისის განვითარების ფონდიდან“ საბიუჯეტო სახსრების მითვისება-გაფლანგვის საქმეზე ბრალდებულებს თბილისის მერის ყოფილ მოადგილე დავით ალავიძეს, თბილისის განვითარების ფონდის ყოფილ თავმჯდომარე დავით ავალიანს, თბილისის მერიის შესყიდვების სამსახურის ყოფილ უფროს ალექსი თაბუაშვილს და მთაწმინდა-კრწანისის გამგებლის ყოფილ მოადგილე დიმიტრი ჩხეიძეს აღკვეთის ღონისძიება პატიმრობა გირაოთი შეეცვალათ, რასაც საფუძვლად დაედო ბრალდებულების მხრიდან ბრალის სრულად აღიარება და გამოძიებასთან მათი თანამშრომლობა.

დადგენილია, რომ გიორგი საბანაძის, დავით ალავიძის, დავით ავალიანის, ალექსი თაბუაშვილის და დიმიტრი ჩხეიძის მიერ ორგანიზებულად 2011 წლის ნოემბრიდან 2012 წლის ოქტომბრამდე, სხვადასხვა ხერხით განხორციელდა სახელმწიფოს კუთვნილი 48.930.822 ლარის მითვისება-გაფლანგვა, რაც გამოყენებულ იქნა პარტია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წინასაარჩევნო ხარჯების დასაფარად, — აცხადებენ საგამოძიებო სამსახურში.

## ადვოკატი ქალი ციხეში ნარკოტიკის შეტანას შეეცადა

ქსნის ციხეში ადვოკატი ე.მ. ნარკოტიკული ნივთიერების შეტანას შეეცადა. იგი ნარკოტიკულ საშუალებას საშოში ინახავდა და ციხეში შესვლამდე გასავლელი შემოწმების შედეგად აღმოუჩინეს. ამ ფაქტთან დაკავშირებით, სასჯელაღსრულების სამინისტრომ განცხადება გაავრცელა.

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, 24 ივლისს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტისა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლებმა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი ე.მ. დააკავეს. სამინისტროს ინფორმაციით, ე.მ., რომელიც სასჯელაღსრულების №15 დაწესებულებაში მყოფი ერთ-ერთი მსჯავრდებულის ინტერესებს იცავდა, აღნიშნულ დაწესებულებაში შევიდა და მისი დაცვის ქვეშ მყოფი მსჯავრდებულისთვის ნარკოტიკული საშუალება ბუპრენორფინის შემცველი მცირე რაოდენობით ნივთიერების გადაცემა სცადა, რა დროსაც დააკავეს.

დანაშაული 5-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. სასჯელაღსრულების სამინისტროს ინფორმაციით, ბრალდებული დანაშაულს აღიარებს, თბილისის საქალაქო სასამართლომ მას უკვე შეუფარდა გირაო.

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.



Cyan Magenta Yellow Black

საკონკურსო ვნებები

# სალომე ქათამაძეს პირველი ადგილი ქართველმა პროდიუსერებმა დააკარგვინეს?

## „შალახო და კინტაური დიდად არ არის ჩემი სტილი და ალბათ ეს ჟიურიმაც იგრძნო"



## რა ხდებოდა იურმალას კულუარებში

იურმალაში გამართულ „ახალი ტალღის" კონკურსზე საქართველო წელს ოთხწლიანი პაუზის შემდეგ ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ვოკალისტით, სალომე ქათამაძით დაბრუნდა. სალომესათვის საკონკურსო ციებ-ცხელება უცხო ნამდვილად არ არის. პირველად მან ბათუმში გამართულ კონცერტზე გაიმარჯვა, მაგრამ ორგანიზატორების მიერ დაშვებული ლაფსუსებისა და არაკეთილსინდისიერების გამო კუთვნილი საპრიზო თანხა — 30 ათასი დოლარი — დღემდე არ მიუღია.

როდესაც იურმალას კონკურსის შიდა შესარჩევ ტურში სალომე აირჩიეს, მისგან ყველა გამარჯვებას ელოდა, მათ შორის კონკურსის ორგანიზატორები, ყოველ შემთხვევაში, თავიდან ასეთი სურათი ჩანდა. იურმალაში ქართველი კონკურსანტი ორი კვირით ადრე გაემგზავრა და მთელი ეს პერიოდი ყოველდღიურ რეპეტიციებს გადიოდა. რთულმა საკონკურსო ცხოვრებამ სალომეზე უარყოფითი გავლენა ვერ მოახდინა. სცენაზე ყოველთვის თავდაჯერებული იდგა და მსმენელს თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმს აჩვენებდა, რასაც ვერ ვიტყვით ჟიურიზე, რომლის რამდენიმე წევრი უცნაურად იქცეოდა და შეფასებებში აშკარად არაობიექტური იყო.

პირველ ტურში სალომე ქათამაძეს მხოლოდ ფადეევმა დაუწერა 10 ქულა, რატომ — გაუგებარია, დანარჩენმა ყველამ — 11. ყველაზე ალოგიკური შედეგი სალომესთვის ნაციონალურმა ტურმა მოიტანა. იტალიელი მომღერლისა და მუსიკოსის, ასაკში შესული ტოტო კუტუნიოს 8 ქულამ მთელი სოციალური ქსელი შეშალა. მისი რეიტინგი საქართველოში ნულის ქვემოთ დაეცა. მისი მისამართით გამოთქმულმა წყევლა-კრულვამ სოციალურ ქსელებში ყველანაირი პოლიტიკური თუ აპოლიტიკური თემა გადაფარა. ვალერი მელაძის კომენტარმა კი ყველაზე მეტი მოწონება დაიმსახურა. „სალომე მართლაც ყველაზე ძლიერი კონკურსანტია. ძალიან რთული ქართული სიმღერა კარგად შეასრულა დუეტ „ჯორჯიასთან" ერთად. კონკურსის რეჟისორიც და მეც ვურჩევდით, რომ ცოტა მარტივი სიმღერა აეღო, მაგრამ სალომემ ის შეასრულა, რაც უნდოდა და მუსიკოსების მხრიდან უმაღლესი შეფასებები მიიღო. რაც შეეხება ტოტოს დაბალ შეფასებას, მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ ალბათ მას ჩაეძინა და არ მოეწონა, რომ ასეთმა ვოკალურმა ტრიომ გამოაღვიძა".

საბოლოოდ რუსულმა შოუელიტამ და რეტრო იტალიელმა ვარსკვლავმა არჩევანი კუბელ შემსრულებელზე გააკეთეს, რომელიც მოსკოვში სწავლობს და იქაური მუსიკალური წრისათვის ახალი სახე სულაც არ არის. კუბელი „მაჩოს" შესრულების მანერამ სალომეს ძლიერი ვოკალი გადაფარა. ქართველ კონკურსანტს პირველი ადგილისთვის მხოლოდ ერთი ქულა დააკლდა.

**სალომე ქათამაძე: „ყველაზე მეტად ჩემი ყვითელი და იასამნისფერი კაბები მომეწონა. მხოლოდ მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი იყო ჩემი პრობლემა, ფეხებს მტკენდა, მაგრამ არ ვიმჩნევდი".**

დაჯილდოების ცერემონიალი სალომესათვის ბოდიშების კასკადით დაიწყო. მომღერალს მეორე ადგილისთვის ჯერ ცნობილმა რუსმა პროდიუსერმა მაქს ფადეევმა მოუბოდიშა, შემდეგ კი ტოტო კუტუნიომ უმღერა და იტალიაშიც დაპატიჟა. ბოდიშები გულის მოსაფხანადაა კარგი, თორემ შედეგებზე გავლენას ვერ ახდენს. პრინციპში, რომ დავფიქრდეთ, იურმალაში ქართველების გამარჯვება დიდად არავის აწყობს. ამის მიზეზი მარტივია. ამ ფესტივალში ბევრი ფული და რესურსი იდება. რუსული შოუბიზნესის თავკაცებს სურთ, იპოვონ ისეთი ახალგაზრდები, რომლებიც კომერციულად მომგებიანი იქნებიან და მათ ჭკუაზე ივლიან.

2008 წელს ქართულმა დუეტმა „ჯორჯიამ" ტრიუმფით გაიმარჯვა, მაგრამ მათზე დახარჯული დრო და ფული რუსი ტელეპროდიუსერებისათვის დაკარგული აღმოჩნდა — მაკა ზმაბახიძემ და რატი დურგლიშვილმა რუსულ ბაზარზე მუშაობა პოლიტიკური მიზეზების გამო ვერ მოახერხეს. რა გარანტია ჰქონდათ რუსებს, რომ ამჯერად სალომესგან მიიღებდნენ სასურველ შედეგებს? ამიტომაც ბოლო მომენტში არჩევანი კუბელ შემსრულებელზე გააკეთეს, რომელიც თავისი გარეგნობით რუსი ქალების გულებს იპყრობს და სწავლის გამო რამდენიმე წელი მოსკოვში უნდა იცხოვროს. ერთი სიტყვით, მასში ჩადებულ დროს და ფულს ამოიღებენ.

**სალომე ქათამაძე: „ყველაფერი ალბათ ნაციონალურ ტურში კუტუნიოს 8-იანმა გამოიწვია. მას ან არ მოეწონა სიმღერა, ან უბრალოდ ვერ გაიგო. უნდა ვაღიარო, რომ შალახო და კინტაური დიდად არ არის ჩემი სტილი და ალბათ ეს ჟიურიმაც იგრძნო... სხვადასხვა ვერსია შემოგვთავაზეს, მათ შორის „ვარდები არ არიან", მაგრამ ქართველმა პროდიუსერებმა ასე გადაწყვიტეს".**

საერთოდ იურმალას ფესტივალი თავის აქტუალობას ნელ-ნელა კარგავს. კომპოზიტორი და პროდიუსერი იგორ კრუტოი ბოლომდე ცდილობს თავისი ავტორიტეტისა და ფულის გამოყენებას, რომ კონკურსის პრესტიჟი აამაღლოს, სტუმრების რანგში ამიტომაც ჩამოჰყავს მსოფლიოს ვარსკვლავები — აქტუალური თუ პენსიაზე გასული.

წლევანდელ „ახალ ტალღას" სკანდალური სტარტი ჰქონდა. მისმა ერთ-ერთმა დამაარსებელმა, ცნობილმა ლატვიელმა კომპოზიტორმა რაიმონდ პაულსმა საჯაროდ განაცხადა, რომ მან დატოვა კონკურსი. „დღევანდელი „ახალი ტალღა" ის კონკურსი აღარ არის, 2002 წელს რომ დავაარსეთ. კონკურსანტებს ქალაქიდან ქალაქში უნდა ეძებდე. აქ კი ის ახალგაზრდა მომღერლები ჩამოდიან, რომლებსაც ზურგს ოლიგარქები უმაგრებენ. ეს არ არის სამართლიანი", — თქვა პაულსმა.

ავტორიტეტულ კომპოზიტორს არც ჟიურის მრავალრიცხოვნება მოსწონს. კულისებში ამბობენ, რომ მარტო კრუტოი ამხელა ფესტივალს ვეღარ შეინახავს და მომავალ წელს ან დაიხურება, ან, უკეთეს შემთხვევაში, ადგილმდებარეობას შეიცვლის და მოსკოვში გადავა.

პოლიტიკური ელფერი საერთაშორისო კონკურსს ყოველთვის აქვს. ამჯერად ქართველი გულშემატკივრებიდან დარბაზში ერთი მამაკაცი გამოირჩეოდა, რომელმაც ზუსტად ჟიურის უკან დაჯავშნა ადგილი და მაისურზე ეწერა — გრუზია სოხუმი. მთელი კონკურსის განმავლობაში რამდენჯერაც ეკრანზე ჟიური გამოჩნდებოდა, იმდენჯერ ეს წარწერაც ჩანდა. მაისურის პატრონი სოხუმელი ჟურნალისტი აღმოჩნდა, რომელიც იურმალაში პროფესიული მიზნით იყო მივლინებული.

„სარკემ" მოახერხა და „ახალი ტალღის" პერიპეტიებზე, მოლოდინებსა და შედეგებზე ჯერ ისევ იურმალაში მყოფი სალომე ქათამაძისგან ინტერვიუ აიღო.

— **სალომე, როგორი განწყობა იყო კონკურსის პერიოდში, რა პროგნოზებს აკეთებდით, ემზადებოდით თუ არა პირველი ადგილისთვის?**

— კონკურსანტებს ძალიან კარგი ურთიერთობა გვქონდა, თითქმის მთელი შემადგენლობა თბილისში დავპატიჟე. თბილისური ტურნეს იდეაც კი გაჩნდა, მაგრამ არ ვიცი, ამას რამდენად მოვაბამთ თავს. რუს კონკურსანტებს განსაკუთრებული სიმპათიები ჰქონდათ ჩემ მიმართ, პირდაპირ მეუბნებოდნენ, შენ უნდა მოიგოო. კუბელ კონკურსანტს პირველად რომ მოვუსმინე, ძალიან მომეწონა, მაგრამ შემდეგ რეპეტიციებზე რომ ვუსმენდი, ისეთი საინტერესო აღარ მომეჩვენა, ბევრი შეცდომაც ვუპოვე. მის გამარჯვებაში მთავარი როლი გარეგნობამაც ითამაშა, რომელიც ქალებზე მოქმედებს.

— **ყველა აღიარებს, რომ ვოკალით თქვენ სჯობდით. როგორ ფიქრობთ, რატომ ვერ გახდით გამარჯვებული?**

— ყველაფერი ალბათ ნაციონალურ ტურში კუტუნიოს 8-იანმა გამოიწვია. მას ან არ მოეწონა სიმღერა, ან უბრალოდ ვერ გაიგო. უნდა ვაღიარო, რომ შალახო და კინტაური დიდად არ არის ჩემი სტილი და ალბათ ეს ჟიურიმაც იგრძნო. პირველ ტურში სოული ვიმღერე, რომელიც ნამდვილად ჩემია. ჟიურის დავანახე, რომ ჩემი სტილი სოულია და



Cyan Magenta Yellow Black

არა — სხვა ჟანრი.

**— ჯალური მელაძემაც თქვა, ვურჩევდი, სიმღერა შეეცვალათო. რატომ არ გაითვალისწინეთ ეს რჩევები?**

— ამას რევზინიც გვირჩევდა. ის პირველი მიხვდა, რომ სიმღერა არ იყო მომგებიანი. სხვადასხვა ვერსია შემოგვთავაზეს, მათ შორის „ვარდები არ არიან“, მაგრამ ქართველმა პროდიუსერებმა ასე გადაწყვიტეს. მე ისედაც ნერვულ და სტრესულ გარემოში ვიყავი და ამიტომ ამაზე არ უნდა მეფიქრა, თანახმა ვიყავი, რასაც მომცემდნენ, ის შემესრულებინა. უბრალოდ მე ვინც მიცნობს, ჩემი მუსიკა ვინც იცის, ყველას გაუკვირდა, ეს სიმღერა რომ შევასრულე. თანაც კატეგორიულად მოითხოვეს, ნაციონალურ ტურში ეროვნული ჰიტი ყოფილიყო, მაგრამ ისე მოხდა, რომ სომხებმაც კი რუსულად იმღერეს. ძალიან ბევრი რუსულ ენაზე მღეროდა ამ ტურში.

**— თავად რა ახსნა მოუძებნეთ ტოტო კუტუნიოს 8-იანს?**

— ეს ადამიანი პირველ და მესამე ტურში ფეხზე წამომიდგა, ქართული სიმღერა კი უბრალოდ არ მიიღო. ორი ვარიანტია: ან სტილი იყო აბსოლუტურად მიუღებელი მისთვის, ან არ მოეწონა.

**— სცენაზე ნერვიულობა არ გეტყობოდათ. მართლა არ ნერვიულობდით თუ არ იმჩნევდით?**

— ნერვიულობა მხოლოდ კულისებში ვიცი, სცენაზე რომ გავდივარ, ყველაფერი მავიწყდება, ძალიან თავდაჯერებული ვხდები. მაქვს იმის ნიჭი, საკუთარ თავში შიში და ნერვიულობა დავძლიო.



**დათო ფორჩხიძე: „ვიცოდი, რომ თუ პირველ ადგილზე არ გაიყვანდნენ, ახსნა-განმარტებების გაკეთება მოუწევდათ, მაგრამ პირდაპირ ეთერში ბოდიშებით ლაპარაკს თუ დაიწყებდნენ, ამას ნამდვილად არ ველოდი“.**

**— როგორ გრძნობდით თავს იმ კაბებში, რომლებიც კონკურსის ტურებში გეცვათ?**

— ძალიან თავისუფალი და ლამაზი კაბები მეცვა, სცენაზე მოძრაობაში არ მზღუდავდა. ყველაზე მეტად ჩემი ყვითელი და იასამნისფერი კაბები მომეწონა. მხოლოდ მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი იყო ჩემი პრობლემა, ფეხებს მტკენდა, მაგრამ არ ვიმჩნევდი.

**— საკონკურსო ცხოვრება როგორ რეჟიმში მიმდინარეობდა?**

— იურმალაში ორი კვირით ადრე ჩავედი. ძალიან რთული იყო ჩემთვის რეჟიმში ცხოვრება — დილით ადრე ადგომა, მთელი დღე რეპეტიციები და ბოლოს ისევ ძილი. დიდხანს ნამდვილად ვერ ვიცხოვრებ ასე, მე უფრო სხვა რიტმს ვარ მიჩვეული. როცა მინდა — გავიღვიძებ, როცა მინდა — დავიძინებ, როცა მინდა — ვიმღერებ. კიდევ რომ გაგრძელებულიყო ასეთი რეჟიმი, ჭკუიდან შევიშლებოდი. ძალიან მეხმარებოდა ის, რომ მეუღლე ჩემ გვერდით იყო, ისიც ჩემი რეჟიმით ცხოვრობდა, ჩემთან ერთად იღვიძებდა, ჩემთან ერთად იძინებდა და რეპეტიციებზეც დამყვებოდა.

**— მისი იქ ყოფნა ალბათ სიმღერის დროსაც გამშვიდებდათ.**

— კი, ეს დიდ ენერგიას მაძლევდა. თბილისში რომ დარჩენილიყო, ნამდვილად ბევრს ვინერვიულებდი. იურმალაში რომ ქმარი არ მენატრებოდა, ბევრი პრობლემა მომიხსნა. როცა კონკურსანტი ხარ, არ უნდა ინერვიულო, მით უმეტეს, სიყვარულზე ან საყვარელ ადამიანზე. სამაგიეროდ მე ვანერვიულე კარგად, ყოველი საკონკურსო დღის შემდეგ ჩემს ქმარს სახე ჰქონდა წაშლილი.

**— უკვე იცით, რაში დახარჯავთ საპრიზო 30 ათას ევროს?**

— მინდა, ამ პრიზის გემო მთელმა ქართველმა ხალხმა ნახოს. აუცილებლად გავაკეთებ კარგ ალბომს, გადავიღებ კლიპს. ეს იქნება ჩემი მადლობა, რომ ინერვიულეს და მგულშემატკივრობდნენ.

→ 8

# ფონდმა „ქართული გალობა“ ჰამლეტ გონაშვილის ალბომი გამოსცა



ფონდი „ქართული გალობა“, რომელიც ორიოდე თვის წინ დაფუძნდა, თავის მისიას მონდომებით ასრულებს და ქართულ ფოლკლორსა და ხალხურ საგანძურს პოპულარიზაციას უწევს. ფონდმა თავისი საქმიანობა ღვაწლმოსილი მომღერლის ჰამლეტ გონაშვილის სიმღერების დისკების გამოცემის პრეზენტაციით დაიწყო. მასში შესულია მომღერლის ყველა ჩანაწერი და ბევრი უნიკალური ვიდეო თუ აუდიომასალა. ალბომთან ერთად პრეზენტაციაზე წარდგენილ იქნა მაყვალა გონაშვილის მიერ გამოცემული წიგნი, რომელიც ჰამლეტ გონაშვილის ცხოვრებას და მოღვაწეობას აღწერს.

წელს ჰამლეტ გონაშვილის 85 წლის იუბილე აღინიშნება. ფონდი „ქართული გალობა“ 28 სექტემბერს რუსთაველის თეატრში საიუბილეო კონცერტს გამართავს, სადაც ჰამლეტ გონაშვილის უკვდავი სიმღერები იქნება გაცოცხლებული.

ფონდი „ქართული გალობა“ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით ბიზნესმენმა ვანო ჩხარტიშვილმა დააფუძნა, რომელიც წლებია ხელს უწყობს ტრადიციული გალობისა და სიმღერის პოპულარიზაციას. მისი თანადგომით 2006 წელს დაფუძნდა საეკლესიო გალობისა და ხალხური სიმღერის უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც მაღალკვალიფიციურ რეგენტებსა და ლოტბარებს ამზადებს. გაიხსნა სკოლები ოზურგეთსა და სტეფანწმინდაში, ტიხრული მინანქრის სახელოსნო სნოში, სამრევლო სკოლა ლონდონში, აიგო ტაძარი ოზურგეთში. ასევე დაფინანსდა არაერთი კონცერტი და ფესტივალი, გამოიცა წიგნები და აუდიომასალა, რომელიც ქართული ხალხური საგანძურის გადარჩენისკენ არის მიმართული.

ფონდის მუშაობის ფარგლებში მოეწყობა გამოჩენილი ლოტბარების იუბილეები, გაფორმდება მემორანდუმი რუსთაველის თეატრთან, სადაც ჩატარდება ფოლკლორული საღამოები. მოეწყობა კონკურსები უცხოეთში და საქართველოში მყოფი გუნდებისა და შემსრულებლებისათვის. ასევე დაფინანსდებიან საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებული ლოტბარები და რეგენტები, რომლებიც რეგიონებში იმუშავებენ.

**ლამარა ცინცაბაძე, ჰამლეტ გონაშვილის მეუღლე:**

– მადლობელი ვარ ფონდ „ქართული გალობის“ ხელმძღვანელების, რომლებმაც ჰამლეტ გონაშვილის განახლებული სიმღერების ალბომი გამოუშვეს და 85 წლის იუბილესთან დაკავშირებით 28 სექტემბერს საიუბილეო კონცერტს გეგმავენ. მადლობა მთელ ქართველ ერს, რომ ჰამლეტს დღემდე არ ივიწყებენ. თვითონ კი ბოლომდე კმაყოფილი მაინც არასოდეს იყო. ამბობდა ხოლმე, უკეთესადაც შეიძლებოდა სიმღერაო. მისი სიმღერების გამოცემა არამარტო ჰამლეტის გაცოცხლება, მთელი ქართული ხალხური საგანძურის პოპულარიზაციაა. დიდი მადლობა ამისათვის ბატონ ვანო ჩხარტიშვილს, რომელიც ასეთ ქართულ საქმეს აკეთებს.

— **რაიმე შემოთავაზება ხომ არ მიგიღიათ რუსი ან უცხოელი პროდიუსერებისგან?**

— ასე ცოტა დროში არაფერს გთავაზობენ. არის მოლოდინი, რომ რაღაცა იქნება.

— **რით დაგამახსოვრდებათ იურმალა?**



— პირველ რიგში, იმით, რომ შუა ზაფხულში ქურთუკით დავდიოდი, საშინლად ციოდა. დამამახსოვრდება იმითაც, რომ საოცრად თბილი ხალხია და იმითაც, რომ საკუთარი თავით კმაყოფილი ვარ. მოვიხიბლე რიგით, რაღაცნაირად თბილისისა და ქუთაისის ქუჩები გამახსენა, მაგრამ ჩემი ქალაქი მაინც ყველას მირჩევნია.

**დათო ფორჩხიძე: „ყველამ ტოტო კუტუნიოზე შეიწმინდა ხელები. არ მესმის, რატომ გახდა ტოტო განტევების ვაცი. ჟიური თითქოს ლამაზად დაგეგმილი სცენარით მოქმედებდა".**

❖

მხარდამჭერთა გუნდში, რომელიც სალომე ქათამაძეს თბილისიდან გაჰყვა, მისი მწვრთნელი პროექტ „ახალი ხმიდან", მუსიკოსი დათო ფორჩხიძე იმყოფებოდა. დათო დარწმუნებულია, რომ კონკურსზე ჟიურის შეფასებები წინასწარ დაგეგმილი იყო.

**დათო ფორჩხიძე:**

— იურმალას კონკურსზე ადრეც ვარ ნამყოფი, პოსტსაბჭოთა სივრცეში მაღალი დონის კონკურსია. რა მოლოდინიც მქონდა სალომე ქათამაძისგან, ის გაამართლა, მთელი დარბაზი და მუსიკალური საზოგადოება გააოცა. ვიცოდი, რომ თუ პირველ ადგილზე არ გაიყვანდნენ, ახსნა-განმარტებების გაკეთება მოუწევდათ, მაგრამ პირდაპირ ეთერში ბოდიშებით ლაპარაკს თუ დაიწყებდნენ, ამას ნამდვილად არ ველოდი. სალომეს შედარებით დაბალი ქულები ისეთმა ადამიანებმა დაუწერეს, ვისგანაც ამას არ ველოდი. მაქს ფადეევმა პირველ დღეს 10 ქულა დაუწერა და ამისთვის ფინალში ბოდიში მოიხადა.

— **როგორ ფიქრობთ, რატომ არ მისცეს სალომეს პირველი ადგილი?**

— ვერსიებზე საუბარი შორს წაგვიყვანს. ხშირად ვფიქრობდით, რა შეცდომა დავუშვით, მაგრამ იმ აზრამდე მივდიოდით, რომ ყველა შემთხვევაში ასეთი შედეგები დაიდებოდა. სალომეს უფრო მაგრადაც რომ ემღერა და თავზე დაემხო სცენა, კიდევ უფრო დიდ ბოდიშებს მოგვიხდიდნენ. თავიდან კონკურსანტები რომ მოვისმინე, სალომეს კონკურენტად გერმანელ გოგოს აღვიქვამდი, მაგრამ ის ათეულშიც ვერ მოხვდა. იმასაც კი ველოდი, რომ სალომე შეიძლებოდა საპრიზო სამეულშიც არ გაეყვანათ. სალომეს და ზოგადად ქართულ დელეგაციას იურმალაში ისე მოგვექცნენ, თან მადლობის თქმაც გვინდოდა და თან პრეტენზიები გვქონდა. ძალიან უცნაური ამბები მოხდა.

— **რა ხდებოდა კულისებში, რაც ეკრანზე არ ჩანდა?**

— ყველამ ტოტო კუტუნიოზე შეიწმინდა ხელები. არ მესმის, რატომ გახდა ტოტო განტევების ვაცი. ჟიური თითქოს ლამაზად დაგეგმილი სცენარით მოქმედებდა.

— **ანუ ტოტოს 8-იანიც წინასწარ დაგეგმილი იყო?**

— მაგას ვერავინ იტყვის. მე იურმალაში გულშემატკივრის რანგში ჩავედი, ამიტომაც ჩვენი მხრიდან არ იქნება ლამაზი უკმაყოფილების გამოთქმა. მადლობლები ვართ, შეგვეძლო, პირველ ადგილზე გვქონოდა პრეტენზია, მაგრამ რაც მოხდა, მოხდა. ყველა ქართველს შეუძლია სალომეთი იამაყოს. დუეტ „ჯორჯიას" შემდეგ იურმალაზე დიდი პაუზა გამოგვივიდა. ჩვენი მხრიდან პრეტენზიები უადგილოა, სალომეს ისე ექცეოდნენ, როგორც ნამდვილ ვარსკვლავს. რაც მან გააკეთა, იმაზე მეტს ვერავინ გააკეთებდა.

— **ვალერი მელაძე ერთ-ერთ კომენტარში ამბობს, რომ ქართული სიმღერა ძალიან რთული იყო და ისიც და კონკურსის რეგლამენტიც სხვა, შედარებით იოლი სიმღერის შესრულებას ურჩევდნენ სალომეს. თქვენ კოანხმებით მათ აზრს?**

— რეპერტუარს მე ვერ განვიხილავ, რადგან ამ პროექტში ჩართული არ ვყოფილვარ. გემოვნების საკითხია, ვის რა მოსწონს. ამ სიმღერაზე აპელირება სწორად არ მიმაჩნია, სხვა რამე რომ ემღერა, შეცვლიდა კი სიტუაციას? უშველიდა კი სალომეს? მაინც მეორე ადგილზე გაყვანას შეეცდებოდნენ. სალომემ იმ ორ ინგლისურენოვან სიმღერაში იმდენი აჩვენა, რომ, თუ ჟიურის უნდოდა, გაამარჯვებინებდა.

— **თქვენ კმაყოფილი დარჩით კონკურსზე სალომეს შესრულებით?**

— კი. სალომე ჩემი შვილია და მთელი ცხოვრება მის გვერდით ვიქნები. ის მუდამ იქნება ქართველი მსმენელის საყვარელი მომღერალი. ძალიან ნიჭიერი და შრომისმოყვარეა, ხუთოსანი გოგოა, ყველაფერს საუკეთესოდ აკეთებს. ვამაყობ, რომ ასეთი ადამიანის გვერდით ვარ.

❖

იურმალაში კიდევ ერთი უცნაური ფაქტი მოხდა — ქართველი მომღერალი ნინა წკრიალაშვილი, რომელიც ასევე სალომე ქათამაძის გულშემატკივართა შორის იყო, ერთ-ერთმა ლატვიურმა საიტმა კონკურსის სტუმართა შორის ყველაზე უგემოვნოდ ჩაცმულად დაასახელა. **ნინა წკრიალაშვილს** თავისი ახსნა აქვს იმის შესახებ, რატომ ეცვა მას ასე და არა — სხვანაირად. „სარკესთან" მან საკონკურსო შთაბეჭდილებებზე ისაუბრა:

— სალომეს საგულშემატკივროდ 25 კაცი ჩავედით, ტურისტული სააგენტოს საშუალებით დავგეგმეთ მოგზაურობა ლატვიაში და ძალიან კმაყოფილები ვართ. რაც შეეხება კონკურსს, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ აქ ყველაფერი მაინც რუსულ გემოვნებაზეა გათვლილი. კუბელი ბიჭი მეც მომეწონა, მისი პირველი სიმღერით ძალიან მოვიხიბლე, მაგრამ ვოკალით სალომეს ვერც კი შევადარებ. სალომეს მეორე ადგილი რეალურად პირველზე უკეთესია, მის გამოსვლაზე მთელი დარბაზი ოვაციებში იყო, კუბელ ბიჭზე კი ძირითადად პატარა გოგოები კიოდნენ. რუსულმა პუბლიკამ ძალიან შეგვიყვარა, პირდაპირ ქუჩაში გვეუბნებოდნენ, თქვენი გოგონა ყველაზე მაგარიაო. რუსები ჩვენს თვალწინ ლანძღავდნენ კუტუნიოს, ეს რატომ გააკეთაო.

**ნინა წკრიალაშვილი: „ლატვიურ ინტერნეტსაიტზე განხილული იყო ჩემი ტყავის ქაბა. ასეთი მოსაზრება იყო, რომ ჩემი ჩაცმულობა ქვიშის სანაპიროს არ შეესაბამებოდა, მაგრამ ის დაავიწყდათ, რომ 10 გრადუსი იყო და ქვიშის სანაპიროზე არ გამივლია".**

— **საქართველოში ყველას აინტერესებს, ჟიურიში მჯდომ ტოტო კუტუნიოს მართლა ჩაეძინა თუ არა მეორე ტურში.**

— არაფერი არ დაეძინა! ვერ გაიგო ქართული სიმღერა სამ ხმოვანებაში. არც გამიკვირდება, რომ ასეთი მუსიკალური ნაწარმოები ვერ გაიგო. რუსებმა კარგად იციან ქართული მრავალხმიანობა და პატივს სცემენ, ამიტომაც ისინი უფრო აღფრთოვანებულები დარჩნენ, ვიდრე ტოტო. პირდაპირ ამბობდა, ვერ მივხვდი, რა იმღერეს და მაღალი ქულა როგორ დამეწერაო. ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ტოტოს 8-იანმა მთელ დარბაზს დასწყვიტა გული. კუბელმა გამარჯვება თავისი გარეგნობით მოიპოვა, სალომემ — თავისი ვოკალით. ჟიურიმ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, ყოველთვის გვეშინია საქართველოს წარმომადგენლის, რადგან ვიცით, რომ ყველაზე ძლიერი იქნებაო. ამ სიტყვების შემდეგ უფრო ამაყად ვაფრიალებდი საქართველოს დროშას.

— **კონკურსის მიმდინარეობისას კულისებში რა ვერსიები ვრცელდებოდა, თავიდანვე იყვნენ ცნობილი საპრიზო ადგილების მფლობელები, როგორც ეს ხშირად ხდება კონკურსებზე?**

— ლაპარაკობდნენ კუბელ ბიჭზე, სალომეზე და გერმანელ გოგოზე. ძმები მელაძეების ძალიან დიდი თანადგომა გვქონდა. როგორც ჩანს, ქართული სისხლი მაინც თავისას შვრება. მთელი სულით და გულით ჩვენ გვერდით იყვნენ. გული ძალიან დასწყდათ, რომ მეორე ადგილზე გავედით.

**ნინა წკრიალაშვილი: „არაფერიც არ დაეძინა! ვერ გაიგო ქართული სიმღერა სამ ხმოვანებაში... პირდაპირ ამბობდა, ვერ მივხვდი, რა იმღერეს და მაღალი ქულა როგორ დამეწერაო".**

— **როგორც ჩანს, იურმალაში ძალიან ციოდა, თბილად ჩაცმულები ჩანდით.**

— კი, 10 გრადუსზე მეტი ტემპერატურა არ ყოფილა, ამიტომ ვერც მზით ვისიამოვნეთ და ვერც ზღვით.



— **ერთ-ერთმა ლატვიურმა საიტმა თქვენ კონკურსის სტუმრებს შორის ყველაზე უგემოვნო ჩამცმელად დაგასახელათ. რა რეაქცია გქონდათ?**

— არა, უგემოვნოდ ჩამცმელად არავის დავუსახელებივარ, პირიქით, კონცერტზე ყველა გაფაციცებით მეკითხებოდა, ვინ ხართ, ასეთი ჩაცმული რომ ხართ. მე კი ყველას ამაყად ვეუბნებოდი, ერთი გორელი გოგო ვარ-მეთქი. ლატვიურ ინტერნეტსაიტზე განხილული იყო ჩემი ტყავის კაბა. ასეთი მოსაზრება იყო, რომ ჩემი ჩაცმულობა ქვიშის სანაპიროს არ შეესაბამებოდა, მაგრამ ის დაავიწყდათ, რომ 10 გრადუსი იყო და ქვიშის სანაპიროზე არ გამივლია. ჩემი ჩაცმულობა გააკრიტიკეს, მაგრამ ჩემ გვერდით ისეთი ადამიანები გააკრიტიკეს, რომ პირიქით, სახალისოც კი იყო. რამდენიმე იქაური დიზაინერი აღფრთოვანებული დარჩა ჩემი ჩაცმულობით.

✓ ავთო ჩიტიძე



Cyan Magenta Yellow Black

# მაწანწალა, ტერორისტი თუ მანიაკი — ვინ მოკლა 16 წლის გოგონა

## ბათუმში მომხდარი შემზარავი მკვლელობის დეტალები

კვლავ ბურუსით არის მოცული სასტიკი მკვლელობა, რომელიც 22 ივლისს ბათუმში მოხდა. 16 წლის მარიამ კოჩალიძე ახლობლებმა ზღვის სანაპიროზე ყელგამოჭრილი იპოვეს. თავდაპირველად ითქვა, რომ გოგონა დააყაჩაღეს და მოკლეს, მაგრამ მას შემდეგ, რაც სამართალდამცავებმა გარდაცვლილის ველოსიპედი და მობილური ტელეფონი „აიფონ 5“ იპოვეს, ეს ვერსია გამოირიცხა. პირველივე დღეს გაირკვა, რომ მარიამის მკვლელობაში ეჭვმიტანილი ირანის მოქალაქე, 28 წლის მოჰამადინ როოინთანია, რომელმაც საქართველოს ტერიტორიის დატოვება და თურქეთში გადასვლა მოასწრო.

ამ საქმესთან დაკავშირებით ბევრი ვერსია ვრცელდება. ერთ-ერთის მიხედვით, შესაძლებელია მკვლელობაში ბრალდებული როოინთანი ტერორისტი იყოს.

მარიამი ბათუმელი იყო. ახლობლების თქმით, ის ძალიან ნიჭიერი მოსწავლე იყო, თურქულ ლიცეუმში სწავლობდა, მანამდე — სასულიერო აკადემიაში. გავრცელებული ინფორმაციით, ბოლო პერიოდში უცნაურად იქცეოდა... იმასაც ამბობენ, რომ ბოლო დროს ჯვარიც კი მოიხსნა და აღარც ეკლესიაში დადიოდა. გარდაცვლილის ოჯახის წევრები ამ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფენ. მათი თქმით, მკვლელობის დღეს მარიამს ჯვარი ეკეთა, მაგრამ მას ჯერჯერობით ვერ მიაგნეს. ასევე ითქვა, რომ მარიამს სავარაუდო მკვლელთან მიმოწერაც ჰქონდა. მან უცხო ენები კარგად იცოდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, სავარაუდო მკვლელი საქართველოში სარფის სასაზღვრო-გამშვები პუნქტიდან 23 ივნისს შემოვიდა და 22 ივლისს, 19:22 საათზე საქართველოს ტერიტორია ასევე სარფის სასაზღვრო-გამშვები პუნქტის გავლით დატოვა. მასმედიით გავრცელებულ კადრებში გარდაცვლილის დედა ამბობდა, რომ გოგონა სახლიდან 19:00 საათზე გავიდა. შსს-ს ინფორმაციით კი, მკვლელმა საქართველოს საზღვარი 19:22 საათზე დატოვა. გამოდის, რომ მან 22 წუთში მკვლელობის ჩადენაც მოასწრო, სამოსის გამოცვლაც და სასაზღვრო პუნქტამდე მისვლაც, რაც ძნელად დასაჯერებელია, თუმცა, როგორც „სარკესთან“ საუბარში მარიამის ნათლია, ნატალია კვინტრაძე ამბობს, გოგონას სახლიდან გასვლის დრო დედამ შეცდომით თქვა. ის 18:10 საათზე გავიდა.

მოჰამადინ როოინთანის დასაკავებლად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო მოლაპარაკებებს თურქ კოლეგებთან აწარმოებს. საქმეში ინტერპოლიც ჩაერთო. როგორც „სარკესთან“ საუბარში შსს-ს პრესსამსახურის უფროსმა, ნინო გიორგობიანმა აღნიშნა, მკვლელის პოვნის შემთხვევაში საქართველოში მისი ექსტრადირება მოხდება, რადგან დანაშაული ამ ქვეყნის ტერიტორიაზეა ჩადენილი.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ მკვლელობაში ბრალდებულ მოჰამადინ როოინთანს პატიმრობა დაუსწრებლად შეუფარდა. რადგან ჩადენილი განსაკუთრებით მძიმე, განზრახ დანაშაულთა კატეგორიას მიეკუთვნება, სასჯელის სახედ გათვალისწინებულია 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთა. მის მდგომარეობას ამძიმებს ის, რომ იგი მიმალვას ცდილობს.



■ მარიამ კოჩალიძე

**„მან სავარაუდო მკვლელი დაახლოებით 7 საათისთვის ველოსიპედით მიმავალი დაინახა. გააჩერა და ჰკითხა, თუ საიდან ჰყავდა ეს ველოსიპედი, რადგან დაეჭვდა — მაწანწალასავით ცხოვრობდა და საიდან უნდა ჰყოლოდა. მან გატეხილი ქართულით უპასუხა, რომ ველოსიპედი იქირავა. როცა მარიამის ცხედარი ვიპოვეთ, ამ კაცმა თავზე ხელი შემოირტყა. მიხვდა, რომ ის ველოსიპედი მარიამის იყო".**

„სარკე“ მარიამ კოჩალიძის ოჯახის ახლობელს, ლია მგელაძეს ესაუბრა, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა ნახა მოკლული გოგონას ცხედარი.

**ლია მგელაძე:** მარიამის ცხედარი იქ ვიპოვეთ, სადაც ის ყოველდღე მიდიოდა და წიგნს კითხულობდა. ერთ-ერთმა სამხედრო პოლიციელმა მიგვასწავლა.

— **მარიამს ახლობლები ეძებდით და არა პოლიცია?**

— დიახ, მაგრამ პოლიციისთვისაც უკვე ცნობილი იყო, რომ ბავშვს ვეძებდით. მათ რაც შეეძლოთ, ყველაფერი გააკეთეს. ცუდზე არავინ ვფიქრობდით, გვეგონა, რომ მარიამს ტელეფონი მოპარეს და სახლში დაბრუნების ეშინოდა. შინიდან რომ წავიდა, 7 საათს წუთები იყო გადაცილებული.

— **მარიამის დედამ ტელევიზიით განაცხადა, რომ გოგონა სახლიდან 7 საათზე გავიდა.**

— მარიამი ნათლიასთან ცხოვრობდა. დაახლოებით 8 საათს წუთები აკლდა, რომ ნათლიამ მას დაუმესიჯა, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო. ამის შემდეგ ტელეფონზე ურეკავდა. პოლიციას ძებნის დაწყება 24 საათის გასვლის შემდეგ შეუძლია, ამიტომ სანამ ეს დრო გავიდოდა, მისი ძებნა ჩვენ თვითონ დავიწყეთ. ოჯახს გული არ მოუთმენს, 24 საათის გასვლას დაელოდოს. თუმცა ვერ ვიტყვით, თითქოს პოლიციამ არ იმუშავა. ყველას გადასცეს, რომ ბავშვი დაკარგული იყო. ცხედარი რომ ვიპოვეთ, ღამის პირველს 20 წუთი აკლდა.

— **რა მდგომარეობაში ნახეთ?**

— პირქვე იწვა ყელგამოჭრილი. ერთი ხელი ჭრილობაზე ჰქონდა მიდებული, მეორე ხელი და ფეხი მოხრილი ჰქონდა, თითქოს იქიდან ამოცოცებას ცდილობდა. ზურგზე დიდი ქვა ედო, რომ ზემოთ არ ასულიყო. ქვა ჩარტყმული არ აქვს... პატრულს და სასწრაფო დახმარების სამსახურს მე დავურეკე.

— **ამ მკვლელობასთან დაკავშირებით ბევრი ვერსია გავრცელდა. ოჯახისთვის ყველაზე დამაჯერებელი რომელია?**

— ოჯახს ვერსია არ აქვს. როგორც მოგეხსენებათ, ველოსიპედიც და ტელეფონიც ნაპოვნია, ამიტომ ეს ყაჩაღობას არ ჰგავს. ოჯახი ვერსიებზე ვერაფერს ამბობს, ეს თავიდან ბოლომდე სამართალდამცავების საქმეა. ალბათ ტელეფონში მარიამის ყველა მიმოწერას ნახავენ. ვერსია მართლაც ბევრი არსებობს, მაგრამ კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ოჯახი ამაზე საუბრისგან თავს იკავებს. მობილური ტელეფონი ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე ნახეს. როცა მარიამს ვეძებდით, დაახლოებით 12-ის ნახევრამდე ზარი გადიოდა. შემდეგ, როგორც ჩანს, ტელეფონის ბატარეა დაჯდა და გაითიშა.

— **ერთ-ერთი ვერსიით, მარიამი შესაძლოა მკვლელს იცნობდა და მასთან მიმოწერაც ჰქონდა, რადგან მან თურქული და ინგლისური ენები კარგად იცოდა.**

— ბევრ რამეს ამბობენ. ყველაფერს გამოძიება დაადგენს, ოჯახის წევრები ძალიან დაბნეულები არიან.

→71


**მამაკაცებისთვის!**

სქესობრივი სისუსტის, პროსტატის დაავადებების: პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (ხშირი შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი), ვირუსული და მიკრობული დაინფიცირების მკურნალობა. ასევე, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, დეპრესიის, შიშების, უძილობის მკურნალობა; ორგანიზმის გაწმენდა უჯრედულ დონეზე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებისა და გვერდითი მოვლენების გარეშე. შედეგი და ანონიმურობა 100%-იანია.

**ექიმი ქალბატონი მზია**

☎ 514-246-446, 218-48-99




Cyan Magenta Yellow Black

# საავადმყოფო, სადაც პაციენტი ყელში ჰყავთ ამოსული და ჟანგბადის გათიშვით ემუქრებიან?

## 19 წლის ბიჭი მეხუთე სართულის რეანიმაციიდან გადმოხტა — ოჯახს თვითმკვლელობის ვერსია არ სჯერა

19 ივლისს თბილისში, ღუდუშაურის სახელობის კლინიკაში, უბედური შემთხვევა მოხდა. გავრცელებული ინფორმაციით, 19 წლის გიორგი სამხარაძე საავადმყოფოს მე-5 სართულიდან გადმოხტა. მრავლობითი მოტეხილობითა და დაზიანებებით ის რეანიმაციულ განყოფილებაში მოათავსეს, ოპერაციაც გაუკეთეს, თუმცა ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს. ის 20 ივლისს, გამთენიისას, გარდაიცვალა.



■ გიორგი სამხარაძე

გარდაცვლილის ოჯახის წევრები არ ეთანხმებიან ვერსიას, რომ გიორგიმ თავი მოიკლა. მათ ეჭვი აქვთ, რომ პაციენტს წამლის ზედმეტი დოზა მისცეს და მდგომარეობიდან ველარ გამოიყვანეს, თვითმკვლელობის ვერსია კი ექიმებმა შეთხზეს. ეს ვერსია რომც არ დადასტურდეს, ოჯახი მაინც მედპერსონალს დაადანაშაულებს მომხდარში, რადგან, მათი აზრით, პაციენტი გულგრილობასა და სასტიკ მოპყრობას შეეწირა.

ამ ტრაგედიამდე გიორგი სამხარაძე რამდენიმე დღით ადრე, 16 ივლისს, სასწრაფო დახმარების ბრიგადამ პრეპარატ „ბაკვოსანის" ინტოქსიკაციის შედეგად კომატოზურ მდგომარეობაში მიიყვანა საავადმყოფოში. მისი მდგომარეობა კრიტიკული იყო, მაგრამ ბიჭი რამდენიმე დღეში გამოკეთდა და, როცა ახლობლებმა ჩათვალეს, რომ საფრთხე უკან დარჩა, ტრაგედია სწორედ მაშინ დატრიალდა...

„სარკეს" გარდაცვლილის დეიდა, **მაკა სამხარაძე** ესაუბრება.

— **ქალბატონო მაკა, როგორ აღმოჩნდა გიორგი საავადმყოფოში?**

— გიორგი საავადმყოფოში უგონო მდგომარეობაში სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ მიიყვანა. ის ერთ-ერთ პარკში გათიშული ნახეს. როცა საავადმყოფოში მივედი, უგონოდ იყო, კომაში დამხვდა. გიორგის რაღაც წამლები ჰქონდა ზედმეტი დოზით დალეული.

— **ნარკოტიკული საშუალება ჰქონდა მიღებული?**

— რაღაც აბები ჰქონდა მიღებული, მაგრამ — რომელი, არ ვიცი. იმ საღამოს სახლში გამომიშვეს, ხვალ ინტენსიურ თერაპიაში დარეკავთ და ბავშვის მდგომარეობას გეტყვიანო. მეორე დღეს რომ მივედი, გიორგის ეძინა, ჩემს საუბარზე რეაქცია არ ჰქონდა. მომდევნო დღეს საუბრისას გიორგიმ თვალი ორჯერ გაახილა. ექიმებმა მითხრეს, წამოდგომას ცდილობს, მაგრამ ვეუბნებით, რომ იწვესო. ეს გიორგის თუ ესმის-მეთქი, ვიკითხე. კი, ესმის და ისევ წვებაო, მიპასუხეს. მესამე დღეს რომ მივედი, ელვიძა. ვკითხე, მიცნო თუ არა და თავი დამიქნია, კიო. მომენტებში ისევ ვერ მცნობდა, კომიდან ბოლომდე არ იყო გამოსული. იქ 20 წუთზე მეტ ხანს არ მაჩერებდნენ. მეოთხე დღეს გიორგი კარგად დამხვდა, რეანიმაციიდან პალატაში იყო გადაყვანილი. ვფიქრობდი, რომ შეიძლებოდა წამომეყვანა. მეხვეწებოდა, აქ არ დამტოვო, სხვა საავადმყოფოში წამიყვანეო.

**„რაღაც წამალი მისცეს ზედმეტი დოზით, ან შეეშალათ და ასე დალუპეს. მე მეტი ვერსია არ მაქვს".**

— **რატომ ითხოვდა ამას, მიზეზი რა იყო?**

— ექიმმა ისე დამარტყა, მეც მინდოდა დარტყმა, მაგრამ ხელი დაბმული მქონდაო. რატომ დაგარტყა-მეთქი, ვკითხე და არ ვიციო, მიპასუხა. ერთ-ერთი ექიმი შემოვიდა, რომელიც ყოველ მისვლაზე უხეშად მპასუხობდა. იქ რომ დამინახა, აქ ამდენ ხანს რას აკეთებთ, აქაურობა დატოვეთო, მითხრა. ვუთხარი, ბავშვი წაყვანას მთხოვს და როგორ მოვიქცე-მეთქი. რა დროს წაყვანააო, თქვა და გიორგის მიუბრუნდა, ახლა ჟანგბადს გაგითიშავ და ვნახავ, როგორ გაძლებო. შემდეგ პალატაში ერთი გოგონა შემოვიდა, გიორგის უთხრა, რა განერვიულებს, აქამდე ხომ გივლიდით, ერთი დღეც იყავი ჩვენთანო. ვიფიქრე, რომ წავიყვანო, გზაში არ მომიკვდეს-მეთქი და დავტოვე.

გამოსვლისას დავამშვიდე, არ ინერვიულო, მალე დაღამდება და ხვალ წაგიყვან-მეთქი. დაახლოებით საღამოს 10 საათზე საავადმყოფოში დარეკვა და გიორგის მდგომარეობის გაგება დავაპირე, მაგრამ იქ ყოველთვის უხეშად მპასუხობდნენ, ახლა არ დარეკე, ახლა არ მოიკითხეო. ამიტომ ცოტა ხანი მოვიცადე, ამასობაში ვიღაცამ საავადმყოფოდან დამირეკა. არ მითხრა, რა მოხდა, აქ რომ მოხვალთ, მერე გაიგებთო. მაშინვე წავედი. რომ შევედი, ყველა ისე მიყურებდა, შემეშინდა. ამასობაში კრიმინალური პოლიციის თანამშრომლები დავინახე, ხელში ყვითელი ლენტი ეჭირათ და სართულს კითხულობდნენ. მე-5 სართული რომ ახსენეს, მაშინვე ვიკითხე, ვინმე ხომ არ დაიღუპა-მეთქი. არაო, დამამშვიდეს. განყოფილების გამგე ნიკა ქარცივაძე ჩამოვიდა და მითხრა, ძალიან მძიმე სიტუაციაა, გიორგი მე-5 სართულიდან გადმოხტა, რეანიმაციაშია, ოპერაციას ვუკეთებთო.

— **ის ადგილი ნახეთ, საიდანაც გიორგი გადმოხტა?**

— მარტო მე კი არა, მთელმა სანათესაომ ვნახეთ ის ადგილი და იქ ვერაფრის კვალი ვნახეთ. განყოფილების გამგე ნიკამ მითხრა, გიორგის მძიმე სიტუაცია აქვს, მუცელში ჩაქცევები ახლაც გრძელდება, რომელიც უნდა შევაჩეროთო. რამდენიმე საათის შემდეგ კი გვითხრა, მდგომარეობა სტაბილურია, სისხლდენა შევაჩერეთ, ტამპონები გავუკეთეთ, დრენაჟები ჩავუდგით, ახლა რეანიმაციაში გვყავს, მისი პულსის დარეგულირება მიმდინარეობს, დანარჩენს ან მე, ან ჩემი რომელიმე თანამშრომელი შეგატყობინებთო. გამუდმებით ვრეკავდით და გვპასუხობდნენ, რომ მისი მდგომარეობა უცვლელი იყო. გარეთ ვიდექი მეგობართან ერთად, როცა ეს ბატონი ნიკა მანქანაში ჩაჯდა და სახლში წავიდა. მძიმე პაციენტი როგორ მიატოვა, რატომ წავიდა? ჩვენთვის ერთი სიტყვა აღარ უთქვამს.

— **როგორ გაიგეთ მისი გარდაცვალების შესახებ?**

— დილამდე ვრეკავდით და გვპასუხობდნენ, იგივე მდგომარეობააო. დილით ახლობელი ქალი მოვიდა, რომელმაც თქვა, რომ ამ საქმეში პოლიციას ჩართავდა და ასე მაინც გავიგებდით, რა ხდებოდა. როცა პოლიციაში დავრეკეთ, დილის 10-11 საათი იქნებოდა. პოლიციის თანამშრომლები მოვიდნენ და გვითხრეს, ბავშვი გარდაცვლილიაო, მანამდე კაციშვილს არაფერი უთქვამს.

— **ოპერაციის შემდეგ გარდაიცვალა გიორგი?**

— არ ვიცი! პოლიცია რომ არ ჩაგვერთო, კიდევ გაუგებრობაში ვიქნებოდით, შეიძლება დღესაც იქ ვყოფილიყავით. საღამოდან დილის 11 საათამდე, ყველა დარეკვაზე პასუხი ერთნაირი იყო — „მდგომარეობა იგივეა, არაფერი შეცვლილა". როცა გიორგის სანახავად მივდიოდი, ყოველთვის უხეშად მპასუხობდნენ, ეგეთი პაციენტები ყელში გვყავს ამოსული, სახელმწიფოსაც აზარალებენ და ჩვენცო. გიორგი ბოლოს პალატაში დავტოვე. პალატის ფანჯრის ქვემოთ სისხლის არანაირი კვალი არ იყო. გიორგის გარდაცვალებიდან მეორე დღეს კი მითხრეს, რეანიმაციაში გვყავდა და იქიდან გადმოხტაო. იმის ქვემოთ თითქოს სისხლის ოდნავი კვალი იყო. იმ ადგილზე გიორგის მეგობრებიც მივიყვანე, ვანახე, გიორგი აქ დაცემულა-მეთქი. ისინი გაგიჟდნენ, აქ ვიყავით, მაგრამ არანაირი სისხლის კვალი არ გვინახავსო.

— **რა მოხდა, რა ვერსია გაქვთ?**

— ჩემი ვერსიით, ბავშვი გაღიზიანებული იყო, სახლში რომ არ წამოვიყვანე. შეიძლება ისევ კომაში ჩავარდა, რეანიმაციაში გადაიყვანეს, რაღაც წამალი მისცეს ზედმეტი დოზით, ან შეეშალათ და ასე დალუპეს. მე მეტი ვერსია არ მაქვს.

— **ამის თქმის საფუძველს რა გაძლევთ?**

— ცხედრის მდგომარეობა. არანაირი დაზიანება არ აღენიშნებოდა. როგორც განყოფილების გამგემ თქვა, გიორგის თავი ჰქონდა დარტყმული, ხერხემალი — მოტეხილი. მერე ხან იმას ამბობდა, რომ ხელი ჰქონდა მოტეხილი, ხან — ფეხი, თვითონაც სწორ ვერსიას ვერ ამბობდა. თავის უკან ცხედარს ხელი რომ მოვუსვი, ნაკერები არ ჰქონდა. როცა თავის ქალაზე ნაკერები იდება, თმას აჭრიან, გიორგის კი თმა არ აქვს შეჭრილი.

— **ნაკერები არსად აქვს?**

— მუცელზე ექსპერტის კვეთის შედეგად დადებული ნაკერი აქვს. ცხედარს ექსპერტიზა ჩაუტარეს, მაგრამ არ ვენდობი. იცით, რა არის? ბავშვი საწოლზე რომ წამოიწეოდა, თავს ვერ იმაგრებდა, ძალა არ ჰქონდა და ისევ წვებოდა. როგორ ადგა და როგორ გადახტა?! თუკი გიორგის შეტევები დაეწყო, მანამდე 3 დღე ხელებდაბმული ჰყავდათ და იმ დღეს რატომ არ დაუბეს? როგორც ამბობენ, ვითომ იმ დროს გიორგის ექთანი ეკითხებოდა რაღაცეებს, სკოლა როგორ დაამთავრა, როგორ ჩააბარა და ასე შემდეგ. როცა ის წვეთოვანის შესასწორებლად შეტრიალდა, გიორგი მაშინ გადახტა. ზოგი ამბობს, ექთანი რაღაცას წერდა, ყურადღება ვერ მიაქცია, ის უცებ წამოხტა და გადახტაო. ზოგი ამბობს, ჩაცმული



Cyan Magenta Yellow Black

გადმოხტა, ზოგი — ტიტველიო. რა გავიგო?! ჯერ ერთი, გიორგი ისეთი მორიდებული იყო, მეგობრებთან ერთად აუზზე არ მიდიოდა, ტრუსებით სიარულის ერიდებოდა. კათეტერს რომ უცვლიდნენ, გადიო, მეუბნებოდა და ტიტველი წამოხტა და გადახტა?!

— **აპირებთ საავადმყოფოს წინააღმდეგ სარჩელის შეტანას?**

— დიახ. მართალია, ჩემს გიორგის ვერავინ დამიბრუნებს, მაგრამ რატომ გავახარო ისინი?! ხვალ სხვა ბავშვს დაღუპავენ. თურმე გიორგი 8 საათზე გადმოხტა და მე 10 საათზე დამირეკეს. მთელი 2 საათის განმავლობაში რატომ არ გამაგებინეს? როცა მივედი და მდგომარეობა ვიკითხე, ცოცხალი იყო თუ მკვდარი, პასუხი არ გამცეს. აუცილებელი იყო, ისტერიკები მომეწყო და მერე ეთქვათ, ცოცხალი იყო თუ არა?თუ დაიღუპა, ცხედარი გამოეტანებინათ! თუ ოპერაციას აკეთებდა ის ნიკა, რატომ წავიდა ღამის 3 საათზე სახლში? მეორე დღემდე რა ხდებოდა, არ ვიცოდით. ვთქვათ, ბავშვმა თვითმკვლელობაზე იფიქრა, მისნაირი პაციენტები თუ ყელში გყავს ამოსული, ასეთი გამოცდილი ხარ, არ იცი, როგორ უნდა მოიქცე?

— **რას საქმიანობდა გიორგი?**

— სწავლობდა. მე-11 კლასიდან მე-12 კლასში ექსტერნად დასვეს. ეროვნული გამოცდებიც ჩააბარა. მამამისი გარდაცვლილია, დედა და 10 წლის ძმა ჰყავს. შემთხვევის დროს დედა აქ არ იყო. გიორგი წინა დღეს მეგობრებთან ერთად იყო, საუბრობდნენ, მათთვის უთქვამს, ეს ერთი წელი აქ ვისწავლი, შემდეგ ჩემს მომავალს საზღვარგარეთ ავაწყობ, მერე კი ისევ აქ ჩამოვალო. სანამ სწავლა დაეწყებოდა, მონასტერში, ბერებთან წასვლა უნდოდა, ძალიან ეკლესიური იყო.

■

ვითარებაში გასარკვევად „სარკე“ ღუდუშაურის სახელობის საავადმყოფოს ანესთეზიოლოგიისა და კრიტიკული მედიცინის განყოფილების უფროსს, ნიკა ქარცივაძეს დაუკავშირდა.

**ნიკა ქარცივაძე:**

— ძალიან დრამატული და არასასიამოვნო შემთხვევაა, პირველ რიგში, გარდაცვლილისთვის, მისი ოჯახისთვის, ჩვენთვის და შემდეგ ყველა დანარჩენისთვის. ამ საქმეს სამართალდამცავი ორგანოები შეისწავლიან, ყველა დეტალი და ნიუანსი მათ მიერ უნდა იყოს გამოძიებული და დარწმუნებული ვარ, ასეც იქნება.

სიტუაცია კი ასეთი იყო: ეს ახალგაზრდა ჩვენთან 16 ივლისს სასწრაფო დახმარების ბრიგადამ შემოიყვანა. მედიკამენტების ჭარბი დოზის მიღების შედეგად ცნობიერების დაბინდვა, სუნთქვის უკმარისობა ჰქონდა. ინტენსიურ თერაპიაში მოათავსეს, სადაც 16 ივლისიდან 19 ივლისამდე მკურნალობდა. კომატოზურ მდგომარეობაში იყო. დინამიკაში მისი მდგომარეობა გაუმჯობესდა. 19

**„პაციენტს ძლიერი ფსიქომოტორული აღგზნება დაეწყო, საშუალო მედპერსონალის მიერ მისი ბლოკირება ვერ მოხერხდა და ის აივნიდან გადახტა“.**

ივლისს, დილით, ხელოვნური ვენტილაციიდან მოხსნა მოხერხდა. აპარატიდან პაციენტიტს მოხსნა მაშინ ხდება, როცა ის გონზეა, გარკვეულ ინსტრუქციებს ასრულებს, სუნთქვა ადეკვატურია, სწორედ ამ პარამეტრების დაცვით, ის ხელოვნური სუნთქვის აპარატიდან მოიხსნა. გონზე იყო, კონტაქტურიც გახლდათ, არაადეკვატური ცნობიერების ეპიზოდები ჰქონდა, რაც ასევე ტიპური და დამახასიათებელია მედიკამენტური ინტოქსიკაციისთვის, მაგრამ რაიმე განსაკუთრებული არასტაბილურობა, განსაკუთრებული შფოთვა, არ ჰქონია.

— **შემდეგ რა მოხდა?**

— ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში იმყოფებოდა, ჟანგბადი მიეწოდებოდა. იმ პალატაში, რომელშიც ეს პაციენტი იწვა, ექთანი იყო. პაციენტს ძლიერი ფსიქომოტორული აღგზნება დაეწყო, საშუალო მედპერსონალის მიერ მისი ბლოკირება ვერ მოხერხდა და ის აივნიდან გადახტა.

— **ანუ იმ მომენტში მასთან ექთანი იმყოფებოდა და მან ვერ დააკავა?**

— დიახ. ექთანი პალატაში რამდენიმე პაციენტს ემსახურება... ამ პაციენტის ქმედების ბლოკირება ვერ მოხერხდა.

— **პაციენტი მაშინვე გარდაიცვალა?**

— შეიძლება წუთები მეშლება, მაგრამ ეს 19 ივლისს, დაახლოებით 20:00 საათზე მოხდა. მიმღები განყოფილების რეანიმაციულმა ბრიგადამ მას დახმარება მაშინვე გაუწია. ხელოვნური სუნთქვის მართვის აპარატზე გადავიყვანეთ, კვლევები ჩაუტარდა, ჰერმოდინამიკის სტაბილიზაცია მოხდა, მონიტორული ტომოგრაფია, ექოსკოპია, რენტგენოგრაფია ჩაუტარდა. ინტენსიურ თერაპიაში აიყვანეს. მალევე თერმოდინამიკური არასტაბილურობა გამოიხატა, რაც სისხლდენით იყო განპირობებული. საოპერაციაში სისხლდენის შეჩერების მიზნით იქნა შეყვანილი. ოპერაცია დაახლოებით საათნახევარი-ორი საათის განმავლობაში მიმდინარეობა, რის შემდეგაც კვლავ ინტენსიურ თერაპიაში დააბრუნეს. 20 ივლისს, დილით, სადღაც 8-დან 9 საათამდე გარდაიცვალა.

— **დავაზუსტოთ — ოპერაციის შემდეგ გარდაიცვალა?**

— ოპერაციის შემდეგ მისი მდგომარეობა მძიმე რჩებოდა. მრავლობითი დაზიანება ჰქონდა — ქალა-ტვინის მძიმე ტრავმა, გულმკერდის, ხერხემლის ტრავმა, მენჯის ძვლების მოტეხილობა, მესამე-მეოთხე ხარისხის ტრავმულ-ჰემორაგიული შოკი. პოსტოპერაციულ პერიოდში მისი თერმოდინამიკა არასტაბილური რჩებოდა. როგორც სტანდარტებს შეეფერება, ყველაფერი უკეთდებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ადამიანის გადარჩენა ვერ მოხერხდა.

— **ოჯახის ეჭვები ალბათ თქვენთვისაც ცნობილია...**

— პირველ რიგში, მათ დიდ ტკივილს ვიზიარებ. როგორც ადამიანს, როგორც ექიმს, როგორც მოქალაქეს, გული მტკივა, რომ ეს შემთხვევა მოხდა. მათი ოჯახის წევრების და მეგობრების ძალიან

**„ბავშვი საწოლზე რომ წამოიწეოდა, თავს ვერ იმაგრებდა, ძალა არ ჰქონდა და ისევ წვებოდა. როგორ ადგა და როგორ გადახტა?!“.**

მძიმე მდგომარეობა გულთან ახლოს მიმაქვს, მაგრამ მათ რა ინფორმაციაც მიიღეს უშუალოდ ჩემგან, უშუალოდ კლინიკის პასუხისმგებელი პირებისგან და რა ინფორმაციასაც ახლა თქვენ გაწვდით, დეტალურად, სიტყვასიტყვით სიმართლეა. ამ საქმეში სამართალდამცავები არიან ჩართული. ცხრა თავი ვის აქვს, რომ ამ საქმეში თავისი კორექტივები შეიტანოს? ასე რომ, ოჯახის მდგომარეობას ვიზიარებ, მაგრამ მათ თავიდან ბოლომდე სრული ინფორმაცია, სიმართლე აქვთ მიღებული.

— **ისინი კი ამბობენ, რომ მათ გვიან დაუკავშირდით და ისიც კი არ უთხარით, რომ გიორგი გარდაცვლილი იყო. გულგრილობაში გადანაშაულებენ.**

— მოდით, ეს საკითხი კვლავ სამართალდამცავებს მივანდოთ, ისინი გაარკვევენ, გულგრილობას ჰქონდა თუ არა ადგილი. პირადად მე ოჯახს დავუკავშირდი, დეიდამისს შევხვდი, ვესაუბრე. მოგეხსენებათ, ჭირისუფალთან შეხვედრა ძნელია, მაგრამ ეს მაინც გავაკეთე, სიტუაცია სრულად ავუხსენი. ოპერაციის მსვლელობისას პაციენტის მდგომარეობას ვატყობინებდი, ჩემ გარდა, ინფორმაციას საავადმყოფოს სხვა თანამშრომლებიც აწვდიდნენ. ოპერაციის დამთავრების შემდეგაც ამომწურავი ინფორმაცია ჰქონდათ... პაციენტი რომ გარდაიცვალა, ოჯახს ესეც ვაცნობეთ. ასე რომ, არანაირ გულგრილობას, ინფორმაციის შეფერხებას, შელამაზებას ადგილი არ ჰქონია. ყველაზე მთავარი, ამ ადამიანს შემოსვლის მომენტიდან ბოლო წუთამდე ადეკვატური, დროული სამედიცინო დახმარება უტარდებოდა. მანიპულაციებში არც ერთი წამი დაკარგულა.

— **როგორც აღნიშნეთ, მსგავს პაციენტებთან მუშაობის დიდი პრაქტიკა გაქვთ. რატომ არ იყო გიორგი განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ, რატომ არ იყო ყველა რისკი გათვალისწინებული?**

— ჩვენ ყველა იმ წესს ვიცავდით, რაც ამ შემთხვევაშია საჭირო, მაგრამ ნებისმიერი პრევენციული ღონისძიება იმის ასპროცენტიან გარანტიას არ იძლევა, რომ ყველაფერი კარგად დასრულდეს. შეიძლება გარკვეულ ფსიქოტიპს ხელი რომ დაუბა და ასეთი სახით მისი ბლოკირება მოახდინო, ამით უფრო აგრესიული გახადო. ვიმეორებ, ჩვენ ყველა იმ წესს, რეკომენდაციას ვიცავდით, რომელიც, ერთი მხრივ, პაციენტის ჯანმრთელობის უზრუნველყოფას ემსახურება, მეორე მხრივ — მის უსაფრთხოებას. ეთიკური მომენტებიც გათვალისწინებული იყო.

■

საქმეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით იძიებს. გარდაცვლილს ექსპერტიზა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროში ჩაუტარდა, დასკვნის პასუხები ჯერ ცნობილი არ არის.

✓ მაკა ლემონჯავა

გაიადვილეთ საჭმლის მონელება
იქონიეთ მიიღეთ ეფექტური
კრეზამი
თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს
www.krezam.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



Cyan Magenta Yellow Black

## „ჩემი ორსული შვილი შეყვარებულმა მიატოვა“

„სარკის“ მკითხველი ვარ და მკითხველების დახმარება მჭირდება. ისეთ სიტუაციაში ვარ, მართლა არ ვიცი, როგორ მოვიქცე. მეშინია, გამოუსწორებელი შეცდომაარ დავუშვა და ჩემი შვილიც არ დავღუპო და საკუთარი თავიც.

ჩემი გოგონა 23 წლის არის. მას შეყვარებული ჰყავდა. ოჯახში ამის შესახებ ყველამ ვიცოდით. ის ბიჭი მოგვწონდა და მათი ურთიერთობის წინააღმდეგები არ ვიყავით. ჩემს შვილს პაემნებზე სიარულს არ ვუშლიდი ან რატომ უნდა დამეშალა, პატარა გოგო ხომ არ იყო? 23 წელი ის ასაკია, როცა ადამიანმა თავად უნდა გადაწყვიტოს, რა უნდა, ვისთან სურს ცხოვრება და ამ შემთხვევაში მშობლების ჩარევა საჭირო არ არის. თანაც მშვიდად ვიყავი, რადგან მეგონა, მის გვერდით კარგი ადამიანი იყო.

მერე კი მათ ურთიერთობაში ყველაფერი აირია. შეყვარებულმა მიატოვა. ჩემს გოგონას ველარ ვცნობდი, ატირებული, სახეარეული დადიოდა. ვფიქრობდი, რომ მალე გადავულიდა. ვამშვიდებდი, არა უშავს, ეს ტკივილი მალე დაგავიწყდება-მეთქი. ამას წინათ კი გამომიტყდა, რომ ორსულად იყო. ამას არ მოველოდი. თითქოს ყინულივით



ცივი წყალი გადამავლეს თავზე. გადავირიე. მაშინვე იმ ბიჭის მშობლებთან მივვარდი, ვუთხარი, ჩვენმა შვილებმა სასწრაფოდ უნდა იქორწინონ-მეთქი. მათ კი ქართლური პირდაპირობით მიპასუხეს, ჩვენი შვილი რამდენ გოგოსთანაც გაივლის, ყველას ცოლად ხომ არ მოიყვანსო. ვცადე, მათთვის ყველაფერი ამეხსნა, ისიც კი ვუთხარი, თუ გინდათ, დაგიჩოქებთ, ოღონდ ასე ნუ გაგვაბორტებთ-მეთქი. მათ ჩემი თხოვნა ყურად არ იღეს. დედამისმა ისიც კი მითხრა, ჩემი შვილი ისე მოგწონდა, ყველაფერს აკეთებდი, რომ შენი გოგო ცოლად მოეყვანა, ბოლოს კი ლოგინში ჩაუწვინეო. წარმოიდგინეთ, რა მითხრა! ჩემს შვილს ლოგინში როგორ ჩავუწვენდი?! ის ბიჭი სულ გადაიკარგა, არც ტელეფონს პასუხობს, სახლშიც არ მიდის.

ეს საიდუმლო მხოლოდ მე და ჩემმა შვილმა ვიცით, ქმარს ვერაფერს ვეუბნები. ვიცი, ამას რომ გაიგებს, ორივეს სახლიდან გაგვყრის, რადგან მისთვის ამგვარი რამ მიუღებელია. ვერასოდეს გაიგებს, რომ გოგოს უყვარდა და შეცდა.

ცოდვა გამხელილი ჯობს და ზოგჯერ ვფიქრობ, იქნებ ის ბავშვი არც გაჩნდეს. თუმცა ამის საპირისპიროდ ისიც კარგად მაქვს გაცნობიერებული, რომ ამით შეიძლება შვილი სამუდამოდ დავღუპო, იქნებ საერთოდ აღარც იფიქროს გათხოვებაზე ან შვილიც აღარ გაუჩნდეს. აბორტის შემთხვევაში ხომ ცხოვრება დაუმახინჯდება. გამოსავალს მართლა ვერ ვხედავ. ზოგჯერ ვნატრობ, ნეტა, მოვკვდე-მეთქი, მაგრამ შვილი ამ მდგომარეობაში როგორ დავტოვო?

გთხოვთ, მირჩიეთ, გამოსავალი სად ვეძებო!

**„სარკის“ მკითხველი**

## „ნათესავი ქურდობას მაბრალებს“

ეს ზაფხული არასოდეს დამავიწყდება. მთელი წელი ვოცნებობდი, ეს დრო როდის მოვიდოდა, რომ დამესვენა, მაგრამ ნათესავმა ისეთ დღეში ჩამაგდო, ნერვიულობისგან თავის ტკივილებს ვერ ვიჩერებ.



მე რუსთავში ვცხოვრობ. ჩემს ნათესავს დასავლეთში აგარაკი აქვს. სამი წელი მეხვეწებოდა, გინდა თუ არა ჩემთან ჩამოდი, დაისვენეო. წელს გადავწყვიტე, მართლაც მასთან ჩავსულიყავი. რამდენიმე დღე თავს კარგად ვგრძნობდი. მერე კი ყველაფერი შეიცვალა. მთელმა ოჯახმა რაღაცის ძებნა დაიწყო. აღმოჩნდა, რომ ფული და ოქროს ბეჭედი დაკარგეს. ძალიან შევწუხდი, მათთან ერთად მეც ვეძებდი, სხვადასხვა ვერსიას ვეუბნებოდი, იქნებ აქ გქონდეთ შენახული, იქნებ სადმე დადეთ-მეთქი. ბოლოს კი პირდაპირ მითხრეს, ამ ოჯახში უცხო მხოლოდ შენ იყავი და ალბათ შენ მოიპარეო. თან გამაფრთხილეს, არავის ვეტყვით, ეს საიდუმლო ჩვენ შორის დარჩება, თუ მოპარულს უკან დააბრუნებო... აი, მართლა არ ვიცი, რა დამემართა, მაგრამ გონება გადამეკეტა. ჩემს ნათესავსაც ხელითაც კი შევეხე.

იქიდან იმ დღესვე წამოვედი, მაგრამ ახლა ვნანობ, რომ ასე მოვიქეცი. ამ საქმეს ბოლომდე უნდა მივყოლოდი და გამერკვია, სინამდვილეში რა მოხდა. მეზობლები, მათი მეგობრები მოდიოდნენ და ხომ შეიძლებოდა მათ აეღოთ, უფრო მეტად კი მგონია, რომ იპოვიდნენ. ჩემი ნათესავი დაბნეულობით გამოირჩევა, დარწმუნებული ვარ, სადღაც დამალა და არ ახსოვს, მაგრამ ოდესმე იპოვის, თუ უკვე არ იპოვა. საშინელება ის არის, რომ ყველას უყვება, ფული და ბეჭედი დავკარგეო, თან აყოლებს, რომ ეჭვი ჩემზე აქვს. ამან ლამის გამაგიჟოს! რა ვქნა, აღარ ვიცი. როგორ ამოვუქოლო პირის ღრუ ან როგორ დავუმტკიცო, რომ ეს მე არ გამიკეთებია? ალბათ მაშინვე პოლიცია უნდა გამომეძახა, რომ მათ გაერკვიათ. ვწუხვარ, რომ ეს არ გავაკეთე. ახლა კი არ ვიცი, ამ ცილისწამებისგან თავი როგორ დავიცვა.

**თქვენი ერთგული მკითხველი**

## „მულმა შვილები მომიყარა და თურქეთში წავიდა“

მულთან ყოველთვის დაძაბული ურთიერთობა მქონდა. მას არასოდეს ვუყვარდი და ამას ყოველ წუთში მაგრძნობინებდა. ქმარი რამეს თუ მიყიდდა, შურით სკდებოდა, პირდაპირ ამბობდა, ეს არ დაგიმსახურებიაო. ბევრჯერ ეცადა, რომ ჩვენ შორის ჩამდგარიყო, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ჩემი ოჯახის დასაცავად ყველაფერი გავაკეთე. თვითონ კი თავისი ცხოვრება უკუღმა წაიყვანა. ორჯერ გათხოვდა, მაგრამ საბოლოოდ მაინც მარტო დარჩა. ორი ქორწინებიდან ორი შვილი ჰყავს. ბავშვებიც ჩემი სიძულვილით გაზარდა, შანსს არ უშვებენ ხელიდან, რომ მწარე სიტყვა არ მითხრან. არც იმას აქცევენ ყურადღებას, რომ ასაკით მათზე დიდი ვარ, არც იმას, რომ ბიძის ცოლი ვარ, მათი ბიძაშვილების დედა...

ორი თვის წინ მულმა გამოგვიცხადა, ძალიან გამიჭირდა, საქართველოში ფულს ველარ ვშოულობ და სამუშაოდ თურქეთში უნდა წავიდეო. არც კი უკითხავს, მისი შვილების მიღებას შევძლებდით თუ არა, ბავშვები ბარგით მოიყვანა, მომიყარა და წავიდა. რა სისულელეა, რომ პატარა გოგონებს ლუკმა დავამადლო, მაგრამ, იცით, როგორები არიან? სულ რაღაცას მავალდებულებენ, დღეში ცხრაჯერ მებუტებიან. რაღაცეებს იგონებენ და ჩემს ქმარს და დედამთილს ათას რაღაცას ეუბნებიან. სულ იმის მტკიცება მიწევს, რომ იტყუებიან და რაღაცეებს მიგონებენ. ვერ წარმოიდგენთ, თითისტოლა ბავშვები როგორ მამწარებენ. ვერავის ვაჯერებ, რომ პატარა გოგონებს ამდენი რამის დაშავება შეუძლიათ. რაც ისინი გადმოვიდნენ ჩვენს ოჯახში, მე და ჩემს ქმარს მუდმივი კონფლიქტი გვაქვს. მეუბნება, ვატყობ, აქედან მალე წახვალო. ძალიან ბევრს ვითმენ, მაგრამ უკვე აღარ შემიძლია. მული იქიდან რეკავს და გვკარნახობს, რა და როგორ უნდა გავაკეთოთ. ბავშვებს ჩემ გასაგონად ეუბნება, ბიცოლათქვენი ხომ არ გავიწროვებთ, ხომ არ გაბრაზებთო. ვგრძნობ, მოთმინების ფიალა მევსება და შეიძლება ოჯახი მართლა დავანგრიო.

**„სარკის“ ერთგული მკითხველი**

**გამოხმაურების მსურველები დაგვიკავშირდნენ ტელეფონებზე:**
**296-75-43 ან 5 (99) 30-93-89. იკითხეთ ირინე მჭედლიძე**
**ან იზა ბარბაქაძე, 11-დან 16.30 სთ-მდე, ყოველდღე.**
**თქვენი ისტორიების გამოგზავნა შეგიძლიათ სამი გზით:**
1. ეწვიეთ საიტ sana.ge-ს, დააწკაპუნეთ ღილაკს „მოგვწერეთ“ და დაბეჭდეთ თქვენი ისტორია.
2. გამოგზავნეთ სმს-ით ნომერზე 93887 მაგთიდან და 1779 ჯეოსელიდან.
1 სმს-ის ფასია: მაგთიდან 1 ლარი, ჯეოსელიდან 50 თეთრი.
3. ელფოსტაზე:irmchedlidze@mail.ru

**ანონიმურობა დაცულია**



Cyan Magenta Yellow Black

# „ჩემმა ქმარმა ახალგაზრდობა საყვარლებს შეალია, ცოლი კი სიბერეში გაუტკბა“

„სარკე“ ჩემი საყვარელი ჟურნალია. თითქოს ჩემია, რაღაცნაირად შინაურივით არის. ყველა სტატიას გულმოდგინედ ვკითხულობ, მათ შორის — უცნობი ადამიანების წერილებსაც. ბევრ ქალში ამომიცვნია საკუთარი ტკივილი, გაჭირვება და მიფიქრია, მხოლოდ ჩემი ხვედრი არ ყოფილა ცრემლისღვრა, თეთრად ნათენები ღამეები.

ამას წინათ ერთი ქალი ჩიოდა, იმპოტენტმა მეუღლემ ახალგაზრდობა წამართვა, ახლა კი სიბერეს მიმწარებსო. მწარედ ჩამეცინა, რამდენნაირია ტკივილი, რამდენი ქალი დაიარება დიდი დარდით. მეც მომინდა ჩემი ამბის მოყოლა.



მეც 60 წელს გადაცილებული ქალი ვარ. ყველა შვილი დაბინავებული მყავს, სახლში მე და ჩემი ქმარი მარტო ვართ, არ ვმუშაობ, საქმეებით დიდად დატვირთული არ ვარ, ამიტომ ფიქრისთვის ბევრი დრო მაქვს. ერთხელ დავჯექი და ბედნიერი დღეების თვლა დავიწყე, იმ წამების, როცა მიწას შორდები და ჰაერში ლივლივებ. შვილების დაბადება, მათი შვილების მოვლენა ქვეყანაზე და... ჩამოსათვლელად ათი თითიც არ დამჭირდა. ცხოვრებას რომ თავიდან ვიწყებდე, ბევრ რამეს შევცვლიდი, მაგრამ ახლა ფინიშს ცოტაღა მაკლია და აზრი აღარაფერს აქვს.

ქმარი ძალიან მიყვარდა, მისთვის სიცოცხლესაც არ დავიშურებდი, მაგრამ ყველაფერი გააკეთა, რომ ეს გრძნობა გამქრალიყო. მთელი ის სითბო, რაც მის მიმართ გამაჩნდა, შვილებზე გადავიტანე. მადლობა ღმერთს, ისინი კარგ ადამიანებად გავზარდე, მაგრამ პირად ცხოვრებაზე უარი ვთქვი. ახლა შვილებიც ჩემგან შორს არიან, ზოგჯერ მე თუ არ მივაკითხავ, რამდენიმე კვირა ისე გავა, დედის სანახავად ვერ იცლიან. არ ვსაყვედურობ, ცხოვრებაა ასეთი, დაძაბულ დროში უწევთ მუშაობა, ოჯახის რჩენა.

ჩემი მეუღლე ყოველთვის კარგ თანამდებობებზე მუშაობდა, ფული გამოულევლად ჰქონდა. მე უმაღლესი კი დავამთავრე, მაგრამ სახლში დამსვა. მოსამსახურე ნამდვილად სჭირდებოდა, რადგან ყველაფერი მუდმივად წესრიგში უნდა ჰქონოდა, ბავშვების ავადმყოფობას ან წვრილმან პრობლემებს არ უნდა შეეწუხებინა, მისი ძმაკაცებისთვის ორ დღეში ერთხელ დიდი სუფრები უნდა მეშალა. სამაგიეროდ კი თურმე ისიც საკმარისი იყო, რომ არაფერს გვაკლებდა, საჭმელ-სასმელი გვქონდა და კარგად გვეცვა. ცოლს რომ სითბო და სიყვარული სჭირდებოდა, ამაზე არ უფიქრია. ჩვენი ცოლქმრობის ყველა ეტაპზე ოფიციალური საყვარელი ჰყავდა, სულ ვიღაცასთან მღალატობდა. არც მალავდა, რომ სიყვარულს სხვა ქალებთან ხარჯავდა, ჩემთან კი გრძნობებისგან დაცლილი ბრუნდებოდა. მის მიმართ თანდათან ისე გავცივდი, რომ ვერც ვგრძნობდი, გვერდით მამაკაცი იწვა თუ არა. ახალგაზრდობა ასე გაატარა, საყვარლებთან სიარულს ჩვენი სიყვარული გადააყოლა.

ბოლო წლებში გულმა შეაწუხა. ორჯერ ინფარქტი გადაიტანა, დიაბეტი აქვს. მუდმივი ყურადღება და მოვლა სჭირდება. ახლა სულ უკან დამდევს, ჩემს სახელს გაიძახის. მაღაზიაში ათი წუთით რომ ჩავალ, უკვე შფოთავს, რომ გვერდით არ ვყავარ. ამას წინათ შეუძლოდ გავხდი და გადაირია. ისე ინერვიულა, აქეთ შევწუხდი, რამე არ დაემართოს-მეთქი. მაშინ მითხრა, არც კი ვიცი, უშენოდ რა მეშველებოდაო. ხშირად ვახსენებ, რომ ღალატით ახალგაზრდობა გამიმწარა. ზოგჯერ ვეხუმრები, შენს რომელიმე „ანგელოზს“ (სიმთვრალეში თავის ქალებს ასე ეძახდა) დაურეკე, ისინი მოგაქცევენ ყურადღებას-მეთქი. ეს არ სიამოვნებს. თავს იმართლებს, მათთან ვერთობოდი, მაგრამ შენ მიყვარდიო. უცნაური ლოგიკა აქვთ კაცებს, თუ გიყვარს, როგორ შეგიძლია მას უღალატო? არაფერს ვაყვედრი, მაგრამ იმ ტკივილს ვერ ვივიწყებ.

**თქვენი ერთგული მკითხველი**

✓ რუბრიკა მოამზადა ირინე მჭედლიძემ

გამოხმაურება

# „ვნანობ, რომ ბავშვობის სიყვარულს ზურგი ვაქციე“

ჟურნალ „სარკის“ 30-ე ნომერში დაიბეჭდა წერილი — „ბავშვობის მეგობარმა ორის შვილის დედას სიყვარული ამიხსნა“. ამ ქალს ვერაფერს ვურჩევ, უფრო სწორად, მგონია, რომ ქმარზე უნდა იფიქროს და არა — წარსულში დარჩენილ გრძნობაზე, უბრალოდ ჩემი ამბის მოყოლა მომინდა.

დედა სულ იმას ჩამჩიჩინებდა, შენი კლასელები შენი ძმები არიან, მეზობლები კი — შენი და-ძმებიო. მართლაც ყველას ისე ვუყურებდი, როგორც ოჯახის წევრს. ვერ წარმომედგინა, რომ მეგობარს შევყვარებოდი, სხვა თვალით შემოეხედათ. თანაც ქალაბიჭა ვიყავი, უამრავი მეგობარი ბიჭი მყავდა. მეუბნებოდნენ, ჩვენი ძმაკაცი ხარო. ზოგჯერ მაშაყირებდნენ, წამო, გოგებში „გავიგულავოთო“. ძმებს ვეძახდი, ყველა ძალიან მიყვარდა. ერთთან კი გამორჩეულად ვმეგობრობდი. თითქმის სულ ერთად ვიყავით.

უმაღლესში რომ ჩავაბარე, ჩვენი გზები თითქოს გაიყო, იშვითად ვხვდებოდით, მაგრამ ტელეფონით მუდმივად გვქონდა კონტაქტი. ამასობაში უნივერსიტეტში ერთი ბიჭი გავიცანი, რომლის მიმართაც გრძნობა გამიჩნდა. ერთ დღეს ჩემი ბავშვობის მეგობარს შევხვდი. ერთმანეთი დიდი სიყვარულით მოვიკითხეთ და ვახარე, შეყვარებული მყავს-მეთქი. სახე აერია, გადაფითრდა. მისი ასეთი რეაქცია მაშინვე გამიკვირდა, მაგრამ მაინც ვერ დავუშვი, რომ ეს ეჭვიანობის გამო დაემართა. იმ დღის შემდეგ სულ უნივერსიტეტში ტრიალებდა, ჩემს სახლს არ შორდებოდა. ერთ დღეს კი გამომიტყდა, რომ ვუყვარდი და საერთოდაც, ბავშვობიდან მოყოლებული მხოლოდ ერთ ქალზე ოცნებობდა და ის „ერთი“ მე ვიყავი. მაშინ შეყვარებულისთვის უკვე პირობა მქონდა მიცემული, რომ ცოლად გავყვებოდი. ჩემს მშობლებსაც გავაცანი, მას ყველა ისე უყურებდა, როგორც ჩემს საქმროს. ბავშვობის მეგობრის მოულოდნელმა სიყვარულის ახსნამ კი ძალიან დამაბნია. არ ვიცოდი, მისთვის რა მეპასუხა.

არასწორი გადაწყვეტილება მივიღე, ბავშვობის სიყვარულს ზურგი ვაქციე და ცოლად რამდენიმე თვის გაცნობილ ბიჭს გავყევი. ჩვენი ოჯახი არ შედგა. არ ვიცი, ვინ მეტი შეცდომა დავუშვით, ალბათ საკმარისი სიყვარული არ აღმოგვაჩნდა, რომ დაბრკოლებები გადაგველახა და გავიყარეთ.

ახლა ჩემს ორ შვილთან ერთად მარტო ვარ. ჩემი ბავშვობის მეგობარი დაქორწინდა და კარგი ოჯახიც შექმნა. დარწმუნებული ვარ, მისი სიყვარული რომ მიმეღო და ცოლად გავყოლოდი, დღეს ძალიან ბედნიერი ქალი ვიქნებოდი. ახლა ძალიან ვნანობ, რაც გავაკეთე, მაგრამ რაღა დროსია!

**„სარკის“ მკითხველი**


გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.





Cyan Magenta Yellow Black

# ზაზა კოლელიშვილი: „მეც და სოსო ჯაჭველიანსაც ლიკა ქავჟარაძე გვიყვარდა“

## „როლები აღარ მაქვს, ასაკში რომ შედიხარ, კინოს აღარ სჭირდები“



დაბადების წელი — 1957 წელი
დაბადების დღე — 11 იანვარი, პარასკევი
სახელი — ზაზა
თმის ფერი — ქერა (ოქროსფერი)
თვალები — შავი
წონა — 4 კგ და 300 გ

ეს მონაცემები ახალდაბადებული თელაველი ბიჭის დედამ, ფილოლოგმა და ჟურნალისტმა ნუნუ მატარაძემ, 55 წელზე მეტი ხნის წინ რვეულში სათუთად ჩაწერა. ბიჭი გაიზარდა და ნიჭიერი, თავის თაობაში გამორჩეული მსახიობი დადგა. ფილოლგმა დედამ და ისტორიკოსმა მამამ, ვიქტორ კოლელიშვილმა, ერთადერთი სიმდიდრე — ბიბლიოთეკა დაუტოვეს.

„თუ ბავშვობა არ გაქვს ისეთი რაღაცეებით დატვირთული, რაც შენში კვალს ტოვებს, არ შეიძლება, დიდობაში ის ყველაფერი უცებ აინაზღაურო“, — ამბობს ზაზა კოლელიშვილი. მასში ბევრმა ადამიანმა დატოვა კვალი — პაპამ, დედის მამა ვახტანგ მატარაძე-ჩელთისპირელმა, რომელიც თელავის თეატრში მუშაობდა, დიდმა პაპამ, მსახიობმა ვიქტორ მატარაძემ, ის ქუთაისის თეატრში მუშაობდა. ზაზასაც თეატრის სიყვარულით ზრდიდნენ. ბავშვობიდან იდგა სცენაზე და სპექტაკლებს თამაშობდა. მერე დაიწყო სტუდენტური ცხოვრება და ძიებები. ჯერ სამხატვრო აკადემიაში ისწავლა, მერე ფილოლოგიურზე ჩააბარა, შემდეგ იყო ერთ-ერთი მთავარი როლი ფილმში „ნატვრის ხე“, ეპიზოდური — „მიმინოში“... და დიდი წარმატება. თეატრალურ ინსტიტუტში რომ ჩააბარა, უკვე პოპულარული მსახიობი იყო. მერე დაიწყო ბოჰემური წლები, იყო შეცდომები, წარმატებები და ჩავარდნებიც.

პირველად 21 წლის ასაკში დაქორწინდა, 22 წლისას კი გოგონა ჰყავდა. ამბობს, რომ ცოლი უყვარდა, თუმცა მათი ოჯახი მაინც ვერ შედგა. მეორედ კი გაუმართლა. ნათია გოგოჭურთან პიროვნულად, პროფესიულად ბევრი საერთო იპოვა. მას უმადლის, რომ დღეს შვილებითა და შვილიშვილებით დახუნძლული ოჯახი აქვს.

ზაზა კოლელიშვილი:

— ფანტასტიკური ბავშვობა მქონდა. საოცარი გარემოცვა მყავდა, ბებიები, დედაჩემის დეიდები, რომლებიც ჩემი გამზრდელები იყვნენ. მესამე კლასიდან თელავის თეატრის თითქმის ყველა იმ სპექტაკლში ვმონაწილეობდი, სადაც ბავშვი იყო საჭირო. პატარები სარეკვიზიტოროში ვისხედით, თეატრის ბავშვებს გვეძახდნენ, ფაქტობრივად იქ გავიზარდე. ჩემებიც იქ მუშაობდნენ, ისევე როგორც დუტა სხირტლაძის ბებია და პაპა.

თელავში ბევრი საინტერესო ადამიანი იკრიბებოდა. პროვინციული ქალაქის ქალაქური ცხოვრებით ვცხოვრობდით. თეატრს ბევრი მელომანი ჰყავდა. ალექსანდრე ბასილაიამ პირველი ორკესტრი თელავის ინსტიტუტში გააკეთა, ეს ჯერ კიდევ იქამდე იყო, ვიდრე „ივერიას“ შექმნიდა. ქალაქს სიმფონიური ორკესტრი ჰყავდა, პოეზიის საღამოები ეწყობოდა, სუფრები იშლებოდა. მახსოვს, თელაველი ხალხი, ვინც პოეზია შემაყვარა. ბევრი ლამაზი დღე მახსოვს თელავში.

**— ქუჩაში დგომისთვის დროის არ კარგავდით თუ ეს პერიოდიც გაიარეთ?**

— რას ლაპარაკობ, მაგას როგორ ავცდებოდი?! იქაც მქონდა „ბირჟაზე“ დგომის პერიოდი და თბილისშიც. თბილისში, გლდანის ქუჩაზე, სახლი გვქონდა, ნახევრად აქ ვცხოვრობდი. პირველად რომ ჩამოვედი, უბნის ბიჭები დაინტერესდნენ, ვინ ვიყავი, მერე ურთიერთობა გავარკვიეთ, ბოლოს ჩავძმაკაცდით. მერე პლეხანოვის ბიჭები გავიცანი. თუ ჩვენს უბნელს ჩხუბი ჰქონდა, ჩვენ მის გვერდით ვიყავით, როგორ, ტო, ამას ვინ გაუბედაო! არასოდეს დამიმალავს, რომ თელაველი, კახელი კაცი ვიყავი.

სკოლა 16 წლის ასაკში დავამთავრე. დედას ძალიან უნდოდა, თბილისში მესწავლა. დედაქალაქში მარტომ დავიწყე ცხოვრება. აქ რუსთაველის თეატრში ბუტაფორიის ცეხში ვმუშაობდი. მერე სამხატვრო აკადემიაში ჩავაბარე, მაგრამ იქიდან მალე წამოვედი და თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ფილოლოგიურზე ჩავაბარე. კურსზე 30 გოგო მყავდა. აუდიტორიაში რომ შევდიოდი, ტანსაცმლის სწორება, ბიუსტჰალტერების, „კოლგოტების“ ჩვენება იწყებოდა. ყველას გამოვუცხადე, 20 მეტრშია საპირფარეშო და მე რომ შემოვალ, ტანსაცმლის გასასწორებლად იქ წადით, ყველას ცოლად ვერ მოგიყვანთ-მეთქი. საოცარი გოგოები იყვნენ. ყველას შორიდან ვეფერები, დიდი ხანია აღარ მინახავს.

**— როგორც ჩანს, მშობლების ნდობა გქონდათ, რომ 16 წლის ასაკში დედაქალაქში დამოუკიდებლად საცხოვრებლად გამოგიშვეს.**

— დამოუკიდებლად კი ვცხოვრობდი, მაგრამ ბინაში 4 სტუდენტი ვიყავით და ხან რომლის მშობლები გვაკითხავდნენ, ხან — რომლის. ბებიაჩემიც ყოველი კვირის ბოლოს ჩამოდიოდა, რომ ენახა, როგორ ვიყავით.

**„მეც და სოსო ჯაჭველიანმაც ვიცოდით, რომ ორივეს ლიკა გვიყვარდა, მაგრამ მისთვის არ გვითქვამს. გავიგეთ, რომ ლიკას საქმრო ჰყავდა და იძულებულები გავხდით, ჩვენი სიყვარული რაინდულად გულში შეგვენახა".**

იმ დროს მთავარი როლი ჩემს ცხოვრებაში ბიძაჩემმა, რეჟისორმა და მსახიობმა გია მატარაძემ ითამაშა. მას ჭარბად ჰქონდა პასუხისმგებლობის გრძნობა და ეს მეც მასწავლა. მან არცთუ მცირე როლი შეასრულა ჩემს წარმატებაში და პიროვნულად ჩამოყალიბებაშიც. მესამე კლასიდან რუსთაველის თეატრში დავდიოდი და იმ დროიდან ყველა სპექტაკლი მახსოვს, „ჭინჭრაქა“, „ქუთათურები“, „ბახტრიონი“, „რღვევა“... რობიკო სტურუას, თემურ ჩხეიძის რეჟისორებად ჩამოყალიბება კარგად მახსოვს. კულისებში შევდიოდი, ყველას ვიცნობდი. რამაზ ჩხიკვაძე ძალიან ახალგაზრდა მახსოვს. გურამ საღარაძე ჩემი მეჯვარე იყო. მახსენდება, ჩვენს ეზოში დილამდე ქეიფი, რამაზ ჩხიკვაძის თამადობა, კოტე მახარაძის სადღეგრძელოები, ედიშერ მაღალაშვილის მოლხენა. ეს ხალხი საოცრად მიყვარდა...

გული მწყდება, რომ დღეს არც ერთ თეატრში ვარ და სცენაზე ვერ ვთამაშობ. არც კინოროლები მაქვს. როცა ასაკში შედიხარ, კინოს აღარ სჭირდები, მით უმეტეს, როცა ახალგაზრდა რეჟისორი მუშაობს ფილმზე. ალბათ ოდესმე მეც დავჭირდები ვინმეს და რაღაცაში გადამიღებენ.

**— როცა თეატრალურში ჩააბარეთ, უკვე ნათამაშევი გქონდათ შეთე თენგიზ აბულაძის „ნატვრის ხეში“ და ძალიან პოპულარული ბიჭი იყავით. არადა ფილოლოგიურზე სწავლობდით. ადვილად გადაწყვიტეთ ინსტიტუტის შეცვლა?**

— თეატრალურში ჩაბარება პოპულარობამ გადამაწყვეტინა. ფილოლოგიური იმ დროს მივატოვე, როცა დიპლომის აღებაღა მაკლდა. თეატრალურში 21 წლის შემდეგ აღარ იღებდნენ სტუდენტებს, ამიტომ ბოლო შანსი მქონდა და 21 წლის ასაკში ჩავაბარე. თინა ბურბუთაშვილმა მითხრა, მიდი, სცადე, მეც მოგეხმარები და ჩააბარებო. მე კი ვეუბნებოდი, მზად არ ვარ-მეთქი. სახლში კი მყავდა დიდი მაესტრო პაპაჩემის, ვახტანგის სახით, მაგრამ ის არ იყო ადამიანი, ვინც საგამოცდოდ მომამზადებდა. თვლიდა, რომ, თუ რამის მიღწევა მინდოდა, ჩემით უნდა გამეკეთებინა. ბავშვობაში კინაღამ ლექსი შემაძულა, რადგან ჩემი წაკითხული არასოდეს მოსწონდა.



■ „ნატვრის ხე“, შეთეს როლში

მეუბნებოდა, ისე თქვი, რომ ყველა ბგერა გამაგონოო. დიდი პროფესიონალი იყო, სულით ხორცამდე. თეატრისთვის ჰქონდა ყველაფერი მიძღვნილი.

**— „ნატვრის ხის“ მარიტასთან — ლიკა ქავჟარაძესთან ურთიერთობა როგორ გახსენდებათ?**

— მაშინ ლიკა პატარა და ლამაზი გოგო იყო. მან ქართულ კინოში ბევრი რამ შექმნა, მის შემოქმედებას ქართული კინოს ერთი ეტაპი უნდა დავარქვათ. ფანტასტიკა იყო. რა თქმა უნდა, ყველა ქართველ ბიჭს ჩემი შურდა, მე კი ძალიან ვამაყობდი. ვურეკავდი, ლიკა, შენთან ამოსვლა მინდა და თუ შეიძლება-მეთქი. მასთან რომ ავდიოდი, აუცილებლად საჩუქარი უნდა მიმეტანა.

**— მასზე მართლა სერიოზულად იყავით შეყვარებული?**

— როგორ შეიძლებოდა ლიკასთან ერთად 7 თვე გადაღებაზე ვყოფილიყავი და არ შემყვარებოდა?! მაშინ არც ცოლი მყავდა და არც — შვილი. ვარიანტი არ იყო, ლიკასთვის მეთქვა, რომ მიყვარდა, ეს ძალიან ძნელი იყო. კრეტინი უნდა იყო, რომ გვერდით ლიკა ქავჟარაძე გყავდეს და არ შეგიყვარდეს!

**— რატომ გეძნელებოდათ სიყვარულის ახსნა?**

— სირცხვილი იყო. მეც და სოსო ჯაჭვლიანმაც ვიცოდით, რომ ორივეს ლიკა გვიყვარდა, მაგრამ მისთვის არც ერთს გვითქვამს. თან მერე გავიგეთ, რომ ლიკას საქმრო ჰყავდა და ამიტომ იძულებულები გავხდით, ჩვენი სიყვარული რაინდულად გულში შეგვენახა. ისე, მეთქვა, რა ვიცი, იქნებ დამთანხმებოდა.

**— ახალგაზრდა ასაკში მიღწეულმა დიდმა წარმატებამ თავბრუ არ დაგახვიათ?**

— ვერ ვიტყვი, რომ უცებ მოვარდნილმა პოპულარობამ თავბრუ არ დამახვია. გეტყვით, რითი გამოიხატა ჩემი ვარსკვლავური თავში ავარდნა. „ნატვრის ხის“ შემდეგ იყო ფილმი „ამკლების დაბრუნება“, სადაც ზურაბ ქაფიანიძე





Cyan Magenta Yellow Black

თამაშობდა. ხულიგანი ბიჭის როლი შევასრულე. ამის შემდეგ იყო „მიმინო“, გადაღებები მოსკოვში. იქ ლიტვის კინოსტუდიიდან იყვნენ ჩამოსულები, ქართველ მსახიობს ეძებდნენ და როლზე მე დამამტკიცეს. მაშინ ულვაშები მქონდა, ვიღაც ბაგრატიონი ვითამაშე, რომელიც „ველური“ ბატალიონის ხელმძღვანელი იყო. გამოდის, როცა თეატრალურში მივედი, უკვე 4 ფილმში მქონდა ნათამაშევი. ერთ დღეს უცებ ძალიან პოპულარულმა გავიღვიძე. გაზეთებში ჩემი ინტერვიუები იბეჭდებოდა, ეკრანზე ხშირად ვჩანდი. ერთი პერიოდი ვფიქრობდი, მე ვარ და ჩემი ნაბადი-მეთქი და ამიტომ გაუთავებელ ქეიფს და დროსტარებას ავყევი. ჩემს ცხოვრებაში გოგოები მომრავლდნენ.



■ ზაზა მშობლებთან ერთად

**— მექალთანე გახდით?**

— ვერ ვიტყვი, რომ მთლად „უქალთანო“ ვიყავი, ბევრი გოგო მომწონდა. „შეყვარებადი“ ბიჭი ვიყავი, ყველა მიყვარდებოდა.

**— მაგრამ ნამდვილი სიყვარულის და ცხოვრების თანამგზავრს 28 წლის ასაკში შეხვდით ნათია გოგოქურის სახით.**

— არა, ნამდვილი სიყვარული ცოტა ადრე მოვიდა. ნათიამდე ოჯახი მქონდა, მშვენიერი მეუღლე და შვილი მყავდა. 21 წლისა დავქორწინდი. ნათიას მანამდეც ვიცნობდი, ჩვენ ჯერ კიდევ თელავში შევხვდით ერთმანეთს. ძალიან მომწონდა, ჩვენი ოჯახები მეგობრობდნენ, დაახლოებით 27 წლის ვიყავი, როცა მივხვდი, რომ მიყვარდა და აგერ უკვე 30 წელია, რაც ერთად ვართ.

**— პირველი ქორწინება რატომ დამთავრდა?**

— იმ ურთიერთობის დამთავრება ჩემი ბრალია, სამაგიეროდ ნინო მყავს, რომელიც ჩვენთან ერთად ცხოვრობს. 22-ის ვიყავი, ნინო რომ დაიბადა და 38 წლის ასაკში უკვე ბაბუა გავხდი.

**— ნინო თქვენთან ცხოვრობს და არა — დედასთან?**

— კვირაში სამი დღე ჩვენთანაა. დედა საქართველოში არ ცხოვრობს.

**— პირველ ცოლს ნამდვილი სიყვარული უწოდეთ. რას ნიშნავს თქვენთვის ეს სიტყვები — ნამდვილი სიყვარული?**

— არასერიოზულად სიყვარული არ გამიგია! შეიძლება ადამიანს ასჯერ გიყვარდეს და ყველა გრძნობა სერიოზული იყოს. ის სხვა თემაა, ვინ გახდება ცხოვრების თანამგზავრი. რაც დიდხანს გაძლებს სიყვარული, მით უფრო დიდხანს შენარჩუნდება ოჯახი. არ მწამს იმ წყვილების, რომლებსაც მოვალეობის მოხდის გამო ჰქვიათ ოჯახი. ქვეყანას ვანგრევთ ყოველდღე და, თუ საჭიროა, ოჯახი რატომ არ უნდა დაინგრეს? სიყვარული თუ ერთხელ მოვიდა და მთელი ცხოვრება გაგყვა, კარგია, არც ისაა ცუდი, ბევრჯერ რომ გიყვარს. არ მგონია, რომ ცხოვრებაში ერთხელ უყვარდებათ. შეიძლება ძალიან მოხუცსაც კი შეგიყვარდეს. იცით, ის სიყვარული საოცარი რითი იქნება? ადამიანს აღარაფერი შეგიძლია, სიყვარულის გარდა და ის ვიღაც მხოლოდ ოცნებაში გიყვარს. ადამიანმა ცხოვრებაში არაფერი უნდა გამორიცხო.

> **„ცხოვრებისგან ისეთი მწარე გაკვეთილები მივიღე, რომ, ვიდრე რეალურად არ დავრწმუნდები, რომ ფილმის გადაღება შეიძლება, მანამდე არ გადავიღებ. ფილმის ვალით გაკეთება არ შეიძლება. როგორღაც „დამეხმარნენ" ასეთი შეცდომების დაშვებაში".**

**— ფილმმა „გარიგებამ“ მნიშვნელოვანი გარდატეხა მოახდინა თქვენს ცხოვრებაში.**

— არა, ჩემი შემდეგი გარდატეხა ცხოვრების სხვა ეტაპზე მოხდა. იყო რამდენიმე ფილმი, მაგრამ გამორჩეულად „ათოვდა ზამთრის ბაღებს“ მიყვარს. ჩემი საყვარელი როლია გიჟი აჩიკო. მაშინ მე, როგორც მსახიობმა, ბევრი რამ ვისწავლე. „ისინი“ და იაკობ ჯუღაშვილის როლი ჩემი ცხოვრების მესამე მნიშვნელოვანი ეტაპი იყო. იმ დროს, როგორც მსახიობი, უკვე შემდგარი ვიყავი. წინ კიდევ ბევრი წარმატება იქნებოდა, მაგრამ უცებ დაინგრა ქვეყანა და უკვე 22 წელია ვჯახირობთ, რომ ისევ ზედაპირზე დავრჩეთ, მთავრობებმა არ ჩაგვრეცხონ და ჩვენი სიტყვა ვთქვათ...

1991 წელს დავიწყე „გარიგების“ გადაღება. მაშინ 33 წლის ვიყავი. ჩემს საქმეს ყოველგვარი მოლოდინის გარეშე ვაკეთებდი, მაგრამ იმ ფილმმა ძალიან დიდი პოპულარობა მოიპოვა... ფილმ „ისინის“ გადაღებები ჩემი მშობლების გარდაცვალებას დაემთხვა. ჯერ მამა გარდაიცვალა, 6 თვეში დედაც და შემდეგ 6 თვეში ბიძაც დაიღუპა.

პაატა მოისწრაფიშვილმა მითხრა, მშობლების გარდაცვალებამ დაგავაჟკაცაო. უცებ ისე მოხდა, რომ ოჯახის პატრონად მე დავრჩი. მე და ნათია თავიდანვე სულ მარტოები ვცხოვრობდით. თბილისში ბევრი სახლი გამოვიცვალეთ, სულ ქირით ვიყავით, ყველგან უნიტაზებს ვდგამდით და რემონტს ვაკეთებდით. ვიცოდი, რომ ოჯახის პატრონი გახლდით, მაგრამ ძველ „ხელობასაც“ არ ვივიწყებდი, იყო ჭიდაობა, ბევრი უსიამოვნება ჩემსა და ნათიას შორის. არ მინდოდა, ჩემი ბოჰემა დამენგრია, მაგრამ ნელ-ნელა, როცა უკვე შვილები წამოიზარდნენ, ძველი ცხოვრება მივატოვე. ჩემს ცხოვრებაში კიდევ ველოდები აქტიურ ეტაპს, სათქმელი კიდევ მაქვს...

> **„ნათიამ ბევრ რამეს გაუძლო, ბევრი მოითმინა. მან კარიერა დათმო, რომ ჩემ გვერდით ყოფილიყო და ოჯახი ჰქონოდა. მისი დამსახურებაა, რომ ჩვენ, ჩვენი ხუთი შვილი, შვილიშვილები ერთად ვართ".**

**— რამ მოგცათ ძალა, რომ სამი ყველაზე საყვარელი ადამიანის დაკარგვა გადაგეტანათ?**

— ნათია რომ არ ყოფილიყო, ალბათ დღევანდელი ინტერვიუც არ შედგებოდა. ნათიამ ძალიან ბევრ რამეს გაუძლო, ბევრი მოითმინა. მან ყველაზე დიდი, კარიერა დათმო იმის გამო, რომ ჩემ გვერდით ყოფილიყო და ოჯახი ჰქონოდა. არ შეიძლება ადამიანმა მეორე ადამიანის გამო ამხელა მსხვერპლი გაიღოს, მით უმეტეს, რომ მესამე კურსზე იყო, როდესაც რობიკო სტურუამ ხელი მოჰკიდა და რუსთაველის თეატრში წაიყვანა. მან კი ეს კარიერა ვიღაც ზაზას გამო დათმო. ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ჩემს საქმეში დავრჩენილიყავი. ამდენი შვილი გამიზარდა და სწორედ მისი დამსახურებაა, რომ ჩვენ, ჩვენი 5 შვილი, შვილიშვილები ერთად ვართ. ამის დაუნახაობა დაართქმა არ შეიძლება. სწორედ მისი დამსახურებაა, დღეს კარგ ხასიათზე რომ ვილვიძებ. მას მეტი არაფრის გაკეთება შეეძლო.

**— თქვენზე გამიგია, რთული ადამიანიაო. თქვენც ასე თვლით?**

— მარტივი ნამდვილად არ ვარ. ურთიერთობებში ყველასთან ერთნაირი ვერ ვიქნები, მაგრამ ჩემზე ვერავინ იტყვის, ბოროტიაო. გარკვეული ამბიციები მაქვს და მინდა ჩემი „გავახურო“. შემიძლია ვთქვა, ერთხელ ვცხოვრობთ და რა დროს თავის მოთოკვაა, ამის დედაც ვატირემეთქი, მაგრამ, როცა ადამიანი საზოგადოებაში ცხოვრობ, რაღაცეებში თავის მოთოკვა აუცილებლად უნდა შეგეძლოს.

**— შვილებს როგორ ზრდიდით, რას ასწავლიდით?**

— 5 შვილის მამობა მარტივი ნამდვილად არ არის. ბევრი რამ შენ უნდა მოიკლო და შვილებს გაუკეთო. ახლა უკვე ზოგჯერ შვილები აქეთ მპატრონობენ, რაც არ მომწონს, მინდა, ჩემით გავაკეთო ყველაფერი. არ ვარ ისეთი დაჩაჩანაკებული, რომ შვილებმა შემინახონ და მე ვერ შევძლო საკუთარი თავის პატრონობა. სიგარეტს ვეწევი და მინდა, საკუთარი ფულით ვიყიდო...



■ შვილებთან ერთად

სახლში ყავის სმის რიტუალი გვაქვს. მე და ნათია შვილებთან ერთად ვიკრიბებით ხოლმე. ყველა ჩემი შვილი საქმითაა დაკავებული. ვიტო და ბაჩანა მორაგბეები არიან. ვიტო საფრანგეთშია, ბაჩანამ წელს ევროპის უნივერსიადაზე საუკეთესო მოთამაშის ტიტული მიიღო. ბევრი წარმატება აქვს და თან ოპერატორის პროფესიას ეუფლება. ელენე ტელეკომპანია „ჯიდიესში“ პროდიუსერია, ნინო „ინფო 9“-ში მუშაობს, კესო კი გამომიტყდა, რომ მსახიობობისთვის ემზადება. შვილიშვილი, თორნიკე, 18 წლის არის და კალათბურთს თამაშობს, მეორე შვილიშვილი, რატი, 14 წლის არის და რაგბის თამაშობს. მესამე კი 5 წლის ნენეა. შვილიშვილები შვილებზე საყვარლები არიან.

**— რა გეგმები გაქვთ?**

— ცხოვრებისგან ისეთი მწარე გაკვეთილები მივიღე, რომ, ვიდრე რეალურად არ დავრწმუნდები, რომ ფილმის გადაღება შეიძლება, მანამდე არ გადავიღებ. ფილმის ვალით გაკეთება არ შეიძლება. როგორღაც „დამეხმარნენ“ ასეთი შეცდომების დაშვებაში. სამწუხაროდ, როცა ადამიანი გამოცდილებას იძენ, მაშინ კვდები.

**— ბევრი მეგობარი შემოგეცალათ?**

— ფიზიკურად — კი, 16 მეგობარი დავკარგე. ვინც დამრჩა, ღმერთმა დიდხანს და ჯანმრელთად მიცოცხლოს. ბარაქა ჰქონდეთ და თითო მტერი ჰყავდეთ, რომ ფხიზლად იყვნენ.

✓ ქეთი დინოშვილი


**ნათელმხილველი ნელი ბიჩიკაშვილი**



ამ პრობლემებით სავსე საუკუნეში თუ ბევრი გასაჭირი დაგატყდათ თავს, როგორიცაა უბარაქობა, ბედის ჩაკეტვა, ჯადოს ზემოქმედება, ნარკომანია, ლოთობა, კაზინოდამოკიდებულება და სხვ. მიმართეთ ნათელმხილველ ნელი ბიჩიკაშვილს. ქ-ნი ნელი იმ ერთეულთა შორისაა, ვისაც შეუძლია უზუსტესად იწინასწარმეტყველოს თქვენს თავს დატეხილი უბედურების მიზეზი და ამ მიზეზის განეიტრალება მოახდინოს. მიმართეთ ქალბატონ ნელის და მისი წინასწარმეტყველების წყალობით თქვენ ჯერ გაოცებული დარჩებით, ხოლო შედეგით — ძალიან კმაყოფილი და ბედნიერი.

**ჩაწერა ხდება წინასწარ.**

**☎ 214-20-65 (ბინა), 593-30-65-51, 599-20-37-64.**

**პოლიტიკა**

# გიორგი მარგველაშვილს ახალი ფრონტი გაუხსნეს

## ნანა კაკაბაძე: «ვინც ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზე უარს იტყვის, პრეზიდენტი ვერ გახდება!»



საპრეზიდენტო არჩევნები იმაზე საინტერესო და დაძაბული იქნება, ვიდრე ველოდით. ადამიანის უფლებათადამცველები აცხადებენ, რომ საჭიროა, რეფერენდუმი ჩატარდეს და ხალხმა გადაწყვიტოს, რამდენად აუცილებელია ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება. ერთ-ერთი მათგანი, ნანა კაკაბაძე და მისი თანამოაზრეები საზოგადოებრივი აზრის მობილიზებას და პირდაპირ ბრძოლას იწყებენ იმ საპრეზიდენტო კანდიდატის წინააღმდეგ, ვინც რეფერენდუმის ჩატარების მომხრე არ იქნება. პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა თავისი პოზიცია უკვე დააფიქსირა — ვადამდელი არჩევნების ჩატარება გამორიცხა. ბუნებრივია, ამ პოზიციას იზიარებს მისი ფავორიტი კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი. ასე რომ, ნანა კაკაბაძის გუნდის სახით მას სერიოზული წინააღმდეგობა ელოდება.

რეფერენდუმის ჩატარების საინიციატივო ჯგუფის წევრებმა ნანა კაკაბაძემ, ტატიანა ხოხიაშვილმა, ავთანდილ რეხვიაშვილმა, გელა ნიკოლაიშვილმა და გია ტაბლიაშვილმა საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ხარატიშვილს უკვე ოფიციალურად მიმართეს რეფერენდუმის ჩატარების მოთხოვნით. რას უნდა ველოდოთ, როგორ წარიმართება პროცესები, ამის შესახებ „სარკეს“ ნანა კაკაბაძე ესაუბრება.

**— ქალბატონო ნანა, რატომ მიიჩნევთ, რომ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები აუცილებელია?**

— ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები აუცილებელია, რადგან ის 40 პროცენტი, რაც ნაციონალურმა მოძრაობამ მიიღო და რითიც არის წარმოდგენილი პარლამენტში, არის მიტაცებული ძალაუფლება. ხალხს უნდა მიეცეს არჩევანის საშუალება. ასევე, ჩვენ ვფიქრობდით, რომ რეჟიმის გასამართლება მოხდებოდა, ყველაფერი თავის ადგილზე დადგებოდა. სამწუხაროდ, ამ პარლამენტმა ეს ვერ შეძლო და გამოდის, რომ სამართლიანობის აღდგენა ისევ ხალხმა უნდა სცადოს თავისი ძალებით. სწორედ ამისთვისაა ეს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები საჭირო. უარი იმ პარლამენტს, რომელმაც ვერ შეძლო რეჟიმის გასამართლება და მისთვის სათანადო ადგილის მიკუთვნება! სამწუხაროდ, ისევ საზოგადოების, ხალხის კეთილდღეობის და უსაფრთხოების ხარჯზე ხდება მათი პოლიტიკაში ყოფნა.

გამწარებული საზოგადოება პრაიმერის ჩატარების თუ სხვა რამის დროს სადმე რომ გადაეყრება ნაციონალებს, კონფლიქტი ხდება. საბოლოოდ კი ისე გამოდის, რომ დღევანდელი თუ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები არიან მართლები და ეს გამწარებული, გაუბედურებული, ქონებაწართმეული, უკანონოდ დაპატიმრებული ხალხი — დამნაშავე. მათ სჯიან და ნაციონალების მიმართ კი საერთაშორისო საზოგადოება თუ ადგილობრივი ხელისუფლება ითხოვს, მიეცით თავისუფალი არჩევნების ჩატარების უფლება, ეს მიეცით და ის მიეცითო. თვითონ რას აძლევდნენ ამ ხალხს და რას უკეთებდნენ, აღარავის აინტერესებს! გამოდის, თითქოს მხოლოდ ის არის საჭირო, რომ სააკაშვილი აღარ იყოს პრეზიდენტი. ეს ხომ ისედაც კონსტიტუციით იყო

> **„გამოდის, თითქოს მხოლოდ ის არის საჭირო, რომ სააკაშვილი აღარ იყოს პრეზიდენტი. ეს ხომ ისედაც კონსტიტუციით იყო გარანტირებული. ნაცმოძრაობა სადაც არჩევნებამდე იყო, დღესაც იქ არის. ისევ ისინი განაგებენ ქვეყანას, შეიძლება ისეთი რიხით — არა, როგორც ადრე, მაგრამ არც ბევრად ნაკლებად“.**

გარანტირებული. ნაცმოძრაობა სადაც არჩევნებამდე იყო, დღესაც იქ არის. ისევ ისინი განაგებენ ქვეყანას, შეიძლება ისეთი რიხით — არა, როგორც ადრე, მაგრამ არც ბევრად ნაკლებად. ეს განსაკუთრებით რეგიონებში იგრძნობა. ამბობენ, ველარც კი ვგრძნობთ, რომ ხელისუფლება შეიცვალაო. ბაღდათელები ამბობდენ, ჩვენთან პოლიციის უფროსი გამოიცვალა და ისევ ნაციონალი მოვიდაო. ანუ არანაირი განსხვავება არ არის. ეს არის ამ ხალხის დაცინვა! ამბობენ, გვერჩივნა, თავს რომ გვიტეხდნენ, მაშინ მომავლის იმედი მაინც გვქონდა, რომ ამათ გავყრიდით და ჩვენი ხელისუფლება მოვიდოდა. ახლა კი ვითომ ჩვენი ხელისუფლება მოვიდა, მაგრამ ისევ ნაციონალები არიან თანამდებობებზე და ღირსებას გვილახავენო.

**— პარლამენტმა რომ ვერ შეძლო რეჟიმის გასამართლება, მხოლოდ ამიტომ დავითხოვთ? სამართალი ურმით მოდისო — დრო უნდა ამ ყველაფერს. სამართალიანობის აღდგენა ერთ დღეში ვერ მოხდება, მასაც თავისი წესები აქვს.**

— ნაციონალური მოძრაობის გასამართლება — ეს არის ღირსების საკითხი. ამით ჩვენ იმას არ მოვითხოვთ, რომ ვილაცეები ციხეებში წავიდნენ, მაგრამ მათი, ვინც ქართველი ხალხი აზარალა, თანამდებობებზე დატოვება არის ქართველი საზოგადოების ღირსების შელახვა. სწორედ ღირსების საკითხი იყო, რომ მათ გასცემოდა პასუხი და ეს არ მოხდა.

**— თქვენი აზრით, რატომ არ მოხდა?**

— არ არის ამისი პოლიტიკური ნება და იმიტომ! როცა მმართველი ძალა გეუბნება, რომ თურმე ეს კრიმინალთა ჯგუფია ერთადერთი ოპოზიციური ძალა, რაზეა ლაპარაკი! ესენი ამათ გაასამართლებენ?

**— ფიქრობთ, ურთიერთგარიგება მოხდა?**

— საზოგადოებისთვის რა მნიშვნელობა აქვს, ეს შეთანხმების შედეგია თუ ხელისუფლების უსუსურობის? მთავარი არის ის, რომ ეს მოცემულობა გვაქვს და უკვე სულ ერთია, გარიგებული არიან, გამორიგებული თუ კოაბიტაციის რეჟიმში. ფაქტია, რომ ხალხის ნების საწინააღმდეგო რამ ხდება. ხალხს უნდა ამათი მოშორება, ღირსების აღდგენა და მათთვის თქმა, რომ არანაირი პოლიტიკური არსებობის უფლება არ გააჩნიათ. ჩვენ კი ამ სისტემურ დამნაშავეებს პრაიმერებს ვატარებინებთ, სამაგიეროდ იმ ადამიანებს აჯარიმებენ, პროტესტი რომ გამოთქვეს, რატომ ატარებენო. ეს არის დემოკრატია და თავისუფლება?

**— რამდენად შესაძლებელია თქვენი მოთხოვნის განხორციელება, მით უმეტეს, რომ პრემიერმა ხმამაღლა თქვა, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დაივიწყეთო.**

— ჩვენ ვთქვით, რომ დავდებთ მილიონი ადამიანის ხელმოწერას ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების მოთხოვნით და, თუ პოლიტიკოსი ამას იგნორირებას გაუკეთებს, ეს უკვე მისი პრობლემა იქნება. როგორც ვხედავთ, ივანიშვილი არ აპირებს პოლიტიკაში ყოფნას, მაგრამ დანარჩენებისგან, იმავე პრეზიდენტობის კანდიდატებისგან, მოვითხოვთ, დააფიქსირონ, მხარს უჭერენ თუ არა ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს. თუ არჩეული პრეზიდენტი რეფერენდუმს არ ჩაატარებს, მისი ბედიც წინასწარ იქნება ცნობილი.

**— ივანიშვილის პოზიციას იზიარებენ პარლამენტის დეპუტატები, არასამთავრობო ორგანიზაციების უმრავლესობაც, რომლებიც კანონის პატივისცემისკენ მოგიწოდებენ.**

— კანონი იქმნება ხალხისთვის და არა — ხალხი კანონისთვის. ხალხია მთავარი და არა — კანონი, ამიტომ საზოგადოებას რაც

> **„ივანიშვილი არ აპირებს პოლიტიკაში ყოფნას, მაგრამ დანარჩენებისგან, იმავე პრეზიდენტობის კანდიდატებისგან, მოვითხოვთ, დააფიქსირონ, მხარს უჭერენ თუ არა ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს. თუ არჩეული პრეზიდენტი რეფერენდუმს არ ჩაატარებს, მისი ბედიც წინასწარ იქნება ცნობილი“.**

უნდა, კანონში ის უნდა იყოს ასახული. რა თქმა უნდა, კანონის პატივისცემა უნდა ვისწავლოთ, მაგრამ იმ კანონის, რომელიც ჩვენი ინტერესების დამცველია და სამართლიანობაზეა დაფუძნებული. სამართლიანია, რომ იმ პარლამენტმა, რომელიც გაყალბებულია, 4 წელიწადი იბოგინოს?! პარტიები, რომლებიც ფიქრობენ, რომ ხელახალი



Cyan Magenta Yellow Black

არჩევნების შემთხვევაში მათ შანსი არ აქვთ, ნულ პროცენტს გადააბიჯონ, ბუნებრივია, წინააღმდეგები იქნებიან.

— **წინააღმდეგები არიან რესპუბლიკელები, თუმცა ფიქრობენ, რომ მათი რეიტინგი ამ პარლამენტში ბევრად გაიზარდა. თან ამტკიცებენ, რომ არ არსებობს კონსტიტუციით განსაზღვრული გარემოება, რომ ვადამდელი არჩევნები ჩატარდეს.**

— კონსტიტუციაში წერია, რომ ძალაუფლების წყარო არის ხალხი და ის თავის ნებას გამოხატავს პირდაპირი დემოკრატიის გზით, რეფერენდუმის გზით ან გამოხატავს მის მიერ არჩეული წარმომადგენლობის გზით. ჩემ მიერ არჩეული რომ ხარ და გეუბნები, ვადამდელი არჩევნები უნდა ჩატარდეს-მეთქი, შენ კი მეუბნები, არაო, ამაზე მეტი კრიზისი რა უნდა იყოს? ძალაუფლების წყარო გეუბნება, შენ არ მინდიხარ, მსურს, ახალი არჩევნებიო და რომ არ აკეთებ, მაშინ რა უნდა ქნა? რევოლუციის გზით ხომ არ წახვალ? იმას ხომ არ ვამბობთ, გადატრიალება მოვახდინოთ-თქო, გამოკითხვა მინდა საზოგადოების აზრის — უნდათ თუ არ უნდათ. თუ არ უნდათ, არ ჩატარდება, მაგრამ თუ უნდათ, როგორ მოვიქცეთ? ვუსმინოთ, რას იტყვიან დეპუტატები? იმ დეპუტატებს ვისი მანდატი აქვთ? ხალხის და ის ხალხი ამბობს, აღარ მინდა შენი დეპუტატობაო.

— **გამოდის, რომ დაპირისპირება ივანიშვილის „ოცნებასთანაც“ მოგიწევთ.**

— ჩემთვის მთავარია, რომ ხალხის პოზიცია გამოვხატო და მათთან არ ვიყო წინააღმდეგობაში, თორემ ხელისუფლება მოდის და მიდის. ფუნდამენტი არის ხალხი.

— **არსებობს მოსაზრება, რომ ვადამდელი არჩევნების ყველაზე დიდი მოწინააღმდეგები რესპუბლიკელები არიან, რადგან რასაც მიაღწიეს, მაქსიმუმია და ამის დაკარგვის ეშინიათ.**

— ვის რამდენად ეშინია, ეს ჟურნალისტებმა გაარკვიონ, მაგრამ რესპუბლიკელები იმას მაინც ხომ ვერ უარყოფენ, რომ ის 40 პროცენტი გაყალბებულია და, თუ ეს ასეა, ამ გაყალბებული პარლამენტის არსებობა უფრო მნიშვნელოვანია თუ რეფერენდუმის შემდეგ არჩეული საკანონმდებლო ორგანო?

— **თქვენი მიზნები, ცოტა არ იყოს, არარეალური მეჩვენება.**

— ჯერ არც წინა ხელისუფლებამ იცის, რა არის ხალხის ძალა და არც ივანიშვილის მთავრობამ. მიუხედავად იმისა, რომ მათ ეს პირველ ოქტომბერს უნდა ეგრძნოთ, ასე არ მომხდარა. რადგან ვერ იგრძნეს, ისევ ხალხი აგრძნობინებს, რომ ის არის ძალაუფლება.

— **ამას როგორ აპირებთ?**

— დავდებთ მილიონზე მეტ ხელმოწერას ამ მოთხოვნით. ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში წინადადება შევიტანეთ და დარეგისტრირებას ველით. დარეგისტრირების დღესვე ჩვენი წარმომადგენლები მთელ საქართველოში ხელმოწერების შეგროვებას დავიწყებთ.

— **თუ არ დაგარეგისტრირებენ, მაშინ რას იზამთ?**

— რეგისტრაცია იმისთვის გვჭირდება, რომ ამ ხელმოწერებს ძალა ჰქონდეს, მაგრამ ყველა შემთხვევაში შევაგროვებთ და თუ მერე ვინმე იტყვის, მე მაინც არ მინდაო, ხომ ხვდებით, რა მდგომარეობაში აღმოჩნდება. ხალხისაა ეს ძალაუფლება, ის კი გეუბნება, არ მინდაო და დამთავრდა, დანარჩენი არის ძალადობა ხალხზე. ანუ ვიღაცას უზურპირებული აქვს ძალაუფლება. რა არის აქ ისეთი, რასაც კანონმდებლობა არ ითვალისწინებს?

— **აუცილებლობას ვერ ხედავენ, დღევანდელი სიტუაცია ამას არ ითხოვსო.**

— არის თუ არა სიტუაცია, ამას ხელმოწერები აჩვენებს. ჩვენ ვეუბნებით, რომ დავდებთ ხელმოწერებს. სიტუაციის მომწიფება როგორ უნდა დადგინდეს? საზოგადოების ნებით და ვასრულებთ საზოგადოების ნებას, ჩავატაროთ რეფერენდუმი.

— **ამას წინათ ლევან ბერძენიშვილმა ჩვენთან აღნიშნა, შემოვიდნენ ნაციონალები 40 პროცენტით, მაგრამ, თუ კარგად დავითვლით, უკვე მაგდენი არ არიანო, ანუ ბევრმა დატოვა ეს პარტიაო.**

— პარლამენტში ხომ არის გვარები და სახელები, ვისთვისაც ხალხს მხარი არ დაუჭერია? ნაციონალის ნაცვლად „ოცნებას“ თუ დაირქმევს, მისი შეხედულებები, ზნეობაც გამოიცვლება? შედეგი არ იცვლება — არ არის არჩეული!

**„როცა მმართველი ძალა გეუბნება, რომ თურმე ეს კრიმინალთა ჯგუფია ერთადერთი ოპოზიციური ძალა, რაზეა ლაპარაკი! ესენი ამათ გაასამართლებენ?".**

— **კარგად მახსოვს, არჩევნებამდე სოსო მანჯავიძემ მითხრა, რომ კოალიციაში თბილად მოკალათებული პარტიების დროც მოვიდოდა და რესპუბლიკელებსაც მოეთხოვებოდათ იმისთვის, რაც საქართველოს დაუშავეს. ეს პროცესები ხომ არ დაიწყო?**

— ჯერ ერთი, კოალიციაში მართლაც არიან პარტიები, ვისთვისაც ქართველ მოსახლეობას ხმა არ მიუცია და ეს ფაქტია. ხალხმა ხმა მისცა ბიძინა ივანიშვილს სააკაშვილის წინააღმდეგ. ხალხს სააკაშვილი არ უნდოდა და კოალიციაში რესპუბლიკელები იქნებოდნენ თუ ტრადიციონალისტები, მნიშვნელობა არ ჰქონდა, ნაციონალების წინააღმდეგ ყველას მისცემდა ხმას. პარლამენტის წევრებმა კარგად იციან, რომ არა სააკაშვილის ფაქტორი, ქართველი ხალხი მათ არ აირჩევდა. ანუ აქეთა მხარესაც, უმრავლესობაში, არის უამრავი ადამიანი, ვისაც თავისუფალი არჩევნების შემთხვევაში ხალხი პარლამენტში არ შეუშვებდა. ეს იყო ომი, რევოლუცია, ოღონდ საარჩევნო ყუთებთან, ეს არ იყი ტიპური არჩევნები. როცა ეს ომი მოვიგეთ, გაჩნდა შანსი, რომ ავირჩიოთ ის ადამიანები, ვინც გვინდა და ის ძალები, ვინც მიგვაჩნია, რომ ქართულ პარლამენტში უნდა იყვნენ. ასეთი რამ პირველ ოქტომბერს არ მომხდარა.

— **ანუ რევოლუციური პარლამენტის დრო დამთავრდა?**

— რა თქმა უნდა. საბჭოთა კავშირის დაშლიდან მოყოლებული დღემდე, რატომღაც მუდმივად აფექტურ რეჟიმში გვატარებინებენ არჩევნებს. ეს კი სიკეთის მომტანი არ არის. საზოგადოებას არჩევანის გაკეთების საშუალება მშვიდ გარემოში უნდა მიეცეს. გაუგებარს რას ვითხოვთ?

— **თუ არის ისეთი პარტია, რომელზეც ფიქრობთ, რომ პარლამენტში უნდა იყოს?**

— ასე არავის გამოვარჩევ, რადგან ხალხის გემოვნება არ ვიცი — არასოდეს გვინახავს ქართველი საზოგადოება ნამდვილი არჩევნების პროცესში. შეიძლება შეცდომაც დაუშვას და მერე გამოასწოროს, მაგრამ შანსი მივცეთ, რომ აირჩიოს. ამიტომ ვამბობ, ჯერ გავარკვიოთ, უნდა თუ არა ხალხს არჩევნები და რეფერენდუმი ჩავატაროთ. თუ კმაყოფილია, რატომ მოინდომებს გადარჩევას და თუ კმაყოფილი არ არის, რატომ უნდა ვუხადოთ ფული იმ დაქირავებულს, რომელიც მის ინტერესებს არ იცავს?

— **როდის აპირებთ ამ მილიონიანი ხელმოწერის დადებას?**

— საპრეზიდენტო არჩევნებამდე, რომ მომავალ კანდიდატს ვკითხოთ, მისი პოზიცია გაგვაგებინოს. თუ იტყვის „არა“-ს, ხალხს ვეტყვით, მას მხარი არ დაუჭიროს, რადგან არ უნდა, რომ მათი ნება აღასრულოს.

— **ანუ შესაძლოა ივანიშვილის კანდიდატს დაუპირისპირდეთ?**

— ქართველ ხალხს სჭირდება თავისი კანდიდატი. მათ უნდა აირჩიონ და მერე ვინ წარადგენს — ივანიშვილი თუ სხვა ვინმე, უკვე სხვა საქმეა. ჩვენი მოთხოვნა არის ხალხის მოთხოვნა, კანდიდატს ვაძლევთ საშუალებას, დააფიქსიროს პოზიცია ვადამდელ არჩევნებთან დაკავშირებით. ვინც ამაზე უარს იტყვის, პრეზიდენტი ვერ გახდება!

— **თქვენი აზრით, დაძაბული და საინტერესო წინასაარჩევნო პერიოდი გველოდება.**

— ნამდვილად ასეა, საოცრად მნიშვნელოვანი არჩევნები გველის. ახლა უნდა გადატყდეს წელში ის უმსგავსობა, რასაც ქართულ პოლიტიკაში ჰქონდა ადგილი. გარედან და საიდანღაც პოლიტიკოსების თუ ლიდერების დანიშვნა უნდა დასრულდეს. შეიძლება საზოგადოება დაიღალა, მაგრამ ბრძოლა უნდა გავაგრძელოთ გამარჯვებამდე, ხალხმა უნდა გაიმარჯვოს იმ ძალადობაზე, რაც საქართველოში ხდებოდა და მე 9 წლიან პერიოდს არ ვგულისხმობ, არამედ იმ წლებს, როცა ქვეყანა გათავისუფლდა და დამოუკიდებელი გახდა. ქვეყნის გარედან ძალადობა უნდა დასრულდეს!


გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# მანანა კობახიძე: „რესპუბლიკელებს არავინ ავიწროებს!“



რესპუბლიკელი დავით ზურაბიშვილი განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე აღარ იქნება — ეს გადაწყვეტილება განათლების ახალმა მინისტრმა თამარ სანიკიძემ მიიღო, რასაც დიდი განხილვები მოჰყვა. სანიკიძის განმარტებით, ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა პროფესიული და არა პოლიტიკური ნიშნით. სამაგიეროდ მან ზურაბიშვილს მინისტრის მრჩევლის თანამდებობა შესთავაზა. ასე ახსნა მან საკადრო ცვლილება პრემიერმინისტრთანაც, თუმცა პოლიტიკოსები და ექსპერტები ამ ფაქტს კოალიციის შიგნით დაწყებულ ბრძოლას უკავშირებენ. არსებობს ვარაუდი, რომ ზურაბიშვილი სოციალურ ქსელებში ხელისუფლების მიმართ გამოთქმული კრიტიკული გამონათქვამების გამო დაითხოვეს. თავადაც ასე მიიჩნია. „ეს არის დარტყმა არამხოლოდ ჩემ, არამედ რესპუბლიკური პარტიის წინააღმდეგ“, — განაცხადა მოგვიანებით ზურაბიშვილმა.

> **„როცა სააკაშვილს პრეზიდენტის იმუნიტეტი აღარ დაიცავს, ვალდებული იქნება, გამოძიებასთან ითანამშრომლოს, კეთილი უნდა ინებოს, ჩვენებაც მისცეს და პასუხიც აგოს იმ ყველაფერზე, რაც ჩაიდინა“.**

კოალიციის შიგნით რაიმე დაპირისპირებას კატეგორიულად გამორიცხავს საქართველოს პარლამენტის ვიცესპიკერი მანანა კობახიძე. ის აცხადებს, რომ კადრების შერჩევა პარტიულ ხედვასთან დაკავშირებული არ არის.

**მანანა კობახიძე:**

— მინისტრი გარკვეულწილად უნდა იყოს თავისუფალი თავის არჩევანში და, თუ მან ჩათვალა საჭიროდ, რომ დავით ზურაბიშვილი მას მრჩევლის პოზიციაზე უფრო სჭირდებოდა, ვიდრე მოადგილის, ეს მისი საქმეა. განათლების სისტემა ძალიან სერიოზულია, ბევრი რეფორმაა გასატარებელი. ამიტომ მინისტრს, რომელსაც პასუხისმგებლობა აქვს სწორი რეფორმის გატარებაზე, ბუნებრივია, აქვს უფლება, შეარჩიოს ის გუნდიც, ვისთან ერთადაც ამ პასუხისმგებლობას გადაინაწილებს. მან ჩათვალა საჭიროდ, რომ ზურაბიშვილი მრჩევლის პოზიციაზე უნდა და ეს მისი უფლებაა. უბრალოდ, მე ერთი რამ შემიძლია ვთქვა, რომ ეს არ შეიძლება იქნეს აღქმული, როგორც რესპუბლიკელების შევიწროება.

**— არადა სწორედ ასე განიხილება.**

— არ არის სწორი პოზიცია. ბატონმა დავითმაც ასე გააჟღერა ეს საკითხი, მაგრამ ქალბატონ თამარს რაიმე ინტერესი ნამდვილად არ გააჩნდა. განათლების რეფორმა ბევრად მაღლა დგას, ვიდრე რომელიმე პარტიის ინტერესი. აქ საუბარია მინისტრის პასუხისმგებლობაზე, რომ მან დააკომპლექტოს კადრები იმ ხალხით, ვისთანაც იმუშავებს. პარტიული კუთვნილება აქ არაფერ შუაშია და ის შეფასება, რაც ბატონმა დავითმა გააკეთა, მეეჭვება, რომ სწორი იყოს. მით უმეტეს, რომ რესპუბლიკელებს არაერთი საპასუხისმგებლო თანამდებობა უკავიათ მთავრობაშიც და პარლამენტშიც. ძალიან სამწუხაროა, რომ ასეთი აზრი გაუჩნდა, ძალიან მიკვირს.

**— რესპუბლიკელები ბევრს არ მოსდის თვალში, ისინი საზოგადოებაში პოპულარული პარტია არ არიან, ეს დიდი ხანია ცნობილია. ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების თემაც გარკვეულწილად ამ კუთხით განიხილება.**

— შეიძლება ადამიანებს ამა თუ იმ პარტიის მიმართ გარკვეული პოლიტიკური სიმპათია გააჩნდეთ, ამას ისინი თვითონ საზღვრავენ, მათი უფლებაა და ვერ აუკრძალავ, მაგრამ, რაც მთავარია, კოალიციის შიგნით რაიმე დაპირისპირება არ არსებობს, ჩვენ კარგად ვთანამშრომლობთ.

> **„დღეს ყველაფერი ხალხზეა ორიენტირებული, მაგრამ უტოპიაში ვერ გადავალთ და ვერ წამოვიწყებთ ისეთ კამპანიებს, რაც განუხორციელებელია, მაგალითად, ვერ დავუბრუნებთ საბჭოთა ანაბრებს“.**

**— ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას არც თქვენ მიიჩნევთ საჭიროდ?**

— ამ საკითხზე ძალიან დიდი აჟიოტაჟია ატეხილი. მე გეტყვით, რომ მუდმივი არჩევნების პირობებში ქვეყნის განვითარება ფერხდება — ჯერ საპრეზიდენტო არჩევნები, მერე — ადგილობრივი, შემდეგ — საპარლამენტო... ეს მძიმე რეჟიმში გვაგდებს. ისედაც მოვა საპარლამენტო არჩევნების დრო, ფაქტობრივად ერთი წელი უკვე გავიდა. მუდმივად ასეთი რყევები არ არის კარგი. უნდა მივეჩვიოთ სტაბილურობას და იმას, რომ საზოგადოებამ არჩევნებით გაუშვას თუნდაც მისთვის მიუღებელი პოლიტიკური ძალა, ამ შემთხვევაში ნაცმოძრაობა.

ხალხის ძირითადი აგრესია მაინც იქითკენ არის მიმართული, რომ ნაცმოძრაობა იმ რაოდენობითაა წარმოდგენილი პარლამენტში, რაც რეალობას არ შეესაბამება. ამიტომ მათი პრეტენზიები მესმის. ჩემი, როგორც ერთი მოქალაქის, გადმოსახედიდან, რა თქმა უნდა, კარგი იქნებოდა ვადამდელი არჩევნები, რადგან ხალხი ნაცმოძრაობას თავის ადგილს მიუჩენდა. თუმცა არსებობს მეორე მხარეც, რომ მოგვწონს თუ არა, მაგალითად, თბილისის საკრებულო, თბილისის მერი, პარლამენტი, უნდა მივეჩვიოთ მხოლოდ დემოკრატიული გზით ხელისუფლების ცვლილებას.

ვნახეთ რევოლუცია, სამოქალაქო ომები და ათასი უბედურება. გვინდა იქ დაბრუნება? თუ დემოკრატიულ განვითარებას არ შეეჩვია საზოგადოება, მუდმივი რყევების შედეგები სახარბიელო არ იქნება. გვინდა თუ არა, მუდმივი არჩევნების პირობებში ადამიანს ეშინია, ბიზნესი წამოიწყოს თუ არა. დღეს ვამბობთ, ეკონომიკა სწრაფად რატომ არ ვითარდებაო. როგორ განვითარდება, როცა სულ მოლოდინის რეჟიმში ვართ? ეს მუდმივი ციკლი საფრთხეს ქმნის და ეს თემა ამიტომ არც განიხილება. თანაც, პარლამენტის დათხოვნა და ახალი არჩევნების დანიშვნა არ არის მთავრობის უფლებამოსილება. ეს იყო პრეზიდენტის უფლება, რომელიც ჰქონდა მოკლე დროში, მაგრამ არ გამოიყენა. ამიტომ „ქართული ოცნება“ ამ თემას არ განიხილავს.

**— საინიციატივო ჯგუფი მიიჩნევს, რომ სამართლიანობის სახელით მოსულმა პარლამენტმა ვერ უზრუნველყო დანაპირები, ამიტომ რეფერენდუმის გზით სურთ მიაღწიონ ვადამდელი არჩევნების დანიშვნას.**

— ვერ დავეთანხმები ქალბატონ ნანა კაკაბაძეს (საინიციატივო ჯგუფის წევრი. ავტ). მან ძალიან კარგად იცის, რა რეჟიმთან გვქონდა საქმე ან რად დაუჯდა „ქართულ ოცნებას“ იმის გაკეთება, რაც ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ შეძლო — როცა ციხეში პატიმრების რაოდენობა გავანახევრეთ, ფართომასშტაბიანი ამნისტია გამოვაცხადეთ, ბიზნესი გავათავისუფლეთ, ბიზნესგარემო შევქმენით, ჯანდაცვის საყოველთაო დაზღვევა გავაკეთეთ, სასკოლო სახელმძღვანელოები უფასო გახდა, სოციალური დახმარება გაიზარდა, ომში დაღუპულების ოჯახებს ძალიან დიდი დახმარება დაენიშნათ. მართალია, ადამიანი ვერანაირი თანხით ვერ გაიზომება, მაგრამ მისი ოჯახი რომ 50 ლარის ნაცვლად 500 ლარს მიიღებს, ეს არ არის სამართლიანობის აღდგენა? როცა ქუჩაში არავის დახვდებიან, არ ტენიან მანქანაში, ნარკოტიკს არ უდებენ, რომ მერე საპროცესო გააფორმონ და ფული მიიღონ, ეს არ არის სამართლიანობა?

ყველაფერი ერთად ვერ იქნება. ერთ და ორ წელიწადში ათეულობით წლების განმავლობაში მინგრეული სისტემის აღდგენა ვერ ხერხდება. შევარდნაძის დროს გვქონდა სამართლიანობა თუ კომუნისტების დროს? წვიმაა, სეტყვაა და ხალხს მაშინვე დახმარებები ეძლევათ. მთავრობას ყველაფერი სოციალური სფეროსკენ აქვს მიმართული, ხალხის კეთილდღეობაზე ფიქრობს და არა — კონცერტებსა და უაზრო ოპერეტებზე. დამოკიდებულება შეიცვალა. ისეთი მთავრობა, როგორიც ახლაა, არასოდეს ყოფილა, რადგან დღეს ყველაფერი ხალხზეა ორიენტირებული, მაგრამ უტოპიაში ვერ გადავალთ და ვერ წამოვიწყებთ ისეთ კამპანიებს, რაც განუხორციელებელია, მაგალითად, ვერ დავუბრუნებთ საბჭოთა ანაბრებს. ანუ გააჩნია, როგორ გაზომავ სამართლიანობას და საიდან დაიწყებ ათვლას. ზოგადად სამართლიანობა სუბიექტურია. თუ ვინმე ფიქრობს, რომ ჩვენ სამართლიანობის თვალსაზრისით, არაფერი გაგვიკეთებია, ცუდია. იმედი მაქვს, საზოგადოების დიდი ნაწილს ეს განწყობა არ აქვს.

> **„ზაზა ხატიაშვილი რომ გამოდის და ირაკლი ღარიბაშვილის დაჭერას ითხოვს, ცოტა უხერხულია, რადგან ძალიან დიდი სხვაობაა ღარიბაშვილსა და მერაბიშვილს შორის, თეა წულუკიანსა და ზურაბ ადეიშვილს შორის, იმავე მერაბიშვილსა და ივანიშვილს შორის...“.**

**— მაინც გკითხავთ, არასაპარლამენტო პარტიები ამბობენ, ვადამდელ არჩევნებს იმიტომ არ ატარებენ, რომ სკამების დაკარგვის ეშინიათო.**

— მოდით, მე ჩემს სათქმელს ვიტყვი. მე მაქვს



Cyan Magenta Yellow Black

ძალიან კარგი და საჭირო პროფესია (ადვოკატი. ავტ.) და, თუ გადაწყვეტილება იქნება მიღებული, რომ პარლამენტი უნდა დაიშალოს და ვადამდელი არჩევნები ჩატარდეს, ამასთან დაკავშირებით არანაირი პრობლემა არ მექნება. დავბრუნდები იმ სფეროში, სადაც ვიყავი და თუ გადავწყვეტ, კიდევ გავხდე დეპუტატი, იმისი იმედი მაქვს, რომ მხარდამჭერები მეყოლება. თუ არ ამირჩევენ, ესეც არ იქნება პრობლემა. სკამს არასოდეს ჩავჭიდებივარ. ამ სფეროში მხოლოდ იმიტომ მოვედი, რომ იმ კონკრეტულ სიტუაციაში ჩემი პოლიტიკურად გააქტიურება აუცილებელი იყო. არა მგონია, რომ ამ მხრივ, ჩემს კოლეგებსაც რაიმე პრობლემა ჰქონდეთ, ყველა გარკვეული პროფესიიდან არის მოსული, სადაც თავიანთი სიტყვა ნათქვამი აქვთ. იგივე ზურაბ ზვიადაური, სპორტსმენია და თუ პარლამენტიდან წავა, მწვრთნელობას მაინც გააგრძელებს, სოსო ჯაჭვლიანი მსახიობი იყო და ისევ იმას გააგრძელებს, დიმიტრი ხუნდაძე კარგი ექიმია და თავის პროფესიას დაუბრუნდება. ჩვენ ქუჩიდან მოსული ხალხი არ ვართ. ყველას აქვს ბიოგრაფია და წარსული, არავინ მოსულა კარის მტვრევით და დროშების ფრიალით ქუჩიდან და არც არავინ გამოეკიდება სკამს. პირიქით, ბევრს მანამდე უფრო მეტი შემოსავალი ჰქონდა, ვიდრე აქ, ანუ აქ ყოფნა ისეთი სახარბიელო არ არის, როგორიც შორიდან ჩანს.

**— რადგან თქვენი პროფესია ახსენეთ, ადვოკატების პრეტენზიების შესახებაც გკითხავთ. ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტი ზაზა ხატიაშვილი მიიჩნევს, რომ მისი კოლეგები დღეს იმაზე დამამცირებელ მდგომარეობაში არიან, ვიდრე ნაცმოძრაობის დროს იყვნენ და ამაში, არც მეტი, არც ნაკლები, ივანიშვილს ადანაშაულებს.**

— ბატონმა ზაზამ ძალიან კარგად იცის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. ამიტომ აიღოს, წაიკითხოს, რა იყო ჩვენი ხელისუფლებაში მოსვლამდე და რა არის ახლა. მერწმუნეთ, დიდ სხვაობას ნახავს. თუ მოწმის დაკითხვის წესზეა საუბარი, მხოლოდ დროში მოხდა გარკვეულწილად გადავადება. ამ მცირე ხანში ამის გაკეთება ვერ მოხერხდა, რადგან ნაციონალებმა ეს სისტემა საშინლად დაანგრიეს და ბევრი რამა გასაკეთებელი. მე ამით თავს არ ვიმართლებ, ტრენინგები უნდა გაიარონ გამომძიებლებმა, უნარ-ჩვევები აიმაღლონ, საგამოძიებო სისტემა იმდაგვარად გაძლიერდეს, რომ მათ შეძლონ მოწმეებთან მუშაობა ისე, რომ კანონი არ დაირღვეს და დამნაშავე არ დარჩეს დაუსჯელი. ჩვენ ხომ არ გვინდა ისეთი საზოგადოება, სადაც დამნაშავეებს არ დასჯიან?

კრიტიკა მარტივია, ქვეყნის მართვაა რთული. საქმის კეთებას დრო სჭირდება და ამ საკითხმა ამიტომაც გადაიწია ძალიან მცირე ხნით. ეს სისტემა აუცილებლად ამოქმედდება, მაგრამ ვერ გავიზიარებ ზაზა ხატიაშვილის აგრესიულ კრიტიკას. კრიტიკა მისაღები და სასარგებლოა, მაგრამ არა — აგრესიული. რომ გამოდის და ირაკლი ღარიბაშვილის დაჭერას ითხოვს, ცოტა უხერხულია, რადგან ძალიან დიდი სხვაობაა ღარიბაშვილსა და მერაბიშვილს შორის, ძალიან დიდი სხვაობაა თეა წულუკიანსა და ზურაბ ადეიშვილს შორის, დიდი სხვაობა იმავე მერაბიშვილსა და ივანიშვილს შორის. ამიტომ ადამიანებმა უნდა გავარჩიოთ კარგი და ცუდი, ჯერ ერთი წელიც არ ვართ ხელისუფლებაში, 10 თვეა და ამ პერიოდში ყველაფრის მყისიერად გამოსწორება შეუძლებელია.

**— ქალბატონო მანანა ამას წინათ სააკაშვილის დაკითხვა მოითხოვეთ მის განცხადებასთან დაკავშირებით, რომელიც 26 მაისის მოვლენებში ამერიკის სპეცსამსახურის მონაწილეობას შეეხებოდა. მისი დაკითხვა რამდენად რეალურად მიგაჩნიათ?**

— ვიდრე ის პრეზიდენტია, ეს მეც არარეალურად მიმაჩნია, მაგრამ მისი დაკითხვა ლოგიკურია, რადგან ის აცხადებს, რომ ინფორმაციას ფლობს იმ საქმეზე, რომელზედაც ძიება მიმდინარეობს. თან, როცა ჩვენი პარტნიორი ქვეყნისკენ გაიშვირა ხელი, რა თქმა უნდა, უფრო ყურადსაღებია. მაგრამ, ვიდრე ის პრეზიდენტია, მას ძალით ვერავინ მიიყვანს დასაკითხად საგამოძიებო ორგანოში. ამ ტიპის საგამოძიებო მოქმედება მაშინ იქნება შესაძლებელი, როცა ის თანამდებობას დატოვებს. სხვა თემებთანაც აქვს კითხვები გამოძიებას, ამაზე თვითონ არჩილ კბილაშვილმაც გააკეთა განცხადება, ქალბატონმა თეამაც (წულუკიანი). როცა მას პრეზიდენტის იმუნიტეტი აღარ დაიცავს, ვალდებული იქნება, გამოძიებასთან ითანამშრომლოს, კეთილი უნდა ინებოს, ჩვენებაც მისცეს და პასუხიც აგოს იმ ყველაფერზე, რაც ჩაიდინა.

**— რატომ ახსენა სააკაშვილმა ამერიკის სპეცსამსახური, მიზანი რა იყო?**

— რა გითხრათ! ეს ადამიანი არაადეკვატურია და არ მჯერა იმის, რაც მან განაცხადა. მას ყველაფრის სხვაზე გადაბრალება უყვარს, ოღონდ გამოძვრეს სიტუაციიდან და ტყუილსაც იტყვის, ეს მისთვის უცხო არ არის. რაც უფრო მცირდება ვადა ხელისუფლებაში მისი ყოფნისა, მით უფრო აგრესიული ხდება. მიმაჩნია, რომ მისი ეს განცხადება სიცრუეა, მაგრამ, თუ სიმართლეა, მაშინ არ ვიცი, რას ემსახურებოდა მისი ეს გამოსვლა — პარტნიორის მიმართ განწყობების შეცვლას თუ სხვა რამეს. მაგრამ ის კი ვიცი, რომ პრეზიდენტი ასე არ უნდა იქცეოდეს და თავისი ქვეყნის უსაფრთხოებაზე უნდა ფიქრობდეს.

**— როგორ შეაფასებთ თბილისის საკრებულოში განვითარებულ მოვლენებს. ხომ არ დაიწყო პოსტივანიშვილისეული პერიოდისთვის მზადება?**

— ივანიშვილი ჯერ არსად მიდის. რაც ხდება საკრებულოში, ეს არის მისი წევრების გადასაწყვეტი. ადამიანმა შეიძლება პარტია დატოვოს და ძველს გაემიჯნოს ან სხვა პარტიაში შევიდეს, მაგრამ ერთია, რომ ოდიოზურ ფიგურებს, ვინც სააკაშვილის ხელისუფლების დროს პოლიტიკას ქმნიდნენ, იყვნენ ლიდერები, უნდათ, რომ აღმოჩნდნენ „ქართულ ოცნებაში", მაგრამ მეორეა, რა უნდა „ქართულ ოცნებას". ასეთი გადაადგილებები, ფერისცვალებები ჩემთვის მიუღებელია.

ყურადღებით უნდა იყვნენ ჩვენი ფრაქციის წევრები, რომ მოვლენები ცუდად არ განვითარდეს და შემდეგ „ქართულ ოცნებას" რამე არ დაბრალდეს. ამ კოალიციას ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე პასუხისმგებლობა აკისრია და ამიტომ სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს გადაწყვეტილების მიღებისას, ვის დაუჭიროს მხარი და ვის — არა. შეცდომები არ უნდა დაუშვან.

**— თქვენს ნათქვამში, როგორც ვხვდები, საკრებულოს ახალი თავმჯდომარე ირაკლი შიხიაშვილი იგულისხმება, მაგრამ ის ირაკლი ღარიბაშვილის კადრად მიიჩნევა.**

— არ ვიცი, არ მსმენია ამაზე არაფერი, ბატონ ირაკლისთან ამაზე საუბარი არ მქონია, მაგრამ ერთი რამ ვიცი — შსს ნამდვილად არ ერევა საკრებულოს საქმიანობაში და ახლა რა ხმა გავრცელდა და ვინ რას ამბობს, ამაზე კომენტარს ვერ გავაკეთებ.

**„ადამიანმა შეიძლება პარტია დატოვოს და ძველს გაემიჯნოს ან სხვა პარტიაში შევიდეს, მაგრამ ერთია, რომ ოდიოზური ფიგურებს, ვინც სააკაშვილის ხელისუფლების დროს პოლიტიკას ქმნიდნენ, უნდათ, რომ აღმოჩნდნენ „ქართულ ოცნებაში", მაგრამ მეორეა, რა უნდა „ქართულ ოცნებას". ასეთი გადაადგილებები, ფერისცვალებები ჩემთვის მიუღებელია".**

# დავით ზურაბიშვილი: „გიორგი მარგველაშვილი ჩემი პერსონით იყო უკმაყოფილო, თანამდებობიდან ამიტომაც მომხსნეს"

## „ჩემ მიმართ პრეტენზიები იმიტომ არის, რომ რესპუბლიკელი ვარ"

„ყველას დიდი მადლობა, ვინც ამა თუ იმ ფორმით — სტატუსით, კომენტარით, ინ ბოქსში მოწერით, ჩემს კედელზე წარწერით თუ სხვა რამ ვირტუალურ-ტექნოლოგიური საშუალებებით გამოხატა თავისი თანადგომა თანამდებობიდან ჩემი გათავისუფლებისა გამო. ბოდიში, რომ სათითაოდ ვერ მოგმართავთ, ჩემდა სასიხარულოდ, ნამეტნავად ბევრნი იყავით. არც ისინი იყვნენ ცოტანი, ვისაც გაუხარდა, მაგრამ ასეთები ფრენდ-ლისტის არაერთგზისი რევიზიის შედეგად მეგობრებში თითქმის არ მყავს, ამიტომ სადღაც სხვა ვირტუალურ გრუზიაში ხარობენ.

კიდევ რა ვთქვა? პირველი არაა ჩემს ცხოვრებაში მსგავსი ამბავი, ამიტომ ყველანაირი ცვლილება ადვილად გადამაქვს და, როგორც იტყვიან, არ დავიკარგები ცხოვრებაში. და საერთოდ, ყველა თანამდებობის თავზეც გავიარე — სამაგიეროდ ახლა ბევრად ნაკლები ვალდებულებები მაქვს და რა სტატუსებს და კომენტარებს დავწერ? ჰე ჰე ჰე..." — დაწერა დათო ზურაბიშვილმა „ფეისბუქის" საკუთარ გვერდზე მას შემდეგ, რაც განათლების მინისტრის მოადგილის თანამდებობა დაატოვებინეს.

ის განათლების ახალმა მინისტრმა, თამარ სანიკიძემ დაითხოვა, თუმცა ამ გადაწყვეტილების უკან ზურაბიშვილი განათლების ყოფილ მინისტრის, „ოცნების" საპრეზიდენტო კანდიდატის, გიორგი მარგველაშვილის ხელს ხე-

→20


**გახდომა 5-დან 20 კგ-მდე თვეში**
**გასუქება 2-დან 5 კგ-მდე თვეში**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივითერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე, შეინარჩუნებთ სტაბილურად შედეგს და საბოლაოდ დაივიწყებთ ამ პრობლემას.

სიმაღლეში ზრდის უახლესი პროგრამები: სწრაფი და ეფექტიური ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსით 3-5სმ-ის მომატებით. ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა-დანიშნულებით. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. შედეგები 100%-იანია. ქ-ნი ქეთევანი.

☎ 577-29-37-41, 247-58-83




Cyan Magenta Yellow Black

დავს. სანიკიძეს გადაწყვეტილება პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმაც მოუწონა — თუ დავით ზურაბიშვილის რეაქცია იყო მკვეთრი, ესე იგი მინისტრი თამარ სანიკიძე ძალიან სწორად მოქცეულა, მე მას მხარს ვუჭერო. მისივე საუბრიდან გაირკვა, რომ პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილსა და რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლებს პრემიერთან ზურბიშვილისთვის შუამდგომლობა გაუწევიათ, რომ ის მოადგილედ დარჩენილიყო, რასაც ივანიშვილი თავდაპირველად დათანხმებია, მაგრამ შემდგომში თამარ სანიკიძემ ის კორექტულად დაარწმუნა, რომ უმჯობესი იქნებოდა, საკუთარი გუნდის ჩამოყალიბების საშუალება თავად მისცემოდა.

დავით ზურაბიშვილის თანამდებობიდან გადაყენებას ბევრი კოალიციის შიგნით დაწყებულ ბრძოლას უკავშირებს, თუმცა არსებობს ეჭვი და არც ისე უსაფუძვლო, რომ ზურაბიშვილი სოციალურ ქსელებში ხელისუფლების კრიტიკას გადაჰყვა. სატირული კომენტარები მართლაც მრავლად იყო, მათგან ერთ-ერთი, ყველაზე დასამახსოვრებელი, მერიის თანამშრომლების მიერ ბანკომატიდან ფულის გამოტანის ამსახველ კადრებზე რადიო „თავისუფლების“ ბლოგერის, ზაალ ანდრონიკაშვილის „ფეისბუქის“ პოსტზე გააკეთა:

— უკაცრავად გახლავართ, მაგრამ იმ ბანკომატის კადრები რას ადასტურებს, კარგად ვერ გავიგე და ხომ ვერ ამიხსნით? — დაწერა ანდრონიკაშვილმა.

— იდიოტიზმს ადასტურებს. ვისას, ნუ მკითხავ, — უპასუხა ზურაბიშვილმა...

■



**„თუ რეფორმა კარგად მიდის და საჭიროა მისი ბოლომდე მიყვანა, რატომ უნდა შეცვალო კადრი? ამიტომ ვიყავი დარწმუნებული, რომ თანამდებობიდან ჩემი გათავისუფლების საკითხი არ განიხილებოდა, მაგრამ ძალიან უცნაური გადაწყვეტილება იქნა მიღებული და ეს არ იყო გაკეთებული სამსახურებრივი ინტერესებიდან გამომდინარე".**

რას აპირებს განათლების მინისტრის ყოფილი მოადგილე, რომელიც თანამდებობის გამო პარლამენტს შეელია და ახლა ორივეს გარეშე დარჩა?

## დავით ზურაბიშვილი:

— საერთოდ, როცა ერთი პოლიტიკური გუნდია (მგონი, ხელისუფლება არ გამოცვლილა) და მინისტრი ადგილზე ტოვებს თავის პირველ მოადგილეს, თან თუ აცხადებს, რომ გაგრძელდება ის კურსი და საქმიანობა, რაც ხორციელდებოდა, ლოგიკურია, თანამდებობებზე დარჩნენ ის პერსონები, რომლებიც ძველ გუნდში იყვნენ. მათი გამოცვლა ხდება მაშინ, თუ რეფორმა ცუდად მიდის. თუ კარგად მიდის და საჭიროა მისი ბოლომდე მიყვანა, რატომ უნდა შეცვალო კადრი? ეს არ მესმის. ამიტომ ვიყავი დარწმუნებული, რომ ეს საკითხი არ განიხილებოდა, მაგრამ ძალიან უცნაური გადაწყვეტილება იქნა მიღებული. ეს არ იყო გაკეთებული სამსახურებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, რადგან ნამდვილად არ ვთვლი, რომ მე ამ სფეროში პროფესიონალიზმი მაკლია. აშკარად პიროვნული საკითხი იყო, თუმცა არა — ქალბატონი თამარისგან.

— **რას გულისხმობთ, იქნებ დაგვიკონკრეტოთ.**

— ვფიქრობ, ეს ვერ მოხდებოდა ბატონი მარგველაშვილის გარეშე, უბრალოდ შეუძლებელია, სხვანაირად მომხდარიყო.

— **ანუ მარგველაშვილმა მოგხსნათ, ამის თქმა გინდათ?**

— განათლების ყოფილი მინისტრი ჩემი პერსონით ალბათ კმაყოფილი არ იყო. ეს კომენტარებშიც ჩანდა, როცა არცთუ გონებამახვილურად შეეცადა, ჩემ მიმართ დამცინავი ტონალობა დაეჭირა. ბავშვები ხომ არ ვართ, მართლა ხომ არ გჯერათ, რომ იქ მივიდა ქალბატონი თამარი და... ასეთი რაღაცეები კამერების წინ არ ხდება. ასეთი დავები კულუარებში მიდის ხოლმე. ეს კაცი ამბობს, რომ ერთი გუნდი ვართ, მაგრამ თუ ერთი გუნდი არ ვართ და გარკვეული დისკრედიტაცია ხდება, ასეთი გამოსვლებით, მგონი, საკუთარი თავის დისკრედიტაციას უფრო ახდენენ.

— **თავიდან თქვით, რომ ეს იყო შეტევა რესპუბლიკელებზე, ერთი დღის შემდეგაც იმავეს ფიქრობთ? (ინტერვიუ ჩაწერილია 27 ივლისს. ავტ.).**

— არა მგონია, რომ მთლად ასე იყო. საერთო ჯამში, ზოგადად ჩემ მიმართ არის პრეტენზიები, რადგან რესპუბლიკელი ვარ, მაგრამ ამ შემთხვევაში, მგონი, უფრო პიროვნულად არ მოვუვედი თვალში.

— **გიორგი მარგველაშვილს? რატომ?**

— არ ვიცი, ეს მას უნდა ჰკითხოთ. ისე კი, არ მჩვევია ჭორაობა იმ პერიოდზე, როცა ვინმესთან ერთად ვმუშაობდი, რადგან მიმდინარე პროცესებზე გარკვეულწილად პასუხისმგებლობას ვიღებდი. არ მიყვარს საუბარი — „მან ასე გააკეთა“, „მე ასე გავაკეთე“, „ასე არ უნდა გაეკეთებინა“ და ა.შ. გარკვეული პერიოდი მუშაობა მიწევდა ნაცმოძრაობასთან, გიგა ბოკერიასთანაც, მაგრამ იმ პერიოდისთვის არასოდეს გამიკრიტიკებია ბატონი ბოკერია, რადგან იმაზე მეც ვარ პასუხისმგებელი. არც ამ შემთხვევაში ვაპირებ საუბარს. თვითონ თუ ილაპარაკებენ, კი, ბატონო, მზად ვარ, პასუხი გავცე. რადგან ხუმრობით შემოიფარგლებიან, რომ ვითომ ახალი ხელისუფლება მოვიდა და გუნდი გამოცვალა (თითქოს ხელისუფლება გამოიცვალა), რა უნდა ვთქვა? უცნაური მოცემულობაა. ახლა სხვებსაც უშვებენ, რომ ისე არ გამოვიდეს, ვითომ მარტო მე გამაგდეს. ისინი მაინც არ გაუშვან.

— **სანიკიძემ მრჩევლობა ხომ შემოგთავაზათ?**

— ეს თქვენც ხომ კარგად იცით, რასაც ნიშნავს? ან ასეთ რამეს ჭორის დონეზე ტელევიზიიდან რომ იგებ... თუმცა ყველაფერი ტელევიზიიდან არ გამიგია, ერთი კვირის განმავლობაში ამაზე საუბარი გვქონდა და თითქოს უნდა დავრჩენილიყავი, მერე კი

**„განათლების ყოფილი მინისტრი ჩემი პერსონით ალბათ კმაყოფილი არ იყო. ეს კომენტარებშიც ჩანდა, როცა არცთუ გონებამახვილურად შეეცადა, ჩემ მიმართ დამცინავი ტონალობა დაეჭირა".**

ტელევიზიიდან გავიგე, რომ გამიშვეს და თურმე მრჩევლად უნდა გადავსულიყავი. თუ პროფესიონალი არ ვარ, მრჩეველი როგორ გავხდები პროფესიონალი? ასე რომ, ეს არასერიოზული იყო.

— **როგორ აღნიშნეთ, ერთი კვირა მიმდინარეობდა თქვენთან საუბარი. რაო, რას გეუბნებოდნენ?**

— როცა მარგველაშვილი წავიდა, ეს საკითხი მერე დადგა, მანამდე საუბარი არ ყოფილა.

— **მარგველაშვილთან მანამდე რაიმე უთანხმოება მართლა არ გქონიათ? რაღაც დაუჯერებლად ჟღერს.**

— შეუთავსებლობა ნამდვილად არ მქონია, მისი მხრიდან ჩემი მისამართით საყვედური არასოდეს თქმულა. რომ წავიდა, მეორე დღესვე გავიგე, რომ ერთადერთი ჩემი კანდიდატურა იყო, რომელიც მოადგილის პოსტზე არ განიხილებოდა. მაინც ვერ გავიგე, როცა იმ მოადგილეს ათავისუფლებ, რომელსაც წამყვანი ადგილი უკავია, ესე იგი ცუდად მიდის საქმე და ესეც უნდა ითქვას. მეფე კარგი იყო და ვეზირები ჰყავდა ბოროტიო, არ გვინდა ასე!

— **ახლახან მითხარით ინტერვიუში, რომ ეს იყო სფერო, სადაც მუშაობა გინდოდათ და ამის გამო პარლამენტიც დათმეთ.**

— კი, ეს არის სფერო, რაშიც რაღაც ნამდვილად გამეგება.

— **გული გწყდებათ, რომ ასე დამთავრდა ყველაფერი?**

— რომ გითხრათ, არ მწყდება-მეთქი, მართალი არ ვიქნები, მაგრამ ცხოვრება გრძელდება და საქმიანობას გავაგრძელებ, არ დავიკარგები. ამისგან დიდ ტრაგედიას არ ვქმნი.

— **გააგრძელებთ კომენტარების წერას „ფეისბუქზე“?**

— რა თქმა უნდა!

— **ბიძინა ივანიშვილის კომენტარზე რას იტყვით, თამარ სანიკიძეს გადაწყვეტილება რომ მოუწონა?**

— რა უნდა ვთქვა? უბრალოდ, ვერ გავიგე, ერთი პოლიტიკური გუნდი ვართ თუ არა. თუ კოალიციაა, უნდა იყოს კოალიციური მოლაპარაკება.

— **ისე, თქვენ როგორ გრძნობთ, ერთი გუნდი ხართ?**

— არ ვიცი, მაგრამ ის კი ვიცი, რომ გუნდურობის თვალსაზრისით, პრობლემა არასოდეს არავისთვის შემიქმნია.

✓ პოლიტიკის რუბრიკა მოამზადა
მანანა გეგიამ

# გრძნობა, რომელმაც სანდრო კაკულია და თამთა დემურიშვილი გააერთიანა

ორი ცნობილი სახე, სანდრო კაკულია და თამთა დემურიშვილი, სიყვარულმა გააერთიანა, რომელიც განსაცდელში მყოფი პატარა ადამიანების — ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისკენაა მიმართული. სანდრო საზოგადოებამ სერიალით „ჩემი ცოლის დაქალები“ გაიცნო, სადაც სანდრექსას როლს ასრულებს, თამთა კი იაშვილის კლინიკის ონკოჰემატოლოგიის კოორდინატორია და საქველმოქმედო ღონისძიებებს ხშირად უწევს ორგანიზებას. ის ემოციის გარეშე ვერ იხსენებს იმ შეხვედრას, როცა ლეიკემიით დაავადებულმა პატარებმა პირველად ნახეს სანდრო, რომელსაც მხოლოდ ეკრანიდან იცნობდნენ. ბავშვები მას ჩაეხუტნენ, გვერდიდან არ სცილდებოდნენ. მათთან შეხვედრამ სანდროზე ძალიან იმოქმედა. მას შემდეგ ამ ბავშვებზე ზრუნვა მისი ცხოვრების ნაწილი გახდა.

— **გვიამბეთ, როგორ გადაიკვეთა თქვენი გზები.**

**თამთა**: სანდრომ და მე, დიდი ხანია არაა, რაც ერთმანეთი გავიცანით, მაგრამ იმდენად მნიშვნელოვანმა პრობლემამ დაგვაკავშირა, რომ ეს ალბათ წლების მეგობრობას უდრის. ლეიკემიით დაავადებული ბავშვის, მირზა ცეცხლაძის ისტორია ჩემთვის ძალიან მტკივნეულია. მას ძალიან ცოტა დრო ჰქონდა დარჩენილი და ბოლო წუთში, როცა ძალიან დამძიმდა, მე და რამდენიმე ჟურნალისტმა მოვნათლეთ. ყველანი ფეხზე ვიდექით და ვცდილობდით, მისთვის თანხა შეგვეგროვებინა. სამწუხაროდ, ჩვენი მცდელობა დაგვიანებული აღმოჩნდა. იმ პერიოდში შემოგვიერთდა სანდროც, რომელმაც მირზას ამბავი „ფეისბუქით“ გაიგო და გადაწყვიტა, ჩვენ გვერდით დამდგარიყო.

საქართველოში პირველად ჩატარდა დიდი საქველმოქმედო მარათონი, რომელიც 120 ქალაქში ერთდროულად იმართებოდა და ამის ორგანიზატორი სანდრო იყო. სულ მახსოვს მისი ემოცია, როცა პირველად ნახა ლეიკემიით დაავადებული ბავშვები. ისინი ძალიან ემოციურები არიან, ყველას ნახვა უხარიათ. ხუთი ბავშვი ერთად ჩაეხუტა სანდროს. ამან გააოგნა და მითხრა, რომ სულ მათ გვერდით იქნებოდა.

**სანდრო**: იყო მომენტი, როცა ვიფიქრე, თმა გადამეპარსა და ისე მევლო მათთან, რადგან ერთმა პატარამ მითხრა, შენ გაქვს თმა და მე — არაო. მათთან თამაში ძალიან სასიამოვნოა. რომ მიდიხარდა ეფერები, მათთვის ეს დიდი ბედნიერებაა. სულ ვამბობ, რომ ქველმოქმედება მხოლოდ მატერიალურ დახმარებას არ გულისხმობს. მათთან დახარჯული რამდენიმე საათიც ქველმოქმედებაა. იქიდან რომ გამოვდივარ, ერთი საათი დავფრინავ.

— **თამთა, როგორ ჩაერთეთ ამ საპასუხისმგებლო და ურთულეს საქმიანობაში?**

**თამთა**: დავინტერესდი იმიტომ, რომ ექიმი ვარ. რამდენიმე თვის წინ ანა რომანიძის ისტორიამ საზოგადოება შეძრა. მან წერილი დატოვა, სადაც წერს, რომ არ სურს, უსახსრობის გამო ბავშვები იღუპებოდნენ და იმედი აქვს, თავად ბოლო შემთხვევა იქნება. იმ პერიოდს დაემთხვა დიტო ცინცაძის დახმარების ფონდის შექმნა, რომელსაც ასევე ძვლის ტვინის ტრანსპლანტაცია ესაჭიროებოდა და ეს დიდ თანხებთან იყო დაკავშირებული. მისმა მეგობრებმა, ჟურნალისტებმა, უპრეცედენტოდ მოკლე დროში შეუგროვეს თანხა და გაუშვეს გერმანიაში სამკურნალოდ. სწორედ მაშინ გადავწყვიტე, ამ ადამიანებისთვის დახმარება მეთხოვა. შევხვდი ჟურნალისტ მერაბ მეტრეველს და ფონდის ხელმძღვანელ კახა ჯანაშვილს. ვთხოვე, ეს ბავშვები ენახათ. ბევრი კარგი ადამიანის დახმარებით მათ ახალ წელს საჩუქრები შევუგროვეთ. ამის შემდეგ მორიგი ბავშვის, თენგო ზაკაშვილის სამკურნალოდ და გადასარჩენად ფულს ვითხოვდით. თანხა შევაგროვეთ და იტალიაში გავუშვით.

— **სახელმწიფო რას აკეთებს ლეიკემიით დაავადებული ბავშვების გადასარჩენად?**

**თამთა**: ბავშვების ქიმიოთერაპიის კურსი ძირითადად სახელმწიფოსგან ფინანსდება და ეს ძალიან კარგია. მართალია, დაფინანსება მწირია, მაგრამ ვიცით, რომ მოიმატებს. ამასთან დაკავშირებით გვაქვს მინისტრის თანხმობა. ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ ლეიკემიის მძიმე შემთხვევის დროს ძვლის ტვინის გადანერგვაა საჭირო და მხოლოდ ქიმიოთერაპია არ შველის. ეს აქამდე არ ფინანსდებოდა, ანა რომანიძეც სწორედ იმიტომ დაიღუპა, რომ მის მშობლებს საჭირო თანხა, რომელიც ძალიან დიდია, არ ჰქონდათ. ძალიან სავალალო სტატისტიკა იყო ის, რომ რამდენიმე წლის წინ ოთხი ოჯახი ოფიციალურად ჩაბარდა დევნილად ამერიკაში, რადგან აქ ამ დაავადებისგან შვილების გადარჩენას ფიზიკურად ვერ შეძლებდნენ. ბევრმა სახლ-კარი გაყიდა, რომ შვილი გადაერჩინა.



**სანდრო: „იყო მომენტი, როცა ვიფიქრე, თმა გადამეპარსა და ისე მევლო მათთან, რადგან ერთმა პატარამ მითხრა, შენ გაქვს თმა და მე არაო“.**

გადავწყვიტე, რომ იქამდე მივყვე ამ საქმეს, სანამ საქართველოში ტრანსპლანტაციის ცენტრი არ გაიხსნება, რომლის საშუალებითაც ძვლის ტვინის გადანერგვა გახდება შესაძლებელი. პრაქტიკულად 50 პროცენტით იაფი იქნება მკურნალობა. გარდა ამისა, ოჯახის წევრები, მინიმუმი, 9 თვე არ იქნებიან ერთმანეთს მოწყვეტილი. მინისტრმა თქვა, რომ ამ ცენტრზე მუშაობა სექტემბრიდან დაიწყება. ახლა გიორგი გაბედავა დააფინანსა სამინისტრომ და საზღვარგარეთ სამკურნალოდ გაუშვა. გვყავს კიდევ ორი ბავშვი, რომელთა მდგომარეობა ძალიან რთულია და სასწრაფოდ სჭირდებათ საზღვარგარეთ წაყვანა. ვაპირებ, სამინისტროში მივიდე და მინისტრს ვთხოვო, დაგვეხმაროს. ხაზს ვუსვამ, მარტო მე ვერაფერს ვიზამ.

**თამთა: „სულ მეკითხებიან: „რატომ არ თხოვდები?“, „შენი კაცებს ეშინიათ?“. ეტყობა, ეშინიათ იმიტომ, რომ ცოტაა იმ კატეგორიის კაცი, რომელიც თავს ქალად გაგრძნობინებს“.**

— **გაქვთ მონაცემები, საქართველოში ლეიკემიით დაავადებულთა რიცხვი გაიზარდა თუ შემცირდა?**

**თამთა**: ჩვენს კლინიკას აქვს სტატისტიკა, რომ 10-15 წლის წინ ნაკლები იყო ამ დაავადების შემთხვევები. ალბათ ეკოლოგიური ფაქტორიდან და რადიაციული ფონიდან გამომდინარე შეიქმნა ასეთი სავალალო მდგომარეობა. საქართველოში სტატისტიკურად, წელიწადში ამ დაავადების 50 შემთხვევაა, აქედან 7-10 შემთხვევა ძვლის ტვინის გადანერგვას საჭიროებს, რაც ძალიან დიდ თანხებთანაა დაკავშირებული.

— **თამთა, ბავშვები სანდროს ალბათ ტელეეკრანიდან იცნობენ. მისი გმირი სანდრექსა სერიალიდან „ჩემი ცოლის დაქალები“ ძალიან პოპულარულია.**

**თამთა**: კი, ასეა. ამ სერიალს მეც ვუყურებ და ძალიან დადებითად ვარ განწყობილი. სანდროს გმირი ძალიან მალე გახდა მაყურებლისთვის საყვარელი. სანდრო ისეთივე გულწრფელია რეალურ ცხოვრებაში, როგორც ეკრანზე.

— **სანდრო, ალბათ ყველას აინტერესებს, მათ შორის პატარა მაყურებლებსაც, რა არის თქვენსა და სანდრექსას შორის განსხვავება.**

**სანდრო**: ისეთი ტერმინოლოგიით არ ვლაპარაკობ, როგორითაც სანდრექსა. არც ჩემს თავზე ვარ ისე ორიენტირებული, როგორც ის.

**თამთა**: სანდრექსა ძმაკაცებზეა დამოკიდებული, სანდრო კი დამოუკიდებელია.

— **სანდრო, როგორ ფიქრობთ, რატომ მოსწონთ თქვენი პერსონაჟი ქართველ გოგონებს ასე ძალიან?**

**სანდრო**: ალბათ იმიტომ, რომ ქალთან ურთიერთობაში გულწრფელია. ეს არის კაცის ტიპი, რომელიც არასდროს აწყენინებს ქალს და არ შეზღუდავს. ამიტომ ყველას უნდა, ასეთი ადამიანის გვერდით იყოს.

**თამთა**: გარდა ამისა, საქართველოში განათხოვარი ქალისთვის პრობლემაა პირადი ცხოვრების მეორედ აწყობა. სანდრექსას კი ქმარშვილიანი ქალი შეუყვარდა. ამიტომაც მოსწონთ.

— **თამთა, თქვენც მოგწონთ სანდრექსა?**

**თამთა**: ძალიან მომწონს და ვფიქრობ, რომ ასეთი ადამიანის გვერდით ქალი ყოველთვის ლაღი იქნება და თავს ყოველთვის ქალად იგრძნობს. სულ მეკითხებიან: „რატომ არ თხოვდები?“, „შენი კაცებს ეშინიათ?“. ეტყობა, ეშინიათ, იმიტომ, რომ ცოტაა იმ კატეგორიის კაცი, რომელიც თავს ქალად გაგრძნობინებს.

— **სანდრო, როგორ აღიქვამთ თაყვანისმცემელთა რაოდენობის ზრდას?**

**სანდრო**: არანაირი რეაქცია არ მაქვს. მაფრთხილებდნენ, რომ ამ სერიალში გამოჩენის მერე ჩემ მიმართ ყურადღება გაიზრდებოდა. ამის მეშინოდა. ტელევიზიას ეს აქვს — ერთხელ გამოჩენამ შეიძლება გაგხადოს პოპულარული მაშინ, როცა ეკრანის მიღმა შეიძლება, ბევრად მეტს და მნიშვნელოვან საქმეს აკეთებდე და ამის შესახებ არავინ იცოდეს. ხანდახან, ხალხი ქუჩაში რომ მაკვირდება, ვერ ვხვდები, რატომ მიყურებენ. მავიწყდება, რომ მცნობენ.

— **თქვენი საერთო გეგმები რა არის?**

**თამთა**: მინდა, რომ სანდრო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებთანაც წავიყვანო და ვაჩვენო. კიდევ ბევრ საქველმოქმედო აქტივობას ვგეგმავთ.

**სანდრო**: მინდა, მათ გვერდით ვიდგე. ბავშვები ძალიან მიყვარს. თამთა ძალიან მაგარია, ბევრ რამეს აკეთებს. თუ ენერგიული არ ხარ და ჩაკეტილი კარის გაღება არ შეგიძლია, იმ საქმეს ვერც გააკეთებ, რასაც თამთა ახერხებს.

✓ **მანანა ნოდია**


**სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური პროგრამები. 2-დან 25 წლამდე!**

3-5 სმ-ის მომატება კურსით. ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინების, ამინომჟავების კომპლექსით! ვარჯიშები, ზრდის ზონების გააქტიურებით. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს.

**გახდომა-გასუქება თვეში 8-20 კგ-ით!**

დიეტის და ვარჯიშის გარეშე მადის დარეგულირება, ცხიმების აქტიური წვა, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება. მიღებული შედეგის შენარჩუნება მხოლოდ მცენარეული პრეპარატებით. შედეგები 100 %-იანია.

**593-44-58-65. ექიმი. ქალბატონი დეა**




Cyan Magenta Yellow Black

# მადლით სავსე ურბნისი



## სტეფანე პირველმოწამის ტაძარში სასწაულები დღემდე აღესრულება

ქრისტიანობის საქადაგებლად საქართველოში შემოსულ წმინდა ნინოს ქართლში, ქალაქ ურბნისში შეუსვენია. იმ ადგილას, სადაც წმინდა ქალწულმა 20 დღე გაატარა, ახლა პატარა საყდარი დგას. არავინ იცის, კაბადოკიელი ქალწული რაიმე ნაგებობაში ცხოვრობდა თუ ხის ქვეშ, მაგრამ ადგილი, სადაც მან დაისვენა, ყველამ იცის. იქაურ მოსახლეობას ნიში მაშინვე აღუმართავს, რომ დაემახსოვრებინათ, როგორც წმინდა ადგილი. მაშინდელი ქალაქი ურბნისი დღეს პატარა სოფელია.

ურბნისი ისტორიულ წყაროებში საქართველოს ერთ-ერთ უძველეს ქალაქად იხსენიება და საოცარი ისტორიაც აქვს. მისი ქალაქად ჩამოყალიბება იწყება ძველი წელთაღრიცხვით მე-6 საუკუნეში. ქალაქი მეფე თარგამოსის ძემ, უფლოსმა, უფლისციხესთან ერთად ააშენა და გარშემო უზარმაზარი ციხე-სიმაგრე შემოავლო. საგანგებოდ იყო გამაგრებული მტრისგან დასაცავად. 4 მეტრის სისქის კედლებზე მოთავსებული იყო კოშკები და სამზერები. ურბნისს სამხრეთით მდინარე მტკვარი ჩამოუდის. ამ მხარეს უბრალო კედელი იყო ამოყვანილი, რადგან 20-25 მეტრის სიმაღლის კლდოვანი ნაპირიდან მტერი ადვილად ვერ შემოვიდოდა.

მრავალსაუკუნოვანი უძველესი დასახლება, დიდი ისტორიის გარდა, უდიდეს სიწმინდეებს და მადლს ფლობს. მისი მთავარი ღირსება მე-5 საუკუნის ბოლოსა და მე-6 საუკუნის დასაწყისში აშენებული უზარმაზარი ტაძარია, რომელიც აგებისთანავე საეპისკოპოსოდ ქცეულა. გადმოცემის მიხედვით, სამნავიანი ბაზილიკა მეფე ვახტანგ გორგასალს აუშენებია. თავიდან ურბნისის სიონი ეწოდებოდა და მარიამ ღვთისმშობლის სახელზე იყო აგებული, მაგრამ 13 ასურელი მამის შემოსვლის შემდეგ ეკლესია წმინდა პირველმოწამე სტეფანეს სახელს ატარებს.

ურბნისს მტრის რამდენიმე დამანგრეველი შემოსევა ახსოვს. მე-7 საუკუნეში არაბებმა ცეცხლს მისცეს და დაანგრიეს ქალაქი, რის შემდეგაც ურბნისმა დაამთავრა თავისი ქალაქად ყოფნის ისტორია.

ურბნისისა და რუისის საეპისკოპოსოები ავტორიტარული ორგანიზაციები იყვნენ. ამიტომაც დავით აღმაშენებელმა 1103 წელს იქ ჩაატარა საეკლესიო კრება, რომლის გადაწყვეტილებებმა დიდი როლი შეასრულეს საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. 1811 წელს გაუქმდა ურბნისისა და რუისის საეპისკოპოსოები და მცხეთას შეუერთდა. ურბნისი კი პატარა, ღარიბ სოფლად იქცა.

ურბნისის წმინდა სტეფანეს სახელობის ტაძარი ის ადგილია, სადაც დავით აღმაშენებელმა რუის-ურბნისის საეკლესიო კრება მოიწვია. ამ ეკლესიის კედლებში დაიდგა გვირგვინი დავით აღმაშენებლის მამამ, გიორგი მეორემ და აქ მოინათლა თავად დავით აღმაშენებელი. გადმოცემის თანახმად, დიდ მეფეს უყვარდა ურბნისში ყოფნა და ბავშვობაში იქ მამამისს ხშირად დაჰყავდა.

**„აქ წირვა-ლოცვაზე უფრო სხვა ადგილებიდან, გორიდან, ხაშურიდან მოდიან. ყველას უნდა, ამ ტაძარში დაიწეროს ჯვარი. ადგილობრივი მოსახლეობა კი არ დადის. როგორც ჩანს, როცა დიდ მადლში არიან, ბრძოლა მეტი აქვთ“.**

❖ ❖ ❖

სოფელში წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტერია. მონასტრის წინამძღვარი, იღუმენია ნინო, ურბნისში დავანებულ მადლსა და ისტორიაზე გვესაუბრა.

**დედა ნინო:** აქაურობა დიდი მადლის მატარებელია. თურმე ურბნისში დაისვენა წმინდა ნინომ. მტკვარს მოუყვებოდა და 20 დღით აქ შეისვენა. როგორც „ქართლის ცხოვრება“ მოგვითხრობს, მოეწონა მტკვრის ნაპირას გაშენებული დასახლება, აქაური ჰაერი, ხალხი და პირველად აქვე იქადაგა ქრისტიანობა. იმ ადგილას, სადაც, გადმოცემის მიხედვით, წმინდა ნინო ცხოვრობდა, დღეს პატარა ტაძარი დგას. ამ ადგილიდან არაჩვეულებრივი ხედი იშლება. არავინ იცის, მაშინ ხის ძირში ცხოვრობდა თუ იქ რაიმე შენობა იდგა. წმინდა ნინო დიდი მოღვაწე იყო და შეეძლო, ღია ცის ქვეშაც ეცხოვრა. აქ დასვენებული და ენერგიააღდგენილი წავიდა მცხეთაში და შემუსრა კერპები.

წმინდა ნინო საქართველოში რომ შემოდიოდა, ბრწყინვალე შესამოსელში ჩაცმული კაცი გამოეცხადა, რომელსაც ხელში ეტრატი ეჭირა. ეს გახლდათ პავლე მოციქული. წმინდა სტეფანე, რომლის სახელსაც ურბნისის დიდი ტაძარი ატარებს, პავლე მოციქულის ძმისშვილი იყო. მე-6 საუკუნეში, როცა 13 ასურელი წმინდა მამა შემოვიდა საქართველოში, სტეფანე პირველწამებულის სახელობის გრანდიოზული ტაძარი აღაშენა ასურელმა მამამ, თადეოზ სტეფანწმინდელმა, რომელსაც სტეფანწმინდელი სწორედ ამ ტაძრის გამო ეწოდა. ურბნისში ყოფილა წმინდა სტეფანეს წმინდა ნაწილებიანი დიდი ხატი, რომელიც დღეს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმშია შენახული. ერთი ღვთისმშობლის ხატიც ყოფილა, სადაც ღვთისმშობლის თმაა ჩატანებული და ის ხატიც მუზეუმშია დღეს.

**— რა ცნობებია შემონახული, ვინ იყო წმინდა სტეფანე, რომლის სახელზეც ასეთი დიდი ტაძარია აგებული?**

— როგორც გითხარით, წმინდა სტეფანე პავლე მოციქულის ძმისშვილი იყო. სანამ პავლე მოციქული სავლე იყო, ქრისტიანებს დევნიდა, მაცხოვრის ღვთაებრივი გამოცხადების შემდეგ კი პავლე გახდა. იგი ძალიან განსწავლული ფარისეველი გახლდათ და იმდენად დაუნდობელი იყო, რომ საკუთარი ძმისშვილიც კი არ შეიბრალა. ებრაელებს უკიჟინებდა, რომ ქრისტეს მიმდევრები ქვებით ჩაექოლათ. სწორედ რომ ქვებით ჩაქოლეს წმინდა სტეფანე. მის ჩაქოლვაში პავლე მოციქულს მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ სხვა ქრისტანებს რომ თმით მიათრევდა, ურტყამდა, ბევრ ცნობაშია შემონახული.

სტეფანე პირველმოწამე აღესრულა დაჩოქილი, ხელებაპყრობილი. მას ფეხზე მდგომი მაცხოვარი გამოეცხადა. არსებობს განმარტება, რომლის მიხედვით, როცა ქრისტე ვინმეს დამჯდარი ეცხადება, ის მბრძანებლის როლშია, ხოლო როცა ფეხზე დგას, მოქმედებს, ანუ უფალი იბრძოდა წმინდა სტეფანე პირველმოწამისთვის. სწორედ წმინდა სტეფანემ თქვა პირველად — ღმერთო, შეუნდე, რამეთუ არ იციან, რას აკეთებენო. ეს სიტყვები გაიმეორა ილია ჭავჭავაძემ თავის ლექსად დაწერილ ლოცვაში — „გთხოვდე, შეუნდევ, არ იციან, ღმერთო, რას იქმან“.



ილუმენია ნინო

ღვთის მადლით, შესაძლებელია, რომ სავლე პავლედ გადაიქცეს. ერთ დღეს პავლე მოციქულმა უფალი ნათლის სახით იხილა, მუხლებზე დაეცა და ჰკითხა, ვინ ხარო. პასუხად მიიღო, მე ვარ ის, ვისაც შენ დევნიო. „რას მიბრძანებ, უფალო“, — წარმოთქვა პავლემ. იმ წუთასვე მორჩილების ნებას გამოაცხადებს პავლე მოციქული, იმ წუთასვე დამორჩილდა, არც დაეჭვებულა. უფალმა უთხრა, ანანიასთან წადი და ის აგიხელს თვალსო. მას ანანიასთან მიიყვანენ, რის შემდეგაც ქრისტიანობის გულმხურვალე მქადაგებელი გახდა და თავმოციქულადაც კი იწოდება პეტრე მოციქულთან ერთად. სწორედ პავლე მოციქული გამოეცხადა წმინდა ნინოს საქართველოში შემოსვლის წინ. როგორც ჩანს, წმინდა მამებსაც ჰქონდათ გამოცხადება იმის შესახებ, რომ ამ ადგილას წმინდა სტეფანე პირველმოწამის სახელობის ტაძარი აშენებულიყო, თორემ ისე არ ააგებდნენ.

**„წმინდა სტეფანეს ტაძარი საოცარი რამეა. როცა აქ მოვედი, ცუდი ანალიზები მქონდა. წლების განმავლობაში ვმკურნალობდი, აქ მოსვლიდან ერთ თვეში კი კარგად გავხდი. ეს სასწაული ამ ტაძარში აღვლენილმა ლოცვის მადლმა მოახდინა“.**

სტეფანე პირველმოწამე შვიდ დიაკონთაგან ერთ-ერთი იყო და დიაკონთმთავარი გახლდათ. ქრისტეს დროს ცხოვრობდა და 70 მოციქულში შედიოდა. მაცხოვარს, 12 მოციქულის გარდა, 70 კიდევ ჰყავდა. აქედან 7 დიაკონი იყო. ამ 7 დიაკვნის ხატიც არსებობს. როგორც სამოციქულოშია გადმოცემული, წმინდა სტეფანე ძალიან წრფელი ადამიანი იყო. გულწრფელად უყვარდა უფალი, რომლისთვისაც თავიც კი დასდო. საოცარი ქადაგება ჰქონდა და მას ვერავინ ამარცხებდა. როცა წმინდა სტეფანესთან იუდეველები სიტყვიერ პაექრობაში ვერაფერს გახდნენ,



Cyan Magenta Yellow Black



■ წმ. ნინოს სახელობის საყდარი

დაასმინეს, ღმერთსა და მოსეს გმობსო. ამ ბრალდებით წარდგა ნეტარი სტეფანე სინედრიონისა და მღვდელთმთავრის წინაშე. მისი პირიდან ამომავალი სიტყვები ანგელოზისას ჰგავდა. ქალაქგარეთ გაყვანა და ქვებით ჩაქოლვა მიუსაჯეს. იესო ქრისტე ფეხზე მდომი გამოეცხადა, მარიამ ღვთისმშობელი კი იმ დროს მიძინებული არ იყო და წმინდანის წამებას ესწრებოდა. წმინდა სტეფანე ამ დროს გულმხურვალედ ლოცულობდა თავისი მტრებისთვის. როგორც კი თქვა, უფალო, ნუ დასჯი ამ ცოდვებისთვის, რადგან არ იციან, რას აკეთებენო, დაიძინა.

წმინდა სტეფანე მოწამეობრივად აღსრულებული პირველი ქრისტიანი იყო და ამიტომაც ჰქვია პირველმოწამე. 30 წლისა გარდაიცვალა. მხეცთა საჯიჯგნად დაგდებული მისი ცხედარი ფარულად წაასვენეს და მიწას მიაბარეს. 415 წელს საღვთო ჩვენების შემდეგ ამოიყვანეს სტეფანე პირველმოწამის უხრწნელი ნაწილები და იერუსალიმში, სიონის ტაძარში გადააბრძანეს. ჩვენი ტაძრის საკურთხეველში ინახება წმინდა სტეფანეს ხატი, რომელშიც მისი სხეულის ნაწილია ჩაბრძანებული.



■ წმ. ნეოფიტე



■ წმ. სტეფანე და წმ. ნინო

**— ურბნისში მოღვაწეობდა კიდევ ერთი წმინდანი, ნეოფიტე ურბნელი. ისიც მოწამე იყო?**

— დიახ და ნეოფიტე ურბნელიც ქვებით ჩაქოლეს. სადაც ეს მოხდა, სოფლის ცენტრში, დღეს ნეოფიტე ურბნელის სახელობის ნიშია გაკეთებული. ნეოფიტე ურბნელი სპარსელი მეომარი იყო, ომარი ერქვა. წმინდანთა ცხოვრებაში აღწერილია, რომ მე-7 საუკუნეში, როცა საქართველოს სპარსელები შემოესივნენ, ლიახვის ხეობის აოხრების შემდეგ ორი მხედართმთავარი, რომელთა შორის ერთ-ერთი ომარი და შემდგომში ნეოფიტე ურბნელი გახლდათ, მცხეთისკენ გაგზავნეს. მათ სარკინეთის კლდესთან იხილეს გამოკვეთილი კლდე. მისი დაურბევლობა დანაშაულად მიიჩნიეს და გაღმა გასასვლელად მტკვარში შევიდნენ. თუმცა მდინარის გადალახვა ვერაფრით შეძლეს. შეძრწუნებულმა სარკინოზებმა ტყვეებს ჰკითხეს, იმ კლდეებში რა იყო. მათ უთხრეს, რომ ნეტარი შიო მღვიმელის დაარსებული მონასტერი იყო და წმინდა მამის მოღვაწეობის შესახებ მოუყვნენ. ისიც გაიგეს, რომ ამ კლდეებში მაშინაც ცხოვრობდნენ „კაცნი, მონანი ღვთისანი“.

ამ ამბის გაგონებამ მხედართმთავარნი დიდად გააკვირვა. მათ ამირა ახმადს შეატყობინეს, რაც მოხდა. ახმადმა ომარს დიდძალი ოქრო-ვერცხლი გაატანა და დააბარა, რომ სამტროდ არ მიდიოდნენ. სარკინეთის ქვაბებს მიახლოებულმა ომარმა ბერებს კაცი გაუგზავნა და აცნობა, რომ ნუგეშისსაცემად მიდიოდნენ და არა სავნებლად. მონასტერს მიახლოებულ ომარს გამოეცხადა შიო მღვიმელი, რომელსაც გარშემო ანგელოზები ეხვივნენ. მაშინ შიო მღვიმელი უკვე შესვენებული იყო. ომარი მიხვდა, რომ წვერმოსილი მოხუცი შიო მღვიმელი იყო და გარშემო მყოფნი უფლის ანგელოზები. ამ ყველაფერს მხოლოდ ომარი ხედავდა. მამებს მოუყვა, რაც ნახა და მათ ადიდეს უფალი და ნეტარი მამა, რადგან მისი მეოხებით მონასტერი აოხრებას გადაურჩა. ომარმა მონაზონთა წინაშე აღთქმა დადო, რომ ქრისტიანად მოინათლებოდა, მონაზვნად აღიკვეცებოდა და სიკვდილამდე ამ რწმენის ერთგული დარჩებოდა.

შიო მღვიმელის მითითებით მოხდა ომარის ნათლობა, ეპისკოპოსად დადგენა და ურბნისში ეპისკოპოსად გამწესება. ეს ყველაფერი ზეციური კარნახით მოხდა. მისი მითითებით დაარქვეს ნეოფიტე, რაც ახალ ნერგს ნიშნავს. სამშობლოში წავიდა, თავისი სიმდიდრე იქაურებს დაუტოვა და ისევ საქართველოში ჩამოვიდა. წმინდა ნეოფიტე სულ ითხოვდა, რომ სტეფანე პირველმოწამის მსგავსი აღსასრულის ღირსი გამხდარიყო. ღვთისგან გამორჩეული უნდა იყო, რომ ასეთი რამ ინატრო და ამის ღირსი მართლაც გახდე.

ურბნისში მაზდეანები ცხოვრობდნენ, რომლებიც ნეოფიტეს ქადაგებებს ვერ იტანდნენ. უსჯულოებმა სრულიად განმარტოებული ნეოფიტე კელიაში ნახეს და გამოათრიეს. აგინებდნენ, ეუბნებოდნენ, სამუდამოდ დაგადუმებთ და შენ მიერ დანგრეულ კერპებს ისევ აღვადგენთო. იცოდნენ, რომ წმინდა ნეოფიტე პირველმოწამე სტეფანეს მსგავს სიკვდილს ნატრობდა. ამიტომ ქვით ჩაქოლვა მიუსაჯეს. წმინდა მამამ ტკბილი ხმით მიუგო: „ტკბილ ჩემდა სიკვდილი, ულმრთონო, ტკბილ ჩემდა. საწადელ ჩემდა განყოფაი კავშირთა უკვდავისა და მოკვდავისა არსებისათა“. მისი უკანასკნელი სიტყვები კი იყო, უფალო, იესო ქრისტე, შეივედრე სული ჩემიო. ნეოფიტე ურბნელი შიო მღვიმის მონასტერშია დაკრძალული.

ნეოფიტე ურბნელის წმინდა ნაწილიც ინახება ჩვენს საკურთხეველში, სპეციალურ სანაწილეში. ასევე ჩვენი ტაძრის საკურთხეველში ინახება წმინდა გიორგის მუხლის თავი. ამ წმინდა ნაწილებს დღესასწაულებზე გამოაბრძანებენ ხოლმე, რომ ხალხი ემთხვიოს და დიდი მადლი წაიღოს აქედან.

მეუფე იობი კვეთებულის ლოცვებს წმინდა სტეფანეს სახელობის ტაძარში ატარებს. მაშინ გამოაბრძანებს ხოლმე ამ წმინდა ნაწილებს და ყველას აძლევს კურთხევას, რომ მათ ემთხვიონ. ამ წმინდა ნაწილებს ნაკურთხ წყალში გაავლებენ ხოლმე და იმ წყალს მორწმუნეებს ატანენ. ბევრი შეჭირვებული მოდის და ეს წყალი მათ დიდ შვებას აძლევს.

**— ამ ყველაფრის მიუხედავად, სოფლის მოსახლეობა მაინცდამაინც მორწმუნე არ არის და არც ტაძარში დადისო, ამბობენ.**

— დიახ, ასეა, ბევრი აქ მცხოვრები არ დადის ტაძარში. მცხეთაშიც ასეა. სვეტიცხოველში, სამთავროს მონასტერშიც არ დადის ადგილობრივი მოსახლეობის უმეტესობა. აქ წირვა-ლოცვაზე უფრო სხვა ადგილებიდან, გორიდან, ხაშურიდან მოდიან. ყველას უნდა, ამ ტაძარში დაიწეროს ჯვარი. ადგილობრივი მოსახლეობა კი არ დადის. როგორც ჩანს, როცა დიდ მადლში არიან, ბრძოლა მეტი აქვთ. ძალიან დიდი ტაძარია. მე-14 საუკუნეში გაუმაგრებიათ და საძირკველს ეტყობა, რომ უფრო დიდი იყო. გარედან სამაგრები აქვს გაკეთებული.

**— დედათა მონასტერი როდის დაარსდა?**

— არსად მოიპოვება ინფორმაცია, რომ აქ ოდესმე მონასტერი ყოფილიყო. ეს ახლახან, 1998 წელს, მეუფე იობის ლოცვა-კურთხევით მოხდა. პირველი წინამძღვარი დედა ნინო (დაშნიანი) იყო. ორი შვილი ჰყავდა გარდაცვლილი. ბევრი იდარდა და საკმაოდ ახალგაზრდა, 67 წლის ასაკში გარდაიცვალა. ტაძრის ეზოშია დაკრძალული და მის საფლავს დიდი სიყვარულით ვუვლით.

**— თქვენ როდის შეუდექით უფლის სამსახურს?**

— 20 წლის ვიყავი, როცა მონასტერში წავედი. სამთავროს მონასტერში ვიყავი სტუმრად. მაშინ ბერი გაბრიელი ცოცხალი იყო. მან მითხრა, შენი გზა მონაზვნობააო. მონასტერში ერთხელ რომ მოხვდები, მერე რთულია ამ გზას თავი დააღწიო. იოანე სინელი წერს, ადამიანი თუ მონასტრამდე არ მიჰყავს ან ღვთის სიყვარულს, ან საკუთარი ცოდვების განცდას, ან ცხონებისთვის ზრუნვას, სიცოფეა, იქ ვერ გაჩერდებაო. სტუდენტი ვიყავი, სოლომონის „ამაოება ამაოებათას“ რომ ვკითხულობდი. მორწმუნე ვიყავი, რუსთავში, ვახტანგ გორგასლის სახელობის ტაძრის მრევლი გახლდით, ჩემი მოძღვარი მამა მიქაელი იყო. ეკლესიაში და უნივერსიტეტში დავდიოდი და, ადამიანთა საქციელს რომ ვაკვირდებოდი, ყველაფერი ამაო იყო. ვეძებდი ღირებულებას, რომელიც ყველაზე უმჯობესი იქნებოდა. მერე კი ისე მოხდა, რომ სამთავროს მონასტერში მოვხვდი სტუმრად. იქ აღმოვაჩინე, რომ ეს იყო ის მარადიული ღირებულება, რისთვისაც შეიძლებოდა შენი ცხოვრება შეგეწირა. რთული გზაა, მაგრამ უფალს თუ მიენდობი, თვითონ შეგიმსუბუქებს. უფალი გვასწავლის — ტვირთი ჩემი ტკბილ არს და მსუბუქო. უკვე 20 წელია მონასტერში ვარ.

**„როცა მეუფე იობი კვეთებულის ლოცვას კითხულობს, სასწაულები ხდება. მთელი საქართველოდან, რუსეთიდან და სხვა მართლმადიდებელი ქვეყნებიდან ჩამოდიან სნეული და შეპყრობილი ადამიანები“.**

წმინდა სტეფანეს ტაძარი საოცარი რამაა. როცა აქ მოვედი, ცუდი ანალიზები მქონდა. წლების განმავლობაში ვმკურნალობდი, რევმოკარდიტი მქონდა. აქ მოსვლიდან ერთ თვეში კი კარგად გავხდი, რაც ექიმსაც გაუკვირდა. ეს სასწაული ამ ტაძარში აღვლენილმა ლოცვის მადლმა მოახდინა. აქ რომ განვიცდი, მსგავსი სიმშვიდე არსად მიგრძვნია. მთელი არსებით ვგრძნობ, რომ უფალი მეფობს. სიმშვიდე ხომ იქ არის, სადაც მადლი და წყალობაა! ნეოფიტე ურბნელის პატარა ეკლესიაც გვაქვს, სადაც ასევე ყოველდღიურად აღევლინება წირვა-ლოცვა. როცა მეუფე იობი კვეთებულის ლოცვას კითხულობს, სასწაულები ხდება. მთელი საქართველოდან, რუსეთიდან და სხვა მართლმადიდებელი ქვეყნებიდან ჩამოდიან სნეული და შეპყრობილი ადამიანები. კვეთებულის ლოცვაზე ყოფნას ხშირად ვერ ვუძლებ.

**— რატომ?**

— შეპყრობილი ადამიანები ლოცვის დროს ყვირიან, რაც შემზარავი საყურებელია. ეშმაკი ადამიანს ხან მამლის ხმაზე აყვირებს, ხან ჩიტის და ხან — რის. კვეთებულის ლოცვა მაშინ ტარდება, როცა ადამიანი თავისით ვერ ლოცულობს და სხვისი დახმარება სჭირდება ლოცვით. ღმერთმა გააძლიეროს მეუფე იობი, რომ ასეთ ადამიანებს ეხმარება თავისი დიდი ძალით. ბევრი განთავისუფლებულა ასეთი მდგომარეობისგან და მერე მადლობის სათქმელად მოსულა. ზოგს უბრალოდ ფიზიკური დაავადება აწუხებს, ზოგს — პრობლემა აქვს ოჯახში, ზოგს — ჯადო. პრობლემებისგან ნელ-ნელა თავისუფლდებიან. მეუფის ლოცვასთან ერთად მათ ამ ტაძრის მადლიც ეხმარება.

✓ **რუსუდან ადვაძე**



Cyan Magenta Yellow Black

# ფილმი, რომელშიც ბელურაც კი კარგად თამაშობდა

## „მსახიობებმა ისე ვიმუშავეთ, სცენარი არ გვქონდა წაკითხული“

„ბელურების გადაფრენა“ თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტის დამამთავრებელი კურსის სტუდენტმა, შემდგომში ცნობილმა რეჟისორმა თემურ ბაბლუანმა გადაიღო. ფილმს საბჭოთა ცენზურა მტრულად შეხვდა, დაიწუნეს, რადგან მასში კომკავშირის ხსენება არ იყო, არსად ჩანდნენ პიონერები და ა.შ. საბჭოთა ბავშვი კი მაგნიტოფონს იპარავდა. საბოლოოდ ფილმს მწვანე შუქი ცნობილმა რუსმა რეჟისორმა სერგეი გერასიმოვმა აუნთო, „ბელურების გადაფრენა“ კინოეკრანებზე გაუშვეს და პოპულარობაც მოიპოვა.

„ბელურების გადაფრენა“ — 1980 წელი
**დამდგმელი რეჟისორი**: თემურ ბაბლუანი
**სცენარის ავტორი**: თემურ ბაბლუანი
**დამდგმელი ოპერატორი**: ვიქტორ ანდრიევსკი
**დამდგმელი მხატვარი**: იული კვაჭაძე
**ხმის რეჟისორი/ოპერატორი**: გურამ შუბლაძე
**მუსიკალური გაფორმება**: თემურ ბაბლუანისა
**მონაწილეობენ**: ელგუჯა ბურდული (კაცი ბელურათი), თემურ ბიჭიაშვილი, რეზო ესაძე, შოთა სხირტლაძე, ზოზო (იაზონ) ბაქრაძე, ლუდმილა ალიმბარაშვილი, შოთა ნოზაძე, ამირან ამირანაშვილი, ტრისტან სარალიძე, ვლადიმერ (ლადო) ბურდული, ავთანდილ მიქაძე, როსტომ ლორთქიფანიძე, გურამ ფირცხალავა, ზაქარია (შაქრო) ჯორჯაძე, ნოდარ სოხაძე, ლეო (ლევან) ფილფანი, თეიმურაზ კვანტალიანი.





კადრები ფილმიდან

ფილმის სიუჟეტი ასე ვითარდება: მატარებელში, სადაც ბევრი მგზავრია, მთავარი გმირის ყურადღებას ერთი კაცი მიიქცევს, რომელიც ათასნაირ ამბავს ყვება და მგზავრებიც ინტერესით უსმენენ. მთავარი გმირი ხვდება, რომ მგზავრი ტყუილ-მართალს ერთმანეთში ურევს და ჩხუბს დაუწყებს. ისინი უკაცრიელ სადგურზე ჩადიან და მათი ჩხუბი იქ გრძელდება. ალმოჩნდება, რომ ის ტრაბახა კაცი სინამდვილეში სოფლელი მღებავია. საბოლოოდ მთავარ გმირს ნაცემი კაცი შეეცოდებდა და შესთავაზებს, რომ რუსეთში გაჰყვეს და იქ ერთად იმუშაონ მშენებლობაზე.

### მუშაობა სცენარის გარეშე

**ელგუჯა ბურდული:**

— მე და თემურ ბაბლუანი მეგობრები კი ვიყავით, მაგრამ მხოლოდ ამის გამო არ ამიყვანდა მთავარ როლზე. ალბათ ჩემში რაღაც ისეთი დაინახა, რაც მის ფილმს სჭირდებოდა. საინტერესო როლი შემომთავაზა და მეც დავთანხმდი. მანამდე რუსეთში ხუთ ფილმში გადამიღეს, საქართველოში კი ეს ჩემთვის პირველი როლი იყო. გადაღებების დროს სცენარი თვალით არ გვინახავს. ყველა მსახიობი მთლიანად თემურზე ვიყავით მინდობილი. რასაც გვეტყოდა, ყველაფერზე ვთანხმდებოდით. სცენარი თავიდან ბოლომდე რომ წავიკითხეთ, ფილმი უკვე მზად იყო. წარმოიდგინეთ, ჩვენი რეაქცია როგორი იქნებოდა. მაშინ მივხვდით, რა გადავიღეთ, მუშაობის პროცესში კიდევ ვერ ვაცნობიერებდით.



ელგუჯა ბურდული

**ელგუჯა ბურდული: „ბელურების გადაფრენა“ არის ფილმი, რომელსაც ყოველთვის დიდი სიამოვნებით ვუყურებ, განსხვავებით „უძინართა მზისგან“. მისი ყურება მიჭირს“.**

„ბელურების გადაფრენა“ სადიპლომო ნამუშევრად იყო გამიზნული და არა — ეკრანზე გამოსასვლელად. თემურს მეგობრები ვეხმარებოდით და ისე გადავიღეთ, მაგრამ იმდენად კარგი გამოვიდა, კინოეკრანებზეც წარმატება მოიპოვა. ფინანსები ცოტა გვქონდა. ხშირად ჩემს ფულს ვხარჯავდი, რომ მსახიობებისთვის მატარებლის ბილეთები ამეღო ან საჭმელი გვეჭამა. მაშინ სხვა დრო იყო, სიყვარული და მეგობრობა ფასობდა, ფულზე არავინ ფიქრობდა.

ფილმში არაჩვეულებრივი პარტნიორი მყავდა — თემურ ბიჭიაშვილი. ის ჩემი გამორჩეული მეგობარი იყო. მისი გარდაცვალება ისე განვიცადე, თითქოს საკუთარი ძმა გამომაკლდა... ყველაზე სახალისო ჩვენი ჩხუბის სცენები იყო. 30-მდე დუბლს მაინც ვაკეთებდით. ბოლო გადაღებაზე კი უკვე აღარც ვფიქრობდით, რა და როგორ გაგვეკეთებინა და კარგად ვჩხუბობდით ხოლმე.

გადაღებები თბილისში, კასპსა და ხანდაკში მიმდინარეობდა. ხანდაკში ჩვენი მაყურებლები ჩიტები, არწივები, შევარდნები და ძროხები იყვნენ. ერთხელ სროლის ხმა გავიგონეთ. ამ დროს დავინახეთ, რომ წინ ფრთაში დაჭრილი ქორი მოფრინავდა და უკან ყვავი მოსჩხაოდა. გადასაღებ მოედანს გადაუფრინეს, ქორი იქვე, ბუჩქნარში ჩაეშვა და ყვავიც მიჰყვა. როგორც ჩანს, ქორს ვილაცამ ესროლა, ყვავი კი სისხლის სუნზე გამოეკიდა. მთელმა გადამღებმა ჯგუფმა მუშაობა შევწყვიტეთ და ბუჩქებს მივაშურეთ. სად არ ვეძებეთ, მაგრამ ქორს ველარ მივაკვლიეთ, არადა მისი შველა გვინდოდა. ეტყობა, ყვავმა ჭკუით გვაჯობა და უცებ გაათრია.

სოფელ ხანდაკში ძველი ეკლესიის ნაშთი იყო, რომელიც ზუსტად ჩვენი გადასაღები მოედნის ზევით მდებარეობდა. იქ ხშირად ავდიოდით და სანთლებს ვანთებდით.

### ცენზურა

— ფილმს თავიდან დაბრკოლებები შევხდა და საბჭოთა კინოეკრანზე არ უშვებდნენ. ამბობდნენ, მასში არც კომკავშირელია ვინმე და არც პიონერიო. არ მოსწონდათ ის ეპიზოდი, როცა ბავშვი მაგნიტოფონს იპარავს. სხვათა შორის, იმ ბიჭის როლში ჩემი შვილია — ლადო.

**ელგუჯა ბურდული: „თემურ ბიჭიაშვილი ჩემი მეგობარი იყო. მისი გარდაცვალება ისე განვიცადე, თითქოს საკუთარი ძმა გამომაკლდა... ყველაზე სახალისო ჩვენი ჩხუბის სცენები იყო. ბოლო გადაღებაზე კი უკვე აღარც ვფიქრობდით, რა და როგორ გაგვეკეთებინა და კარგად ვჩხუბობდით ხოლმე“.**

მოსკოვში დიდმა რეჟისორმა სერგეი გერასიმოვმა ჩვენი ფილმი კინოსარეჟისორო ფაკულტეტის ყველა სტუდენტს რამდენჯერმე აჩვენა. შემდეგ საქართველოს ცკ-ში დარეკა და იკითხა, ამ ფილმს კინოეკრანზე რატომ არ უშვებთო. მთავრობამ კი ამ საქმის მოგვარება ჟიული შარტავას მიანდო. მან თავისთან დაგვიბარა. მე და თემური მანამდე უკვე კარგად ვიცნობდით ჟიულის და მასთან ვმეგობრობდით. იქ რომ მივედით და ფილმი ნახა, მხოლოდ ის იკითხა, რად გინდოდათ ის ეპიზოდი, სადაც ბავშვი მაგნიტოფონს იპარავსო. თემურმა უპასუხა, ეგ ბავშვი მაგნიტოფონს კი არა, სიმღერას იპარავსო. მე კი ვუთხარი, ეგ მაგნიტოფონი მართლაც ლადოსი იყო და ცოტა ხნით გვათხოვა, რომ გადაღებებში გამოგვეყენებინა, რადგან დროულად არ დავუბრუნეთ, გადასაღებ მოედანზე მოვიდა და თავისი მაგნიტოფონი უკან წაიღო, ჩვენ კი ეს ყველაფერი გადავიღეთ და ფილმში შევიტანეთ-მეთქი. ეს რომ ვთქვი, სამივეს გაგვეცინა. ამის შემდეგ „ბელურების გადაფრენა“ საბჭოთა ეკრანზე გაუშვეს.

ხშირად ვადარებ ერთმანეთს „უძინართა მზესა“ და „ბელურების გადაფრენას“ და მინდა, ვთქვა, რომ ეს უკანასკნელი უფრო მეტად



Cyan Magenta Yellow Black


ტრისტან სარალიძე

**ტრისტან სარალიძე: „თემური რამდენადაც დიდი პროფესიონალია, იმდენად რთული კაცია. „ბეღურების გადაფრენას“ რომ იღებდა, არც ყვირილს ერიდებოდა, არც — შელაპარაკებას, რადგან მისთვის მთავარი იყო შედეგი. პატარა დეტალიც თუ არ მოეწონებოდა, არ „გაატარებდა“ და იქამდე იღებდა, სანამ სასურველ შედეგს არ მიაღწევდა“.**

მიყვარს. მასში მთელი სული და გული ჩავდე და ხალისით ვითამაშე. „უძინართა მზეშიც“ სულით და გულით ვიმუშავე, მაგრამ ჩემი გმირი ძალიან მეცოდება. „ბეღურების გადაფრენა“ არის ფილმი, რომელსაც ყოველთვის დიდი სიამოვნებით ვუყურებ, განსხვავებით „უძინართა მზისგან“. მისი ყურება მიჭირს.

## მკაცრი რეჟისორი

**ტრისტან სარალიძე:**

— თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტის მესამე კურსზე ვიყავი, როდესაც ამ ფილმის გადაღება დაიწყო. თემური ჩემს პარალელურ კურსზე, სარეჟისორო ფაკულტეტზე სწავლობდა. გამორჩეული ჯგუფი ჰქონდათ. ერთად სწავლობდნენ გია მატარაძე, გოდერძი ჩოხელი...

„ბეღურების გადაფრენა“ თავიდან საკურსო ფილმად იყო ჩაფიქრებული. გადაღება 1977 წელს დაიწყო, შემდეგ დროებით შეჩერდა და ისევ გაგრძელდა. ჩემთვის ეს პირველი ფილმი იყო, ამით გამეხსნა გზა კინოში. თემურს ახლოს ვიცნობდი და შემომთავაზა, მის ფილმში მეთამაშა. მანამდე ფინეთში წავედი, უმაღლესი ინსტიტუტების წარჩინებული სტუდენტები ერთად გაგვიშვეს. ყველა ქალაქი მოვიარეთ. ჰელსინკში მაისური ვიყიდე, რომელსაც ამერიკის დროშა ეხატა. საქართველოში ასეთ მაისურებს იშვიათად ნახავდით. თემურს ძალიან მოეწონა და მითხრა, ფილმში ამ მაისურით გადაგიღებო. კინოსტუდიის დიდ პავილიონში ვიღებდით. სპეციალური დიდი კუპე იყო გაკეთებული, რამდენიმე სცენა კი ნამდვილ მატარებელში გადავიღეთ. ამ დროს უკვე ზამთარი იყო. წარმოიდგინეთ, სიცივეში იმ მაისურით ვიჯექი. ამიტომაც ასეთი რაღაც მოვიფიქრე, თუ კამერა ჩემკენ არ იყო მომართული, ქურთუკი მეცვა. კამერა ჩემკენ რომ წამოვიდოდა, ქურთუკს მაშინვე ვიხდიდი. ერთ-ერთი სერიოზული კადრის გადაღების დროს ელვა გამეჭედა, გახდა ვერ მოვასწარი და მთელი კადრი გავაფუჭე. ამის გამო თემური გამიბრაზდა.

ფილმში ძალიან კარგ მსახიობებთან მომიწია მუშაობა და სტუდენტი ბიჭისთვის ეს ბევრს ნიშნავდა. რეზო ესაძე ფილმში მუნჯის როლს ასრულებს. იმ დროისთვის მას უკვე გადაღებული ჰქონდა ფილმი „ერთი ნახვით შეყვარება“, რომელიც ძალიან მიყვარს. მთელ დღეებს ბატონი რეზოს გვერდით ვატარებდი, რადგან ზოგჯერ საინტერესო რაღაცეებს ყვებოდა. ჩემთვის კი ასეთი პროფესიონალის თითოეული სიტყვა მნიშვნელოვანი იყო.


თემურ ბაბლუანი

**ელგუჯა ბურდული: „ხშირად ჩემს ფულს ვხარჯავდი, რომ მსახიობებისთვის მატარებლის ბილეთები ამელო ან საჭმელი გვეჭამა. მაშინ სხვა დრო იყო, სიყვარული და მეგობრობა ფასობდა, ფულზე არავინ ფიქრობდა“.**

თემური რამდენადაც დიდი პროფესიონალია, იმდენად რთული კაცია. მას უნდა, რაც კი კადრშია მოცემული, ყველაფერი მაქსიმალურად მიიტანოს მაყურებლამდე და თან ესთეტიკურად კარგად გააკეთოს. ეს კი დიდ ძალისხმევას მოითხოვს. თემური ბევრს შრომობს ხოლმე სასურველი შედეგის მისაღწევად. „ბეღურების გადაფრენას“ რომ იღებდა, არც ყვირილს ერიდებოდა, არც შელაპარაკებას, რადგან მისთვის მთავარი იყო შედეგი. პატარა დეტალიც თუ არ მოეწონებოდა, არ „გაატარებდა“ და იქამდე იღებდა, სანამ სასურველ შედეგს არ მიაღწევდა. მართლაც ძალიან კარგი ფილმი გამოვიდა.

## ნიჭიერი ბეღურა


გურამ ფირცხალავა

**გურამ ფიცხალავა:**

— ამ ფილმის გადაღებიდან იმდენად დიდი დრო გავიდა, ბევრი დეტალი აღარც მახსოვს. „ბეღურების გადაფრენას“ რამდენჯერაც ვნახავ, იმდენჯერ სიხარულისა და სინანულის განცდა მეუფლება. სიხარულის იმიტომ, რომ ასეთ კარგ ფილმში მეც მივიღე მონაწილეობა და სინანულის იმიტომ, რომ წლები მალე გარბის...

**გურამ ფირცხალავა: „სულ მიკვირს, გუჯა ბურდულმა ბეღურა ასე როგორ მიიჩვია. რომ გენახათ, ეს ჩიტი როგორ იქცეოდა, გეგონებოდათ, ვინმემ დაარიგაო. გუჯას ადამიანივით ყველაფერს უჯერებდა. მხარზე დაისვამდა და ასე დადიოდა. ბეღურამაც კარგად ითამაშა“.**

სულ მიკვირს, გუჯა ბურდულმა ბეღურა ასე როგორ მიიჩვია. რომ გენახათ, ეს ჩიტი როგორ იქცეოდა, გეგონებოდათ, ვინმემ დაარიგაო. გუჯას ადამიანივით ყველაფერს უჯერებდა. მხარზე დაისვამდა და ასე დადიოდა. ბარტყი იყო, რომ მოიყვანეს და ასე მიიჩვია. მოკლედ, ბეღურამაც კარგად ითამაშა.

მე და თემური ერთმანეთთან ვმეგობრობდით. ერთ დღეს სახინკლეში ვიყავით. სწორედ იმ დღეს მომიყვა „ბეღურების გადაფრენის“ სცენარი. რამდენიმე ხანში კი ფილმში მონაწილეობა შემომთავაზა. მე ეპიზოდური როლი მაქვს, მილიციელი ვითამაშე. მართალია, თემური იმ დროს სტუდენტი იყო, მაგრამ პროფესიონალიზმი მაშინვე ეტყობოდა. რადგანაც ეს სადიპლომო ფილმი იყო, ხელმომჭირნედ ვიყავით, ენთუზიაზმით ვმუშაობდით. ისეთი დრო იყო, ყველა სიხარულით ვაკეთებდით საქმეს. სამუშაო რომ გვქონდა, ამითაც კმაყოფილები ვიყავით და ფუტკრებივით ვშრომობდით.

**გურამ ფირცხალავა: „გადაღების მომენტში ისეთი შეგრძნება გამიჩნდა, რომ „ბეღურების გადაფრენა“ კაცური ფილმია. დღესაც, რამდენჯერაც ამ ფილმს ვნახავ, იმდენჯერ ვრწმუნდები, რომ მართლა კაცური ნამუშევარია“.**

გადაღების მომენტში ისეთი შეგრძნება გამიჩნდა, რომ „ბეღურების გადაფრენა“ კაცური ფილმია. დღესაც, რამდენჯერაც ამ ფილმს ვნახავ, იმდენჯერ ვრწმუნდები, რომ მართლა კაცური ნამუშევარია. იშვიათად ხდება ხოლმე, სადიპლომო ფილმი ასეთი კარგი გამოვიდეს.

✓ თეონა კენჭიაშვილი


გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.





Cyan Magenta Yellow Black

ტკივილი

# გიგა ლორთქიფანიძე უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ცოლის სახელს იმეორებდა

## „მამა დედაზე 17 წლის ბიჭივით იყო შეყვარებული“



„საავადმყოფოში მამას შვილები თავზე ვადექით, მის გაღვიძებას ველოდით, რომ დავლაპარაკებოდით, მაგრამ როგორც კი თვალი გაახილა, ისევ დედა იკითხა. ვუთხარი, მამა, ნუთუ ყველაზე მეტად, შვილებზე მეტადაც კი დედა გიყვარს-მეთქი და კიო, მიპასუხა. დედას მიმართ საოცარი სიყვარული ჰქონდა“, — იხსენებს გიგა ლორთქიფანიძის ქალიშვილი ნანა ლორთქიფანიძე მამის უკანასკნელ დღეებს.

22 ივლისს ცნობილი რეჟისორის ამქვეყნიდან წასვლის 40 დღე შესრულდა. მის გარეშე ყველას უჭირს, შვილებს, შვილიშვილებს, შვილთაშვილებს, მაგრამ განსაკუთრებით ცოლს, ქეთევან კიკნაძეს. მთელი ოჯახის ყურადღება ახლა მისკენაა მიმართული, რათა ტკივილი შეუმსუბუქონ.

**— ქალბატონო ნანა, როგორი იყო ცხოვრება მამასთან ერთად და როგორ გრძელდება მის გარეშე, ყველაზე მეტად რა გენატრებათ?**

— მეგონა, მამა უკვდავი იყო. ამხელა ქალი დარწმუნებული ვიყავი, რომ ის მუდამ იცოცხლებდა. თურმე მხოლოდ მე არ მქონია ეს შეგრძნება. მსახიობები, რომლებიც სამძიმრის სათქმელად მოდიოდნენ, ერთსა და იმავე ტექსტს ამბობდნენ, დავობლდით, გვეგონა, რომ მთასავით გიგას სახით მფარველი ანგელოზი ყოველთვის გვეყოლებოდაო.

რატომღაც ყველგან წერენ, რომ მამა 86 წლის ასაკში გარდაიცვალა, მაგრამ 85 წლის იყო. მას ასაკის შეგრძნება არ ჰქონდა, კარგი მეხსიერება, თანამედროვე ხედვა გააჩნდა. ზოგჯერ დასამშვიდებლად მეუბნებიან, გიგა ბედნიერი წავიდა, შვილებთან, შვილიშვილებთან გაიხარა, ასეთი წარმატებული იყოო, მაგრამ ეს ჩემთვის შვება სულაც არ არის.



■ ნანა ლორთქიფანიძე

ყველა მშობელი შვილისთვის ძალიან კარგია, მაგრამ გიგა ლორთქიფანიძე მართლაც განსაკუთრებული შემთხვევა იყო. ხშირად, როცა რაღაც საკითხი მაინტერესებდა, მეუბნებოდნენ, ინტერნეტში შედი და ნახეო, მაგრამ ჩემი ინტერნეტი ის იყო. ნებისმიერ კითხვაზე პასუხი ჰქონდა და მისი პასუხი სადაც უნდა გადამემოწმებინა, ყოველთვის სწორი იყო. ხშირად ვამბობდი: „ვკითხავ მამაჩემს“.

**— ძალიან კარგი მეგობრებიც ყოფილხართ.**

— ჩვენ მართლაც ძალიან კარგი მეგობრები ვიყავით. მისი წასვლის შემდეგ იმხელა რაღაც მაკლია, რომ ამას სიტყვებით ვერ გადმოგცემთ. მამას გარდაცვალების დღეს აღმოვაჩინე, რომ ცხოვრება საერთოდ სხვა რამ ყოფილა, მე კი სხვა მეგონა. მამასთან ერთად ჩემში მოკვდა რაღაც დიდი ნაწილი

**„მამას ცუდად ყოფნა იმან გამოიწვია, რომ 2003 წლიდან მოყოლებული რიგრიგობით დაკარგა სამსახურები, ფუნქციები. მისი გამოყენება შეიძლებოდა როგორც მოქალაქის, როგორც რეჟისორის, პედაგოგის, მაგრამ ასე არ მოხდა. ამან ნელ-ნელა დეპრესიისკენ წაიყვანა".**

და ამ სიცარიელეს ვერაფერი შემივსებს. ახლა წყნეთში ჩემს შვილიშვილებთან ერთად ვარ, ისინი არც ტირილს მაცლიან და არც ფიქრს, მაგრამ საკმარისია, ერთი წამით ჩემს თავთან მარტო დავრჩე და მაშინვე უსუსურობის შეგრძნება მიჩნდება. თურმე მწოლიარე მამაც კი რამხელა იმედი და ზურგი ყოფილა ჩემთვის. ჩვენ ყველა მას ვიყავით ამოფარებული, სწორედ ამიტომ არასოდეს არაფრის მეშინოდა. ის ჩემი დიდი ძალა იყო.

**— ალბათ გრძნობდა მარადიულობაში გადასვლის მოახლოებას.**

— გრძნობდა და რამდენჯერმე მითხრა კიდეც. სამი დღით ადრე ჩემს უფროს დაზე მკითხა, თუ მოვაო. ვუთხარი, როგორ არ მოვა და შენი შვილიშვილებიც მოვლენ-მეთქი. მითხრა, ნინო მოვიდეს, მაგრამ მაიკო, ქეთი და ანუკა ნუ მოვლენ, ეგენი პატარები არიან და რამე რომ მოხდეს, ცოდოები არიანო. უკვე გრძნობდა, რომ ყოველ წუთს შეიძლებოდა ამქვეყნიდან წასულიყო, რაზეც ძალიან ვბრაზობდი. ეგეთ სისულელეებს რატომ ამბობ, აი, ნახავ, ჩვენ თუ სახლში არ გავალთ-მეთქი.

როცა გაიგო, მისთვის ვარ-

**„როცა გაიგო, მისთვის ვარსკვლავის გახსნას აპირებდნენ, ისეთი ბედნიერი იყო... ვეუბნებოდი, სავარძელში ჩაგსვამ, წავალთ და ძალიან კარგ საღამოს გავაკეთებთ-მეთქი".**

სკვლავის გახსნას აპირებდნენ, ისეთი ბედნიერი იყო... ვინც მოდიოდა, ყველას ეუბნებოდა, მარჯანიშვილის თეატრის წინ თურმე ჩემი ვარსკვლავის გახსნას აპირებენო. ვეუბნებოდი, სავარძელში ჩაგსვამ, წავალთ და ძალიან კარგ საღამოს გავაკეთებთ-მეთქი. გარდაცვალებიდან მე-9 დღეს ვარსკვლავი გაუხსნეს.

მამას ძალიან ბავშვური შეფასებები ჰქონდა, ემოციური იყო, პატარა რაღაცაზეც კი ბავშვივით აღფრთოვანდებოდა.

**— ქალბატონი ქეთევანი როგორ არის?**

— ძალიან მძიმედ. საშინელი დეპრესია დაეწყო, არავინ და არაფერი უნდა. ვერც წყნეთში ავიყვანეთ. მარტო ყოფნა სურს, ძალიან უჭირს. ბევრი დრო დასჭირდება, რომ ამ მდგომარეობიდან გამოვიდეს. მამა უთბილესი ადამიანი იყო, „ჩემო სიცოცხლე“, „ჩემო სიყვარულოს“ მეტი არაფერი უთქვამს ჩვენთვის. ძალიან ფიცხი კი იყო, უბრალო რამეზე შეეძლო ეყვირა, ყველაფერი დაენგრია, მაგრამ წამში აღარ ახსოვდა. თუ მოვეფერებოდით და, მამიკოო, ვეტყოდით, ისე დნებოდა, რასაც გვინდოდა,



■ ცოლ-ქმარი

**„თუ ვინმე დედაზე ლამაზი, ჭკვიანი, მოხერხებული იყო, მამა მაინც ამბობდა, რომ მისი მსგავსი არავინ იყო. ამბობდა, კარგია, მაგრამ ქეთინოს რომ უხდება, მან რომ გააკეთა, მან რომ იცის, ეს მასთან რა შესადარიაო".**

გავაკეთებინებდით. ამდენი ბავშვი რომ ერთად შეიყრება და ჩხუბობენ, დიდი ჟივილხივილი აქვთ, ადამიანი იღლები და გინდა, თავი დაგანებონ, მაგრამ მამა ამისგან არასოდეს იღლებოდა. ყოველთვის უნდოდა, სამივე შვილი ჩვენი შვილებით და შვილიშვილებით მასთან ვყოფილიყავით, ამ დროს იყო ყველაზე ბედნიერი. თუ მოხდებოდა და ერთი დღე ვერ მივიდოდი, მეუბნებოდა, სიცოცხლეს რატომ მიმწარებ, ამდენი ხანი არ უნდა მნახოო.

**— მამას ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება იმანაც ხომ არ გამოიწვია, რომ ცოტა ხნით ადრე დედათქვენი ავადმყოფობდა?**

— მამას ცუდად ყოფნა იმან გამოიწვია, რომ 2003 წლიდან მოყოლებული რიგრიგობით დაკარგა სამსახურები, ფუნქციები, რასაც ვერ ეგუებოდა. 75 წლის ასაკში ძალიან ენერგიული იყო. საშინლად განიცადა, რომ ბოლო წლებში ველარც ფილმი გადაიღო, ვეღარც სპექტაკლი დადგა და აღარც თეატრალური უნივერსიტეტის რექტორი იყო. სააკაშვილის მთავრობამ, პირ-



Cyan Magenta Yellow Black

ველ რიგში, ასაკობრივი ცენზი დააწესა და 75 წლის გიგა ლორთქიფანიძე რექტორობიდან გაათავისუფლეს. ამის გამო ჩვენ უფრო ვინერვიულეთ, ვიდრე მან. უნივერსიტეტში დადიოდა, სარეჟისორო ჯგუფები ჰყავდა. ვეკითხებოდი, რექტორის კაბინეტს რომ ჩაუვლი, გული როგორ არ გწყდება-მეთქი. მპასუხობდა, ჩემი რექტორობა გუშინდელი ზღაპარივით მახსოვს, სულ ამ თანამდებობაზე ხომ არ ვიქნებოდიო. მაშინ რაღაც ფუნქციები ჯერ კიდევ ჰქონდა.

მამას დასვენება არ შეეძლო. ამბობდა, როგორც კი სახლში დავჯდები, მაშინვე მოვკვდებიო. ვფიქრობ, მამას გამოყენება კიდევ შეიძლებოდა როგორც მოქალაქის, როგორც რეჟისორის, პედაგოგის, მაგრამ ასე არ მოხდა. ამან ნელ-ნელა დეპრესიისკენ წაიყვანა. მერე დედას ავადმყოფობაც დაერთო, ორი თვე სტამბულში გვყავდა. სანამ ჩვენ იქ ვიყავით, მამა მაგრად იყო, დედას ელოდებოდა, თავად ფრენა აღარ შეეძლო. როგორც კი დედა ჩამოვიდა, მამა მოეშვა, მერე სახლიდან აღარ გადიოდა, ლოგინად ჩავარდა, ადგომის ინტერესი აღარ ჰქონდა. ჩვენთან ჟურნალისტები სულ მოდიოდნენ და ამ დროს თუ დგებოდა მათ დასახვედრად.

**— თქვენი მშობლების სიყვარულის ამბავი ლამაზ ლეგენდასავით არის. როგორი იყო შვილის თვალით დანახული მათი ურთიერთობა?**

— მამა მუდამ გამიჯნურებული იყო ცოლზე. ისე იყო დედაზე შეყვარებული, როგორც 17 წლის ბიჭი. ბოლო დღეებში ერთი წამითაც თუ გაახელდა თვალს, დედას კითხულობდა, ქეთინო როგორ არისო. როცა ვეტყოდით, რომ კარგად იყო, თვალებს ისევ ხუჭავდა. ერთ დღეს შვილები, მე, ნინო და მაიკო, თავზე ვადექით, მის გაღვიძებას ველოდით, რომ დავლაპარაკებოდით, მაგრამ, როგორც კი თვალი გაახილა, ისევ დედა იკითხა. ვუთხარი, მამა, ნუთუ ყველაზე მეტად, შვილებზე მეტადაც კი, დედა გიყვარს-მეთქი და კიო, მიპასუხა. დედა საოცრად უყვარდა. თუ ვინმე მასზე ლამაზი, ჭკვიანი, მოხერხებული იყო, მამა მაინც ამბობდა, რომ მისი მსგავსი არავინ იყო. ამბობდა, კარგია, მაგრამ ქეთინოს რომ უხდება, მან რომ გააკეთა, მან რომ იცის, რა შესადარიაო. სახლში როგორც კი შემოვიდოდა, მაშინვე დედას კითხულობდა. რომ გაიგებდა, სახლში იყო და თავისი გემრიელი სადილით მას ელოდებოდა, მხოლოდ მერე ინტერესდებოდა ჩვენით.

**— ცოტა ხნის წინ ოთარ მეღვინეთუხუცესიც წავიდა ამქვეყნიდან. მისი და მამათქვენის შემოქმედება და ბედი თითქოს ერთმანეთს გადაეჯაჭვა...**

— საოცრებაა, რომ საავადმყოფოში მამას გვერდით დააწვინეს ოთარიც. მისი გარდაცვალების მეორე დღიდან მამა ძალიან დამძიმდა. ოთარის გარდაცვალებას ვუმალავდით. მისი ამბავი რომ იკითხა, ვუთხარი, ძალიან ცუდად იყო და სახლში წაიყვანეს-მეთქი. მაშინვე მიხვდა და ტირილი დაიწყო. ოთარის ორმოცი რომ იყო, იმ დღეს მამა დავასაფლავეთ. მთელი ცხოვრება ერთად იმუშავეს, რეჟისორის და მსახიობის შესანიშნავი თანხვედრა მოხდა. უახლოესი მეგობრები იყვნენ, ერთმანეთის მიმართ დიდი სიყვარული და პატივისცემა ჰქონდათ. ოთარზე სულ ამბობდა, ერთია, რომ დიდი არტისტი და უნიჭიერესი ადამიანია და



■ ქეთევანი, ნანა და გიგა

**„დედას საშინელი დეპრესია დაეწყო, არავინ და არაფერი უნდა. მარტო ყოფნა სურს, ძალიან უჭირს. ბევრი დრო დასჭირდება, რომ ამ მდგომარეობიდან გამოვიდეს".**

მეორეა, რომ მასთან მუშაობა უდიდესი სიამოვნებაა, გულუბრყვილო, ბავშვური თვალებით გიყურებს და გიჯერებსო. ერთმანეთს ძალიან ენდობოდნენ.

**— ცნობილია, რომ არ უყვარდა, როცა მსახიობი რეპეტიციაზე აგვიანებდა. ამ საკითხში თქვენ მიმართაც სიმკაცრეს იჩენდა?**

— კი, ამ დროს საშინლად ბრაზობდა, მაგრამ მსახიობებს აუცილებლად ისეთი გულისამაჩუყებელი ისტორია ჰქონდათ მოგონილი, რომ მამას იმ წუთას გადაუვლიდა გაბრაზება. განსაკუთრებულად მკაცრი მაშინ იყო, როცა ოჯახის წევრებთან მუშაობდა. ყველას ჯავრს ჩვენზე იყრიდა ხოლმე. თეატრში მამასთან სულ ორჯერ ვიმუშავე, ერთხელ თეატრალურში და ერთხელაც 5 წლის წინ რუსთაველის თეატრში „წათეს წითელი წაღები“ რომ დადგა. ეს მისი უკანასკნელი სპექტაკლი იყო. პირველი წუთიდან ტექსტიც კი ზეპირად ვიცოდი, რომელ დაგვიანებაზე იყო ლაპარაკი. ვცდილობდი, ჩემთვის შენიშვნა არ მოეცა, მაგრამ მაინც სულ მიყვიროდა და მეჩხუბებოდა. სხვებზე რომ ბრაზდებოდა, ჩემზე იყრიდა ჯავრს.

**— თქვენი ოჯახი სტუმართმოყვარეობით არის ცნობილი, თქვენთან გატარებულ საღამოებს ყველა საოცარი სიყვარულით და სევდით იგონებს. ასეთ შეხვედრებს რა მატებდა ხიბლს?**

— ამდენი უნიჭიერესი ადამიანი ერთად თავმოყრილი, მათი ურთიერთობა ნამდვილი ზეიმი, კარგი სპექტაკლი იყო. დიდი მხიარულება და ზღვა იუმორი იყო. როგორ შეიძლებოდა, საოცრება არ ყოფილიყო ის ქეიფი, სადაც სუფრასთან ისხდნენ ნოდარ დუმბაძე, თემიკო ჩირგაძე, ოთარ ლითანიშვილი. სულ ვფიქრობ, რა საშინელებაა, რომ ჩვენი შვილები ასეთ ადამიანებს ვერ ნახავენ. მე და ჩემს დებს შესაშური რაღაცეები გვაქვს ნანახი.

მამაზე ასე კარგად მხოლოდ მისი წასვლის შემდეგ არ ვლაპარაკობ, ყოველთვის ვაფასებდით. ის მუდამ იქ იდგა, სადაც უნდა ყოფილიყო, სადაც მისი სამშობლოს კეთილდღეობის საქმე წყდებოდა... შვილები მშობლების სარკეაო, ნათქვამია და ეს ასეა. მისი ყოველთვის მჯეროდა, ჩემთვის ყველაზე კომპეტენტური ადამიანი იყო, ამიტომ თუნდაც პოლიტიკასთან დაკავშირებით, იქ, სადაც მამა იყო, ოჯახიც გვერდით ვედექით. თავის სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული გახლდათ.

**— არასოდეს უთქვამს, რომ ბიჭს ნატრობდა?**

— არა. ყველას ეგონა, მამა იხტიბარს არ იტეხდა, როცა ამბობდა, გოგოებს რა სჯობსო, მაგრამ მართლა ასე ფიქრობდა. მერე დებსაც გოგოები გვეყოლა. ბოლოს მაიკომ, ჩემმა უმცროსმა დამ, გააჩინა ბიჭი, რომელსაც გიგა დაარქვეს. სიძემ მამას არაჩვეულებრივი საჩუქარი გაუკეთა, ბავშვს გვარი ლორთქიფანიძე მისცა. მამა ამით ძალიან კმაყოფილი, ბედნიერი და გაოცებული იყო. ერთხელ მაიკომ ფეხმძიმობის დროს უთხრა, მამა, ბიჭი თუ მეყოლება, შენს სახელს დავარქმევო და მამამ იხუმრა, გიგა კვაჭანტირაძე რად მინდა, მე გიგა ლორთქიფანიძე მინდოდაო. სიძის საქციელმა ისე გაახარა, გამარჯობას ვინც ეტყოდა, ყველას ამას



■ შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად

**„დილით თვალს რომ ახელდა, მასთან ერთ-ერთი შვილი ყოველთვის ვიყავით, თავს დავტრიალებდით. ამით ძალიან კმაყოფილი იყო, გვეუბნებოდა, როგორ გყვარებივართო".**

უყვებოდა, ჩემმა სიძემ იცით, რა ქნაო... შვილთაშვილებს რომ მოესწრო, ამითაც ძალიან ბედნიერი იყო.

**— დიდი მადლობა, ქალბატონო ნანა, რომ ასეთ მძიმე წუთებში ჩვენთან საუბრის დრო გამონახეთ.**

— მამაზე გაუთავებლად შემიძლია ვილაპარაკო და უამრავი საინტერესო ისტორია მოვყვე. ეს იყო ადამიანი, რომელსაც თავად არ ელეოდა მოსაყოლი. როცა თამადობდა, ამ დროს შეეძლო უცებ ანეკდოტები მოეგონებინა, უცებ ნოველა შეეთხზა. ამ სახლში გავიზარდეთ (პეკინის გამზირზე.), ამ ოთახში 70 კაციც მჯდარა, დედაც ისეთი ხალისით ტრიალებდა გამოპრანჭული, ქუსლებზე შემდგარი... 25 წლის წინ კი ამ სახლიდან სოლოლაკში გადავიდნენ. ჩემს მშობლებს სავსე და საინტერესო ცხოვრება ჰქონდათ. რაც მთავარია, სულ ერთად იყვნენ, ყველა პრობლემა, გაჭირვება, ლხინი ერთად გამოიარეს... ბოლოს მაინც სუბიექტური ვიქნები და ვიტყვი, რომ ასეთი მამა არავის ჰყოლია!

✓ **ქეთი დინოშვილი**



Cyan Magenta Yellow Black



# „კლასელებმა თავი მომჭრეს“

მე 15 წლის ვარ. წელს ივნისში ოქროს დაბადების დღე მქონდა — 15 რიცხვში 15 წლის შევსრულდი. მშობლები სულ მეუბნებოდნენ, ოქროს დაბადების დღე განსაკუთრებულად უნდა აღგინიშნოთო და პირობა შეასრულეს კიდეც. ამ დღისთვის მთელი ჩემი კლასი დავპატიჟე. ისეთი ბედნიერი ვიყავი, მაგრამ...

არ ვიცი, ჩემი ჯიბრით მოიქცნენ ასე, თუ შემთხვევით გამოუვიდათ, მაგრამ კლასელებმა თავი მომჭრეს. ისეთ რაღაცეებს აკეთებდნენ, ჩემი მშობლები და ნათესავები პირდაღებულები უყურებდნენ. ჯერ ერთი, რამდენიმე გოგო შეყვარებულთან ერთად მოვიდა. მათთვის არ მითქვამს, წყვილ-წყვილად მოდით-მეთქი, ასე თვითონ გადაწყვიტეს. ბიჭებმა კი ღვინო უზომოდ დალიეს და აქეთ-იქით დარბოდნენ, უწმაწურ სიტყვებს ამბობდნენ. მამამ მათ მხოლოდ იმდენი სასმელი მიუტანა, რომ ერთი-ორი ჭიქა დაელიათ. ისინი კი მაღაზიაში ჩაიპარნენ, არაყები იყიდეს და გამოთვრნენ, ჭკუა გადაეკეტათ. ჩემი მშობლები გვიან მიხვდნენ, რომ არაყს სვამდნენ. მეჩხუბნენ, რატომ არ გვითხარიო, მაგრამ მართლა არ მეგონა, ასე თუ დათვრებოდნენ.

ჩემი კლასელი გოგოები შეყვარებულებს კალთაში ჩაუსხდნენ და კოცნა დაუწყეს. სხვებიც არ იქცეოდნენ წესიერად. მარტო ჩემი მშობლები კი არა, მეც გაოგნებული ვუყურებდი. მსგავსი რამ არასოდეს გაუკეთებიათ და რაღა ჩემს დაბადების დღეზე გადაირივნენ. ბოლოს დედამ გამოაცხადა, ბავშვებო, ახლა დროა დავიშალოთო. მამამ ყველა სათითაოდ მიაცილა სახლის კარამდე.

მშობლებმა იმ ღამესვე მითხრეს, ეს რა მეგობრები გყოლია, ამათ გვერდით როგორ ხარო. მართლა შეშფოთდნენ. მამამ დედას უთხრა, სექტემბრიდან სხვა სკოლაში გადავიყვანოთ, ამას რას ვუყურეო. დედა და მამიდაც გაოგნებულები არიან, ჩვენ წინ როგორ ურცხვად იქცეოდნენ და სხვა დროს რას იზამენო.

მათთან ერთად სწავლა აღარც მე მინდა, რადგან ძალიან ვარ ნაწყენი. იმ დღის შემდეგ მშობლები მკაცრად მაკონტროლებენ. დედა სულ უკან დამდევს, მეკითხება, შეყვარებული შენც ხომ არ გყავსო. მამა ტანსაცმელს მიმოწმებს, შორტების და მოკლე კაბების ჩაცმა ამიკრძალა. ვნანობ, რომ დაბადების დღე გადავიხადე.

**„სარკის“ ერთგული მკითხველი**

# „მეგობრებმა ტყუილში გამომიჭირეს“

15 წლის გოგო ვარ. ტყუილები საშინლად არ მიყვარს, ერთადერთხელ მოვიტყუე და ისიც არ შემრჩა. ამის გამო ახლა ძალიან მრცხვენია და არც კი ვიცი, სექტემბერში კლასელებს თვალებში როგორ უნდა შევხედო.

მშობლები მეუბნებოდნენ, დასასვენებლად ბორჯომში წაგიყვანთო. კლასელებს ვუთხარი, რომ სამი კვირით ბორჯომში მივდიოდი. მერე როცა მკითხეს, წავედი თუ არა, მოვიტყუე, უკვე იქ ვარ-მეთქი. სიმართლის თქმის შემრცხვა, რადგან სკოლაში ბავშვებს ყურები გამოვუჭედე, ბორჯომში მაგარ დროს გავატარებ-მეთქი.

ამას წინათ ერთ-ერთმა კლასელმა დამირეკა, მეც ბორჯომში ვარ და პარკში გამოდი, გნახავო. ძალიან შემრცხვა, აღარ ვიცოდი, რა მეთქვა. ვერაფერი რომ ვერ მოვიფიქრე, ტელეფონი გავთიშე. ის მიხვდა, რომ ვიტყუებოდი და „ფეისბუქზე“ სტატუსად დაწერა, ვინც თბილისში ხართ, სახლში მიაკითხეთ, სადმე წაიყვანეთ და გაართეთო. მერე კლასელების კომენტარებიც იყო, შაყირობდნენ.

ასეთ მდგომარეობაში იმიტომ აღმოვჩნდი, რომ ჩემმა მშობლებმა მომატყუეს, ბორჯომში არ წამიყვანეს, მე კი სხვების მოტყუება დამჭირდა. ახლა რა ვქნა, ბავშვებს ეს ყველაფერი როგორ ავუხსნა?

**ერთგული მკითხველი**


**გამოხმაურების მსურველები დაგვიკავშირდნენ ტელეფონებზე:**
**296-75-43 ან 5 (99) 30-93-89. იკითხეთ ირინე მჭედლიძე ან იზა ბარბაქაძე, 11-დან 16.30 სთ-მდე, ყოველდღე.**
**თქვენი ისტორიების გამოგზავნა შეგიძლიათ სამი გზით:**
1. ეწვიეთ საიტ sana.ge-ს, დააწკაპუნეთ ღილაკს „მოგვწერეთ“ და დაბეჭდეთ თქვენი ისტორია.
2. გამოგზავნეთ სმს-ით ნომერზე 93887 მაგთიდან და 1779 ჯეოსელიდან.
1 სმს-ის ფასია: მაგთიდან 1 ლარი, ჯეოსელიდან 50 თეთრი.
3. ელფოსტაზე: irmchedlidze@mail.ru

**ანონიმურობა დაცულია**


# „დედის და ბიცოლას კინკლაობის გამო დასასვენებლად ვეღარ მივდივარ“

ნათესავებს საერთო სოფელი გვაქვს, სადაც ყოველ წელს ვიკრიბებით. წელს დედას და ბიცოლას შორის კონფლიქტი მოხდა, ერთმანეთს ხმა არ სცემენ, ამიტომ დედა უარს ამბობს მასთან ერთად დასვენებაზე. ბიცოლამ დაგვირეკა და გვითხრა, მასთან ერთად წავსულიყავით სოფელში, დედა კი სასტიკ უარზეა, იქ წასვლის ნება არაფრით მომცა, თითქოს პატარა გოგო ვიყო. იქ სხვა ნათესავებიც იქნებიან და საერთო მხიარულებას მარტო ჩვენ გამოვაკლდებით.

ყველაფერი დედაჩემის ბრალი იყო. არც კი ვიცი, ჩხუბი რაზე დაიწყო, მაგრამ რომ დაიწყო, აღარ გაჩერდა. ჯერ მამაჩემს უთხრა, შენმა მშობლებმა დაგვჩაგრეს, ცალკე რომ გადმოვედით საცხოვრებლად, არაფერი გამოგვატანესო. მერე რძალს, ანუ ბიცოლაჩემს დაურეკა და ეჩხუბა, დედამთილ-მამამთილმა ყველაფერი თქვენ მოგცეს, ჩვენთვის არაფერი გაიმეტესო. მან კი პირიქით, აქეთ მოსდო შარი, სახლიდან რომ გადადიოდით, ხელს ჩემი ნივთებიც გააყოლეო. დედამ ეს იუკადრისა, ჩათვალა, რომ ქურდობაში დაადანაშაულა.

მოკლედ, ატყდა ერთი ამბავი და დღემდე ერთმანეთს ხმას არ სცემენ. ბებია ეცადა, შეერიგებინა, მაგრამ ვერაფერს გახდა. მათი კინკლაობის გამო კი ბავშვები ვზარალდებით. სოფლიდან მირეკავენ და მიყვებიან, რა მაგარ დროს ატარებენ. მე კი მეშვიდე სართულზე ვზივარ და სიცხეში ვიწვები. ვერ ვხვდები, რა სიჯიუტეა, რომ იქ არ მიშვებს. მამასაც ვეხვეწები, მაგრამ ყურს არ მიგდებს. მითხარით, როგორ მოვიქცე, რომ დედამ ეს სიჯიუტე დაძლიოს.

**თქვენი ერთგული მკითხველი**

# „მშობლები მთელი ზაფხული რეპეტიტორებთან მატარებენ“

ჩემი მშობლები მაწამებენ, მთელი ზაფხული რეპეტიტორებთან დამატარებენ. უკვე ყელში ამოვიდა! ვსწავლობ, მაგრამ მაინც ვერ ხედავენ, უნდათ, რომ უკეთესი ვიყო, მე კი მეტი აღარ შემიძლია.



16 წლის ვარ. რაც ჩემს შესაძლებლობებშია, ყველაფერს ვაკეთებ, დედა კი მიმეორებს, ზარმაცი ხარ, მეტი შეგიძლიაო. წელს საგნების უმეტესობაში მაღალი ქულები მივიღე, მაგრამ რამდენიმე საგანში დაბალი ქულები დამიწერეს და დედა ამაზე გადაირია. თუ ეს ჩამორჩენა არ აინაზღაურე, სექტემბრიდან ამდენი რამის სწავლას ვერ მოასწრებ, ამიტომ მეცადინეობა ახლავე უნდა დაიწყოო. ყველა ეხვეწება, გოგო დაასვენეო, მაგრამ ვერაფერი შეასმინეს.

ინგლისურის მასწავლებელი დასასვენებლად მიდიოდა, ვიფიქრე, ამოვისუნთქავ-მეთქი, მაგრამ იცით, რა გააკეთა? ამერიკულ საზაფხულო სკოლაში მიმიყვანა. არ ვიცი, ასე რატომ მექცევა. უკვე მართლა აღარ შემიძლია.

**მკითხველი**



Cyan Magenta Yellow Black

## „იფიქრე იმაზე, რომ შეიძლება ის კნუტები კეთილი ადამიანის ხელში მოხვდნენ“

არ შემიძლია, არ გამოვეხმაურო იმ პატარა, კეთილ გოგოს, რომელიც წერს, რომ პაპამ კნუტები გადაუყარა. მეც მყავს შენნაირი შვილი, ის შენზე პატარაა, ჯერ 9 წლის არის, მაგრამ უზარმაზარი კეთილი გული აქვს, ისევე, როგორც შენ. ქუჩიდანაც კი მოჰყავს კნუტები და ლეკვები. მეც ასეთი ვიყავი, დედაჩემიც, ამიტომ თქვენი კარგად მესმის.

ერთი ამბავი შეგვემთხვა და მინდა, იმაზე მოგიყვე: ავტოფარეხში 2 კატა და 3 კნუტი გვყავს. ერთხელ კნუტები მანქანაში შეძვრნენ მაყუჩზე („გლუშიტელზე“), მე არაფერი შემინიშნავს, მანქანა დავძარი და თურმე კნუტები ქუჩაში მოვაბნიე. ძალიან განვიცადე, ჩემს შვილზე ვნერვიულობდი. 2 კნუტი იმ საღამოსვე ვიპოვეთ აბსოლუტურად უვნებლები, მესამე კი დაიკარგა.

ჩემი შვილი მთელი ღამე ოხრავდა, ტიროდა, ამბობდა, თვალწინ სულ კნუტი მიდგასო. ბავშვის მდგომარეობას მთელი ოჯახი განვიცდიდით. მეორე დღის საღამოს მეზობლის ბავშვი მოქანდა, გული ამოვარდნაზე ჰქონდა — კნუტი დავინახე და იქნებ შენი არისო. გიორგი მაშინვე გაიქცა და რამდენიმე წუთში კნუტთან ერთად დაბრუნდა. ძალიან გაგვიკვირდა, რომ გადარჩა. ჩვენს უბანში უამრავი უპატრონო ძაღლია, ის კი ძალიან პაწია იყო. იმედი საერთოდ არ გვქონდა.

ჩემო გოგონა, კატებს ძალიან კარგად შეუძლიათ თავის გადარჩენა, ეს მათ ინსტინქტში დევს, ველურ პირობებში ხომ ცხოველებს ვერავინ დაიცავს. კატები სულ გვყავს და მართლა ვიცი, რომ ასეა. იფიქრე იმაზეც, რომ იქნებ ვინმე თქვენნაირი გულკეთილი ადამიანის ხელშიც მოხვდნენ.

**კეთილისმსურველი, „სარკის“ მკითხველი**



## „დაქალმა შეყვარებულს დამაშორა“

ჟურნალ „სარკის“ 29-ე ნომერში გამოქვეყნდა წერილი სათაურით „მგონია, რომ დაქალი შეყვარებულს მართმევს“. ეს საკითხი ახლავე უნდა გადაწყვიტო, გაარკვიო, ცდები თუ მართალი ხარ. ამას საკუთარი გამოცდილებით გეუბნები.

ერთი ბიჭი ძალიან მიყვარდა. ის არაჩვეულებრივი ადამიანია. სკოლაში ყველასგან გამოირჩევა, გოგოებზე უკეთესად სწავლობს, მასწავლებლები სულ მასზე ლაპარაკობენ. პირველად მას შევუყვარდი. ერთად ძალიან ბედნიერები ვიყავით. მერე კი ჩვენ შორის დაქალი ჩადგა. შეყვარებული კი არ წამართვა, უბრალოდ დამაშორა.

ყოველთვის მეუბნებოდნენ, შენი დაქალი კარგი გოგო არ არის, შენი შურსო, მაგრამ არ ვიჯერებდი. ვამბობდი, რატომ უნდა შეშურდეს, ჩემზე უკეთესია-მეთქი. თურმე ის ბოღმით სკდებოდა, რომ ყველაზე კარგ ბიჭს შევუყვარდი. ჩემს შეყვარებულს ისეთი რაღაცეები უთხრა, დამაშორა.

ორი წლის წინ ერთი ბიჭით ვიყავი გატაცებული. ერთმანეთს ინტერნეტით ვწერდით წერილებს, პირადად კი არასოდეს შევხვედრილვარ. მერე მასთან მიმოწერას დაქალთან განვიხილავდი ხოლმე. მასაც სოციალური ქსელის საშუალებით ვწერდი, ის კი თურმე ჩემს წერილებს ინახავდა. ერთ დღეს ადგა და ჩემს შეყვარებულს ის ჩვენი მიმოწერა წააკითხა.

შეყვარებული გამიბრაზდა, მატყუებდი, რომ ჩემამდე არავინ გყვარებიაო. არადა მართლა ასე იყო, ის ბიჭი კი არ მიყვარდა, უბრალოდ მასთან წერილების გაგზავნა, საუბარი მსიამოვნებდა, სულ ეს იყო. როგორ მეყვარებოდა, როცა ერთხელაც კი არ მინახავს. მაინც ვერ დავარწმუნე და დამშორდა. რაც არდადეგები დაიწყო, არც მინახავს და არც დაურეკავს. ჩემს მესიჯებს არ პასუხობს.

მის გარეშე ძალიან მიჭირს. ბუნებრივია, დაქალს ვეჩხუბე და ხმას არ ვცემ, მაგრამ ამით შეყვარებულს ხომ ვერ დავიბრუნებ? როცა მეგობარს ვკითხე, ასეთი რამ რატომ გააკეთე-მეთქი, ურცხვად მიპასუხა, არ მინდოდა, მოგეტყუებინაო. არადა ძალიან კარგად იცოდა, რომ არ ვატყუებდი და ის ბიჭი მართლა არ მიყვარდა.

**თქვენი ერთგული მკითხველი**

## „მშობლებმა ჩემი ლეკვი სხვას აჩუქეს“



არ ვიცი, ცხოველების სიყვარულში ვის დავემსგავსე, რადგან ჩვენს ოჯახში მათ ყველა მტრობს. დედა უბრალოდ ვერ იტანს ვერც ძაღლებს და ვერც კატებს. მათ დანახვაზე ალერგია ემართება. თვლის, რომ ბინძურები არიან და შეუძლებელია, ადამიანების გვერდით იცხოვრონ. მე 13 წლის გოგო ვარ და ცხოველები ძალიან მიყვარს. თუ რომელიმე არხზე მათზე გადაცემა გადის, არ არსებობს, რომ არ ვუყურო. განსაკუთრებით კი ძაღლები მიყვარს.

მეგობრებმა იციან, რომ მთელი ცხოვრება ძაღლზე ვოცნებობდი. მაისში დაბადების დღე მქონდა. კლასელებმა თურმე მოილაპარაკეს და ლეკვი მიყიდეს. ის დღე არასოდეს დამავიწყდება, როცა ხელისგულზე ჩემი პატარა ლეკვი დავისვი. ვარდისფერი თათები და დრუნჩი ჰქონდა. ისეთი საყვარელი იყო, სიტყვებით ვერ გადმოგცემთ. აღარც ტორტი მახსოვდა და აღარც სტუმრები, თავზე დავფოფინებდი. დედას მაშინვე არ ესიამოვნა, მაგრამ ბავშვებს არაფერი უთხრა. ვიფიქრე, რომ ჩემს ძაღლს შეეგუებოდა და არ გამიგდებდა, მაგრამ შევცდი.

იმ ღამით ჩემმა ლეკვმა წკმუტუნი დაიწყო. ლოგინში ჩავიწვინე და ჩემმა უფროსმა დამ მშობლებთან დამაბეზღა, საწოლში ძაღლი ჰყავსო. ისინიც შემოცვივდნენ და მეჩხუბნენ. მე დივანზე გადავწექი და ორივემ იქ დავიძინეთ. სამი კვირის განმავლობაში ვუვლიდი. დედას ვთხოვდი, შენ ხელს არ მოგაკიდინებ, მე მოვუვლი, არ შეგაწუხებ-მეთქი. რომ მეგონა, შეეგუვნენ და აღარ გამიგდებნენ, ზუსტად მაშინ წამართვეს. ჩემი ლეკვი სხვას აჩუქეს. დედამ დაქალის მეგობრის შვილს გააყოლა, ისეთს, რომ მე თვალით ვერასოდეს ვნახო. ეს იყო ყველაზე საშინელი დღე ჩემს ცხოვრებაში.

ზოგჯერ ეჭვი მეპარება, რომ მშობლებს მართლა ვუყვარვარ. აბა, რითი ავხსნა, რომ საერთოდ ვერ იგებენ, რას ნიშნავდა ჩემთვის ის ლეკვი. ბევრი ვიტირე. დედა ცოტათი კი შეწუხდა, მითხრა, რასაც მეტყვი, შეგისრულებ, ოღონდ არ ინერვიულოო, მაგრამ მე სხვა არაფერი მინდა, ჩემი ლეკვი მჭირდება. რა ბედნიერია ის ბავშვი, ვინც წაიყვანა. ეტყობა, მის მშობლებს ცხოველები არ სძულთ. რა იქნებოდა, ჩემებიც ასეთები ყოფილიყვნენ, მაგრამ მე არ გამიმართლა.

**„სარკის“ მკითხველი**

✓ რუბრიკა მოამზადა ირინე მჭედლიძემ


გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.




Cyan Magenta Yellow Black

# როგორ ირიგებს ვასიკო ოდიშვილი გაბუტულ ცოლს

## „ვიზარმაცეთ, ახლა კი დროა მეორე შვილიც ვიყოლიოთ“



ცნობილ ჟურნალისტ ვასიკო ოდიშვილს ცოლად თავისივე უფროსი ჰყავს — ტელეკომპანია „მაესტროს“ კრეატიული პროდიუსერი ეკა აკობია. მათი სიყვარულის ისტორიაც ამ არხზე დაიწყო. ვასიკო ერთ-ერთი გადაცემის კასტინგზე მივიდა, ერთმანეთი გაიცნეს და მათ შორის რომანიც გაჩაღდა. წყვილს ერთი ქალიშვილი ჰყავს, 10 წლის ნიცა. 14 წლიანმა თანაცხოვრებამ მათ ასწავლა, რომ ურთიერთობაში კომპრომისებზე წასვლა აუცილებელია, რომ ცოლქმრული ცხოვრება სწორედ ამაზე იგება. ჰქონიათ რთული პერიოდები, ზოგჯერ კამათობენ კიდეც, მაგრამ მაინც ახერხებენ, დრომ მათი გრძნობა არ გაახუნოს. ეკას თქმით, ვასიკო სიურპრიზების ნამდვილი ოსტატია, იცის, ცოლის გული როგორ მოიგოს...

**— ეკა, ტელევიზიას ალბათ ძალიან დიდი დრო მიაქვს, ქმარ-შვილისთვის როდის იცლით?**

— მთელი ჩემი ცხოვრება „მაესტრომ“ წაიღო. ფაქტობრივად აქ ვცხოვრობ. სახლშიც რომ მივდივარ, თანამშრომლებს ტელეფონით ვეკონტაქტები და იქიდანაც ვმუშაობ. ჩემი დროის 90 პროცენტი სამსახურს მიაქვს, დარჩენილ 10 პროცენტს ვანაწილებ ქმარზე, შვილზე, ახლობლებზე. დიდი ხნის განმავლობაში თავს დასვენების უფლებას არ ვაძლევდი, მაგრამ ასაკის მატებასთან ერთად ძალების აღდგენასა და დასვენებაზეც ვფიქრობ. ადრე ღამის პირველ საათამდე არ გამოვდიოდი ტელევიზიიდან, ახლა კი უკვე ისეთ დროს ვბრუნდები სახლში, რომ თავადაც მიკვირს. საკუთარ თავს ვაძლევ უფლებას, ყურადღება სხვა რაღაცეებსაც დავუთმო.

**— ბუნებით უფრო საქმიანი ქალი ხართ, ვიდრე დიასახლისი?**

— ვამბობ, დიასახლისი ვარ-მეთქი. ზოგჯერ საკუთარ თავს ვარწმუნებ, რომ ოჯახის საქმეებს თავს კარგად გავართმევ, მაგრამ ახლა ამის დრო არ მაქვს, ამიტომ გამოდის, რომ საქმიანი ქალი ვარ.

**— ერთდროულად საქმეშიც და ოჯახშიც წარმატება არ გამოდის?**

— სულ ეჭვებში ვარ, მგონი, არც სამსახურში ვარ წარმატებული და არც სახლში. ჩემს სფეროში კიდევ რაღაცეებს ვსწავლობ, ვხვეწ. სამსახურის და ოჯახის შეთავსება ძალიან რთულია. ნიცასთან დღის განმავლობაში ტელეფონით მაქვს ურთიერთობა.

**— ნიცა გაგებით ეკიდება იმ ფაქტს, რომ მშობლები ნაკლებ დროს უთმობენ?**

— ხშირად აპროტესტებს, რომ მე და ვასიკო სულ სამსახურში ვართ. თუ ძალიან გაბრაზდება, ამბობს, რა კარგი იქნებოდა, „მაესტრო“ რომ არ არსებობდესო. მთხოვს, შაბათ-კვირას მაინც იყავი ჩემთან, სამსახურში დარეკე, რომ ავად ხარ და ვერ მიხვალო. როცა ვუხსნი, ასე არ გამოვა, საქმე მაქვს და უნდა წავიდე-მეთქი, ძალიან ბრაზდება.

**— არ ნერვიულობთ, შვილის ცხოვრებიდან რამე რომ გამოგეპაროთ?**

— მაგ მხრივ გაგვიმართლა, ნიცა ძალიან გახსნილია. აბსოლუტურად ყველაფერს გვიყვება, კარგსაც და ცუდსაც. თუ რამე პრობლემა აქვს, უცებ ვამჩნევთ და ვცდილობთ, ყველაფერი მოვაგვაროთ. შევეჩვიეთ, რომ მცირე დროში ერთმანეთს სითბო მივცეთ, აზრები გავუზიაროთ. ბევრად უკეთესია, როცა დედა სახლშია და ამოწმებს, შვილმა გაკვეთილები როგორ იცის. მე კი მხოლოდ კვირადღეს შემიძლია ამით დავინტერესდე და მაშინაც ნებისყოფა არ მყოფნის. ნიცა ცოტა ზარმაცია და ურჩევნია, სწავლის საკითხები ბაბუასთან მოაგვაროს. მე უფრო მკაცრი და მომთხოვნი ვარ, ამიტომ სურვილი არ აქვს, გაკვეთილები მე ჩამაბაროს.

**„ნიცა და ვასიკო კარგი მეგობრები არიან. ორი ჭკუამხიარული ერთად გადასარევად გრძნობს თავს. ნიცა ხასიათით ვასიკოს ძალიან ჰგავს“.**

**— ვასიკომ იცის, შვილი რა ქულებს იღებს, რა უნდა, რა გატაცებები აქვს?**

— რა თქმა უნდა, ვასიკო ყოველთვის ინტერესდება შვილის ამბებით. ისინი კარგი მეგობრები არიან. ორი ჭკუამხიარული ერთად გადასარევად გრძნობს თავს. ნიცა ხასიათით ვასიკოს ძალიან ჰგავს.

**— ნიცა დას ან ძმას არ ითხოვს?**

— რაც ასაკი ემატება, მისი ეგოიზმი წარსულში რჩება და უფრო ხშირად გვთხოვს, და ან ძმა გავუჩინოთ.

**— მეორე შვილის ყოლას არ აპირებთ?**

— ძალიან ვიზარმაცეთ, ცოტა დავაგვიანეთ, მაგრამ ახლა უკვე არაა გამორიცხული, მეორე შვილიც ვიყოლიოთ.

**— ცოლ-ქმრის ერთად მუშაობას რა დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს?**

— ზოგჯერ დღე ისე გადის, ვასიკოს საერთოდ ვერ ვხედავ, ან ორი წუთით თუ შევხვდები. ის სხვა რაღაცას აკეთებს, მე — სხვას, ამიტომ სამსახურში ჩვენი გზები არ იკვეთება. მის გადაცემასთან დაკავშირებით თუ რაღაც ხდება, პროდიუსერთან მაქვს კონტაქტი და არა ვასიკოსთან. ასე რომ, სამსახურში ქმარს იშვიათად თუ ვნახავ. ჩემი აზრით, ერთად მუშაობას არანაირი მინუსი არ ახლავს, პირიქით, ბევრი პლუსი აქვს.

**— როგორც თანამშრომელს, ვასიკოს შენიშვნებს აძლევთ?**

— როგორ წაიკითხავს ტექსტს, გადაცემას როგორ წაიყვანს, ეს მის პროდიუსერს ავალია. არ მაქვს უფლება, წამყვანს რაღაც ვუთხრა, როცა მას პროდიუსერი ჰყავს. ვასიკო სამსახურში ჩემთვის ჩვეულებრივი თანამშრომელია. „მაესტროში“ ბევრი წყვილია და საქმე და პირადი ცხოვრება ყველას გამიჯნული გვაქვს, ამიტომ ცოლქმრობა არანაირ პრობლემას არ ქმნის. თუ ვასიკო დისციპლინას დაარღვევს, ტელეკომპანია მის საკითხს იგივენაირად განიხილავს, როგორც ნებისმიერი თანამშრომლისას, უფრო მეტიც, სხვებთან შედარებით ზოგჯერ მას ასმაგად მოეთხოვება.

**— სახლშიც გრძელდება სამსახურზე საუბარი?**

— კი, ჩვენს ოჯახში ტელევიზიის ამბების განხილვა სულ არის. როცა ჩვენ გვერდით ნიცაა, მაშინ ვცდილობთ, საქმეზე არ ვილაპარაკოთ.

**— თქვენი და ვასიკოს სიყვარულის ამბავი მოგვიყევით. როგორ გაიცანით ერთმანეთი?**

— „მაესტროში“ გავიცანი. ეს იყო 1999 წელს. ვასიკო კასტინგზე მოვიდა, ერთ-ერთი გადაცემისთვის წამყვანს ვარჩევდით. ჩვენი ურთიერთობა ძალიან მალე, ყოველგვარი შესავლების გარეშე დაიწყო. იმდენად უცებ მოხდა ყველაფერი, დეტალებს ველარც ვიხსენებ.

**— იუმორისტები რეალურ ცხოვრებაში არც ისეთი მხიარულები არიან ხოლმე, როგორც სცენასა და თუ ეკრანზე ჩანან. ვასიკო როგორია სახლში?**

— არის შემთხვევები, როცა ცუდ ხასიათზეა და ამ დროს ძალიან მძიმეა. ძირითადად კი სულ ხითხითის, სისულელეების კეთების ხასიათზეა. ძალიან ენერგიულია, არასოდეს იღლება.

**— მის ტემპს, ხასიათს თქვენც ჰყვებით?**

— არა, მისი ენერგიულობით ძალიან ვიღლები. ვეუბნები, ცოტა ხანს მაინც გაჩერდი-მეთქი. თუ მეგობრების წრეში ვართ, ვასიკოს ლაპარაკი არასოდეს მთავრდება, გაუჩერებლად შეუძლია ისაუბროს. ვეტყვით ხოლმე, აბა, ერთი წუთით გაჩუმდი-თქო, მაგრამ, მაქსიმუმი, 30 წამი შეუძლია გაჩერდეს, მერე კი ისევ იწყებს ლაპარაკს ან ჩვენზე იბოღმება და ცუდ ხასიათზე დგება, რატომ მაჩუმებთო. შემდეგ უკვე ჩვენ ვეხვეწებით, ხმა ამოიღეო.

**— საოჯახო საქმეების კეთება ეხერხება?**

— რამეს თუ დაავალებ, ძალიან მოწადინებულია, მაგრამ არ ეხერხება და რა აზრი აქვს, რამე დაავალო. თუ სადმე წასვლა-წამოსვლის საკითხია მოსაგვარებელი, ამას მარტივად აკეთებს. მეოჯახე მამაკაცების რიცხვს არ მიეკუთვნება, არც სკამის დაშლა-აწყობა ეხერხება და არც სარეცხი მანქანის.

**— ამდენწლიანმა ოჯახურმა გამოცდილებამ რა გასწავლათ, რა არის მთავარი სახლში მყუდროებისთვის, სიმშვიდისთვის?**

— წყვილს თავისი ცხოვრების გზა ზუსტად უნდა ჰქონდეს განსაზღვრული, უნდა იცოდნენ, რა სურთ. ცოლ-ქმარს ერთმანეთის კარგად უნდა ესმოდეთ, კარგად იცნობდნენ ერთმანეთის ხასიათს. წყვილის ურთიერთობა კომპრომისებზე შენდება. არის პერიოდები, როცა ერთს უჭირს და ამ დროს მეორემ უნდა დათმოს. უნდა გავიაზროთ, რომ ძალიან ცოტა დრო გვაქვს ერთად ბედნიერად ცხოვრებისთვის. არ შეიძლება წვრილმანებზე ყურადღების გამახვილება. თუ წვრილმანებს გამოეკიდები, ურთიერთობა არ გამოვა და დამთავრდება. ამ ყველაფერს თუ სხვა კუთხით შეხედავ და იტყვი, რა ბედნიერებაა, ოჯახი რომ მყავსო,



Cyan Magenta Yellow Black

მაშინ ყველაფერი კარგად იქნება. უნდა იცოდე, რომ შავ ზოლს ყოველთვის თეთრი მოჰყვება, ამიტომ ფარ-ხმალი არ უნდა დაყარო.

— **თქვენ უფრო ხშირად გიწევთ დათმობაზე წასვლა თუ ვასიკოს?**

— ორივეს. არც მე მაქვს მარტივი ხასიათი და არც მას. უფრო ვასიკო თმობს, მაგრამ მეც ძალიან ხშირად წავსულვარ კომპრომისებზე. ვასიკოსთან ურთიერთობაში ძალიან დიდი მოთმინების უნარი მაქვს, ჩემი მხრიდან ესეც კომპრომისია.



ეკა და ვასიკო

„წყვილის ურთიერთობა კომპრომისებზე შენდება. არის პერიოდები, როცა ერთს უჭირს და ამ დროს მეორემ უნდა დათმოს. უნდა გავიაზროთ, რომ ძალიან ცოტა დრო გვაქვს ერთად ბედნიერად ცხოვრებისთვის. თუ წვრილმანებს გამოეკიდები, ურთიერთობა არ გამოვა, დამთავრდება".

— **ცოლქმრულმა ურთიერთობამ კიდევ რისი დათმობა გასწავლათ, როგორ შეგცვალათ?**

— არც ჩემი ცხოვრების წესი შემიცვლია და არც მე შევცვლილვარ, ყველაფერი ჩვეულებრივადაა. ვერ ვიტყვი, რომ დღეს რამე ისეთს ვაკეთებ, რასაც ადრე არ ვაკეთებდი. ზოგჯერ ვფიქრობ, რომ წლებმა გამოცდილება არ მომცა და 22 წლის ასაკში ბევრად ჭკვიანი ვიყავი. მგონი, უკან-უკან მივდივარ, არც ხასიათი შემიცვლია, არც სერიოზულობა მომემატა და არც სოლიდურობა. ვასიკოც ზუსტად ასეა. ასაკმა ვერ დაასერიოზულა.

— **ყოველდღიური სამუშაო, სახლის საქმეები, ბავშვი, ეს ყველაფერი ზოგჯერ წყვილის ურთიერთობას ერთფეროვანს ხდის, გრძნობებს თითქოს აბლაგვებს.**

— ჩემი და ვასიკოს ურთიერთობაში ეს ყველაფერი ბუნებრივად ხდება. არ ყოფილა შემთხვევა, ჩვენი ყოველდღიურობა ერთფეროვნებად ქცეულიყო. კარგი პერიოდი გვაქვს თუ ცუდი, სულ განცდებში, ემოციებში ვართ.

— **სიურპრიზების კეთება გამოსდის?**

— ძალიან უყვარს ჩემთვის სიურპრიზების გაკეთება. ფეიერვერკებიდან დაწყებული, ყვავილებით მანქანის მორთვით დამთავრებული, ყველაფერი გაუკეთებია. ეს ვასიკოს ბუნებრივი სტილია და ძალიან შეჩვეული ვარ. სასწაულებს აკეთებს ხოლმე. ერთხელ ღამე სახლის წინ დიდი ფეიერვერკი მოიწყო, კორპუსის ყველა მცხოვრებმა გაიღვიძა, მე კი მეძინა. თუ ვიჩხუბებთ, დილას ჩემი მანქანა ლენტებით და ყვავილებით მორთული მხვდება. უამრავ ასეთ სისულელეს იგონებს, სიურპრიზების ოსტატია.

— **ხშირად კამათობთ?**

— სულ ვკამათობთ, რადგან ყველა საკითხზე განსხვავებული აზრი გვაქვს.

— **მაგალითად, რაზე შეიძლება იკამათოთ?**

— აბსოლუტურად ყველაფერზე. მე კრიტიკული ადამიანი ვარ, ყველგან კითხვის ნიშანი და ეჭვი მაქვს, ამიტომ ჩვენთვის ყველა თემა საკამათოა.

— **ვასიკო ინტერვიუებზე რატომ აღარ თანხმდება?**

— ინტერვიუების მიცემა ძალიან არ უყვარს. ადრე ჟურნალისტებთან ურთიერთობდა, მაგრამ ბოლო პერიოდში ეს პროცესი სასტიკად არ მოსწონს. ყველას ბოდიშს უხდის, არ გეწყინოთო.

— **ამ ზაფხულს რა გეგმები გაქვთ?**

— მე და ვასიკო შვილთან ერთად ყოველ ზაფხულს ორი კვირით თურქეთში მივდივართ. მზე და ზღვა რომ არ იყოს, მთელი წელი ვერაფერს გავაკეთებდი. ზღვა მაძლევს იმ ენერგიას, რაც მთელი წელი მამუშავებს. უკვე მეთოთხმეტედ მივდივართ თურქეთში, ჩვენთვის იქ უფრო კომფორტულია დასვენება.

✓ **ქეთი დინოშვილი**

# ზურა ინგოროყვა: „რობიკო სტურუას აგარაკზე შვიდდღიანმა ქეიფმა მკურნალობა წყალში ჩამიყარა"

## „ჰოლანდიიდან ჰამბურგში ცოლისძმას თბილ-თბილი ხინკალი ჩავუტანე"



რუსთაველის თეატრის მსახიობი ზურა ინგოროყვა ერთადერთი ქალიშვილის, ანას კვებას დიდ ყურადღებას აქცევს, ცდილობს, ჯანსაღი პროდუქტები შეურჩიოს. ოჯახის მომარაგება მის მოვალეობაში შედის, ზოგჯერ კი ცოლ-შვილს თავისი ნახელავი კერძებითაც ანებივრებს. სოკოს ჩაქაფული და ლანგეტი მისი საფირმო კერძებია. მსახიობი სტუმართმოყვარე ოჯახში გაიზარდა, სადაც ქართული სუფრის კულტი იყო. მამისგან და უფროსი ძმისგან ისწავლა სტუმრის პატივისცემა, თამადობა, კარგად მოლხენა. ცდილობს, მის ოჯახში ეს ტრადიცია არ მოიშალოს და ყველა დღესასწაულზე მეგობრებს სახლში მასპინძლობს. ჩვენთან საუბარი იმ პერიოდის გახსენებით დაიწყო, როცა მათ ოჯახში ქეიფი არ წყდებოდა.

„ერთხელ 300 კაციან ქორწილში ვითამადე, ანუ ეს საქმე ვიცი! როგორც კი სუფრის წამყვანად მაცხადებენ, ჩემში რაღაც ისე ირთვება, როგორც სცენაზე გასვლისას, სადღეგრძელოებიც თავისით მოდის".

**ზურა ინგოროყვა:**

— ვგიჟდები, ისე მიყვარს ქართული სუფრა ყველა თავისი ტრადიციით. მამაჩემი ცნობილი მოქეიფე იყო. მის სტუმართმოყვარეობაზე ლეგენდებს თხზავდნენ. ჩვენს სახლში ყოველდღე სუფრა იყო გაშლილი. მეორე დილით მამას მეგობრებს ნაბახუსევისთვის ძალიან ბევრი ხაში მოჰქონდათ და ქეიფს აგრძელებდნენ. ძმა 11 წლით უფროსი იყო ჩემზე და მის მეგობრებსაც ძალიან უყვარდათ ჩვენთან ქეიფი.

— **ეს ტრადიცია თქვენს ოჯახში ისევ გრძელდება?**

— ვცდილობ, მამის და ძმის ტრადიცია გავაგრძელო. სამწუხაროდ, არც მამაა ცოცხალი და არც ჩემი ძმა... არ ვიცი, ეს ყველაფერი მე როგორ გამომდის, მაგრამ მეგობრებს ჩემთან მოსვლა უყვართ. ახალ წელს, ბედობადღეს, შობას შეკრება ჩვენი სამეგობროს ტრადიციაა.

— **თქვენ თამადობთ თუ სამეგობროში გყავთ რჩეული, რომელიც ამ საპატიო მოვალეობას ასრულებს?**

→32

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



Cyan Magenta Yellow Black

— მე კარგი თამადობა ვიცი.

**— კარგი თამადობა რას ნიშნავს, რა იგულისხმება ამაში?**

— კარგი თამადა კარგ ხასიათზე უნდა იყოს, ღვინის დალევა არავის უნდა დააძალოს, არ იჩხუბოს, ისეთ რაღაცეებზე უნდა ილაპარაკოს, რომ ყველამ მოუსმინოს. ერთხელ სამტრედიაში 300 კაციან ქორწილში ვითამადე, ანუ ეს საქმე ვიცი! როგორც კი სუფრის წამყვანად მაცხადებენ, ამ დროს ჩემში რაღაც ისე ირთვება, როგორც სცენაზე გასვლისას, სადღეგრძელოებიც თავისით მოდის.

**— მსახიობების ქეიფი ალბათ ერთი კარგი სპექტაკლია.**

— კი, ხშირ შემთხვევაში ასეა, მაგრამ იმასაც გააჩნია, ვინ არის თამადა. მან ზუსტად უნდა იცოდეს, რა დროს რა სადღეგრძელო თქვას. არიან თამადები, რომლებსაც ჩამოწერილი სადღეგრძელოები აქვთ, რაც კატასტროფაა.

**— თქვენს კოლეგებთან ერთად ქეიფი ხშირად გიწევთ?**

— კი. რობიკო სტურუას ქეიფი ძალიან უყვარს. ორი წლის წინ მკურნალობა დამჭირდა. ბათუმში ვისვენებდი. რობიკოს გრიგოლეთში სახლი აქვს. ბათუმში ჩამომაკითხეს და წამიყვანეს. ერთი კვირა მასთან ვიყავი და ის დღეები სულ ვსვამდით. ძვირადღირებული მკურნალობა წყალში ჩამეყარა.

**— სანამ ქეიფამდე მივა საქმე, სუფრას გაშლა უნდა, კერძებს — მომზადება. ამაშიც იღებთ მონაწილეობას?**

— რა თქმა უნდა. საერთოდ, კერძები მამაკაცებს უფრო გემრიელი გამოსდით. ასე იმიტომ ხდება, რომ ქალი სადილებს ყოველდღიურად აკეთებს, ეს საქმე მობეზრებული აქვს, კაცი კი იშვიათად შედის სამზარეულოში და ამიტომ გულიანად ამზადებს. ყველაფრის გაკეთება შემიძლია, მხოლოდ მწვადის შეწვა არ ვიცი კარგად. ჩემს სამეგობროში არიან ადამიანები, ვინც მწვადს ძალიან კარგად წვავენ. მეც აუცილებლად ვისწავლი.

**— ყველაზე კარგად რომელი კერძი გამოგდით?**

— სოკოს ჩაქაფული და ხინკალი. ხის სოკოს ვყიდულობ და ძალიან ბევრ მწვანილში ვაკეთებ. როგორც ხორცის ჩაქაფული მზადდება, ზუსტად იგივენაირად კეთდება სოკოთი, ფენა-ფენა მოაწყობ სოკოს და ყველანაირ მწვანილს დააყრი. ძალიან მიყვარს კუპატი, რომელსაც დედა გემრიელად ამზადებს. სხვათა შორის, მამაც კარგი კულინარი იყო. მისი გაკეთებული აჯიკა ცნობილი გახლდათ. მასში ნიგოზს უშვრებოდა.

**— თქვენ არ გაგიკეთებიათ?**

— არა. მამა რომ აჯიკას აკეთებდა, ორი დღე სახლიდან გავდიოდით, რადგან ძალიან მძაფრი სუნი დგებოდა. ხელთათმანებს იკეთებდა და ისე ამზადებდა. ეს მისთვის რიტუალი იყო. წელიწადში ან ორ წელში ერთხელ ამზადებდა.

**— რომელ სასმელს ანიჭებთ უპირატესობას?**

— ღვინოც მიყვარს, არაყიც და კონიაკიც. ყველა სასმელს თავისი დანიშნულება აქვს. ამ დროს კერძებიც მნიშვნელოვანია და ატმოსფეროც. სახლში ქეიფის დროს ყველანაირი ღვინო მიყვარს. ტყეში, მთაში ხინკალთან არაყია ყველაზე კარგი. მამაჩემის და ჩემი ძმისნაირად — არა, მაგრამ ალკოჰოლური სასმელები მეც მიყვარს.

**— თქვენს კულინარიულ შესაძლებლობებს დავუბრუნდეთ. ჩაქაფულის გარდა კიდევ რას ამზადებთ ან რომელ პროდუქტებს ანიჭებთ უპირატესობას?**

— რაც ხელში მომხვდება, ყველაფრის გაკეთება შემიძლია. ვერც იმას ვიტყვი, რომ



■ მამა-შვილი

## „ჩემი შვილიც კარგი მზარეული დადგა".

ხორცისტი ვარ, მაგრამ ლანგეტს ვაკეთებ ძალიან მაგრად!

**— როგორია ლანგეტის თქვენეული რეცეპტი?**

— მჭლე ძროხის ხორცს საშუალო ზომის ნაჭრებად დავჭრით, დავბეგვავთ და გავაბრტყელებთ. მარილს მოვაყრით და ზეთში ნელ ცეცხლზე შევწვავთ. შეგვიძლია მარილთან ერთად აჯიკაც წავუსვათ. ძალიან გემრიელი გამომდის. ჩვენს სახლში ამ კერძს მხოლოდ მე ვაკეთებ, რაც ძირითადად მაშინ ხდება, როცა ბავშვს ძალიან მოენატრება და მთხოვს, რომ გავუკეთო. მე თევზეულის მოყვარული უფრო ვარ, ვიდრე ხორცეულის.

**— მაშინ თევზეულის მომზადებაც გეცოდინებათ.**

— არა, მხოლოდ „სელიოდკას" გაკეთება შემიძლია. ვჭრი, კანს ვაცლი, ზემოდან დავაყრი ხახვს, მოვასხამ ზეთს, ძმარს და მოხარშულ კარტოფილთან ერთად ძალიან გემრიელია. თუ ლუდსაც მიაყოლებთ, მით უკეთესი!

**— უცხო კერძებს თამამად სინჯავთ?**

— თუ არ ვიცი, კერძი რისგანაა დამზადებული, თამამად ვსინჯავ. კვების საკითხში წუნია არ ვარ და სახლში რაც არის გაკეთებული, იმას გეახლებით, არ აქვს მნიშვნელობა, კარტოფილი იქნება თუ მაკარონი. ღვიძლი არ მიყვარს, მხოლოდ შემწვარი შემიძლია ვჭამო.

ძალიან მომწონს თურქული კერძები, რადგან მათ სამზარეულოში მთელი მსოფლიოს სხვადასხვა საჭმელებია გაერთიანებული. ასევე ძალიან მიყვარს ბერძნული სამზარეულო. ჩემი ძმის ოჯახი ჰოლანდიაში ცხოვრობს, ჩემი ძმის საფლავიც იქ არის, ამიტომ იქ ხშირად მიწევს ჩასვლა. მათ სამზარეულოსაც ვიცნობ და შემიძლია გითხრათ, რომ არ ვარგა. ჰოლანდიაში თურქულ ან ბერძნულ საჭმელებს გეახლებით.

ჩემი ძმის ცოლი წარმოშობით თელაველია და კარგი კულინარია. ჩემი ცოლისძმა ჰამბურგში ცხოვრობდა, 6 წელზე მეტი საქართველოში არ იყო ნამყოფი. ჩემმა რძალმა ხინკალი გააკეთა და ცოლისძმას ჰოლანდიიდან ჰამბურგში თბილ-თბილი ჩავუტანე, ორთქლი ასდიოდა. გაგიჟდა, ისე გაუხარდა. იტალიური სამზარეულოც მიყვარს, განსაკუთრებით პიცა და სპაგეტი. ჩინური კერძებიც ძალიან მომწონს.

**— ტკბილეული გიყვართ?**

— ძალიან. ბავშვობაში ბეზეზე ვგიჟდებოდი და ვაკეთებდი ხოლმე.

**— პროდუქტების არჩევა გეხერხებათ?**

— აბა, რა! სახლისთვის პროდუქტებს სულ მე ვყიდულობ.

**— ცოლს როგორი ხელი აქვს?**

— ძალიან კარგი, ბევრ გემრიელ კერძს ამზადებს. მისი მომზადებული ამოლესილი ლობიო ნამდვილი ჩემპიონია! ჩემი შვილიც კარგი მზარეული დადგა.

**— მაშინ ანასაც ვთხოვოთ რომელიმე კერძის მომზადების წესი.**

**ანა**: ქათმის ან ძროხის ფილეს წვრილად ვჭრით, ტაფაზე ვყრით და მაშინვე სოიას სოუსს ვასხამთ. სოუსში რომ მოიხარშება, ბულგარულ წიწაკას მოვაყრით, რამდენიმე წუთით ვადუღებთ და შემდეგ ცეცხლიდან გადმოვიღებთ. ძალიან გემრიელია.

**ზურა**: ანა ძალიან მაგარ რაღაცეებს აკეთებს. ბოლოს შქმერულიც გააკეთა და ძალიან გემრიელი გამოუვიდა.

**— სამზარეულოში ოჯახის წევრები ერთადაც ხომ არ ტრიალებთ ხოლმე?**

**ანა**: ვერ ვიტან, ჩემთან ერთად ვილაც რომ არის სამზარეულოში.

**ზურა**: ვერც მე ვიტან! ბოლო დროს ანი უფრო ტრიალებს სამზარეულოში, მე მხოლოდ დღესასწაულებზე შევდივარ.

**— სახლში ოჯახურ ვახშმებს აწყობთ?**

**ზურა**: კი, ყოველ შაბათ-კვირას...

**ანა**: მაგრამ ვერასდროს შუა კვირაში.

**ზურა**: დასასვენებლად რამდენიმე ოჯახი ერთად მივდივართ ხოლმე და იქაც მორიგეობით ვამზადებთ კერძებს. სუფრასთან აუცილებლად ერთად ვსხდებით. ახლა ცხოვრების სხვა რიტმია, მე რომ პატარა ვიყავი, კვირაში 5-ჯერ მაინც ვახერხებდით ოჯახის წევრები ერთად ვახშმობას. ოთხშაბათი თევზეულის დღე იყო. უცხოეთში ახლაც საათობით ჭამენ, რაც ძალიან მაგარია.

**ანა**: მამა კვებას დიდ ყურადღებას აქცევს. მის გარეშე მშივრები დავრჩებოდით. დედა სულ სამსახურშია, მეც დაკავებული ვარ და მამა ცდილობს, კვების რეჟიმი არ დაგვერღვეს. წელს აბიტურიენტი ვიყავი, თეატრალურში ჩავაბარე. გამოცდების დროს მამა იოგურტებით და მაწვნებით დამდევდა.

**ზურა**: სწორედ ამიტომ თვეში ორჯერ მაინც ვამარაგებ სახლს. მიყვარს ნატურალური პროდუქტები. ხილის გარეშე ცხოვრება არ შეგვიძლია. სეზონზე ჩვენს სახლში 100 კილო ბალი, გარგარი მაინც იჭმება. ზოგჯერ დღეში ერთხელ ვსადილობ და მერე მთელი დღე ხილზე გადავდივარ.

✓ ქეთი დინოშვილი



Cyan Magenta Yellow Black

ნაცნობი სახე

# ეკო ფანგანს ბექა ჩხაიძემ სახლის სადარბაზო სასიყვარულო წარწერებით აუჭრელა

## „შეიძლება მე და ბექა შევრიგდეთ“



მოდელ ეკო ფანგანს ცოტა ხნის წინ ყოფილმა შეყვარებულმა, ანსამბლ „ალილოს“ წევრმა ბექა ჩხაიძემ, სადარბაზოს შესასვლელი წითელი წარწერებით აუჭრელა — „მიყვარხარ, ეკო!“. წყვილი ერთმანეთს რამდენიმე თვის წინ დაშორდა. მაშინ ეკო ამტკიცებდა, რომ ეს საბოლოო განშორება იყო, ახლა კი არ გამორიცხავს, ისევ შერიგდნენ. თუმცა გათხოვებაზე ჯერ არ ფიქრობს და ამჟერად მხოლოდ სხვების ქორწილების ორგანიზებით არის დაკავებული. მას „მაესტროს“ ეთერში გადაცემა „ჩემი ქორწილი“ მიჰყავს, წყვილებს ლამაზ საქორწილო ცერემონიალებს უწყობს. მთელი ზაფხული ჩაწერებს მოანდომა და ამით დიდი სიამოვნებაც მიიღო. ჩვენი საუბრის ძირითადი თემა, ბუნებრივია, ქორწილი იყო და ინტერვიუც ამით დავიწყეთ.

**— ეკო, რა მოგწონთ და რა არა ქართულ ტრადიციულ ქორწილში?**

— ქართულ ტრადიციულ ქორწილებზე დიდად არ ვირევი, მაგრამ ძალიან მომწონს, სიძე-პატარძალი ქართულ ცეკვას ლამაზად რომ ასრულებენ. არ მომწონს შემაწუხებელი თამადები და სიკვდილამდე დალევა, რაც ჩვენს ტრადიციულ ქორწილებში ხშირია. კარგია, როდესაც ჯვრისწერა და ხელისმოწერა ერთ დღეს არის. გოგოს და ბიჭს თუ ნაციონალური სამოსი აცვიათ, ესეც ძალიან კარგია, მაგრამ აუცილებლად უნდა უხდებოდეთ, ამისთვის კი კარგი აღნაგობაა საჭირო. საქართველოში ქორწილს ძირითადად მშობლები უხდიან შვილს და უამრავ ადამიანს ეპატიჟებიან თავის მოსაწონებლად, მერე მათზე რომ თქვან, რა მაგარი პურმარილი გაშალესო. ვთვლი, რომ ქორწილში ის ადამიანები უნდა იყვნენ, ვინც ნეფე-დედოფლის ახლობლები არიან.

**— ზოგი თვლის, რომ სიძე-პატარძალმა მხოლოდ ახალგაზრდები უნდა დაპატიჟონ.**

— არა, რატომაც არ უნდა იყვნენ უფროსი თაობის წარმომადგენლები?! ჩემს მშობლებს ისეთი მეგობრები ჰყავთ, რომ მათ დაბადების დღეებზე მეც დავდივარ. რა თქმა უნდა, ჩემს ქორწილში მათ აუცილებლად დავპატიჟებ, მაგრამ ხალხის მაქსიმალური რაოდენობა 200 კაცი თუ იქნება. ასევე არ მომწონს, როდესაც გოგო და ბიჭი ცალ-ცალკე იხდიან ქორწილს.

**„ბექა ძალიან გაბრაზებული მომიყვა, შენზე ასე მითხრესო, მაგრამ ის ვიღაც შუაზე რომ არ გამეგლიჯა, არ გამიმხილა, ვინ იქორავა“.**

ბულგარეთში ამერიკელების ულამაზესი ქორწილი გადავიღეთ. ზღვის სანაპიროზე ჰქონდათ ხელმოწერა და აუზზე — ქორწილი. 30 წელს გადაცილებულები იქნებოდნენ, ქორწილის ორგანიზატორი პატარძალი იყო. საერთოდ, ევროპული ქორწილები ძალიან მომწონს, დახვეწილია.

**— როგორი წარმოგიდგენიათ თქვენი ქორწილი?**

— ახლა მივხვდი, რომ ქორწილის გადახდა არ მინდა. თუმცა ცოტა მერყევი ხასიათი მაქვს, ამიტომ შეიძლება ამის სურვილი კიდევ გამიჩნდეს. თუ ასე მოხდა, საქორწილო დარბაზს ყვავილებით, სანთლებით მოვრთავ. როგორც გურმანი, ყურადღებას მივაქცევ, რომ გემრიელი კერძები იყოს, ჩვენს საჭმელებზე ვგიჟდები, სასმელი კი საერთოდაც ნუ იქნება. მაგიდებს ცალ-ცალკე დავდგამ, რადგან ასეთი განლაგება ძალიან ლამაზია. საქართველოში ადრე სავალდებულო იყო, ხელისმოწერა რიტუალების სასახლეში ჩატარებულიყო, მაგრამ ახლა საშუალება გაქვს, ლამაზი ადგილი შეარჩიო, შენ გემოზე გააფორმო და ხელი მოაწერო.

**— ქორწილისთვის ცეკვის საგანგებოდ სწავლა არ დაგჭირდებათ, ამ მხრივ პროექტში „ცეკვავენ ვარსკვლავები“ კარგი გამოცდილება მიიღეთ.**

— ვამაყობ, რომ ამ პროექტში სვანური ცერზე შემდგარმა შევასრულე, მაგრამ ეს კაცის ცეკვაა და ჩემს ქორწილში ვერ ვიცეკვებ. სხვა ქართული ცეკვები არ ვიცი, მათ სწავლას კი, მირჩევნია, ვალსი ან ტანგო შევასრულო. მოცეკვავეზე გათხოვებას არ ვაპირებ, ამიტომ სასიძოს მოუწევს ცეკვის სწავლა... ზოგიერთი ჯვარს არ იწერს. მე კი, როცა გავთხოვდები, ჯვარს აუცილებლად დავიწერ. იმედი მაქვს, ჩემი ქმარიც მართლმადიდებელი იქნება... ვიღაცას უნდა თეფშის გატეხა, ვიღაცას — არა. მე თუ ქორწილი მექნება, თეფშსაც გავტეხ, ერთი ფეხის დაბრახუნებას რაღა უნდა!

**„ვიღაცას უნდა თეფშის გატეხა, ვიღაცას — არა. მე თუ ქორწილი მექნება, თეფშსაც გავტეხ, ერთი ფეხის დაბრახუნებას რაღა უნდა!“.**

**— საკუთარ ქორწილს გეგმავთ?**

— ჯერ გათხოვებას არ ვაპირებ.

**— სიურპრიზების მოწყობა გეხერხებათ? რომანტიკული ხართ?**

— რომანტიკულიც ვარ და სხვებისთვის სიურპრიზების მოწყობაც მიყვარს.

**— მაგალითად, რა გაგიკეთებიათ, სადამდე მიდის თქვენი ფანტაზია?**

— ჩემი ფანტაზია ძალიან შორს მიდის, მაგრამ ჟურნალებისთვის ამის მოყოლა არ მინდა.

**— მაშინ ის მითხარით, თქვენ გამო რა გაუკეთებიათ, რამაც ძალიან გაგახარათ?**

— ძალიან ბევრი რაღაც. ერთი პერიოდი, სადაც კი მივდიოდი, ქუჩებზე სანთლებით ეწერა ჩემი სახელი — „მიყვარხარ, ეკო!“ და გულები ეხატა. ცოტა ხნის წინ აივნიდან გადავიხედე და მთელი ჩემი სადარბაზო წითლად იყო აჭრელებული წარწერით — „მიყვარხარ, ეკო!“.

**— ეს ბექამ ხომ არ გააკეთა?**

— კი, მაგრამ ჩემს პირად საკითხებზე საჯაროდ არასოდეს ვილაპარაკებ! ხალხის ზედმეტი ჩარევა ძალიან ცუდია. თბილისი ჭორების ბუდეა. ზედმეტად ცნობისმოყვარენი არიან. რაღაც ეტაპზე თითქოს სასიამოვნოა, მაგრამ სადღაც კაფეში ორნი რომ სხედხართ და ვიღაც გიჭვრიტინებს, „ფეისბუქზე“ რაღაცას რომ წერ და უცებ ჟურნალში იბეჭდება, ძალიან არ მომწონს. ადამიანები საკუთარ თავს საკმაოდ ბევრის უფლებას აძლევენ. ჩემთვის ვიღაცას ხშირად უთქვამს, ახლა ჩემმა მეგობარმა დამირეკა, ბექა ვიღაცასთან ერთად სადღაც კაფეშიაო. სასაცილო კი ის იყო, რომ ცოტა ხნით ადრე მეც იმ კაფეში ვიყავი, საქმეზე გავედი, ბექა კი ჩემს უახლოეს მეგობრებთან ერთად დარჩა. შეიძლება ჩემი დაქალის ქმართან ერთად შევიდე კაფეში და მაშინვე ერთი ამბავი ატყდეს. სულ ვერიდები, რომ ჩემზე ზედმეტად არ ილაპარაკონ. ვინმე ჩემს ძმას ან ბექას ორ დას იცნობთ? არა, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ შეიძლება დედმამიშვილებზეც კი იჭორაონ, ვინააო.

**— საკუთარ თავზე ყველაზე გამაღიზიანებელი რა გაგიგიათ?**

— ერთმა საზიზღარმა გოგომ, რომელიც ბექაზე იყო გაგიჟებული (მის სახელს დიდი სიამოვნებით ვიტყოდი, მაგრამ ეს რომ გავაკეთო, ძალიან ცუდი ადამიანი უნდა ვიყო), ბექა მოატყუა, რომ ვითომ მე ბექას მეგობარ ბიჭებთან დავდიოდი. რა თქმა უნდა, მალე ყველაფერი გაირკვა. ბექა ძალიან გაბრაზებული მომიყვა, ასე მითხრესო, მაგრამ ის ვიღაც შუაზე რომ არ გამეგლიჯა, არ გამიმხილა, ვინ იყო. მაინც გავარკვიე, ვისი ნათქვამი იყო. ახლა მითხარით, როგორ შეიძლებოდა ამას ჩემს ფსიქიკაზე არ ემოქმედა!

**— რა რეაქცია ჰქონდა ამ ჭორზე ბექას?**

— არანაირი, უბრალოდ ალბათ ძალიან მოეშალა ნერვები, როცა ეს უთხრეს. წარმოიდგინეთ ქართველი კაცი, რომლის შეყვარებულზე და მეგობრებზეც ასე დაიწყებენ ლაპარაკს. ეს ჯერ კიდევ მაშინ იყო, როცა შედარებით ახალი დაწყებული გვქონდა ურთიერთობა. საშინელ ხალხში ვცხოვრობთ.

**— მართალია, პირად ცხოვრებაზე ლაპარაკს გაურბიხართ, მაგრამ მაინც უნდა გკითხოთ, ამ მხრივ რაიმე სიახლე ხომ არ გაქვთ.**

— ჩემს პირად ცხოვრებაში არაფერი ხდება.

**— შეიძლება, რომ თქვენ და ბექა შერიგდეთ?**

— არასოდეს არავინ იცის, რა მოხდება. მე და ბექას მანამდეც ძალიან გვიჩხუბია და მერე შევრიგებულვართ და შეიძლება ახლაც შევრიგდეთ. არ ვიცი, მომავალში რა იქნება. ამ ეტაპზე ზუსტად ვიცი, რომ მხოლოდ მუშაობით ვარ დაკავებული.

✓ **ქეთი დინოშვილი**



Cyan Magenta Yellow Black



### ეტაპი

# გიო ხუციშვილმა ახალი რეპერტუარისთვის 12 კილო დაიკლო

## „50 წლის ასაკში თავს 20 წლის ბიჭივით ვგრძნობ"

მომღერალ გიო ხუციშვილს 50 წელი შეუსრულდა, ორი თვის წინ ბაბუა გახდა, ახალი სამსახური აქვს, ბენდი ჰყავს, ახალ რეპერტუარზე, განსხვავებული ჟანრის სიმღერებზე მუშაობს და კიდევ, დიეტით ზედმეტ 12 კილოს გამოეთხოვა. სიახლეებს არ უშინდება, მით უმეტეს, რომ გვერდს ძლიერი მეორე ნახევარი, პიანისტი მაია ჯორჯაძე უმშვენებს. სწორედ მისი დამსახურება იყო, რომ თავის დროზე გიო სცენაზე ავიდა და ამღერდა. მომღერალმა ახალი სიმღერების არანჟირებაც ცოლს მიანდო და პირველ კონცერტს გულმშვიდად ელოდება. დარწმუნებულია, რომ მისი მსმენელი ახალგაზრდულ, ტემპერამენტიან სიმღერებს კარგად მიიღებს და მასთან ერთად აცეკვდება.

— **გიო, როგორც ვიცი, თქვენს ცხოვრებაში ბევრი სიახლეა, ახალი სამსახური გაქვთ, ბენდი აიყვანეთ და განსხვავებულ რეპერტუარზე მუშაობთ. გვიამბეთ ამ ყველაფერზე.**

— პირველ რიგში, გეტყვით, რომ არანაირი სიახლის არ მეშინია. მე არაერთი პროფესია მაქვს, ამ ეტაპზე სპორტის სასახლის დირექტორი ვარ, უამრავი ღონისძიება გვაქვს დაგეგმილი, ერთ გაწამაწიაში გახლავართ. მიუხედავად იმისა, რომ დატვირთული სამუშაო მაქვს, მინდა, სიმღერას მივხედო და ამ სფეროს არ ჩამოვშორდე. ამიტომ ვეძებე, ვეძებე და... რამდენიმე თვეა, რაც ახალ რეპერტუარზე დავიწყე მუშაობა. ისეთ პროდუქტს ვქმნი, რომელიც იქნება კარგი მოსასმენი, მხიარული და საცეკვაო. ეს პროექტი ქართულია და, მართალია, ათასჯერ არის გადამღერებული, მაგრამ ჩვენ ამჯერად მსმენელს სულ სხვა ინტერპრეტაციით წარვუდგენთ. ეს იქნება ბოსანოვა, ლათინოამერიკულ სტილში გადამღერებული ძველი ქართული სიმღერები — გოგი ცაბაძის, ოთარ რამიშვილის და სხვა კომპოზიტორების. მყავს ჩემი ბენდი ოთხი გიტარით — „პერკუსია და ბონგები". ეს ბენდი დიდი ხანია, რაც არსებობს, ძალიან მაგარი მუსიკოსები არიან, ადრე მათ „ლათინო ბოისი" ერქვათ. ჩვენს ერთობლივ პროექტს კი ერქმევა „გიო და ბიჭები".

— **მიკვირს, აქამდე რომ არაფერი თქვით ამ პროექტის შესახებ.**

— ვასაიდუმლოებდით, რადგან საქართველოში მიმბაძველობის სინდრომი ძალიან დიდია. თუ რაღაც გამოააშკარავე, მეორე დღეს იმავეს სხვა აკეთებს.

— **ხშირ შემთხვევაში მსმენელი არცთუ ისე დადებითად ხვდება გადაკეთებულ სიმღერებს. კრიტიკის არ გეშინიათ?**

— არა, რადგან ჰარმონიას არ ვცვლით. ჩვენი კლასიკოსები, რომლებიც ადრე ქმნიდნენ სიმღერებს, მათში ყოველთვის დებდნენ ჯაზურ აკორდებს. ნუნუ დუღაშვილის სიმღერებს ვმღერი და, ჩემი აზრით, ეს კომპოზიტორი არის ჯაზმენი... ძველ სიმღერებს ტემპი მოვუმატეთ. ეს არის და ეს.

— **ქალაქური სიმღერების შემსრულებლად გიცნობენ და თქვენგან ამ სიახლეს როგორ მიიღებენ?**

— ცხოვრებაში თითქმის ყველანაირი ჟანრის სიმღერა მიმღერია. „ამოდი, ამოანათე", რომელიც მსმენელს ძალიან უყვარს,

**„უკვე ბაბუა ვარ — ჩემს გოგოს, ელენეს, არაჩვეულებრივი კატო ჰყავს. ის უკვე 2 თვისაა".**

ქალაქური არ არის. სიმღერაში ტემპი ყოველთვის მიყვარდა. ამ სიმღერების ახლებურად გადამღერება რთული იყო, ეს ყველაფერი მუსიკოსს უნდა გაეკეთებინა, ამიტომ ჩემი მეუღლე, მაიკო დამეხმარა. 16 აგვისტოს ბათუმში პირველი კონცერტი გვექნება. ძალიან გვინდა, თბილისური პრეზენტაციაც მოვაწყოთ და ეს კონცერტი დიდ აუდიტორიას მოვასმენინოთ, მსმენელი ავაცეკვოთ, გავამხიარულოთ.

— **ახალგაზრდობას ხომ არ დაუბრუნდა გიო ხუციშვილი?**

— 50 წლის შევსრულდი და ახალი სუნთქვა გამეხსნა. თავს 20 წლის ბიჭივით ვგრძნობ. მინდა, დარჩენილი 50 წელი ახალგაზრდული შემართებით გავიარო. ეს პროდუქტი ყველა ასაკის მსმენელთან მივა. ჩემი ასაკის ადამიანსაც უნდა კლუბში წასვლა და გართობა. ამიტომ ეს მუსიკა ყველა ასაკზე გავთვალე. ამ ყველაფერს სერიოზული პიარი სჭირდება, რაშიც ჩემი მეგობრის შვილი სალომე გოგიაშვილი დამეხმარება. გვინდა, ეს მუსიკა პოსტსაბჭოთა ქვეყნებშიც გავიტანოთ.

— **წონაშიც დაკლებული ხართ, ამ პროექტის სამზადისმა შეიწირა ზედმეტი კილოგრამები თუ დიეტით მიიღეთ ეს შედეგი?**

— მართლაც გავხდი, 12 კილო დავიკელი. ამით მინდა, იმ მსმენელს ვცე პატივი, რომელიც ჩემს მოსასმენად მოვა. ეს შედეგი კი დიეტით მივიღე, რომელიც მე მოვიგონე. აღარ ვჭამ ცომეულს და არც 6 საათის შემდეგ გეახლებით. საოცარი ნებისყოფა მაქვს, თუ რამეს ვიტყვი, ვასრულებ. ბოლო პერიოდში საგრძნობლად მქონდა მომატებული, რაც არ მსიამოვნებდა. ჩემს გარეგნულ იმიჯში სხვა არაფერი შეიცვლება. ჩემი ბენდის ბიჭები რომ ნახოთ, დაცვის ბიჭები გეგონებათ, დაკუნთულები არიან.

— **რას ელით ამ პროექტისგან, კომერციულ წარმატებას, მეტ პოპულარობას...**

— პოპულარობას — არა, გიო ხუციშვილი, მგონი, ისედაც ყველამ იცის. სიმღერა არის ჩემი ცხოვრება, რომელსაც დიდი სიხარული და სიყვარული მოაქვს. ამ პროექტით მინდა, ჩემს თბილისს და ჩემს ქვეყანას კიდევ ერთხელ მოვეფერო. რაც შეეხება კომერციას, ამაზე აქცენტს არ ვაკეთებ, მაგრამ ვიცი, რომ შემოსავლიანი იქნება. მე სულ ვმუშაობ, შოუბიზნესით არასდროს მიშოვია ფული, ჩემთვის ესტრადა შემოსავლის წყარო არასოდეს ყოფილა. ბიჭებზე ვფიქრობ, მინდა, ისინი ყველამ გაიცნოს.

— **ბენდთან მუშაობა დიდი ფუფუნებაა, ამაზე ბევრ მომღერალს მხოლოდ ოცნება თუ შეუძლია...**

— დიახ, ასეა, მაგრამ ჩვენ ენთუზიაზმით შევიკრიბეთ და ვმუშაობთ. ჩემი მეუღლე არანჟირებაშიფულს არ გვართმევს. ეს არის ოჯახური ამბავი, მაიკოს სიყვარულით გადავუხდი.

— **ყოველთვის აღნიშნავთ, რომ მეუღლის როლი თქვენს შემოქმედებაში ძალიან დიდია.**

— ნამდვილად ასეა. მაიკო კარგი პიანისტია, თავისი საქმის პროფესიონალი. მისი დამსახურებაა, მე და ჩვენი შვილი ზუკა რომ ვმღერით. სცენაზე ასვლას არ ვაპირებდი, მისი დაჟინებული თხოვნის შემდეგ ავმღერდი საჯაროდ.

— **თქვენი კოლეგებისგან რა შეფასებებს ელოდებით?**

— ესტრადის მომღერლები ჩემი კოლეგები კი არა, მეგობრები არიან. ყველა მათგანი ძალიან მიყვარს, სიმღერა ჩემი ცხოვრებაა და არა — პროფესია. კონცერტზე დავპატიჟებ ლიზა ბაგრატიონს, მამუკა ჩარკვიანს, მათ ექსპრომტად ავიყვან სცენაზე და ამ პროექტში ჩავრთავ. მერე კი მეგობრების რეაქციებს დაველოდები.

— **ადრე რატომ არ აქტიურობდით შოუბიზნესში?**

— იმიტომ, რომ სხვა ბევრი საქმე მქონდა. თუმცა შეიძლება ტელეეკრანზე არ ვჩანდი, მაგრამ რეპერტუარზე სულ ვმუშაობდი, ყოველთვის მოთხოვნადი მომღერალი ვიყავი.

— **ქვეყანაში ახალი პოლიტიკური რეალობა რა მხრივ აისახა თქვენზე?**

— ყოველთვის გიო ხუციშვილი ვიყავი და ვარ! ჩემს შემოქმედებასთან პოლიტიკას არანაირი შეხება არ ჰქონია. მომღერალმა უნდა შექმნას კარგი პროდუქტი, იმუშაოს საკუთარ თავზე და ყოველთვის მოთხოვნადი იქნება. მუსიკაც ყოველთვის იპოვის თავის ადგილს და ხელოვანიც.

— **როგორ ფიქრობთ, თქვენ რა ადგილი გიკავიათ ქართულ მუსიკალურ ცხოვრებაში?**

— წლებია, რაც ამ სფეროში ვარ და ჩემი ნიშა ყოველთვის მქონდა. ვამაყობ, რომ მეცხრე თაობის თბილისელი ვარ და ჩემი ქალაქია ჩემი ნიშა. იმის იქით არც მაინტერესებს არაფერი! მინდა, წესიერი ადამიანის სახელი მქონდეს და ვცდილობ, პატიოსნად ვიცხოვრო.

— **50 წლის ასაკში ოჯახურ ცხოვრებას როგორ აფასებთ?**

— სამი შვილი მყავს, ყველა მეტნაკლებად დაბინავებულია, მათ თავიანთი ცხოვრება აქვთ. უკვე ბაბუა ვარ — ჩემს გოგოს, ელენეს, არაჩვეულებრივი კატო ჰყავს. ის უკვე 2 თვისაა, ახლა დასასვენებლადაა წასული და ერთი სული მაქვს, როდის ვნახავ. ოჯახური იდილიით ვტკბები. რა გითხრათ, ბედნიერი ვარ, რომ წესიერი ოჯახი მყავს.

✓ **ლანა კიკნაძე**



Cyan Magenta Yellow Black

# ჯანეტ ქერდიყოშვილი ახალ „ვია გრაში“ მოსახვედრად იბრძვის

## ქართველი ლამაზმანი კონსტანტინე მელაძის ექსპერიმენტში მონაწილეობს



„მის საქართველო 2011“ ჯანეტ ქერდიყოშვილი რუსული შოუბიზნესის ცნობილი ფიგურის, კომპოზიტორისა და პროდიუსერის, კონსტანტინე მელაძის რვაკვირიან ექსპერიმენტში ჩაება. ამჯერად მშვენიერ გოგონას მაყურებლის გულის მოგება არც სილამაზით მოუწევს და არც ცეკვით, მან ჯგუფ „ვია გრაში“ ადგილი უნდა მოიპოვოს. ამისთვის კი რეალითი შოუში 21 კონკურენტი უნდა დაამარცხოს. როგორც აღმოჩნდა, ჯანეტი კარგად მღერის. რუსული პროექტის ავტორებს ქართველი გოგონას სიმორცხვეც მოეწონათ, თუმცა დროთა განმავლობაში მისგან ალბათ უფრო მეტ სითამამეს მოითხოვენ. თუ როგორ აღმოჩნდა პროექტში და რა გეგმები აქვს, ამაზე ჯანეტი თავად გვიამბობს.

— **ჯანეტ, როგორ აღმოჩნდით ამ კონკურსში?**

— 2012 წლის დეკემბერში ახლობლების სანახავად პეტერბურგში გავემგზავრე. საქართველოში წამოსვლამდე ერთი დღით ადრე ჩემი მეგობრის დისგან გავიგე, რომ კონსტანტინე მელაძე რაღაც კასტინგს აწყობდა. მისვლა გადავწყვიტე, ოღონდ ეს არავისთვის მითქვამს... პირველ კასტინგზე ალა პუგაჩოვას სიმღერა ვიმღერე. საერთოდ არ ველოდი, მაგრამ მეორე ტურში გადამიყვანეს, შემდეგ მესამეში. მითხრეს, კონსტანტინე ამ ვიდეოებს ნახავს და გოგონებს საფინალო კასტინგებისთვის ამის მიხედვით დაიბარებსო.

რამდენიმე თვე გავიდა, მაგრამ ჩემთვის არავის დაურეკავს. ჩავთვალე, რომ მათი ტიპაჟი არ ვიყავი, არ მოვეწონე და ის კასტინგი მიმავიწყდა კიდეც. აპრილში კი დამირეკეს და მითხრეს, საფინალო კასტინგზე კიევში უნდა ჩამოხვიდეო. ორი თვე ვოკალის მასწავლებელთან, რუსიკო ბახტაძესთან ვემზადებოდი და 17 ივლისს კიევში გავემგზავრე. მანანა მანიას ულამაზესი თეთრი, გრძელი, ბრჭყვიალა კაბა მეცვა. „მის უნივერსზე“ და წითელ ხალიჩაზე გასასვლელად გამზადებულს უფრო ვგავდი, ვიდრე სცენაზე. ამ კასტინგზე ალსუს „ვჩერა“ შევასრულე.

— **ვინ იყვნენ ჟიურის წევრები?**

— კონსტანტინე მელაძე, ალინა ჯანაბაევა — „ვია გრას“ ყოფილი წევრი და შოუმენი იგორ ვერნიკი. იგორმა მითხრა, გეტყობა, რომ კარგ ოჯახში ხარ გაზრდილი და, მგონი, ვერც მიხვდი, სად მოხვდი, ჩემი აზრით, ძალიან ნაზი ხარ და არა „ვია გრას“ ტიპაჟიო. კონსტანტინემაც იგივე მითხრა, მინდა, მეორე ტურშიც გიხილო, მაგრამ კარგად უნდა დაფიქრდე, შენ თვითონ გინდა თუ არა, მგონია, რომ მორცხვი და ჩაკეტილი ხარო. შემდეგ ტურში მაინც გადამიყვანეს. მეც დავფიქრდი, მჭირდებოდა თუ არა დარჩენა.

**„არა მგონია, რომ შიშველმა უნდა ვიარო ოთახებში და გადამიღონ. თუ ასეთი მოთხოვნა იქნება, იქიდან წამოვალ“.**

მეორე ტური ცეკვის იყო. ოთახში შეგვიყვანეს, სადაც ჩვენი ფოტოები იყო გაკრული. მარჯვენა მხარეს კასტინგის მონაწილეების ფოტოები იყო, მარცხენა მხარეს — მათი, ვინც შემდეგ ტურში ვერ გავიდა, უკანა მხარეს კი — ფოტოები, ვისზეც ფიქრობდნენ, დაეტოვებინათ თუ არა პროექტში. ჩემი ფოტო უკანა მხარეს ეკიდა. მაშინ ძალა მოვიკრიბე, ვიფიქრე, ჯერ უნდა ვაჩვენო, რისი გაკეთება შემიძლია და მერე, თუ მომინდება, წავალ-მეთქი.

მესამე ტური ისევ სიმღერის იყო. ჯგუფებად სამ-სამი გოგო დაგვყვეს. „ვია გრას“ ერთ-ერთი სიმღერა ავარჩიეთ და ცეკვა დავდგით. ყველაფერი ჩვენ თვითონ უნდა გაგვეკეთებინა და ამისთვის მხოლოდ ერთი ღამე გვქონდა. როცა სცენაზე გამოვედით, აღიარეს, რომ ჩვენი ჯგუფი ყველაზე მომზადებული იყო. ჟიურის წევრებმა თქვეს, ჯანეტს ეტყობა, რომ ისეთი გახსნილი არ არის, როგორც ის ორი გოგო, მაგრამ მის ქართულ მორიდებას თავისი ხიბლი აქვსო. ალბათ მაინც მეტყობოდა, რომ იმის გაკეთება არ შემეძლო, რასაც სხვები აკეთებდნენ.

**„როცა ვიცეკვე, ჟიურის წევრებმა თქვეს, ჯანეტს ეტყობა, რომ ისეთი გახსნილი არ არის, როგორც ის ორი გოგო, მაგრამ მის ქართულ მორიდებას თავისი ხიბლი აქვსო“.**

— **სულ რამდენი მონაწილე იყავით?**

— კასტინგი რუსეთში, უკრაინაში, ყაზახეთში და ბელორუსიაში გამოცხადდა. თითო ქვეყნიდან საშუალოდ 2.000 გოგო მივიდა, ანუ თავიდან 8.000 კონკურსანტი იყო. საბოლოოდ 24 გოგო დავრჩით. ამის შემდეგ კონსტანტინემ ჯგუფებად დაგვყო, თითოში სამ-სამი გოგო ვართ. მე ულამაზეს გოგონებში მოვხვდი. ერთი ყაზახეთიდან არის, შავგვრემანია, მეორე უკრაინელია, ქერა და ჩემი ტიპის. სამივე თითქმის ერთი სიმაღლის ვართ.

— **ანუ ახალი „ვია გრა“ იქმნება?**

— ამ ჯგუფს „ვია გრა“ არ ერქმევა, რადგან კონსტანტინე იგივე პროექტის გაკეთებას არ აპირებს. ჯგუფის სახელი ჯერ არ ვიცით.

— **მაშინ რატომ ჰქვია ამ კონკურსს „ხაჩუ ვია გრუ“?**

— 2013 წლის 1 იანვარს ეს ჯგუფი ოფიციალურად დაიშალა. კონსტანტინემ სწორი პიარსვლა გააკეთა, როცა ამ კონკურსს „ხაჩუ ვიაგრუ“ დაარქვა. მხოლოდ ის რომ გამოეცხადებინათ, ახალ პროექტს აკეთებსო, შეიძლებოდა ამდენი ხალხი არ მისულიყო. ეს ჯგუფი „ვიაგრის“ მსგავსი არ იქნება, მაგრამ სამი კარგი გოგო კონსტანტინე მელაძის სიმღერებს შეასრულებს.

— **ახლა რა ხდება, 24 გოგოდან ვის ან როგორ აირჩევენ?**

— აგვისტოში კიევში ვბრუნდები. ეს შოუ 4 ქვეყნის ტელეეთერში გავა და 8 კვირას გაგრძელდება. ალბათ რომელიღაც სახლში ან სასტუმროში დავსახლდებით, სადაც24 საათის განმავლობაში კამერები იქნება ჩართული. იქ ვოკალის პედაგოგებიც გვეყოლებიან და ფიტნესტრენერებიც. ეს იქნება რეალითი შოუს მაგვარი. ყოველ კვირაში სცენაზე კონცერტი გვექნება და ერთი ჯგუფი გავარდება. გალა კონცერტი სექტემბერში ან ოქტომბერში გაიმართება, სადაც დარჩენილი სამი ჯგუფი გავა. იქიდან ერთი დარჩება და რუსულ შოუბიზნესში ახალი ჯგუფი შეიქმნება.

— **არ ვიცოდი, სიმღერაც თუ შეგეძლოთ. აქამდე სადმე გიმღერიათ?**

— ჩემს ძმასთან ერთად სხვადასხვა შოუებში, კონცერტებში ვმონაწილეობდი. მუსიკალური სკოლა დავამთავრე, ხმაც და სმენაც ყოველთვის მქონდა, მაგრამ 12 წლის შემდეგ არსად მიმღერია, თუ ახლობლების ვიწრო წრეს არ ჩავთვლით.

— **თუ გაიმარჯვეთ, მოსკოვში მოგიწევთ გადაბარგება.**

— არამხოლოდ მოსკოვში. ალბათ ძალიან ბევრი ტურნე იქნება, შეიძლება აქაც კი ჩამოვიდეთ. თუ გავიმარჯვე, საცხოვრებლად იქით გადასვლა მომიწევს.

— **რამდენადაც ვიცი, მამათქვენი საკმაოდ მკაცრია. მას რა რეაქცია ჰქონდა, როცა გაიგო, რომ ამ პროექტში იღებდით მონაწილეობას?**

— საქართველოში რამდენიმე დღის წინ ჩამოვედი და მას შემდეგ ვუხსნი, იქ რა სიტუაცია იქნება და ასე შემდეგ. თითქოს მაინც დაძაბულია, თან უხარია, რომ ამდენი შევძელი, მაგრამ ეშინია, რადგან არ იცის, რა იქნება.

— **კამერების წინ გაშიშვლება რომ მოგთხოვონ, დათანხმდებით?**

— ჩემთვის არ უთქვამთ, რომ ასეთი მოთხოვნა იქნება. ზოგს ეუბნებიან, რომ სექსუალური უნდა იყოს, ზოგს სხვა რამეს სთხოვენ. რომ მითხრან, კამერის წინ რაღაცეები უნდა გააკეთოო, მაშინვე სახლში წამოვალ. გახდაზე არც ვსაუბრობ, ეს გამორიცხულია! ალბათ თამამ სცენებში ვერ მივიღებ მონაწილეობას. თუმცა არა მგონია, მითხრან, რომ შიშველმა უნდა ვიარო ოთახებში და გადამიღონ. თუ ასეთი მოთხოვნა იქნება, იქიდან წამოვალ.

— **როგორ გგონიათ, გაიმარჯვებთ?**

— ვგრძნობ, რომ ფინალისტი თუ ვერ გავხდი, მაინც დიდხანს დავრჩები პროექტში.

— **როგორც ჩანს, ექსპერიმენტები გიყვართ. ჯერ ცეკვაში სცადეთ ბედი და საქართველოში მონაწილეობა მიიღეთ პროექტში „ცეკვავენ ვარსკვლავები“, ახლა კი რუსულ შოუბიზნესში მოსინჯეთ ძალები.**

— სიახლეები მაინტერესებს. ჯერჯერობით გათხოვებას არ ვაპირებ, არც ვინმე მყავს, რომ ამაზე ვიფიქრო, ამიტომ ვცდილობ, სანამ ამის საშუალება მაქვს და თავისუფალი ვარ, დრო მაქსიმალურად გამოვიყენო.

✓ მკა ლემონჯავა

# გიორგი ხაბურზანია: „ყველაზე საშიში მძღოლები ქალები კი არა, 25 წლის ბიჭები არიან!“

ტელეპროდიუსერმა გიორგი ხაბურზანიამ მანქანის მართვა ამერიკაში ისწავლა, მაგრამ საქართველოში ჩამოსულს იქაური წესები არ გამოადგა. ოკეანის გაღმა თუ მოძრაობის წესების დაცვაზე ფიქრობდა, აქ ერთადერთი საფიქრალი აქვს — სხვა მძღოლების გაკონტროლება. 8 წელია სპორტული „ტოიოტა სელიკა“ ჰყავს, რომელმაც თავის დროზე დიზაინით და ფასით მოხიბლა. მართალია, ორკარიანი ავტომობილი მგზავრებისთვის არცთუ მოსახერხებელია, მაგრამ მანევრირებისთვის საუკეთესოა, ამიტომ მის შეცვლაზე ჯერჯერობით არ ფიქრობს. ბევრი მამაკაცისგან განსხვავებით, ქალ მძღოლებს მტრებად არ აღიქვამს, ამ საკითხში სტატისტიკასა და მეცნიერებას უფრო ენდობა, რომლის მიხედვითაც საავარიო სიტუაციებს მშვენიერი სქესი კი არა, 25 წლის ბიჭები ქმნიან.




**„იმედია, თავის ზოლში სიარულს ყველა ისწავლის და მხოლოდ ციმციმას ჩართვის შემდეგ გადავლენ მეორე ზოლში. ამას თუ მივაღწიეთ, ჩათვალეთ, რომ ნატო-ს მივუახლოვდებით".**

— **გიორგი, როგორი მძღოლი ხართ, ემორჩილებით მოძრაობის წესებს?**

— მართვა ამერიკაში ვისწავლე და ეს საქმე იქ საკმაოდ მარტივია, ყველა წესების დაცვით მოძრაობს. საქართველოში რომ დავბრუნდი, ყველაფრის სწავლა თავიდან მომიწია. აქ სულ სხვა პრინციპებია, მთავარია, არავინ დაგეჯახოს. ამერიკაში მანქანის მართვის დიდი კულტურაა, კარგი გზებია და პარკინგი ყველგან არის. საქართველოში წესების დაცვას კი ვცდილობ, მაგრამ ჩვენს ქალაქში ისეთი სიტუაციაა, იმდენად თავხედი მძღოლები არიან, რომ გზას პრინციპულად არ ვუთმობ. ასეთი რამ კი ხშირად ხდება. ჩემი ოცნებაა, საქართველოში ყველა თავის ზოლში სიარულს მიეჩვიოს. იმედია, როგორც მიაჩვიეს მძღოლები იმას, რომ წითელ შუქნიშანზე, თეთრ ზოლთან უნდა გაჩერდნენ, ღვედი უნდა გაიკეთონ, ასევე ყველა თავის ზოლში სიარულს ისწავლის და მხოლოდ ციმციმას ჩართვის შემდეგ გადავლენ მეორე ზოლში. ამას თუ მივაღწიეთ, ჩათვალეთ, რომ ნატო-ს მივუახლოვდებით.

— **მოძრაობის დროს მხოლოდ ეს გიქმნით დისკომფორტს?**

— რასაკვირველია! შენს ზოლში თუ სწრაფად მიდიხარ, უნდა იცოდე, რომ გაუფრთხილებლად წინ არავინ გადმოგიხტება. ქალი მძღოლების შესახებ სტერეოტიპი და მითი არსებობს, მაგრამ მე სტატისტიკა და მეცნიერება მიყვარს. მსოფლიოში სადაზღვევო კომპანიები ყველაზე მაღალი რისკის ჯგუფად 25 წლამდე ასაკის მამაკაც მძღოლებს თვლიან. ყველაზე საშიში მძღოლები ბიჭები არიან. ქალმა შეიძლება ცუდი მანევრი გააკეთოს, მაგრამ საავარიო სიტუაციებს უფრო 25 წლამდე ბიჭები ქმნიან და ეს მხოლოდ ჩემი მოსაზრება არ გახლავთ.

— **შორიდანვე შეგიძლიათ მიხვდეთ, რომ მანქანას ქალი მართავს?**

— ხანდახან ვხვდები. განსაკუთრებით კი შაბათობით, როცა ქალების უმრავლესობა პეკინზე საშოპინგოდაა გამოსული. პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომელ მანქანაზე ზის ქალი და რომელზე — კაცი. ქალებს ხშირ შემთხვევაში დაბნეულობა ახასიათებთ, მით უმეტეს, თუ დიდი ჯიპები ჰყავთ და გაბარიტებს ვერ გრძნობენ. ამ დროს სამ ხაზში ერთდროულად დადიან, ზედმეტ სიფრთხილეს იჩენენ, რაც კიდევ უფრო აფერხებს მოძრაობას. ავარიულ სიტუაციაში იშვიათად მოვხვედრილვარ. ვცდილობ, საჭესთან ყურადღებით ვიყო. ჩემ წინ ან გვერდით მიმავალი მძღოლი რაღაც კრეტინობას თუ გააკეთებს, ამისთვის გამუდმებით მზად ვარ.

— **რა დანიშნულება აქვს ავტომობილს თქვენს ცხოვრებაში?**

— ჩემთვის მხოლოდ გადაადგილების საშუალებაა. დიდი ავტომოყვარული არ ვარ და მანქანებზე დიდ დროსა და ყურადღებას არ ვხარჯავ. რაც უფრო კომფორტულად გადაადგილდები, უკეთესია. ძვირადღირებული მანქანა კარგია, მაგრამ ეს ჩემი ცხოვრების მიზანი არ არის.

— **თქვენი ავტომობილი რამდენად კომფორტულია?**

— დიდი კომფორტულობით არ გამოირჩევა. „ტოიოტა სელიკა“ 2005 წელს დიზაინის და იმ ფასის გამო შევიძინე, რისი გადახდის საშუალებაც მქონდა. ჩემი ორკარიანი სპორტული ავტომობილი საკმაოდ მოუხერხებელია მგზავრებისთვის, სატარებლად კი თავისი „მუღამი“ აქვს, რადგან მექანიკური მართვითაა და მანევრირებადია.

— **სპორტული მანქანა რატომ შეარჩიეთ?**

— დიდი ჯიპები არ მიყვარს, მაღიზიანებს! ვერ ვხვდები, ქალაქში ამხელა მანქანა რატომ უნდა გინდოდეს. პატარა და მოქნილი ავტომობილი ჩემთვის ძალიან კომფორტულია, საცობებში გაძვრომა-გამოძვრომას იოლად ვახერხებ.

— **ავტონაწილებში ერკვევით?**

— შიდაწვის ძრავის მუშაობის პრინციპი ვიცი, მაგრამ შიგნით სხვა რა ხდება, ამაში ბუნდოვნად ვარ გარკვეული. ასეთ საკითხში დახმარებას მეგობრებს ვთხოვ. არ ვთვლი, რომ, რაც არ მაინტერესებს, უნდა ვიცოდე. „ტოიოტას“ ყველაზე დიდი პლუსი ის არის, რომ ფაქტობრივად არ ფუჭდება, ამიტომ არც პროფილაქტიკებში სიარული მიწევს.

— **ავტომობილის მოვლას რა დროს უთმობთ?**

— მაინცდამაინც კარგად ვერ ვუვლი. ამის ჰობი არ მაქვს. ვცდილობ, სალონში სისუფთავე იყოს და ხშირად ვანიავებ. ჩემს მანქანაში არამწეველი ხალხი უფრო იყრის თავს და არც სიგარეტის სუნი იგრძნობა.

— **რას ინახავთ სალონში?**

— ძალიან ბევრ კომპაქტდისკს. უკვე იმდენი მაქვს, აღარ ვიცი, რომელი მუშაობს და რომელია გაფუჭებული. მანქანაში სრული კომფორტისთვის მუსიკა აუცილებლად სულ ჩართული მაქვს. ეს არ მაბნევს.

— **რა სახის ჯარიმებს იღებთ?**

— ჯარიმებს ძირითადად სიჩქარის გადამეტების გამო ვიღებ და ეს იმ ადგილებში ხდება, სადაც კამერებია დაყენებული.

— **სწრაფად მოძრაობთ?**

— ძალიან სწრაფად — არა, მაგრამ გზაზე, სადაც შეიძლება სწრაფად იმოძრაო, კანონით, სიჩქარე მაქსიმალურად შეზღუდულია, რასაც ყურადღებას არ ვაქცევ ხოლმე. მოძრაობის დროს ტელეფონზე საუბარი „დამხეცებული“ მაქვს, სარკეებში ყოველთვის ვიხედები და პატრულსაც კარგად ვაკონტროლებ, მაგრამ რამდენჯერმე მაინც დამაჯარიმეს.

— **გცნობთ პატრული?**

— რატომ უნდა მცნობდნენ?! სხვათა შორის, ყოველთვის ძალიან ზრდილობიანი და წესიერი პატრულის თანამშრომლები მხვდებიან. რამდენჯერმე არც დამაჯარიმეს, რადგან მართალი ვიყავი, ავუხსენი და სიტყვაზე მენდნენ. გვიან ღამით პატრული გადამოწმების მიზნით ძალიან ხშირად მაჩერებდა, ახლა კი დიდი ხანია ღამით აღარ გავუჩერებივარ. შეიძლება 5 წელიწადში ერთხელ დავლიო და საჭესთან რატომ უნდა დავჯდე ამ დროს? სმა ჩემი სტიქია არ არის.

— **„სითი პარკთან“ პრობლემა არასოდეს შეგქმნიათ?**

— მე — არა, მაგრამ ჩემი მეგობრების მანქანები „მოუპარავთ“. ეს უსამართლობაა. „სითი პარკის“ გარდა „სტაიანშიკები“ კიდევ არსებობენ. ეს კი მძღოლებისთვის ორმაგი „რეკეტია“. საბჭოური გადმონაშთი უფრო მგონია, ვიდრე დასავლური. კანონი ყველასთვის ერთი უნდა იყოს. ეს კომპანია კერძო სექტორში რატომ არის, ჩემთვის საერთოდ ბუნდოვანია, აბსოლუტურად გაუგებარი წარმონაქმნია. ეს არის ძალიან ცუდი ბიზნესი, სადაც არანაირ ინვესტიციას არ დებენ და „რეკეტის“ დონეზე მუშაობა უნდათ.

— **საოცნებო ავტომობილი თუ გყავთ?**

— კი. ბრიტანული „იაგუარი“ ან იტალიური „მაზერატი“ მომწონს. მეორადი „იაგუარის“ ყიდვა საკმაოდ იაფადაა შესაძლებელი, მაგრამ საქართველოს პირობებში მისი შენახვა ძალიან რთულია. გულით ავტომოყვარული უნდა იყო, რომ ეს გააკეთო. მე რომელი „იაგუარიც“ მინდა, ისეთის შეძენის შესაძლებლობა უახლოეს მომავალში არ მექნება, თუ საქართველო უცებ არ გამდიდრდა.

✓ **სოფიო ბოჭორიძე**



Cyan Magenta Yellow Black

# ქეთა ლორთქიფანიძე: „როცა ქალი უყვარს, ის შიგნიდან ანათებს“

## „ვერ ვიტყვი, რომ ასაკს ვერ ვგრძნობ, ნაოჭებსაც ვამჩნევ კანზე“



მსახიობი ქეთა ლორთქიფანიძე საკმაოდ არაჯანსაღი ცხოვრების წესით ცხოვრობს: გვიან ღამით ჭამს, მცირე დროით და ურეჟიმოდ სძინავს, ხილს და ბოსტნეულს არ ცნობს, 36 წლის ასაკში სახის არანაირ საცხს არ იყენებს და არც გამოუყენებია, დღეში შვიდ ჭიქა ყავას სვამს და მაინც ძალიან კარგად გამოიყურება! თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ხუთი შვილის დედაა, მისი ასეთ ფორმაში ყოფნა მართლაც გასაკვირია. ბევრი სთხოვს, ამის საიდუმლო გაამხილოს, ქეთას კი ერთადერთი რეცეპტის მიცემა შეუძლია — მისი აზრით, ქალის სილამაზის მთავარი ელექსირი სიყვარულია.

**— ქეთა, სანამ ჩვენს მთავარ თემაზე გადავიდოდეთ, გკითხავთ, დასვენებას როდის აპირებთ.**

— წელს შვებულება არ მაქვს. შეიძლება ორი კვირით ზღვისპირეთში წავიდე, მაგრამ საფუძვლიან დასვენებას ვერ ვახერხებ.

**— სერიალში „ჩემი ცოლის დაქალები“ ითამაშეთ ქალი, რომელსაც მეუღლესთან პრობლემები ჰქონდა. თქვენი გმირი თავის მოსავლელად ვერ იცლიდა. არ გკითხავთ, რა საერთო გაქვთ ამ პერსონაჟთან...**

— არადა ძალიან ბევრი საერთო მაქვს და, რა თქმა უნდა, მეუღლესთან პრობლემებს არ ვგულისხმობ. უბრალოდ, 24 საათი საკუთარ თავზე ნამდვილად არ ვფიქრობ და არც თავის მოსავლელ საშუალებებს ვიყენებ აქტიურად. უფრო მეტიც, მანიკიური არასოდეს გამიკეთებია სალონში.

**„სტუდენტობისას მსუქანი ვიყავი — 68 კილო, არადა სიმაღლეში მეტრი და 65 სანტიმეტრი ვარ. ახლა 46 კილო ვარ. პირველივე მშობიარობის შემდეგ კლინიკიდან 48 კილო გამოვედი, ძალიან ბევრი დავიკელი“.**

**— როგორც ჩანს, თავად გესერხებათ გაკეთება.**

— არა, საერთოდ არ ვიკეთებ მანიკიურს. მე სამხატვრო აკადემიაში ვსწავლობდი და ეს ჩვევა ალბათ იქიდან გამომყვა. აკადემიაში მანიკიურის გაკეთება ცუდ ტონადაც კი ითვლებოდა. როგორც პიანისტები არ იზრდიან ფრჩხილებს, ამ საკითხს მხატვრებიც დაახლოებით ასევე უყურებენ. სერიალში ჩემი გმირის სახეზე დიდად არ მიმუშავია, რადგან თავადაც ხშირად ვარ უმაკიაჟოდ, უბრალოდ შეკრული თმით და ა.შ.

**— არ გიყვართ სარკესთან დგომა?**

— მიყვარს, მაგრამ ამისთვის ბევრი დრო არასოდეს მაქვს.

**— 36 წლის ასაკში 5 შვილის დედა ხართ. მშობიარობის შემდეგ ქალს სხეულის ფორმები ეცვლება, თქვენ როგორ მოახერხეთ თხელი ფიგურის შენარჩუნება?**

— ამას ძალიან ხშირად მეკითხებიან ახლობლებით დაწყებული, ტაქსის მძღოლებით დამთავრებული, მაგრამ მართლა არ ვიცი. მეც მინდა, გავიგო, რა არის ჩემი გარეგნობის საიდუმლო, რომ ჩავეჭიდო და ხელიდან არ გავუშვა, მაგრამ ჯერ ვერ მივხვდი. დადებითი ემოციებით ვცხოვრობ და ალბათ საიდუმლოს გასაღებიც ეს არის. როგორი დაღლილიც უნდა მივიდე სახლში, მაინც ვახერხებ, რომ გავიღიმო. სახის არანაირ საცხს არ ვიყენებ. ვერ ვიტყვი, რომ ასაკს ვერ ვგრძნობ. უკვე ნაოჭებსაც ვამჩნევ კანზე. საბედნიეროდ, ჯერ ჭაღარა არ მაქვს და თმის შეღებვა არ მიწევს. როცა ეს დამჭირდება, ჩემთვის წამება იქნება, რადგან ძალიან მეზარება.

**— სახეზე არც ნიღბებს იდებთ?**

— ნიღბებს მხოლოდ თმისთვის ვიყენებ. ძალიან მშრალი კანი მაქვს და ყველა გრიმიორისგან მუდმივად მესმის, რომ მას წყალი სწყურია.

**— ალბათ სწორი კვების რეჟიმს იცავთ, რომელიც თქვენს ორგანიზმზე დადებითად აისახება...**

— საერთოდ არ ვიცავ. ხანდახან დღე ისე გადის, ღამე მახსენდება, რომ მშიერი ვარ. ყველაზე ცუდი ის არის, რომ გვიან ვჭამ. ხილს და ბოსტნეულს იშვიათად ვილებ. უფრო მეტიც, მაქვს მავნე ჩვევები: დღეში შვიდ ჭიქამდე ყავას ვსვამ, წყალს კი — იშვიათად.

**— არ დაგიმალავთ, გაოგნებული ვარ! თუ ასეა, ალბათ გენეტიკა გშველით. თქვენი ოჯახის უფროს თაობაზე მოგვიყევით. როგორ გამოიყურებოდნენ?**

— ბებიას გავიხსენებ, რომელიც ულამაზესი ქალი იყო. საკმაოდ ხანდაზმულ ასაკში გარდაიცვალა და სიცოცხლის ბოლო დღემდე ფანტასტიკურად გამოიყურებოდა. მუდამ იკეთებდა მანიკიურს, ჰყავდა თმის სტილისტი და ყოველთვის მოწესრიგებული დადიოდა. გამიხარდება, სიბერეში მას თუ დავემსგავსები. მე ისე არ ვუვლი თავს, როგორც ბებია. ის მასწავლიდა, რომ ქალი ყოველთვის მოწესრიგებული უნდა იყოს. ეს რჩევა ჩემს გარდეროობთან დაკავშირებით გამოვიყენე და ის ყოველთვის მოწესრიგებულია.

**— როგორც ჩანს, სიბერის არ გეშინიათ.**

— სიბერის მეშინია, მაგრამ არა იმიტომ, რომ ნაოჭები მომემატება, უბრალოდ მარტო დარჩენის მეშინია.

**— რას არ გააკეთებთ ხანდაზმულ ასაკში?**

— არ მომწონს, როცა ასაკოვანი ქალები გაშლილ თმას ატარებენ. ზუსტად ვიცი, რომ ამას არ გავაკეთებ. ალბათ არც მოკლე კაბას ჩავიცვამ. არის გარკვეული შეზღუდვები, რაც ასაკოვანმა ქალმა უნდა დაიცვას ისევ და ისევ იმისთვის, რომ სასაცილო არ გახდეს.

**— რა სჭირდება ქალს იმისთვის, რომ კარგად გამოიყურებოდეს?**

— სიყვარული. ეს მთავარია ქალისთვის. უნდა გრძნობდეს, რომ ის უყვართ. როცა ამას გრძნობს, უკვე ლამაზია. მას აქვს სტიმული, უფრო კარგად გამოიყურებოდეს. თუ ქალი მხოლოდ სამზარეულოსა და სამსახურზეა გადამკვდარი, ფორმაში ვერ იქნება. როცა ქალი უყვართ, ის შიგნიდან ანათებს.

**— ფული არ არის საჭირო კარგი გარეგნობისთვის?**

— რა თქმა უნდა, ფულიც აუცილებელია. როცა თავის მოსავლელად ბევრს ხარჯავ, ბუნებრივია, უკეთესად გამოიყურები, მაგრამ ზოგი ფულის ხარჯვის გარეშეც ახერხებს სახლის პირობებში თავის მოვლას. მთავარია, ამის ხალისი არსებობდეს.

**— გიფიქრიათ პლასტიკურ ქირურგიაზე?**

— სახის ნაკვთების შეცვლა არასოდეს მომდომებია. ვთვლი, რომ მსახიობს სახის მიმიკა უნდა ემორჩილებოდეს. სხეულის კორექციისთვის კი მიმიმართავს, მაგრამ დეტალების გამხელა საჭიროდ არ მიმაჩნია.

**— ფორმის შენარჩუნებისთვის დიეტებს იცავთ?**

— არა. სტუდენტობისას მსუქანი ვიყავი — 68 კილო, არადა სიმაღლეში მეტრი და 65 სანტიმეტრი ვარ. ახლა 46 კილო ვარ. პირველივე მშობიარობის შემდეგ კლინიკიდან 48 კილო გამოვედი, ძალიან ბევრი დავიკელი. მერე ვამბობდი, მთელი სტუდენტობა ჩემი წონის გამო ისე ვიწვალე, რომ ერთბაშად დამიფასდა-მეთქი.

**„სახის ნაკვთების შეცვლა არასოდეს მომდომებია. ვთვლი, რომ მსახიობს სახის მიმიკა უნდა ემორჩილებოდეს. სხეულის კორექციისთვის კი მიმიმართავს“.**

**— ქმრისგან როდის იღებთ განსაკუთრებულ კომპლიმენტებს?**

— ქმრისგან ხშირად ვიღებ კომპლიმენტებს. ჩვენი გემოვნება ერთმანეთს ემთხვევა. მხოლოდ ის არ უყვარს ძალიან, როცა მოკლე შარვლებს ვიცვამ. ვეუბნები, 40 წლის მერე აღარ ჩავიცვამ-მეთქი. 40 წლის მერე თმის შეჭრასაც ვაპირებ.

**— გიყვართ გარეგნობაში ექსპერიმენტების ჩატარება?**

— არ მიყვარს. როლისთვის თუ მჭირდება იმიჯის შეცვლა, პარიკებს ვიყენებ.

**— დაბოლოს, როცა სარკეში იყურებით, ვის ხედავთ?**

— გააჩნია განწყობას და სიტუაციას. ერთი შემიძლია ვთქვა, რომ სუსტი არ ვარ. შეიძლება მინდა კიდეც, ასეთი ვიყო, მაგრამ შვილები და ჩემი საქმე ამის უფლებას არ მაძლევენ. საბოლოო ჯამში კი, ეს ძალიან მომწონს.

✓ **მანანა ნოდია**

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება. საჭირო გამოკვლევები უფასოა! ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება 0. ქ-ნი ქეთევანი.

☎ 599-90-54-78, 234-02-38



Cyan Magenta Yellow Black

შინ

# სალომე ბაკურაძის საძინებელი მეგობრებმა დაიპყრეს



„მთელი ჩემი ჰონორარი ამ სახლში ჩავდე"

მომღერალი სალომე ბაკურაძე ახალმა სახლმა ნამდვილ დიასახლისად აქცია. თავის ოროთახიან ბინაში მხიარულად დაფუსფუსებს, ალაგებს, კერძებს ამზადებს. მისი „ციხესიმაგრე“ თბილისში, ქავთარაძის ქუჩაზე, 6 წელი შენდებოდა, ექვსი თვე კი მის გარემონტებას მოანდომა. სამზარეულო და მისაღები ოთახი გააერთიანა, კედლებში კი კარადები ჩააშენა, რომ ბევრი სათავსო ჰქონოდა. საძინებელი მყუდრო, მშვიდ ფერებში გადაწყვიტა. რემონტმა და სახლის მოწყობამ ისე გაიტაცა, დაღლა არ უგრძვნია, პირიქით, ისეთ ეშხშია შესული, ფიქრობს, ახალი რა შეჰმატოს.

**— სალომე, რამდენი წელია, რაც ამ ბინას ელოდებით?**

— დაახლოებით 6 წელია ამ ბინას ვიშენებ. მაშინ ალექსანდრე ბასილაიას კვინტეტში ვიყავი, ჩემი შემოსავალი მქონდა, მაგრამ, ბუნებრივია, ბინის ყიდვას მხოლოდ ჩემი სახსრებით ვერ შევძლებდი და დედა დამეხმარა. დასრულებული ბინა დაახლოებით ერთი წლის წინ ჩამაბარეს. ყინვები იყო და რემონტი ვერ დავიწყე, თან ველოდებოდი, ფული როდის ჩამივარდებოდა ხელში, რომ ყველაფერი ერთიანად გამეკეთებინა. ბოლოს კი მივხვდი, რომ უაზროდ ვაჭიანურებდი. ამიტომ ნელ-ნელა მივყევი რემონტის კეთებას. ჩემი ჰონორარი ამ საქმეში დავაბანდე. 6 თვეში სახლის ძირითად ნაწილს მოვრჩი, ახლა პატარ-პატარა დეტალები დამრჩა გასაკეთებელი.



„ეს საათი მეგობრებმა მაჩუქეს. ჩემი ფოტო თავად შეარჩიეს და გააკეთებინეს".

**— რემონტის პროცესში აქტიურად იყავით ჩართული თუ ეს საქმე ხელოსნებს მიანდეთ?**

— ჩართული ვიყავი, დავდიოდი და ყველაფერს ვათვალიერებდი. მუშებს ვეკითხებოდი, ესა თუ ის მასალა რამდენად გამოსადეგი იყო. ბიძაჩემი და მეგობრები მეხმარებოდნენ, რომ ელიავას ბაზრობაზე არ მერბინა, რემონტის პროცესს კი მაინც მე ვაკონტროლებდი.

**— დამღლელი იყო ეს ყვე-ლაფერი?**

— ვერ ვიტყვი, რომ რემონტის პროცესმა ძალიან გადამღალა, რადგან ნელ-ნელა, ეტაპობრივად ვაკეთებდი, არსად მეჩქარებოდა, ნერვების მომშლელიც არავინ მყავდა. რემონტს რომ ვიწყებდი, მეუბნებოდნენ, შენ არ იცი, ეგ რას ნიშნავსო. შრომატევადი ნამდვილად იყო, მაგრამ იმდენად დიდი სიამოვნებაა საკუთარ სახლში შემოსვლა და ცხოვრება იქ, სადაც ყველაფერი შენი შრომითაა გაკეთებული, დაღლა რა სახსენებელია!

**— სამზარეულო როგორ მოაწყვეთ?**

— სამზარეულოს ზოგი დეტალი მაღაზიებში სიარულისას მომეწონა, ზოგი კატალოგში ვნახე. ფერები ჩემით შევარჩიე. პატარა სამზარეულოა და ამიტომ ვეცადე, ყველაფერი ერთ კუთხეში ჩამეტია. ბევრი რჩევა მივიღე მისგან, ვინც სამზარეულო დამიმზადა. მან კარგად იცოდა, რა დამჭირდებოდა და ასე შეთანხმებით გავაკეთეთ. მაქსიმალურად გამოვიყენე ადგილი, ბევრი სათავსო გავაკეთე, რაც ძალიან პრაქტიკულია.

**— სახლში მყუდროებას რა გიქმნით?**

— ფერები. როგორც ხედავთ, საძინებელი დიდად არ არის გადატვირთული, ორ ფერში, კრემისფერსა და იისფერშია გადაწყვეტილი. საძინებელი მშვიდი და მყუდრო უნდა იყოს.

**— აივანიც მშვენივრად გაქვთ მოწყობილი.**

— მე არ ვეწევი და ამიტომ სტუმრებისთვის მოსაწევ ადგილად აივანი შევარჩიე. მეგობრები არც ჩემს მანქანაში ეწევიან და არც — სახლში. აივანი სპეციალურად მათთვის მოვაწყვე, მაგიდა და სკამები დავდგი. აქ სხდებიან, გემრიელად ეწევიან და მერე სახლში შემოდიან. მაგრამ ეს ადგილი არამწეველებსაც ისე მოგვწონს, აქ ვსვამთ ყავას და გემრიელ სასუსნავსაც ვაყოლებთ.

**— სამზარეულოში ტრიალი და საჭმელების კეთება გიყვართ?**

— რაღაცეების კეთება დავიწყე და აღმოჩნდა, რომ გემრიელიც გამომდის. ცოტა ხნის წინ მე და თიკა მახალდიანმა მაწვნის სუპი გავაკეთეთ, გადასარევი გამოვიდა. მსუბუქ საჭმელებს ვაკეთებ, ჩახოხბილი არ მიცდია და არც მიყვარს. ძირითადად სალათებით და სუპებით შემოვიფარგლები.

**— ადვილად მიეჩვიეთ მარტო ცხოვრებას?**

— ამ სახლში მარტოს ერთი ან ორი ღამე თუ მექნება გათენებული. მარტო რატომ უნდა ვიყო, როცა ამ საწოლში სამნი ვეტევით! გოგოები ძალიან ხშირად რჩებიან, მიყვარს დილით მათთან ერთად გაღვიძება, ყავის ერთად დალევა და დილიდანვე ჭორაობა. როცა მარტო ვრჩებოდი, არც მაშინ მომიწყენია, მაგრამ ყველაზე კარგად მაშინ ვარ, როცა მეგობრები მყავს გვერდით.

**— სახლის მოწყობისას იყო რამე დეტალი, რაზეც ყველაზე მეტი იფიქრეთ?**

— ეს იყო ფარდები. ერთი თვე აქ ისე ვცხოვრობდი, ფარდები არ მქონდა. მაშინ კორპუსის მშენებლობა დასრულებული არ იყო, დიდი ამწეკრანი იდგა და ყოველ დილას მუშები ფანჯრიდან ხელს მიქნევდნენ, მესალმებოდნენ. ფარდა ბინისთვის ბოლო აკორდია, მთავარ სიმყუდროვეს ქმნის და სახლს ბოლომდე კრავს, ამიტომ რთულად მივიღე გადაწყვეტილება. თავიდან ვამბობდი, ფარდა რად უნდა-მეთქი. ძალიან



„საძინებელი დიდად არ არის გადატვირთული, ორ ფერში, კრემისფერსა და იისფერშია გადაწყვეტილი. მშვიდი და მყუდრო გამოვიდა".

მიყვარს სინათლე, მაგრამ ბოლოს მივხვდი, რომ სახლისთვის ეს აუცილებელია. ვეცადე, ისეთი ფარდები მეყიდა, რომლებიც კედლების ფერებს შეესაბამებოდა.

**— საძინებელში საათი რომ კიდია თქვენი ფოტოთი, სპეციალურად დაამზადებინეთ?**

— ეს საათი მეგობრებმა მაჩუქეს. ჩემი ფოტო თავად შეარჩიეს და გააკეთებინეს. ეს ფოტო მეც ძალიან მიყვარს და ეს საათიც მომწონს. ვიდრე შევეჩვეოდი, მისი ხმა მკვეთრად ჩამესმოდა, მაგრამ ახლა შევეჩვიე თუ თავად დაუმშვიდდა ხმა, არ ვიცი, აღარ მაწუხებს. შეიძლება მიხვდა, რომ ჩემთან ასე არ გამოუვიდოდა, თორემ მისაღებში გავაბრძანებდი და გაჩუმდა.

**— ესე იგი მეგობრები სახლისთვის საჭირო ნივთებსაც გჩუქნიან?**

— ცოტა ხნის წინ მათ, არც მეტი და არც ნაკლები, მტვერსასრუტი მიყიდეს. მითხრეს, გიყურებთ, ცოცხით როგორ წვალობ და ამიტომ ეს გიყიდეთო. ცოტა ხნის წინ მე და ჩემი დაქალი აივანზე ვისხედით, მზესუმზირას და ყავას მივირთმევდით. მითხრა, შენს აივანს ძველებური ლამპა ძალიან მოუხდებაო. ზუსტად ორ დღეში თეთრი, ულამაზესი ლამპა იპოვა და მაჩუქა. აღმოჩნდა, რომ ასანთებად ნავთი სჭირდება. ჩემმა დაქალმა და მისმა შეყვარებულმა ძლივს იშოვეს ნავთი, ნახევარი თბილისი მოიარეს და



Cyan Magenta Yellow Black



„პატარა სამზარეულოა და ამიტომ ვეცადე, ყველაფერი ერთ კუთხეში ჩამეტია. მაქსიმალურად გამოვიყენე ადგილი და ბევრი სათავსო გავაკეთე".

ვიღაცის ბებიის მეზობელს აღმოაჩნდა. არადა ბენზინგასამართი სადგურებიც კი მოიარეს. მე კიდევ ვამბობდი, „სალიარკა" ჩავასხათ-მეთქი, მაგრამ, კიდევ კარგი, არ დამიჯერეს, თორემ თურმე ავფეთქდებოდით. ჩვენი ლამპა ავანთეთ, ულამაზესად ანათებდა, მაგრამ ისე გავიჭვარტლეთ, რომ სახლი თავიდან ბოლომდე გასაწმენდი გამიხდა.

**— საძინებელში იმხელა სარკე გაქვთ, გეტყობათ, ძალიან გიყვართ მის წინ ტრიალი.**

— აბა, რა! სარკე ძალიან მნიშვნელოვანი რამეა და თან აუცილებელია, არ მოგატყუოს. ალბათ შემოსასვლელშიც დამჭირდება, მაგრამ ჯერ იქამდე ვერ მივედი. სააბაზანოშიც ძალიან დიდი სარკე მაქვს. ქალმა საკუთარი თავი სულ უნდა აკონტროლოს. ამ გარდერობს რაღა ხის კარები ჰქონოდა, სარკეები ჯობდა და გავაკეთებინე კიდეც.

ჯერჯერობით არ მაქვს გასაპრანჭი ადგილი, ანუ ტუმბო, სადაც ჩემს სამკაულებს დავალაგებ. ცოტა ხნის წინ მეგობარი ჩემს ზარდახშებს ალაგებდა და რომ დათვალა, ერთ ზარდახშაში 72 ბეჭედი აღმოაჩინა. მგონი, ამ მხრივ რეკორდსმენი ვარ. ნაწილი სად მაქვს და ვის ვათხოვე, აღარ მახსოვს. ასევე ძალიან მიყვარს ღია თაროზე დალაგებული სუვენირები, ინტერიერს მოუხდა. მათ შორის ყველაზე მეტად მომწონს ეგვიპტეში ნაყიდი პირამიდები და ჯინის ლამპა. ასევე ძალიან მომწონს სურათის ჩარჩო, რომელიც ჩემმა მეგობარმა მაჩუქა და მითხრა, აქ ჩვენი ფოტოჩავდოთო. კომპიუტერმა იმდენად გაგვაზარმაცა, დაბეჭდილი ფოტო სანატრელი გახდა, ამიტომ ის ჩარჩო ჯერ ისევ ცარიელი დევს.



„მეგობარმა ჩემს ერთ ზარდახშაში 72 ბეჭედი აღმოაჩინა. მგონი, ამ მხრივ რეკორდსმენი ვარ".



■ აივანზე

**— ისე გატაცებით საუბრობთ, როგორც ჩანს, დიასახლისობა ძალიან მოგწონთ.**

— ნამდვილად მომწონს დიასახლისობა, სახლში ყოფნა. ჯერჯერობით სტუმრების ნაკადი არ წყდება, ყველას აქ უნდა. ვფიქრობ, სადაც ხარ, იქ კარგად უნდა გრძნობდე თავს. აუცილებელია სისუფთავე, სიკოხტავე და სილამაზე. სახლი ის ადგილია, სადაც კარს რომ მიიხურავ, მარტო რჩები შენს სამყაროში.

✓ ქეთი დინოშვილი

# „60 წლის ვარ და ასეთი სიხარული ჯერ არ განმიცდია, დაუჯერებელი იყო..."

## „ნატახტარის" ტრადიციული გათამაშების ყველაზე იღბლიანი გამარჯვებული მზია ღვალაძე გახდა



„ნატახტარის" ტრადიციული გათამაშება დასრულდა. წელს ყველაზე იღბლიანი გამარჯვებული თბილისის მკვიდრია. „სტუმრები მყავდა, საღამო იყო, რატომღაც ლუდი მოგვინდა და მაღაზიაში ჩავედი. პატარა შეფუთვის ყიდვას ვაპირებდი, მაგრამ გადავიფიქრე და არჩევანი 2,5 ლიტრიან „ნატახტარზე" შევაჩერე. გული მიგრძნობდა ალბათ... ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, არ ვიჯერებდი... 60 წლის ვარ და ასეთი სიხარული ჯერ არ განმიცდია, დაუჯერებელი იყო... 50 ათასი ლარის მოგებას ვერასოდეს წამოვიდგენდი!".

„ნატახტარის გათამაშების" მთავარი პრიზის – 50 ათასი ლარის – მფლობელს, ქ-ნ მზია ღვალაძეს, შინ ვესტუმრეთ. ჩვენთან საუბრისას იგი ემოციებსა და სიხარულს ვერ მალავდა.

მზია ღვალაძე თბილისში, მუხიანის დასახლებაში, ერთ მყუდრო სახლში შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად ცხოვრობს. მოგებაზე არასოდეს უოცნებია, როგორც თავად ამბობს. მას ეს ყველაფერი დაუჯერებლად მიაჩნდა, თუმცა „ნატახტარმა" ეს დამოკიდებულება რადიკალურად შეუცვალა:

– არასოდეს მჯეროდა, ლუდი ნაკლებად მიყვარს, თუმცა გათამაშების ეშხით „ნატახტარს" ვყიდულობდი. ამ საღამოსაც ასე მოხდა. ასეთი ხმაური, სიხარული და აჟიოტაჟი ჩემს ოჯახში დიდი ხანია არ ყოფილა. მეუღლე 7 წლის წინ გარდამეცვალა. თავს უიღბლო ადამიანად ვთვლიდი, თუმცა, როგორც ჩანს, ყველაფერი ღვთის ნებაა და ასეც მოხდა".

***– 50 ათასის მოგებასაც იღბალს მიაწერთ?***

– რა თქმა უნდა, იღბალი იყო, ლუდის ამოსატანად მე ჩავედი. არ მეგონა, ასეთი რამ თუ რეალურად ხდებოდა, ვერ ვიჯერებდი. ატყდა კივილი და ყველა ერთად ავხმაურდით.

***– ლუდი გიყვართ?***

– რომ გითხრათ ძალიან მიყვარს-მეთქი, მოგატყუებთ. თუმცა აზარტული ვარ. რეკლამებს რომ ვუყურებდი, სულ ვფიქრობდი, იქნებ მეც გამიმართლოს-მეთქი და, როცა ლუდის ყიდვას გადავწყვეტდი ხოლმე, არჩევანს „ნატახტარზე" ვაკეთებდი. ამის მერე ალბათ „ნატახტარის" გარდა სხვა ლუდს არც გავეკარები. მან ჩემი ცხოვრება უკვე გაალამაზა და გახალისა.

***– რა პროფესიის ხართ?***

– პროფესიით პედაგოგი ვარ, 143-ე საჯარო სკოლაში ინგლისური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად ვმუშობ. ახლა ჩემი ცხოვრება რადიკალურად შეცვლება. სულ მინდოდა, ჩემს შვილებს დავხმარებოდი, თუმცა, ჩემი ხელფასით ამას ნაკლებად ვახერხებდი. ახლა კი ძალიან გამიმართლა.

***– მაინც რას შეცვლით თქვენს ცხოვრებაში?***

– ჩემი ვაჟი ბინას იშენებს და ამ თანხით გარკვეულ წვლილს მეც შევიტან, რაც ძალიან მახარებს. ნაწილს ოჯახის სხვა წევრებსაც გადავუნაწილებ. გეგმები და სურვილები ყველას გვაქვს, რაზეც უარს ვერ ვეტყვი.



Cyan Magenta Yellow Black

# „ბერი ანდრია გვამშვიდებდა, გარდაცვალებაში საშიში არაფერია, იქიდან შეგეწევითო“

ის თითქოს ანგელოზად მოფრინდა დედამიწაზე, ძალიან მოკლე დროში უზარმაზარი სიყვარულის დათესვა მოასწრო და მერე ისევ ანგელოზად გაფრინდა ზეციერ მამასთან. ბერი ანდრიას (ერობაში ნუგზარ მილორავა) ცხოვრება სავსე იყო ტკივილით, ტანჯვით და იმედით, რომ უფალი არავის ტოვებს. ჯერ კიდევ სკოლის ასაკში გაუჩნდა სურვილი, სასულიერო პირი გამხდარიყო, ეკლესიაში დადიოდა, ლოცულობდა. უფლის რწმენა არც მაშინ დაუკარგავს, როცა ექიმებმა სოლიდური სიმსივნის დიაგნოზი დაუდგინეს. 17 წლის ასაკში ბერობის მძიმე ჯვარი იტვირთა. ბერად აღკვეცის რიტუალი კლინიკაში შესრულდა. ამის შემდეგ მხოლოდ 4 თვე იცოცხლა. სიცოცხლის ბოლო წუთამდე, ბოლო ამოსუნთქვამდე უფალს ადიდებდა, ხმამაღლა ლოცულობდა... 28 ივლისს მისი გარდაცვალებიდან 2 წელი გავიდა. ის ნორიოს ღვთაების მონასტერშია დაკრძალული.

მამა ანდრია მილედი ჩხვიმიანისა და ემზარ მილორავას ერთადერთი ვაჟი იყო. მშობლებმა შვილის ანდერძი შეასრულეს, ფონდი შექმნეს და სოლიდური სიმსივნით დაავადებულ ბავშვებს ეხმარებიან. ბატონმა ემზარმა შვილის ბავშვობაზე, სულიერ ცხოვრებასა და ამქვეყნად მის უკანასკნელ დღეებზე გვიამბო.

— **ბატონო ემზარ, რა თვისებებს ავლენდა პატარა ნუგზარი?**

— მორჩილების გრძნობა პატარაობიდანვე ჰქონდა. მის მიმართ ყველა მასწავლებელი კეთილგანწყობილი იყო. გვეუბნებოდნენ, არ არსებობს, ნუგზარმა რამე დააშავოს ან გაკვეთილი არ იცოდესო. საოცრად თბილი და მოსიყვარულე გახლდათ. ყველას ძალიან უყვარდა და ალბათ მართლა იმსახურებდა ამ სიყვარულს. მასთან უფროსებიც თავაზიანობით და პატივისცემით გამოირჩეოდნენ. ალბათ წინათგრძნობაც ჰქონდა, რომ ასეთი ცხოვრება და მომავალი ექნებოდა. წერა კარგად ეხერხებოდა, სკოლის პერიოდში თავისი ჩანახატების წიგნიც აქვს გამოცემული. წერდა ბუნებაზე, სულიერებაზე, სიკეთეზე, უფალზე...

— **ტაძარში სიარული როდის დაიწყო?**

— მე-4 კლასში იქნებოდა და სასულიერო აკადემიაში ჩაბარება მაშინვე ჰქონდა გადაწყვეტილი. მაშინ დიდად მორწმუნე არ გახლდით, მაგრამ ღვთისმოშიში ყოველთვის ვიყავი. ჩემს ოჯახში სიყვარული მუდამ იყო. ქუთაისში ჩემი შვილის მოძღვარი მამა ნიკოლოზი ბავშვის ასეთი რწმენით გაოცებული იყო. ამბობდა, წირვისას რასაც ისმენდა, თითქოს ყველაფერს ისრუტავდაო.

— **თქვენს მამაშვილობაზე მოგვიყევით, როგორი ურთიერთობა გქონდათ?**

— მეგობრული, ჩემ მიმართ ყოველთვის პატივისცემით იყო განმსჭვალული. არ მახსოვს, სიტყვა შემოებრუნებინოს ჩემთვის.

— **ჰობი, გატაცება თუ ჰქონდა?**

— ჯირითი უყვარდა. ბებიასთან სვანეთში ხშირად ჩადიოდა. ერთხელ ცხენებით მაღალ მთაში მოსალოცად მიდიოდნენ. ჩემი შვილი რამდენჯერაც უნაგირზე შეჯდა, ცხენი იმდენჯერ დაწვა, ბავშვი ვერ ასწია. არადა მასზე სხვა რომ ჯდებოდა, გზას ჩვეულებრივად აგრძელებდა. ბებიამისს ეს ცუდად ენიშნა... ნუგზარი ხუმრობით ამბობდა, იმხელა ვარ, ცხენები დავღალეო, არადა სუსტი აღნაგობის იყო. იმ ზაფხულს მას უკვე სიმსივნე ჰქონია და არ ვიცოდით.

— **როდის გაიგეთ მისი დაავადების შესახებ?**

— მაშინ უკვე 16 წლის იყო. ეს ჩვენთვის ძალიან მოულოდნელი და მძიმე აღმოჩნდა. ყველა ბავშვი ავადმყოფობს, მაგრამ ამას როგორ ვიფიქრებდით? დედამისი წელიწადში ორჯერ გამოკვლევებს უტარებდა, სულ ვცდილობდით, სერიოზული არაფერი გამოგვპარვოდა, მაგრამ ისეთი რამ დაგვემართა, თავი ვერაფრით დავაღწიეთ.



მამა-შვილი

## 17 წლის ბერის სულიერებით და ტკივილით სავსე ცხოვრება

— **თავიდან რამ დაგაეჭვათ, პირველი სიმპტომი რა იყო?**

— ზურგზე პატარა წარმონაქმნი გაუჩნდა... მერე ფილტვი გავუშუქეთ რენტგენზე და ჩრდილი აღმოაჩნდა. თავიდან დიაგნოზის დასმა ძალიან გაჭირდა. როცა ჰისტოლოგია (წარმონაქმნის ამოჭრა) გაუკეთეს, პათანატომიის ცენტრში მივიტანე. პასუხი ორი კვირის განმავლობაში უნდა მიმეღო. მე-13 დღეს მითხრეს, ვერაფერს მივაგენით, ერთი გამოკვლევაღა დარჩა და რაღა იქ აღმოვაჩენთ რამესო. სამწუხაროდ, მერკელის ტიპის უჯრედოვანი კანცერომა, განუკურნებელი სენი აღმოაჩნდა. როცა გავიგეთ, უკვე მეოთხე სტადია იყო, მეტასტაზები ფილტვში, ძვალსა და კანქვეშ ჰქონდა გასული.

— **ეს საბედისწერო დიაგნოზი მეუღლესაც გაუმხილეთ?**

— არა. მილედი ყოველთვის შვილის გვერდით იყო, ექიმებში მე დავდიოდი. ვცდილობდი, ჩემი შვილის დაავადება დამემალა და არ გამეზვიადებინა, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი კვირა შევძელი. არ მინდოდა, ბავშვი და დედამისი დამემძიმებინა. მისი ონკოლოგიურში დაწვენა რომ გადაწყდა, მაშინ უკვე მეუღლეს გავუმხილე...

> „მისი გარდაცვალების შემდეგ ის ოთახი კელიად იქცა, სიმსივნით დაავადებული ბავშვები მის საწოლზე წვებოდნენ და ტკივილი უყუჩდებოდათ. შემდეგ ონკოლოგიური საავადმყოფო ჩინელებს მიჰყიდეს და ყველაფერი დაანგრიეს, მათ შორის — მამა ანდრიას კელიაც“.

— **როდის გაგიმხილათ, რომ ბერობა სურდა?**

— 15-16 წლის ასაკში გაუჩნდა სურვილი, ბერად აღკვეცილიყო, ეს კი პირველმა მისმა ინგლისურის მასწავლებელმა გაიგო. ამის წარმოდგენა ყოველთვის მიმძიმდა, მით უმეტეს, ავადმყოფობის პერიოდში ბერობა მისთვის მძიმე ტვირთად მიმაჩნდა. თუ სულიერი ცხოვრება უნდოდა, მერჩია, მღვდელი გამხდარიყო.

— **როდის მიხვდით, რომ თქვენი შვილის ნებას წინ არ უნდა აღდგომოდით?**

— ერთ დღეს ჩემი შვილი მამა შალვამ საავადმყოფოში აზიარა. მოძღვარმა მაშინ მითხრა, შენს ბიჭს ბერად აღკვეცის სურვილი აქვსო. ამის შემდეგ ჩემს ცოლს ვუთხარი, მოდი, წინააღმდეგნი ნუ წავალთ, კურთხევა მივცეთ-მეთქი. ჩემმა შვილმა დაიბარა ნათლია და მისგანაც მიიღო კურთხევა. 13 აპრილს ის ბერად აღიკვეცა. იმ დღეს ძალიან ბევრი ვინერვიულე. ორი მეუფის კურთხევა ჰქონდათ, შეეძლოთ ბერად აღეკვეცათ, მაგრამ პატრიარქის კურთხევას ელოდნენ. უწმინდესს ძალიან ბევრი სტუმარი ჰყოლია და მისმა თანხმობამ ცოტა დაიგვიანა. ისე განვიცდიდი, თითქოს მე უნდა აღვკვეცილიყავი ბერად.

— **ამის შემდეგ მასში სულიერი ფერისცვალება შენიშნეთ? როგორ შეიცვალა?**

— მას ისეთი ცხოვრების წესი ჰქონდა, დიდი ცვლილებები ვერც შევამჩნიე. ფილმების ყურებაზე, ხორცის ჭამასა და კომპიუტერულ თამაშებზე თქვა უარი. მხოლოდ საპატრიარქოს არხს უყურებდა და 24 საათი ლოცულობდა. მე და ჩემს შვილს მის დაავადებაზე საუბარი არასდროს გვქონია, ამ თემაზე ლაპარაკი სულ მიმძიმდა. დედამისთან კი ხშირად საუბრობდა და ამან კიდევ უფრო გაგვაძლიერა. ჩემი მეუღლის მონაყოლით ვიცი, რომ დედას ძალიან ამშვიდებდა, არ უკვირდა ის, რომ გარდაიცვლებოდა. ეუბნებოდა, ამაში არაფერია საშიში, იქიდან უფრო შეგეწევითო. 17 წლის ასაკში ეს ასე უბრალოდ არ ხდება...

დაბადების დღე 22 ივლისს მაქვს. მაშინ უკვე ძალიან მძიმედ იყო. თურმე დედამისს ყოველდღე ეკითხებოდა, რა რიცხვიაო. 22-მა რომ ჩაიარა, ღვთისმშობელს მადლობა შესწირა, მამიკოს დაბადების დღე არ ჩავუმწარეო. დაბადების დღეზე ჯვარი მაჩუქა და 28 ივლისს გარდაიცვალა. ტკივილები რომ ჰქონდა, გამაყუჩებლის გაკეთება არ უნდოდა, ამიტომ ხშირად ტკივილს მალავდა. წამალს მხოლოდ გაუსაძლის მდგომარეობაში იღებდა.

— **28 ივლისს მის გვერდით იყავით?**

— გარეთ ვიდექი... შიგნით შესვლა მიმძიმდა. 28 ივლისს ძალიან მძიმედ იყო, მაგრამ ბოლო ხმაზე ლოცულობდა. მისი ხმა მთელ საავადმყოფოს ესმოდა. მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო, ამას ვერ ავხსნი... საღამოს 5 საათი იყო, როცა მისი ექიმი გამოვიდა და მითხრა, დამთავრდაო... მისი გარდაცვალების შემდეგ ის ოთახი კელიად იქცა, სიმსივნით დაავადებული ბავშვები შედიოდნენ, მის საწოლზე წვებოდნენ და ტკივილი უყუჩდებოდათ. შემდეგ ონკოლოგიური საავადმყოფო ჩინელებს მიჰყიდეს და ყველაფერი დაანგრიეს, მათ შორის მამა ანდრიას კელიაც, რომელიც ერთი წლის განმავლობაში არსებობდა.

— **როგორ გრძელდება თქვენი ცხოვრება ბერი ანდრიას გარდაცვალების შემდეგ?**

— შევქმენით „ბერი ანდრიას სახელობის ფონდი“ და, მამა ანდრიას კურთხევის თანახმად, სოლიდური სიმსივნით დაავადებულ ბავშვებს შეძლებისდაგვარად ვუვლით. მის თანადგომას ყოველთვის ვგრძნობ. ალბათ სულიერებაში არ ვარ ისეთი ძლიერი, რომ ავხსნა, ეს ყველაფერი რატომ ხდება. სიზმრებზე ლაპარაკი არ მიყვარს, მაგრამ ჩემი შვილის ბავშვობის და საავადმყოფოში ყოფნის პერიოდები მესიზმრება... ყოველთვის გვინდოდა, მას და ან ძმა ჰყოლოდა, მაგრამ მეორე შვილი არ გაგვიჩნდა, ალბათ ყველაფერი ღვთის ნებაა.

2 წელია, რაც ჩემი შვილი გარდაიცვალა. ყოველ 28 ივლისს შეკვეთილი წირვა ტარდება, შემდეგ კი მცირეოდენი ტრაპეზი იმართება და მის ცხოვრებას ვიხსენებთ. მის გასახსენებლად 3 დღე გვაქვს — დაბადების, ბერად აღკვეცის და გარდაცვალების დღეები.

■

სოლიდური სიმსივნით დაავადებული ბავშვების დახმარების მსურველებს თანხის გადარიცხვა შეუძლიათ შემდეგ ანგარიშზე:

საბანკო კოდი:TBCBGE22, მიმღების დასახელება — „ბერი ანდრიას სახელობის ფონდი“ — GE73TB717153100002.

✓ სოფიო ბოჭორიძე



Cyan Magenta Yellow Black

# კომაში მყოფი ჯაბა ბოჯგუა საკუთარ სიმღერებზე რეაგირებს



■ დედა-შვილი

მომღერალი ჯაბა ბოჯგუა უკვე 5 წელია კომაშია. მას თავის ტვინის ჰიპოქსიური დაზიანება აქვს. ექიმები მისი გადარჩენის იმედს არც აქამდე იძლეოდნენ და ვერც ახლა ამშვიდებენ დედას, მანანა გვასალიას, რომელსაც მხოლოდ სასწაულის და უფლის სჯერა. დარწმუნებულია, რომ მისი ერთადერთი შვილი ამ მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლას შეძლებს. რწმენას ისიც უძლიერებს, რომ რამდენიმე ხანია ჯაბას მგრძნობელობა დაუბრუნდა. მისი მდგომარეობა, მართალია, ცოტათი, მაგრამ მაინც გაუმჯობესდა.

— **ქალბატონო მანანა, როგორია ჯაბას ამჟამინდელი მდგომარეობა?**

— თითქოს უკეთაა. როცა ვესაუბრები, თვალს აჩერებს, ხვდება, რომ მას ველაპარაკები. აქამდე ასე არ აკეთებდა, მხოლოდ ხმაურზე რეაგირებდა, თუ ეძინა, თვალს გაახელდა. ახლა ნემსის გაკეთების დროს სამი ადამიანი ვაკავებთ. ჯაბას მოვლაში დედაჩემი მეხმარება. როცა წყალს ასმევს, ტუჩთან მიუტანს, პირს მაშინვე აღებს. აქამდე ამას არ აკეთებდა. ეს სულ რაღაც ერთი კვირის ამბავია. მგრძნობელობა დაუბრუნდა.

— **ექიმები რას ამბობენ?**

— ისინი არც მაშინ მაძლევდნენ იმედს და არც ახლა. მათი თქმით, ჯაბას ამ დრომდეც არ უნდა ეცოცხლა. მხოლოდ იმას მეუბნებიან, რომ შეიძლება მომენტალურად მოვიდეს გონს. ჩემთვის, როგორც დედისთვის, ეს პატარა წინსვლაც სასიხარულოა. ყოველ ორ საათში ერთხელ ლოგინში ვაბრუნებთ. თუ გადამიცდა, ხელებს დაჭიმავს, პირს აამოძრავებს. როცა გვერდზე გადავაბრუნებ, იმ მდგომარეობას იღებს, როგორიც ადრე უყვარდა, ჩოჩვა-ჩოჩვით სწორდება. გვერდზე გადაბრუნებულს რომ დავტოვებ, ხანდახან სწორად დაწოლილი მხვდება. რამდენიმე თვეა, რაც ეს დაიწყო. როცა წვერს ვპარსავ, ქაფის წასმის დროს პირს რომ მოკუმავს, სანამ ყველაფერს არ დავასრულებ, არ აღებს. თავის მუსიკას რომ ჩავურთავ, თვალებს რიტმულად აპაჭუნებს.

> **„ყოველდღიური წამლები, დამამშვიდებლები ძალიან ძვირი ღირს. ყველაფერი გავყიდე, რაც გაგვაჩნდა, ჭურჭელიც კი და ამ დრომდე ამით მოვაღწიეთ...“.**

— **ზონდირებულ კვებაზე გყავთ?**

— კი, საკვებს ყოველ 4 საათში ვაძლევ. რაც უყვარდა და რისი დაბლენდერებაც შეიძლება, ყველაფერს ვაჭმევ — ხორცის ნაწარმს, ხილს, ბოსტნეულს. ერთი დღეც რომ რამე მოვაკლო, ემჩნევა, ცუდად ხდება.

— **ალბათ ბევრი მედიკამენტი სჭირდება.**

— ძალიან ბევრი. ძირითადად ტვინის მკვებავები სჭირდება, მაგრამ ძალიან ძვირადღირებულია და იმის მიხედვით ვასმევ, ფული როგორც მექნება. ამ ბოლოს კრწანისის გამგებელმა ხათუნა ბერძენიშვილმა ჯაბას 1300 ლარი ჩაურიცხა. მისი ძალიან მადლობელი ვარ. ადრე დეპუტატი ნიკო ხაჩირიშვილი წელიწადში ორჯერ 600-700 ლარს მირიცხავდა და წამლებს ამით ვყიდულობდი. სხვა საშუალება არ მაქვს. ბინა გავყიდეთ, ახლა ქირით ვცხოვრობთ. ჯაბას იმდენი სჭირდება, საიდან რა მოვიტანო, არ ვიცი. მხოლოდ მასაჟში თვეში 500 ლარს ვიხდი. ყოველდღიური წამლები, დამამშვიდებლები ძალიან ძვირი ღირს. ყველაფერი გავყიდე, რაც გაგვაჩნდა, ჭურჭელიც კი და ამ დრომდე ამით მოვაღწიეთ... სამსახური რომ მქონდეს და მაღალანაზღაურებადიც იყოს, ვერ ვიმუშავებ, ჯაბას ვერ დავტოვებ. 24 საათი მის გვერდით ვარ. სახეზე ვაკვირდები და იმით ვხვდები, რა უჭირს, რადგან ამას თვითონ ვერ მეტყვის. 5 წელია წევს და ისე ვუვლი, ნაწოლები არ აქვს. პამპერსი ერთი დღეც კი არ გამიკეთებია. 24 საათის განმავლობაში ათ-ათი წუთი რომ შევკრიბოთ, ალბათ ერთი საათი თუ მძინავს. უკვე 5 წელია ასე ვარ, გავნადგურდი, მაგრამ რა უნდა ვქნა, შვილია, თან ერთადერთი! არც მე მყავს დედმამიშვილი, რომ ვინმე შემენაცვლოს, მომეხმაროს. ჯაბას მამაც არ ჰყავს.

> **„როცა წვერს ვპარსავ, ქაფის წასმის დროს პირს რომ მოკუმავს, სანამ ყველაფერს არ დავასრულებ, არ აღებს. თავის მუსიკას რომ ჩავურთავ, თვალებს რიტმულად აპაჭუნებს“.**

— **ჯაბას ბევრი მეგობარი ჰყავდა, ისინი არ აკითხავენ?**

— ზოგჯერ თუ მოიკითხავენ... მხოლოდ უფალზე ვართ მინდობილი. ამას ყველგან ვამბობ და თქვენც გეტყვით, რომ სიზმრის იმედი მაქვს. როცა ჯაბა საავადმყოფოში იწვა და ექიმები ამბობდნენ, დილამდე ვერ გააღწევსო, მეგობარმა მას მამა სოკრატე მოუყვანა. რეანიმაციიდან რომ გამოვიდა, მამაომ თქვა, ჯაბა ჩვენკენ არისო. იმ საღამოს მეგობარს ჯაბა დაესიზმრა, მძინარეს გაუღვიძია, მისთვის ციფრი 7 უთქვამს და ძილი გაუგრძელებია. ამის შემდეგ ჯერ 7 კვირას ველოდებოდით, მერე 7 თვეს, ახლა 7 წელს ვფიქრობთ, რომ ჯაბა მდგომარეობიდან გამოვა. ამ დრომდე მან ყველაფერს გაუძლო, ვირუსული გრიპი ორჯერ შეხვდა, ექიმები იმედს არ გვაძლევდნენ, დღის ბოლომდე ვერ მიატანსო, მაგრამ ისე კარგად გამოვიდა ყველაფრიდან, გაოცებული დავრჩით.

— **ყოველივე ეს რატომ დაემართა?**

— ჯაბას ბავშვობიდან გულის მოციმციმე არითმია ჰქონდა. პირველად გული გულიკო ჩაფიძის კლინიკაში გაუჩერდა, ორ საათში მდგომარეობიდან გამოვიდა, ამის შემდეგ კიდევ სამჯერ გაუჩერდა. პირადი ექიმი ყოველთვის თან დაჰყვებოდა. ციხეში კი ნერვიულობის გამო სულ ცუდად იყო, საავადმყოფოში გადაჰყავდათ, საღამოს ისევ ციხეში გადმოჰყავდათ. 24 საათი სულ ტელეფონზე იყო ჩამოკიდებული, მირეკავდა, ვამშვიდებდი, ნუ ნერვიულობ, თორემ თავს დაიღუპავ-მეთქი. ეს ყველაფერი მას ემოციისგან დაემართა. ცუდად გახდა, წამალი, რომელიც სჭირდებოდა, იქ არ ჰქონდათ და გული გაუჩერდა. ექიმები ვერ დაეხმარნენ. რაც დაემართა, მათი დანაშაულია. როცა ცუდად გახდა, მაშინვე რომ საავადმყოფოში წაეყვანათ, ასეთი რამ არ მოხდებოდა. ჯაბას პირად ექიმს ურეკავდნენ, რა წამლით გამოეყვანათ მდგომარეობიდან, მაგრამ არც ერთი ის პრეპარატი არ აღმოაჩნდათ. ის წამალი მისცეს, რომელიც მისთვის არ შეიძლებოდა. გული რომ გაუჩერდა, ღუდუშაურიდან კატასტროფის ბრიგადა გამოიძახეს, გზიდან საავადმყოფომდე გული აუმუშავეს, მაგრამ უკვე ტვინი გათიშული იყო.

— **ამბობენ, რომ ჯაბა ციხეში სცემეს და ამიტომაც ჩავარდა ასეთ მდგომარეობაში. ეს სიმართლეა?**

— არა, ჭორია! კამერაში არც მჯდარა, ადმინისტრაციულ შენობაში იყო. თუ სალაპარაკო თანხას ჩავურიცხავდი, 24 საათი ჩემთან და მეგობრებთან რეკავდა. რომ ეცემათ, არ დამიმალავდა...

ჯაბას ახლა ორთოპედიული საწოლი სჭირდება, რომელიც 6.000 ლარამდე ღირს. ამის საშუალება კი არ გვაქვს. ექიმის თქმით, მისთვის წამოჯდომა აუცილებელია და ამ საწოლის გარეშე ვერ შეძლებს.

■

ჯაბას დახმარების მსურველებს მობილური ტელეფონიდან შეუძლიათ ზარის განხორციელება ნომერზე: 0901700039. ზარის ღირებულება 1 ლარია. მის სახელზე ანგარიშიც გახსნილია ბანკ „რესპუბლიკაში“. ანგარიშის ნომერია:GE22BR0000010381699I.

✓ მაკა ლემონჯავა

გაიადვილეთ საჭმლის მონელება
იქონიეთ მიიღეთ ეფექტური
კრეზამი
თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს
www.krezam.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.



Cyan Magenta Yellow Black

# აჩიკო სოლოღაშვილი ეჭვიანი ქმარი დადგა

მსახიობ აჩიკო სოლოღაშვილს ცოლი, ტელეჟურნალისტი ნუცა ქავთარაძე, ბევრ სანერვიულოს უჩენს — ხან კრიმინალურ ამბებს აშუქებს, ხან აქციებიდან ერთვება ეთერში. აჩიკომ შფოთავს, აღარ იცის, ცოლი რთულ სიტუაციას როგორ გამოარიდოს. ნუცას „იმედის“ საინფორმაციო გამოშვება „ქრონიკაც“ მიჰყავს. ამ დროს აჩიკო ტელევიზორთან ზის და ცდილობს, მისი არც ერთი სიტყვა გამორჩეს, რომ მერე აზრი გაუზიაროს, რჩევები მისცეს. ზოგჯერ ეჭვიანობს კიდეც, მაგრამ ეს ნუცას სასაცილოდ არ ჰყოფნის.

***— მეორე წელი დაიწყო, რაც ცოლ-ქმარი ხართ. როგორ გამოიარეთ ეს პერიოდი?***

**აჩიკო**: ჩვენი შეუღლების დღე გუშინდელივით არის ჩემთვის, თითქოს ამდენი დრო არც გასულა. არ ვიცი, ჩვენი პროფესიის თუ გრაფიკის ბრალია, მაგრამ ყოველი დღე ჩვენთვის ახალი ურთიერთობებია. ბედნიერი ვარ, რომ ასეთი სიახლეებით ვცხოვრობთ.

**ნუცა**: აქამდე სიტყვა „ქმარი“, „მეუღლე“ არ მომწონდა. დღემდე ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ აჩი ჩემი შეყვარებულია. ჩვენი სიყვარული არ გახუნებულა და იმედი მაქვს, არც არასოდეს გახუნდება. ამ ყველაფრის თავი და თავი მეგობრობაა. ჩემთვის აჩი უპირველესად მეგობარია. სანამ ასეა, ჩვენს ურთიერთობაში არაფერი შეიცვლება. ზუსტად ვიცოდი, რომ ცხოვრებას ჩემს საუკეთესო მეგობართან ერთად ვიწყებდი, რომელიც ყველაფერში შემიწყობდა ხელს და ასეც მოხდა.

**აჩიკო**: ერთადერთი, რაც გვაკლია და ხელს გვიშლის, ეს არის დრო. ნუცას ძალიან, ძალიან რთული გრაფიკი აქვს! შეიძლება ამაშიც გარკვეული ხიბლია, რადგან სულ მენატრება, ერთი სული მაქვს, როდის ვნახავ. საინფორმაციო გამოშვების ყურება ამან დამაწყებინა, თანაც „რუსთავი 2“-ის კონკურენტი არხის გადაცემების!

**ნუცა**: ერთად ცხოვრება რომ დავიწყეთ, დილით, გაღვიძებისთანავე, 9 საათიან „კურიერს“ ვრთავდი, მაშინ „რუსთავი 2“-ზე ვმუშაობდი. მაინტერესებდა, სამსახურში რომ მივიდოდი, მუშაობა რაზე მომიწევდა. სულ ამაზე იყო ჩხუბი, აჩი ამბობდა, დილიდან მკვლელობების მოსმენა არ შემიძლიაო. სხვათა შორის, გადამაჩვია და საინფორმაციო გამოშვებას რაღაც პერიოდი მეც აღარ ვუყურებდი. საინფორმაციოს წამყვანი რომ გავხდი, ინტერესის გამო უყურებდა, აბა, ნუცა როგორია, რა შეეშალაო და ასე შემდეგ, ახლა კი, მგონი, საინფორმაციოს ყურება ჩვევაში გადაუვიდა.

> **ნუცა: „როცა ურთიერთობა დავიწყეთ, დარწმუნებული ვიყავი, რომ ის ეჭვიანი არ იყო. რაც დრო გადის, აჩიკო უფრო და უფრო ეჭვიანი ხდება“.**

**აჩიკო**: მამაჩემი ამით ბედნიერია, დედაჩემზე კი ვერაფერს ვიტყვი. ჩვენთან საინფორმაციო სულ ჩართული უნდა იყოს, განსაკუთრებით, როცა ნუცაა ეთერში. ძალიან ობიექტური მაყურებელი ვარ, ყოველ შემთხვევაში, ვცდილობ. ჩემზე კარგად ნუცას (თუ დედამისს არ ჩავთვლი), არავინ იცნობს, ამიტომ ძალიან ბევრ ისეთ რაღაცას ვხვდები, რასაც სხვა ვერასდროს გაიგებს. როცა ნუცას ვუყურებ, ვამაყობ.

***— ნუცა, როცა იცით, რომ ქმარი გიყურებთ, თანაც კრიტიკულად, არ ნერვიულობთ?***

**ნუცა**: ჩემმა დიდმა მეგობარმა, მანანა ლითანიშვილმა რჩევა მომცა, სანამ ეთერში გახვალ და გამარჯობას იტყვი, კამერაში ერთი ადამიანი ამოირჩიე და ჩათვალე, რომ ამბებს იმას უყვებიო. იმ დღიდან მოყოლებული, როცა პირდაპირ ეთერში გამარჯობას ვამბობ, ვფიქრობ, რომ ერთ ადამიანს ვესაუბრები და ის აჩიკოა. შემდეგ უკვე, როცა საუბარს ვიწყებ და ყურში ბევრი ადამიანი მესაუბრება, ინფორმაციას მაწვდიან, მერე უკვე ძნელია რაღაც სხვაზე ფიქრი, ბოლომდე ტექსტში ვარ ჩაფლული.

***— ნუცა, „რუსთავი 2“-ის მიტოვება და კონკურენტ ტელეარხზე წასვლა არ გაგიჭირდათ, მით უმეტეს, რომ თქვენი ქმარი იქ მუშაობს?***

**ნუცა**: კი, გამიჭირდა, რადგან ყველა ადამიანი, ვისთანაც 4 წელი გავატარე, ძალიან მიყვარს. ეს იყო ძალიან დატვირთული, რთული და კარგი 4 წელიწადი. ხელმძღვანელობასთანაც კარგი მოგონებები მაკავშირებს. მგონია, რომ იმ ადამიანებმა გამზარდეს. თუ დღეს რაღაცას წარმოვადგენ, 99 პროცენტი მათი დამსახურებაა.



> **აჩიკო: „როცა ნუცა აქციაზეა, არ ვიცი, როგორ უნდა მოვიქცე. წავიდე და წამოვიყვანო, ეს ნიშნავს, მის პროფესიაზე უარი ვათქმევინო და სახლში დაჯდეს. მე კი ის ადამიანი არ ვარ, რომ ცოლი სახლსა და სამზარეულოში გამოვკეტო“.**

***— რატომ გადაწყვიტეთ იქიდან წასვლა?***

**ნუცა**: ზუსტად ვიცი, ერთი დღით მეტი რომ მეფიქრა, ამ ნაბიჯს არ გადავდგამდი, მაგრამ რაღაც მომენტში გავრისკე და გამიმართლა. მგონია, რომ ძალიან სწორად მოვიქეცი. „იმედშიც“ ისეთი ადამიანები დამხვდნენ, რომლებიც შემიყვარდნენ და რომლებსაც ძალიან შევუყვარდი. დასაკარგი არაფერი მქონდა, ჩემი პროფესია ძალიან მიყვარს, აქედან გამომდინარე, ყოველთვის საჭირო ვიქნები. თუ შენი პროფესია გიყვარს, ესე იგი მათზე კარგი ხარ, ვისაც ეს საქმე ეზარება, ვისაც არ უყვარს და ვინც გულით არ ეკიდება.

***— აჩიკო, რა რეაქცია გქონდათ, როცა გაიგეთ, რომ თქვენი ცოლი კონკურენტ არხზე მიდიოდა?***

**აჩიკო**: როცა ნუცა „რუსთავი 2“-ში მუშაობდა, ვიცოდი, რომ კედლის მიღმა იყო, ახლა რამდენიმე კილომეტრის მიღმაა. ამ მხრივ, გული დამწყდა. ისე, ვთვლი, რომ ნუცამ სწორი გადაწყვეტილება მიიღო. ფაქტი სახეზეა, მას არაფერი დაუკარგავს.

**ნუცა**: ეს არის პროფესია, რომელიც 13 წლის ასაკში ავირჩიე. ხუთჯერ რომ დავბრუნდე ამ ასაკში, ისევ ამ პროფესიას ავირჩევდი.

***— ნუცა, თქვენ რეპორტაჟებიც მოგყავთ აქციებიდან, კრიმინალურ თემებს აშუქებთ. ამ დროს ქმარი ალბათ ძალიან ნერვიულობს.***

**ნუცა**: როცა აქციების აქტიური პერიოდი იყო, აჩის ვერ ვარწმუნებდი, რომ იქ არაფერი დამემართებოდა.

**აჩიკო**: როცა ნუცა აქციაზეა, არ ვიცი, როგორ უნდა მოვიქცე. წავიდე და წამოვიყვანო, ეს ნიშნავს, მის პროფესიაზე უარი ვათქმევინო და სახლში დაჯდეს. მე კი ის ადამიანი არ ვარ, რომ ცოლი სახლსა და სამზარეულოში გამოვკეტო. მაგრამ, როცა აქციაზეა, ვერც მაშინ ვისვენებ. ყველაზე ძალიან ბრბოსი მეშინია. ეს ერთადერთი შემთხვევაა, როცა არ ვიცი, როგორ უნდა მოვიქცე. დარწმუნებული ვარ, ნუცას კოლეგების შეყვარებულები, ქმრები თუ მეგობრები ჩემნაირ მდგომარეობაში არიან. ამიტომ იყოს მშვიდობა, დავიღალე!

**ნუცა**: როცა სიუჟეტს კრიმინალზე, ყოფილ ან თუნდაც ახლანდელ მაღალჩინოსნებზე ვაკეთებ, მეც ვიძაბები. იყო რამდენიმე სიუჟეტი, რომლის გასვლის შემდეგ არ შემშინებია, მაგრამ ძალიან ვინერვიულე, თუმცა თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ყველა ჩემს სიუჟეტზე პასუხისმგებელი ვარ.

***— ერთ ჭერქვეშ ცხოვრებამ რა გასწავლათ?***

**აჩიკო**: ვუფრთხილდები იმ ადამიანს, რომელიც მიყვარს და ნელ-ნელა ვხვდები, რომ ნუცა კიდევ უფრო ძვირფასია ჩემთვის, ვიდრე აქამდე. ჩემი ეს განძი უფრო და უფრო წონას იძენს. ბედნიერი ვარ, რომ გამაჩნია სიმდიდრე, რომელსაც ნუცა ჰქვია.

**ნუცა**: ამ ურთიერთობამ ბევრი რაღაც მასწავლა. ვგრძნობ, რომ რაღაცეებში გავიზარდე, ჩემში პასუხისმგებლობამ იმატა. ჩემთვის არ არსებობდა — „ასჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერი“, გადაწყვეტილებას ორ წუთში ვიღებდი. გათხოვებამდე ექსტრიმის მოყვარული და ყველანაირ რისკზე წამსვლელი ვიყავი. ახლა ვიცი, რომ მარტო არ ვარ. ახლა უკვე ჩემსა და აჩიკოზე, როგორც ერთ ადამიანზე, ისე ვფიქრობ.

***— ნუცა, ქორწინების შემდეგ აჩიკოს ხასიათში ცვლილებას ხომ არ ატყობთ?***

**ნუცა**: აჩის გავცემ და ვიტყვი, როცა ურთიერთობა დავიწყეთ, დარწმუნებული ვიყავი, რომ ის ეჭვიანი არ იყო. რაც დრო გადის, აჩიკო უფრო და უფრო ეჭვიანი ხდება. მე თვითონ ეჭვიანი არ ვარ და ასეთი ადამიანები არ მიყვარს, მაგრამ ეს არის შემთხვევა, რომელიც მხოლოდ ღიმილს მგვრის. ვიცი, ეს რის გამოც ხდება. როცა გიყვარს, გინდა, ბოლომდე შენი იყოს. ასეთ დროს ეგოისტიც ხდები და ეჭვიანიც, ეს ძალიან ბუნებრივია.

**აჩიკო**: აქამდე მეც ნამდვილად არ ვიცოდი, ეჭვიანი თუ ვიყავი. აი, ეგოისტი ნამდვილად გახლდით. ყველა და ყველაფერი რაც კარგია, ჩემი იყო, მშობლებიდან დაწყებული მეგობრებით დამთავრებული. ნუცა ჩემია და რაც უფრო ჩემია, მით უფრო ჩემი მინდა იყოს! სულ ვითხოვ, რომ ჩემთან ერთად იყოს, დიდი სურვილი მაქვს, ერთი საათი იქნება, ნახევარი დღე თუ 20 წუთი, ერთმანეთს დავუთმოთ. ნებისმიერ საგანზე, სოციალურ ქსელსა თუ სხვა რამეზე ვეჭვიანობ. მინდა, რომ სულ ერთად ვიყოთ!

***— ნუცა, აჩიკო ეკრანზე ძალიან მხიარული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს. სახლშიც ასეთია?***

**ნუცა**: ნამდვილად ასეთია. უბრალოდ სამსახურს, პირდაპირ ეთერს დიდი ენერგია და ალბათ დადებითი ემოციაც მიაქვს, ამიტომ შეუძლებელია სახლშიც ისეთი იყო. აჩი კი მაინც სულ ცდილობს, შინ დადებითი ენერგიით დაბრუნდეს. ძალიან ძნელია სახლში ღამის პირველ საათზე რომ მივალ, აჩი ისეთი დამხვდეს, როგორიც გადაცემა „შუადღის“ ეთერში იჯდა, ამას ვერც მოვთხოვ.

***— ქმრის გადაცემას უყურებთ?***

**ნუცა**: როცა „რუსთავი 2“-ში ვიყავი, უფრო ვუყურდებდი, ახლა ფიზიკურად ვერ ვახერხებ. როცა ის ეთერშია, სულ სამსახურში ვარ.

***— აჩიკო, თეატრში რა ხდება?***

**აჩიკო**: არცთუ ისე დიდი ხანია, რაც სპექტაკლი „ზაფხულის ღამის სიზმარი“ გამოვუშვით. ახლა გასტროლები გვეწყება, ედინბურგის საერთაშორისო ფესტივალზე მივდივართ. წინ მძიმე 10 დღე გველოდება. თუ მოვასწარით, მე და ნუცა სადმე დასასვენებლადაც გავძვრებით.

✓ ეკა ლემონჯავა

# კახა კუკავა: „ცოლმა იტალია „მუშა! მუშას!“ ძახილით მომატარა“



პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი, კახა კუკავა, ის იშვიათი ადამიანია, ვინც საქმიანი ვიზიტის დროს დასვენებასაც გადასარევად ახერხებს. საზღვარგარეთ, პირველ რიგში, უცხო ქალაქის კულტურას ეცნობა, შემდეგ — ქართულ დიასპორას, ბოლო პუნქტი კი ადგილობრივი სამზარეულოა. მისთვის დაუვიწყარია იტალია, სადაც ცოლთან, თეა ოქროპირიძესთან ერთად საქორწინო მოგზაურობაში გახლდათ. უყვარს საზღვარგარეთ საყიდლებზე სიარული, რასაც საქართველოზე ვერ იტყვის. გვითხრა, ბევრი ალბათ არც დაიჯერებს, მაგრამ თბილისში ნარიყალაზე ნამყოფი არ ვარო. ამ შეცდომის გამოსწორებას წელსვე აპირებს და საქართველოს იმ ადგილების მონახულებას გეგმავს, სადაც ფეხი ჯერ არ დაუდგამს.

**— ბატონო კახა, რა პროცესია თქვენთვის მოგზაურობა?**

— წელიწადში რამდენჯერმე მიწევს ქვეყნიდან გასვლა და ეს პროცესი ძალიან მიყვარს. მიუხედავად იმისა, რომ ძირითადად საქმიანი გასვლები მაქვს, ამ დროს ყველაზე კარგად ვისვენებ. უცხო ქალაქების დათვალიერება ძალიან მიტაცებს, ბევრ ქალაქში მეგობრებიც მყავს. საფრანგეთი, იტალია, გერმანია, ინგლისი, საბერძნეთი, შვედეთი, ჩინეთი, თურქეთი და სხვა უამრავი ქვეყანა მაქვს მოვლილი.

**— თურქეთში ალბათ დასასვენებლად იყავით.**

— დასასვენებლად ერთადერთხელ ვიყავი ანტალიაში. სტამბულში რამდენიმე დღით მოვხვდი და მომეცა საშუალება, ქალაქი დამეთვალიერებინა. აია სოფიას რაც მეტი ადამიანი ნახავს, მით უკეთესია, რადგან ის ქრისტიანული კულტურის ყველაზე მნიშვნე-

**„ათენი საოცრება ნამდვილად არ გახლავთ, თუმცა აკროპოლისი ალბათ პირველი ნომერია. იქ ყველაფერი პირვანდელი სახითაა შემორჩენილი და შეგიძლია, იმ მარმარილოს ფილებზე იარო, სადაც პერიკლე და სხვა იმდროინდელი მოღვაწეები დადიოდნენ“.**

ლოვანი ძეგლია. სტამბული, თავის დროზე კონსტანტინეპოლი, უნიკალურ ადგილზეა აშენებული. ძალიან ცოტა დრო გვქონდა, მაგრამ მეჰმედის სასახლეშიც ვიყავი. თურქეთი ჩვენთვის რომ ჩამორჩენილობასთან და ანტისანიტარიასთან ასოცირდება, ასე აღარ არის და არც ჩაკეტილი ისლამური სამყაროა. სტამბული ალბათ ერთადერთი ევროპული და ისლამური ქალაქია. ტაქსიმის ცნობილ მოედანზეც გახლდით, სადაც ამჟამად საპროტესტო აქციები მიმდინარეობს.

**— პოლიტიკური არეულობის დროს უცხო ქვეყანაში მოხვედრილხართ?**

— სტრასბურგში ევროსაბჭოს შენობასთან საპროტესტო აქციებს ხშირად შევსწრებივარ, მაგრამ ჩვენს აქციებს არაფრით ჰგავს. მახსოვს, ჩეჩნები რამდენიმე ავტობუსით მოვიდნენ, ტრანსპარანტები გადმოალაგეს, ჩაატარეს აქცია და რამდენიმე საათში წავიდნენ.

**— მეუღლესთან ერთად სად გიმოგზაურიათ?**

— ცოლთან ერთად 2004 წელს საქორწინო მოგზაურობაში იტალიაში, რომში გახლდით. ის ჩემთვის ყველაზე საყვარელი ქალაქია. არა მგონია, რომ რომელიმე ქალაქს ჰგავდეს. იქ რამდენიმე კულტურული შრეა. პარიზი ტურისტებს შეიძლება ძალიანაც მოსწონთ, მაგრამ ის ერთი კულტურაა, ძირითადად ლუდოვიკოსა და შემდგომ პერიოდშია აშენებული. შუა საუკუნეების ფრანგული არქიტექტურაა. რომი კი იმითაა უნიკალური, რომ ერთმანეთის გვერდით 2500 წლოვანი სხვადასხვა კულტურული შრეებია, მათ შორის, ანტიკური პერიოდის და ადრეული შუა საუკუნეების. ერთ-ერთი ეკლესიის სვეტები ასიმეტრიულია, რადგან ის სხვადასხვა დროსაა აგებული. ერთი სვეტი რომელიღაც იმპერატორმა ეგვიპტიდან მოიტანა, მეორე 800 წლის შემდგომ რომის პაპმა შეუკვეთა მიქელანჯელოს თუ ლეონარდოს. ერთსა და იმავე ქალაქში და უბანში კულტურათა სიმრავლე იგრძნობა. ვატიკანში გიდმა გვითხრა, აქ ექსპონატები ისე კი არ არის გამოფენილი, როგორც ლუვრში, ჩვენთან ეს ყველაფერი იმდენია, ყრია, რაც ლუვრის მთავარ დარბაზში შეიძლება იყოს გამოფენილი, ის ვატიკანში შეიძლება სარდაფში იყოს შენახული, როგორც უმნიშვნელო ნივთიო. რომში ანტიკური კულტურის რამდენიმე ძეგლი პირვანდელი სახითაა შემორჩენილი და ეს ძალიან შთამბეჭდავია. შეუძლებელია, რომმა ვინმე გულგრილი დატოვოს. ჩემს ცოლსაც ძალიან მოეწონა. ისე კი, მე უფრო ვარ რომისტი, ცოლი უფრო პარიზის მოყვარულია. თეა იქ დიდხანს სწავლობდა, მაგრამ ერთად არასოდეს ვყოფილვართ საფრანგეთში.

იტალიაში ერთკვირიან პროგრამაში რაც შედიოდა, ყველა ქალაქი მოვიარეთ, მათ შორის ნეაპოლი და პომპეი. დაგვეძინა და ვენეციასა და ფლორენციაში ვერ წავედით. დილის მატარებელი 6 საათზე გადიოდა, ამიტომ ვენეციას დილის ძილი ვარჩიე. ახლა ცოტას ვნანობ, მაგრამ არა უშავს, როცა იქნება, იქ აუცილებლად მოვხვდებით.

**— მხოლოდ რომი იყო თქვენთვის აღმოჩენა?**

— ჩემთვის ბერლინის მუზეუმიც ნამდვილი აღმოჩენა იყო. ერთმანეთის გვერდით რამდენიმე მუზეუმია, სადაც უამრავი სიმდიდრეა შენახული. ბაბილონის ცნობილი ჭიშკარი ბერლინის მუზეუმშია დაცული. თუმცა კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, რომ ეს ყველაფერი მეორე ადგილზეა, რომს მაინც პირველი ადგილი უჭირავს. მიუხედავად იმისა, რომ იტალიელები არც სტუმართმოყვარენი არიან და არც ტურისტების მოყვარენი, სხვა ხალხს მაინც არასტუმართმოყვარე იტალიელები მირჩევნია. ისინი დანარჩენ მსოფლიოს ისე უყურებენ, როგორც ჩვენ ვუყურებთ ჩვენზე ბევრად დაბალი დონის ხალხს. მაინც რომაელების შთამომავლები არიან და ვიღაც გერმანელებს ბარბაროსებად აღიქვამენ.

**— საქმესთან ერთად განმუხტვასა და ქალაქის დათვალიერებას თუ ახერხებთ?**

— საქმეს და დასვენებას ერთმანეთს გადასარევად ვუთავსებ, რადგან მხოლოდ დასასვენებლად რომ წავიდე, დავიღლები. 2 საათი პლაჟზე წოლა ნამდვილად არ შემიძლია. ეს სამუშაოს შემდეგ უკეთესად გამომდის. მხოლოდ დასასვენებლად თუ წავალ, 2 დღის შემდეგ აუცილებლად დავიღლები.

**„ჩინელები ამბობენ, რომ პეკინი ინტელექტუალური ცენტრია, შანხაი — გასართობი. მოკლედ, პეკინი ჩინელების ქუთაისია...“.**

მიუხედავად იმისა, რომ პარიზში რამდენჯერმე ვარ ნამყოფი, მისი ამოწურვა ძნელია. სულ მაქვს ხოლმე გეგმაში, სადაც ჩავდივარ, ყველა ქალაქი საფუძვლიანად დავათვალიერო. პოლიტტურისტები პარიზს ერთ დღეს უთმობენ. ეს დრო შეიძლება სიღნაღის დათვალიერებას დაუთმო. არ შეიძლება, პარიზი ერთ დღეში დაათვალიერო, რადგან ძალიან დიდი ქალაქია და ბევრია სანახავი. ვერსალში ნამყოფი არ ვარ. ინვალიდების სასახლეც ბოლო ვიზიტის დროს მოვინახულე და ნაპოლეონის საფლავსაც ვეცი თაყვანი. ლუვრში გამოფენილი მონა ლიზას ღიმილის საიდუმლო დღემდე ვერავინ ამოხსნა. მისი ორიგინალში ნახვა საოცრებაა! მასთან დაკავშირებით ერთი კურიოზიც შეგვემთხვა. ამ ადამიანის სახელსა და გვარს არ გეტყვით, თუ წაიკითხავს, ალბათ მიხვდება, რომ მასზეა საუბარი. პირველად ლუვრში 1999 წელს მოვხვდი. მაშინ ფირიანი აპარატი გვქონდა წალებული. ჩემი მეგობრები უამრავ ფოტოს იღებდნენ და რა ფირი ეყოფოდათ? ცვლიდნენ და ცვლიდნენ. მე მონა ლიზა გადავიღე, მეგობარმა კი ვენერას გადაღება მოინდომა. ექსპონატებს წარწერები ლათინურად ჰქონდა. ყველა ბერძნულ ღვთაებასა თუ ქალღმერთს ლათინური ანალოგი ჰყავს, ვენერა იგივე აფროდიტაა. მივიდა ჩემი მეგობარი ქანდაკებასთან ახლოს, წაიკითხა წარწერა და იკივლა, არ გადაიღოთ, ფირი არ დახარჯოთ, ვენერა კი არა, აფროდიტა ყოფილაო.

ახალგაზრდებს რატომღაც მუზეუმებში სიარული არ უყვართ და კლუბები ურჩევნიათ. ღამის კლუბში საზღვარგარეთ შეიძლება მეც წავიდე, მაგრამ კლუბი ყველა ქალაქში →43

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



■ კახა და თეა რომში, საქორწინო მოგზაურობის დროს

**„ვატიკანში გიდმა გვითხრა, რაც ლუვრის მთავარ დარბაზში შეიძლება იყოს გამოფენილი, ის ვატიკანში შეიძლება სარდაფში იყოს შენახული, როგორც უმნიშვნელო ნივთიო".**

ერთნაირია. თბილისში საერთოდ რა კლუბებია, არც ვიცი. შანხაიში ერთ-ერთ ლათინურ კლუბში ვარ ნამყოფი. მგონი,ისეთი ხალისი და დინამიზმი არსად ტრიალებს, რაც ლათინურ კლუბებში ხდება. ყველა მიმართულებით იკლაკნებიან, სიტუაციის შესაფერისი მენიუ და სასმელი ძალიან მომწონს.

— **ჩინეთის განსხვავებულმა კულტურამ როგორი შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე?**

— იქ 2006 წელს გახლდით. ჩინეთი სხვა მხრივაა უნიკალური. ვერ გეტყვით, რომ იქაურმა არქიტექტურამ მომხიბლა. ჩინეთის დიდი კედელი ვნახე, მაგრამ ის უფრო მასშტაბებით გაკვირვებს. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთი უძველესი ქვეყანაა, რომთან მისი შედარება შეუძლებელია. პეკინშიც გახლდით, მაგრამ შანხაიმ უფრო დამიტოვა გარკვეული შთაბეჭდილება. ზღვისპირა ქალაქია და გართობა და დროსტარება იქ უფრო უყვართ. ჩინელები ამბობენ, რომ პეკინი ინტელექტუალური ცენტრია, შანხაი — გასართობი. მოკლედ, პეკინი ჩინელების ქუთაისია. როცა იქ გახლდით, ერთდროულად 100 ცათამბჯენი შენდებოდა. ჩინეთი ტურისტებისთვის ძალიან კარგია იმ თვალსაზრისით, რომ იაფია და ფული ისე არ გაგირბის, როგორც ევროპულ ქვეყნებში. იქაურები სტუმრების მიმართ ძალიან კეთილგანწყობილები არიან, ყოველ შემთხვევაში, თეთრკანიან სტუმრებს პატივისცემით ექცევიან.

— **კიდევ რომელ ქვეყანას გამოარჩევდით განსაკუთრებულად?**

— იტალია და საბერძნეთი ჩემი სუსტი წერტილია. საბერძნეთზე გიამბობთ. ათენი საოცრება ნამდვილად არ გახლავთ, მაგრამ აკროპოლისი ალბათ პირველი ნომერია. იქ ყველაფერი პირვანდელი სახითაა შემორჩენილი და შეგიძლია, იმ მარმარილოს ფილებზე იარო, სადაც პერიკლე და სხვა იმდროინდელი მოღვაწეები დადიოდნენ. ათენი რომის დედაა, რადგან ჯერ ის იყო და შემდეგ რომი, როგორც მისი გაგრძელება. ზოგიერთი ხუმრობს კიდეც, იყო ათენის ძველი კულტურა და შემდეგ იქაურმა სააკაშვილებმა რომში არსებული კულტურა ზიზილ-პიპილებით შექმნესო.

— **უცხო ქვეყანაში კანონის არცოდნის გამო სამართალდამცავებთან პრობლემა არასოდეს შეგქმნიათ?**

— საზღვარგარეთ პოლიციასთან შეხება არასოდეს მქონია. ძალიან ადრე, როცა საფრანგეთში მოვხვდი, მაღაზიაში შევედი. ჩვენთან მხოლოდ თბილისის უნივერმაღი მქონდა ნანახი და შესაბამისად, საფრანგეთში ტანსაცმელზე მიბმული ჩიპებისთვის ყურადღება არ მიმიქცევია. ავიღე რაღაც სამოსი და სალაროსკენ გავემართე. ძებნაში თურმე სალაროს გავცდი. დაიწყო წიკწიკი. დაცვის თანამშრომელი მოვიდა, ავუხსენი ყველაფერი და ისიც მიხვდა, რომ ეს მოპარვის მიზნით არ გამიკეთებია.

— **საზღვარგარეთ შოპინგი გიყვართ?**

— შოპინგი საზღვარგარეთ უფრო მიადვილდება, საქართველოში კი რაღაც უხერხულობები იქმნება. რთულია, როცა სავაჭრო ცენტრში ვარ, შარვლის მოსაზომად შევდივარ და გამყიდველები მეკითხებიან: „გადარჩება საქართველო? გვეშველება რამე?". საყიდლებზე სიარული კარგია, თუ ქალებთან ერთად არ ხარ. ერთადერთი ცუდი მოგონება, რაც რომთან მაკავშირებს, ის იყო, რომ საყიდლების გამო ორივე ხელზე იმდენი ჩანთა მეკიდა, კანზე ზონრებისგან წითელი ხაზები მეტყობოდა. ჩემმა ცოლმა ძალიან ბევრი მატარა. მესმის მისი, რადგან იტალიური შოპინგი ჩვენებურისგან დიდად განსხვავდება. სულ „მუშა! მუშას!" დამძახოდა და ასე დამატარებდა მაღაზიებში.

საზღვარგარეთ მაცივარზე მისაკრავ მაგნიტიან სუვენირებს ყოველთვის ვყიდულობ, მაგრამ ბავშვებმა სულ გამიფანტეს. სუვენირები თითქმის ყველა ქალაქიდან მაქვს წამოღებული. ცოლისთვის პარფიუმერია აუცილებლად ჩამომაქვს და ხშირ შემთხვევაში მოსწონს ხოლმე.

**„ჩინეთში 3 კვირის განმავლობაში ერთი და იმავეს ჭამა საშინელება იყო. ქალაქიდან ქალაქში დავდიოდით და შანხაიში „მაკდონალდსი" რომ დავინახე, ჩემთვის იგივე იყო, რაც ამერიკის აღმოჩენა. შტურმით შევიჭერით და არნახული გემო ჩავატანეთ ყველაფერს".**



■ პარიზში

— **შვილებთან ერთად გიმოგზაურიათ?**

— არა, მაგრამ გოგო უკვე საკმაოდ დიდია და ვფიქრობ, სადმე ერთად გავემგზავროთ. მე უკვე დიდი ვიყავი, როცა საქართველოს საზღვრებს გავცდი და ვფიქრობ, ბავშვებისთვის კარგი იქნება, თუ მარტო ზღვაზე არ ივლიან. რაც უფრო მეტს ნახავენ, მეტ კულტურას ეზიარებიან და ქართულ ნაჭუჭში არ იქნებიან ჩაკეტილები, მით უკეთესი.

— **ძირითადად ვისთან ერთად გიწევთ მოგზაურობა?**

— მეგობრებთან და დელეგაციის წევრებთან ერთად. ხანმოკლე ვიზიტებით მარტოც მიმოგზაურია, ამასაც თავისი ხიბლი აქვს.

— **ალბათ საქართველოს კუთხეები ძირფესვიანად გაქვთ დათვალიერებული.**

— შეიძლება ბევრმა არც დაიჯეროს, მაგრამ თბილისში ნარიყალაზე არ ვარ ნამყოფი. ეს შეცდომა ამ ზაფხულს აუცილებლად უნდა გამოვასწორო და თბილისის სხვადასხვა ადგილების გარდა ის რეგიონებიც მოვინახულო, სადაც ფეხი არ დამიდგამს, მათ შორის, თუშეთი, ხევსურეთი და ვარძია. ეს ჩემს საზაფხულო გეგმებში შედის.

— **უცხო ქვეყნის სამზარეულოზე რას გვეტყვით?**

— ყველა ქვეყანაში ჯერ კულტურას ვეცნობი, შემდეგ ქართულ დიასპორას და მესამე პუნქტი სწორედ სამზარეულოა. ამაში ქვეყნის ხასიათი მართლაც ვლინდება. ერთხელ სტრასბურგში პარლამენტის დელეგაცია ვიყავით. როგორც ყველა ქართველს, ბავშვობიდან მჯეროდა, რომ რადგან ჩინელები გველებსა და ხვლიკებს ჭამდნენ, ცუდი ხალხი იყო. სტეიკი შევუკვეთე, ზურაბ ტყემალაძემ კი ჭიები, ხვლიკები და ზღვის პროდუქტები თითქმის ძალით მაჭამა და ძალიან მომეწონა. მას შემდეგ გემრიელად გეახლებით, ძალიან ნოყიერია. ქართული სამზარეულო გემრიელია, მაგრამ ფრანგული ან ჩინური სადილის შემდეგ შეგიძლიათ ადგეთ და რაც გინდათ, ის აკეთოთ. ქართული კერძების დაგემოვნების შემდეგ კი 2 საათი ვერ ინძრევი. ჩინეთში რამდენიმე კვირა ვიყავი. ისინი ბევრს ჭამენ, მაგრამ ერთი და იმავეს 3 კვირის განმავლობაში ჭამა საშინელება იყო. ქალაქიდან ქალაქში დავდიოდით და შანხაიში „მაკდონალდსი" რომ დავინახე, ჩემთვის იგივე იყო, რაც ამერიკის აღმოჩენა. შტურმით შევიჭერით და არნახული გემო ჩავატანეთ ყველაფერს.

— **ყველაზე ლამაზი ქალები სად შეგხვდათ?**

— პოლონეთსა და საფრანგეთში ლამაზი ქალების სიმრავლე თვალშისაცემია. სლავურ ქვეყნებში ლამაზი ქალები ქუჩაში გხვდებიან, საფრანგეთში კი ლამაზ მასას გარეთ ვერ ნახავთ. იტალიელი და ბერძენი მანდილოსნების გარეგნობაც მომწონს. მუქი ფერის თმითა და თავისებური თვალებით გამორჩეულები არიან, ქართველებს ძალიან ჰგვანან.

— **თვითმფრინავში თავს კომფორტულად გრძნობთ თუ ნერვიულობთ?**

— ფრენის დროს ადვილად ვიძინებ, რაც იმის საშუალებას მაძლევს, რომ არ დავიღალო. ალბათ ყველაფერი შეჩვევაზეა და ფრენის შიში არ მაქვს. ალკოჰოლსაც ვსვამ, ამაზე ხომ არაა ჯარიმა გათვალისწინებული. საჭესთან ვერ ვსვამ, თორემ თვითმფრინავში პრობლემა არ არის.

✓ სოფიო ბოჭორიძე

# კრეტა — ბერძნული მითების აკვანი

კრეტა საბერძნეთის ყველაზე დიდი და ხმელთაშუა ზღვის სიდიდით მეხუთე კუნძულია. მას სამი ზღვა ესაზღვრება — იონიის, ლიბიისა და ეგეოსის.

კრეტა ანტიკური საბერძნეთის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური კუნძული იყო. ბერძნული მითოლოგიის ყველაზე შთამბეჭდავი ეპიზოდები სწორედ ამ კუნძულთანაა დაკავშირებული. ადამიანებისა და ღმერთების მბრძანებელი ზევსი, მინოსის ლაბირინთი, თეზევსი, იკაროსი და დედალოსი — ეს იმ მითოლოგიური გმირების არასრული ჩამონათვალია, რომლებმაც ძველბერძნული ცივილიზაციის ჩამოყალიბებაზე უდიდესი გავლენა იქონიეს.



დღეს ათასობით ტურისტი ჩადის კრეტაზე, რათა საკუთარი თვალით იხილოს ევროპის ერთ-ერთი პირველი ცივილიზაციის — მინოსის ნაშთები. ბევრისათვის კი კუნძული ულამაზეს დასასვენებელ ადგილთან ასოცირდება.

## კლიმატი

კრეტაზე სამი ზღვის კლიმატი ვრცელდება. ამინდი უნიკალურია — წელიწადში 300 დღე მზიანია. ზაფხული ცხელი და ხშირ შემთხვევაში აუტანელია. არნახული სიცხეები ივლისში იწყება და აგვისტოს ბოლომდე გრძელდება. ტემპერატურა ხანდახან 40 გრადუსსაც აჭარბებს. ასეთ დროს ხალხი გარეთ გასვლას ერიდება. კუნძულზე ჩასასვლელად საუკეთესო პერიოდი აპრილი და მაისია.

ზამთარი ძირითადად მშრალია, თოვლი იშვიათად მოდის და რამდენიმე დღეში დნება.

## ფული

2002 წლიდან ევრო კრეტის და მთლიანად საბერძნეთის ოფიციალურ ვალუტად იქცა. ამდენად, არც კი გაიფიქროთ ამერიკული დოლარის ან სხვა ვალუტის გამოყენება. როგორც წესი, ბანკებში ფულს ბევრად უფრო მაღალი კურსით გადაგიხურდავებენ, ვიდრე ქუჩაში.

საკრედიტო ბარათების დახმარებით თითქმის ყველგან შეძლებთ შესვლა-გამოსვლას. მიუხედავად ამისა, გახსოვდეთ, რომ ძველ უბნებში განთავსებულ ე.წ. ბაზრობებზე თუ მოხვდებით, საკრედიტო ბარათების იმედი ნუ გექნებათ.

ბუნებრივია, ასეთ ბაზრობებზე შევაჭრება და ფასის დაკლება საკმაოდ ნორმალური მოვლენაა, აი, დიდ საფირმო მაღაზიებში კი შევაჭრება უზრდელობად ითვლება. გაითვალისწინეთ, რომ კუნძულზე, განსაკუთრებით კი ტურისტულ სეზონზე, ყველაფერს ცეცხლის ფასი აქვს.

## ენა

კრეტის ძირითადი ენა ბერძნულია, მაგრამ ძველ ბერძნულ დიალექტზე მოსაუბრესაც ბევრს შეხვდებით. ინგლისურს ნებისმიერი ასაკის ადამიანი, ასე თუ ისე, ფლობს. კუნძულზე განათლების სისტემას დიდი ყურადღება ექცევა და ძალიან მაღალ დონეზეა. უცხო ენას მოსწავლეები დაწყებითი კლასებიდანვე ეუფლებიან.

ინგლისურის შემდეგ ყველაზე პოპულარული იტალიური, ფრანგული და გერმანულია. ასე რომ, თუ რომელიმე ენა მაინც იცით, კრეტაზე ენობრივი ბარიერი ნამდვილად არ შეგექმნებათ.

## გადაადგილება

კუნძულზე სამი აეროპორტია. ორი მათგანი საერთაშორისო ფრენებს ემსახურება, ხოლო მესამე, შედარებით პატარა, მხოლოდ შიდა ფრენებისთვისაა განკუთვნილი. კრეტის მიმართულებით თვითმფრინავით ყოველდღიური რეისები სრულდება ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან.

რატომღაც ტურისტები კრეტაზე ჩასასვლელად ყველაზე დიდ უპირატესობას გემს ანიჭებენ. საბერძნეთის დედაქალაქ ათენიდან კრეტის მიმართულებით დღეში რამდენჯერმე გადიან როგორც გემები, ისე ავტობუსები.

შიდა გადაადგილებისათვის იდეალურია ავტობუსი, რომლის ერთჯერადი ბილეთის ღირებულება 1,6 ევროა. ავტობუსები ყოველ ნახევარ საათში ერთხელ დადიან. ფუნქციონირებს კერძო მიკრო ავტობუსებიც. ისინი ცოტა ძვირი, მაგრამ გაცილებით კომფორტულია. როგორც წესი, ტურისტები უპირატესობას ნავით მგზავრობას ანიჭებენ.

კრეტაზე მანქანის დაქირავებას დღეში 45 ევროდ შეძლებთ, თან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საერთაშორისო მართვის მოწმობა გაქვთ.

## სამზარეულო

გაგიკვირდებათ და კრეტაზე ტურისტები შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ ბერძნული ლოკოკინებისა და თევზის კერძების საჭმელადაც ჩავიდნენ. ადგილობრივები ირწმუნებიან, რომ, როგორც ბევრ სხვა მიღწევას მსოფლიოში, კულინარიასაც ბერძნებმა დაუდეს სათავე. ადგილობრივი სამზარეულო მართლაც რომ გემრიელი და მრავალფეროვანია. გახსოვდეთ, რომ საბერძნეთის დანარჩენ ნაწილში გასინჯული კერძები არაფერია იმასთან შედარებით, რასაც ამ კუნძულზე დააგემოვნებთ.

თევზეულით, ხორცითა და ბერძნული ყველით, ზეითუნის ზეთითა და მაწვნით მომზადებული სალამისი, გიეროსი, პასტიციო, მუსაკა და სხვა საფირმო კერძები დაუვიწყარ გემოს დაგიტოვებთ. კუნძულზე ნებისმიერი საჭმელი ღვინითაა შეზავებული, აი, ხორცს კი ნაკლებად ეტანებიან.

ალკოჰოლურ სასმელებს შორის ღვინის შემდეგ პოპულარულია ლუდი. ყველაზე მოთხოვნადი არაალკოჰოლური სასმელი კი ბერძნული ყავაა. ყავახანები საყვარელ გასასვლელ ადგილებად ითვლება, სადაც უგემრიელესი ყავის ნაირსახეობა აქვთ.

## ღირსშესანიშნაობები

კრეტას სიყვარულის კუნძულსაც უწოდებენ. ლაჟვარდისფერი ზღვა, სასიამოვნო კლიმატი, უგემრიელესი ადგილობრივი სამზარეულო, კრეტული კულტურა და ისტორია დასვენებისათვის შესანიშნავ გარემოს ქმნის.

კუნძული კრეტა ის ადგილია, სადაც ულამაზესი ბუნების გარემოცვაში ადვილად დაემალებით დიდი ქალაქის ხმაურსა და ცხოვრების სწრაფ ტემპს, სამი ზღვის კამკამა წყალში გაგრილდებით და ლეგენდარულ ადგილებს დაათვალიერებთ. საბერძნეთის ყველაზე დიდი კუნძულის ყველა ღირსშესანიშნავი ადგილის დასათვალიერებლად ორ კვირაზე მეტი დაგჭირდებათ.

ტურისტების სამიზნეს ევროპის ერთ-ერთი პირველი ცივილიზაციის — მინოსის ნაშთები წარმოადგენს. მთელი კუნძულის ტერიტორიაზე არაერთი არქეოლოგიური და ისტორიული მუზეუმია განთავსებული. იქ დაცული განძის დათვალიერებით კი ძველ დროში იმოგზაურებთ. კუნძულზე 3 ათასამდე გამოქვაბულია, რაც ტურისტების დიდ ინტერესს იწვევს. როგორც ცნობილია, ერთ-ერთ მათგანში წმინდა პავლე ცხოვრობდა.

კრეტის შემადგენლობაშია ხარის ფორმის კუნძული, რომელიც ევროპის ყველაზე სამხრეთ ნაწილს წარმოადგენს. კუნძულზე პრაქტიკულად არ არსებობს მრეწველობა, გარდა ხილის გადამამუშავებელი პატარა ქარხნისა, ამიტომ ჰაერი საოცრად სუფთაა. კუნძულის სანაპიროს მთელ გაყოლებაზე კომფორტული სასტუმროებია განლაგებული.

კრეტის მთაგორიანი სანაპიროები დაფარულია ვენახებით, ციტრუსების ბაღებითა და აყვავებული კაქტუსებით. ეს ყველაფერი მცირე ჩამონათვალია იმისა, თუ რატომ ღირს კრეტაზე ჩასვლა. კუნძულზე არსებული მოქმედი ვულკანი სანტორინი კი საოცრად ლამაზია.

კრეტა საბერძნეთის სხვა კუნძულებისგან ღამის ცხოვრებითაც განსხვავდება. უამრავი დისკოთეკა და რესტორანი დასვენებას დაუვიწყარს ხდის.

## უსაფრთხოების წესები

კრიმინალური თვალსაზრისით კუნძული საოცრად დაცული და უსაფრთხოა. არეულობისა და გაუგებრობის თავი უმეტესად ტურისტები და ემიგრანტები ხდებიან. ადგილობრივები სტუმართმოყვარე ხალხია, უყვართ ზრდილობიანი ადამიანები და სძულთ უზრდელები.

სიფრთხილე გამოიჩინეთ ტაქსის მძღოლებთან, რომლებიც ცდილობენ, ტურისტებს რაც შეიძლება მეტი ფული გამოსტყუონ. გირჩევთ, ფასზე წინასწარ მოელაპარაკოთ.

## უბის წიგნაკი

**ქვეყანა — საბერძნეთი;**
**კუნძული — კრეტა;**
**ფართობი — 8,336 კვ.კმ;**
**მოსახლეობა — 623.065;**
**ოფიციალური ვალუტა — ევრო;**
**ოფიციალური ენა — ბერძნული.**

✓ მოამზადა თათია ბოჭორიძემ



Cyan Magenta Yellow Black

# ზაფხულში ხილით განტვირთვის დღეები მოიწყვეთ



ზაფხულში ხილის სიუხვით ისარგებლეთ და წელზე ზედმეტი სანტიმეტრებისგან გათავისუფლდით.

ზაფხულში წონაში დაკლება ადვილია. მადა ქვეითდება და ორგანიზმს გასათბობად ბევრად ნაკლები კალორიები ესაჭიროება, ამიტომ ტკბილი იშვიათად გვიზიდავს. კომფორტული და უსაფრთხო გახდომისთვის ან ზაფხულში ფორმის შესანარჩუნებლად სასურველია კვირაში ერთხელ განტვირთვის დღე მოაწყოთ. რა თქმა უნდა, არჩევანი დამოკიდებულია ამა თუ იმ ხილის მიმართ თქვენს სიყვარულზე.

განტვირთვის დღის შემდეგ განწყობა, თვითშეგრძნება გაუმჯობესდება, ძილიანობა და დაღლა გაქრება, მაგრამ ზედმეტი არ იქნება, დიეტოლოგთა რჩევები გაითვალისწინოთ.

1. განტვირთვის დღის წინ და შემდეგ კვების რაციონი შეამცირეთ, ზედმეტი არ ჭამოთ.

2. განტვირთვაში დაგეხმარებათ რამდენიმე სახის ხილის ნაკრები, მაგრამ ყველაზე დიდ ეფექტს იძლევა, თუ ამ დღეს მხოლოდ ერთ რომელიმე ხილს შეჭამთ.

3. სასურველია ხილი კანიანად ჭამოთ. მათში არანაკლები სასარგებლო ნივთიერებები და უხეში უჯრედისებია, რომლებიც ორგანიზმის გაწმენდას ეხმარება.

4. „მსუბუქი დღე“ შეგიძლიათ მოაწყოთ დილიდან დილამდე ან საღამოდან საღამომდე. ყველაფერი დამოკიდებულია თქვენს სურვილსა და შესაძლებლობებზე.

5. განტვირთვის დღეს ხილთან ერთად შეგიძლიათ ბალახებისა და სანელებლების ნახარში მიიღოთ. გამოდგება გვირილა, ჭინჭარი, სელის თესლები, ქინძი, კამა. ნახარში 18.00 საათის შემდეგ დალიეთ.

### ქლიავი (100 გრამში 27 კალორიაა).

ქლიავს ორგანიზმიდან წყალი გამოაქვს და ცხიმოვან ნივთიერებებს ბოჭავს. ამის წყალობით შეგიძლიათ 1-2 კგ დაიკლოოთ, მაგრამ დიეტოლოგები გირჩევთ, ქლიავის განტვირთვის დღე თვეში ერთხელ მოაწყოთ. სხვათა შორის, შეგიძლიათ ქლიავი ალუჩით შეცვალოთ.

დაგჭირდებათ 1-2 კგ ქლიავი. ნებადართულია, დღის განმავლობაში უგაზო მინერალური წყალი და მწვანე ჩაი დალიოთ.

გაითვალისწინეთ. თუ ქლიავი მჟავეა, მაშასადამე, ჯერ მწიფე არ არის და ჯანმრთელობას სარგებლობას არ მოუტანს. ნაყოფი 2-3 დღე სიბნელეში შეინახეთ სრულ დამწიფებამდე.

### საზამთრო (100 გრამში 30 კალორიაა).

ნაყოფში ფრუქტოზისა და ლაქტოზის მაღალი შემცველობის წყალობით, განტვირთვის დღეს მშიერი ნამდვილად არ იქნებით. გარდა ამისა, საჭმლის მონელება მოწესრიგდება. თითო ჯერზე საზამთროს 300-400 გრამი რბილობი დღეში 5-ჯერ ჭამეთ.

გაითვალისწინეთ. საზამთროს დღე უკუნაჩვენებია მათთვის, ვისაც თირკმლებში კენჭები დიაბეტი აქვს. საზამთროს გამო- ასევე უნდა შეიზღუდოს კუჭქვეშა ჯირკვლის დაავადებების დროს.

### ნესვი (100 გრამში 39 კალორიაა).

ცუდი განწყობა ან დეპრესია გაქვთ? მაშინ ნესვის დღე სწორედ ის არის, რაც გჭირდებათ. საკმარისია დღეში 1,5-2 კგ ნესვის რბილობი 4-5 მიღებაზე ჭამოთ. თუ შიმშილს იგრძნობთ, შეგიძლიათ ყოველ მიღებაზე 1-2 ნაჭერი შავი პური დაუმატოთ. დღის განმავლობაში 2 ლიტრი წყალი დალიეთ. შეგიძლიათ ასევე მწვანე ჩაი დაუმატოთ.

გაითვალისწინეთ. ნესვის განტვირთვის დღე კუჭისთვის მძიმეა.

### გარგარი (100 გრამში 41 კალორიაა).

ავიტამინოზი, ათეროსკლეროზი, ანემია იმ დაავადებების არასრული ჩამონათვალია, რომელთა დროს ეს ხილი განსაკუთრებით სასარგებლოა.

**პირველი ვარიანტი:** დღის განმავლობაში 200 გრამი ქორფა გარგარი მიირთვით. თუ შიმშილს იგრძნობთ, შეგიძლიათ უცხიმო კეფირი (250 გრამი) დალიოთ. ასევე არ დაგავიწყდეთ სუფთა წყლის მიღება.

**მეორე ვარიანტი:** დღის განმავლობაში 0,5 ლიტრი ახალგამოწურული გარგარის წვენი დალიეთ და 300 გრამი ნაყოფი ჭამეთ. წყალი შეუზღუდავად მიიღეთ.

გაითვალისწინეთ. მეცნიერთა მტკიცებით, გარგარით მდიდარი რაციონი სიცოცხლის გახანგრძლივებას ხელს უწყობს.

### ატამი (100 გრამში 43 კალორიაა).

ეს ნაყოფი შეშუპებასა და ზედმეტ კილოგრამებს ებრძვის. ამასთანავე სახის ფერს აუმჯობესებს, თქვენი კანი უფრო გლუვი გახდება. ხოლო ნაყოფში არსებული კაროტინის წყალობით, ასეთი განტვირთვა თვალებისთვისაც სასარგებლოა.

დღის განმავლობაში 2-2,5 კგ ხილი ჭამეთ. ბევრი სუფთა წყალი, ბალახის ჩაი ან ყავა (მაგრამ უშაქროდ და რძის გარეშე) დალიეთ.

გაითვალისწინეთ. ატამი უკუნაჩვენებია შაქრიანი დიაბეტის დროს.

### ალუბალი (100 გრამში 52 კალორიაა).

ეს გემრიელი კენკრა ორგანიზმს შლაკებისგან წმენდს, ხოლო წელს ზედმეტი სანტიმეტრებისგან ათავისუფლებს.

1,5-2 კგ ალუბალი 6 ულუფად დაყავით და დღის განმავლობაში ჭამეთ. დალიეთ ბევრი წყალი, მწვანე ჩაი. შიმშილს განიცდით? ერთ მიღებაზე 100 გრამი უცხიმო ხაჭო დაუმატეთ.

გაითვალისწინეთ. ალუბლის დღე უკუნაჩვენებია დიაბეტის, კუჭის წყლულის, გასტრიტის, ფილტვებში ანთებითი პროცესების დროს.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძე

## ფაფუკი და მბრწყინვალე თმა



მშვენიერი თმა ნებისმიერი ქალის ოცნება და აბსოლუტურად ყველა მამაკაცის აღტაცების საგანია. როგორ შევინარჩუნოთ ბუნების მიერ ბოძებული ეს სილამაზე?

ქალაქში ცხოვრება დიდი სტრესია ჩვენი ორგანიზმისთვის და მათ რიცხვში თმისთვისაც. ზაფხულის მტვერი, ქარი და მზე კი სიტუაციას მხოლოდ ალრმავებს. თმა უსიცოცხლო, ჩამქრალი, უფერული და მტვრევადი ხდება. მას თქვენი ზრუნვა ესაჭიროება.

ნიღბები ყველაზე ეფექტური და სწრაფი საშუალებაა თმის ჯანმრთელობის აღსადგენად. ნიღბების რეგულარული გამოყენების შემდეგ თმა ჯანსაღ ბრწყინვალებას იძენს, თმის ფოლიკულების კვების ხარჯზე უფრო მაგარი ხდება.

გთავაზობთ ნიღბების რეცეპტებს:

**თმის გასამაგრებლად**

აიღეთ 3 სუფრის კოვზი შვიტა და 1 ლიტრი მდუღარე დაასხით. 10 წუთი დადგით, შემდეგ გაწურეთ, თმაზე გადაივლეთ. ამავდროულად თავის კანზე მასაჟი გაიკეთეთ.

კალენდულას ზეთი თმის ძირებს ძალას დაუბრუნებს. მინის ჭურჭელში კალენდულას გამხმარი ყვავილები მჭიდროდ ჩაალაგეთ და ზეითუნის ზეთი დაასხით. 2 კვირა ბნელ ადგილას დადგით. მასაჟის მოძრაობებით თავის კანში შეიზილეთ.

**თმის ზრდისთვის**

ავოკადო თმის ზრდისთვის ვიტამინების უნიკალურ კომპლექსს შეიცავს.

ნახევარი ავოკადო და 1 ბანანი დასრისეთ, აურიეთ. 1 კვერცხის გული, 3 სუფრის კოვზი ზეითუნის ზეთი, 1 სუფრის კოვზი თაფლი დაუმატეთ. თმაზე 30 წუთი დაიდეთ. თბილი წყლით ჩამოიბანეთ, შემდეგ შამპუნით დაიბანეთ.



Cyan Magenta Yellow Black

# კენკროვანთა პლიუს-მინუსები

ხშირად გვესმის: სეზონზე რაც შეიძლება მეტი ხილი და ბოსტნეული ჭამეთ. ჩვენც ამ რჩევას მივყვებით და არც კი ვფიქრობთ, ბუნების ყველა ეს ვიტამინური საჩუქარი სარგებლობის მომტანია თუ არა. თითოეულ მათგანს დამახასიათებელი თვისებები გააჩნია. ქვემოთ მათ ღირსებებსა და უკუჩვენებებზე ვისაუბრებთ.



### შავი მოცხარი

ამ კენკრას შარდმდენი და დამამშვიდებელი ეფექტი აქვს, ამიტომ იდეალურია ქალებისთვის „წითელი დღეების" დროს.

**უკუჩვენება:** კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, გასტრიტი კუჭის წვენის მომატებული მჟავიანობით, ინფარქტი, ინსულტი, ჰიპერტონია. ამ კენკრაში ბევრია K ვიტამინი, რომელიც სისხლის სწრაფად შედედებას ხელს უწყობს. ამიტომ ვისაც სისხლის გასქელებისკენ მიდრეკილება აქვს, დღეში არაუმეტეს 100 გრამი ქორფა კენკრა უნდა ჭამოს.

**კრიტიკული დღეების, გაღიზიანებისა და ნევროზის დროს**

2 სუფრის კოვზ გამხმარ კენკრას და 1 სუფრის კოვზ ფოთლებს ერთი ლიტრი წყალი დაასხით. დაბალ ცეცხლზე დადგით და 10-15 წუთი ადუღეთ. 3 სუფრის კოვზი ჭამის შემდეგ მიიღეთ. ამ ნახარშის მიღება დაიწყეთ „წითელი დღეების" დადგომამდე ერთი კვირით ადრე. ციკლის დასრულების მეორე დღეს დაამთავრეთ.

### ხურტკმელი

შარდმდენი თვისებების გამო ხურტკმელი ეფექტურია შეშუპებისა და ჰიპერტონიული დაავადებების დროს. შეგიძლიათ გამოიყენოთ როგორც ქორფა სახით, ასევე ნახარში. ამ კენკრას ასევე ანთების საწინააღმდეგო თვისება გააჩნია, ამიტომ სახსრების დაავადებების დროს კარგი დამხმარე საშუალებაა.

**უკუჩვენება:** დიარეა, წყლულოვანი დაავადება, ოქსალატის კენჭები თირკმლებში, კბილების ზემგრძნობელობა.

**მომატებული წნევისა და ართრიტის დროს**

ხურტკმელის 1 სუფრის კოვზ გამხმარ ფოთლებს და 2 სუფრის კოვზ კენკრას (შეგიძლიათ გამოიყენოთ ქორფა ან გამხმარი) 1 ჭიქა მდუღარე დაასხით. წყლის აბაზანაზე 20 წუთი ხარშეთ. შემდეგ გაწურეთ და გააგრილეთ. ნახარში დღეში 3-ჯერ მიიღეთ. მაცივარში არაუმეტეს 2 დღე შეინახეთ.

### მოცვი

სასარგებლოა ნებისმიერი წარმოშობის ანემიის დროს. კენკრაში ძალიან ბევრი მანგანუმია, რომელიც სისხლის წარმოსაქმნელად აუცილებელია. მოცვის ფოთლები და კენკრა უძველესი დროიდან გამოიყენება კუჭ-ნაწლავის ტრაქტის სამკურნალოდ: გასტრიტი, წყლულოვანი დაავადება, მსხვილი ნაწლავის ქრონიკული ანთება. მოცვი დღეში 50 გრამი 4-ჯერ ჭამეთ. საკვებისმიერი მოწამვლის დროს კენკრა და ფოთლების ნახარში სწრაფ შედეგს იძლევა — ტკივილი ქრება, დიარეა მცირდება.

**უკუჩვენება:** მოცვს უკუჩვენება არ აქვს, გარდა ინდივიდუალური აუტანლობისა.

**მოწამვლის დროს**

1 სუფრის კოვზ კენკრას 2 ჭიქა მდუღარე დაასხით და ადუღეთ, სანამ სითხის მოცულობა ერთ ჭიქამდე არ შემცირდება. გაწურეთ. 0,5 ჭიქა თბილი სახით, დღეში 4-ჯერ დალიეთ.

### ჟოლო

სტომატოლოგიური დაავადებებიც კი მარცხდებიან ქორფა ჟოლოს სამკურნალო თვისებების წინაშე. მაგალითად, ღრძილების ანთებას აქრობს და კბილის ტკივილს აყუჩებს ჟოლოს წვენის გამოვლება ან პიურეს პირში რამდენიმე წუთით გაჩერება. ჟოლო ასევე ეფექტურია ზედა სასუნთქი გზების დაავადებების, მათ შორის ქრონიკული ტონზილიტის (ნუშისებური ჯირკვლების ანთება) დროს. დაავადებების გამწვავების შემთხვევაში ჟოლოს წვენი (სანახევროდ სტაფილოს წვენით გააზავეთ) პირში დღეში 3-ჯერ გამოივლეთ. ტკივილი და შეშუპება სწრაფად გაივლის. ეს რჩევა ბავშვებზეც ვრცელდება.

**უკუჩვენება:** ამ კენკრაში ბევრია შარდმჟავას მარილები, ამიტომ ის რეკომენდებული არ არის მათთვის, ვისაც პოდაგრა აწუხებს. ასევე უკუნაჩვენებია თირკმლებში კენჭების დროს.

**ანგინის დროს, ფერიმჭამელებისა და ჭრილობის დასამუშავებლად**

ჟოლოს 10 გრამ გამხმარ ფოთლებს 1 ჭიქა მდუღარე დაასხით, ჭურჭელს თავსახური დააფარეთ, 2 საათი დადგით. 4 ფენა მარლაში გაწურეთ. ანგინის დროს ნახევარი ჭიქა ნაყენი დღეში 2-ჯერ, ჭამის შემდეგ მიიღეთ. ჭრილობისა და ფერიმჭამელების დასამუშავებლად ნაყენში მარლა დაასველეთ და დაზიანებულ ადგილას 30 წუთი დაიდეთ.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძემ

## იდეალური მაკიაჟი

ზოგჯერ მაკიაჟს უფრო ბევრის თქმა შეუძლია თქვენზე, ვიდრე ძვირფას სამოსსა და მორთულობას.

არაფერია იმაზე მიმზიდველი, როდესაც გარეგნობაში ყველა ელემენტი ერთმანეთს ეხამება, ამყარებს. სწორედ ამიტომ, მაკიაჟის ფერები თქვენი სამოსის ფერს უნდა იმეორებდეს, მაგრამ გამოიყენეთ არაუმეტეს ორი გამა: ერთი ფერი ზედა ქუთუთოზე დაიდეთ, მეორე — ქვედაზე. მაკიაჟისთვის თქვენი ტონი რომ შეარჩიოთ, ორიენტაცია თვალების ფერზე აიღეთ. იასამნისფერი და ვარდისფერი ტონი მკვეთრად წარმოაჩენს მწვანე თვალებს. თაფლისფერ თვალებს მეტ გამომეტყველებას შემატებს ლურჯი ტონი, ხოლო ცისფერ თვალებს ძვირფასი ლითონების ფერი მიესადაგება.



თუ თვალის მაკიაჟის ფერების გამასთან ექსპერიმენტები შესაძლებელია, ღაწვისა და ტუჩის ფერი მსგავსი უნდა იყოს. ყურადღება მიაქციეთ მარჯნის ფერს. ის სახეს აცოცხლებს და კანის ოქროსფერს ხაზგასმით წარმოაჩენს. მაგალითად, თბილი მოვარდისფრო-მოწითალო პომადა ტუჩებზე და ატმისფერი ღაწვებზე. პომადა ტუჩებზე თითის ბალიშით წაისვით, ხოლო ღაწვებზე ფერი — დიდი, მრგვალი ფუნჯით.


გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# საკვები ორისათვის



მეცნიერები თვლიან, რომ ორგანიზმის თავდაცვის მექანიზმები სხვადასხვა დაავადებასთან მიმართებაში დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი იყო მისი კვება ჯერ კიდევ მუცლადყოფნის პერიოდში. ორსულის საკვები სასარგებლოც უნდა იყოს და გემრიელიც. საკვებისგან სიამოვნება და სარგებელი მომავალმა დედამაც უნდა მიიღოს და ჩანასახმაც. სწორედ ამიტომაა მნიშვნელოვანი, რომ ორსულის რაციონი მრავალფეროვანი იყოს და ორსულობის ვადის შესაბამისად შეიცვალოს.

**ნარინჯისფერი და მწვანე** — ორსულისათვის აუცილებელია ისპანახი, სხვადასხვა სალათები, სტაფილო, გარგარი, გოგრა... ყველა ეს პროდუქტი ფოლიუმის მჟავას შეცავს, რომელსაც მინიმუმამდე დაჰყავს ნაყოფის განვითარების შესაძლო დეფექტები, ეხმარება მის ნერვულ სისტემას სწორად ჩამოყალიბებაში, ავითარებს გონებრივ შესაძლებლობებს. ფოლიუმის მჟავას ასევე შეიცავს ჭარხალი და კვერცხის გული, ლობიო. ნარინჯისფერ-მწვანე რაციონი ორსულობის პირველ ტრიმესტრში, ანუ 12-20 კვირაზეა საჭირო.

**პირიდოქსინი** — ეს ნივთიერება ღირებულია როგორც ჩანასახის, ისე მომავალი დედიკოსათვის. დაახლოებით 9 კვირის ვადაზე ქალების დიდი ნაწილი უჩივის გულისრევის შეგრძნებას დილის საათებში, ასევე კუნთების დაჭიმვას. ამ დროს დახმარებას გაუწევთ ბ6 ვიტამინი, რომელსაც უხვად შეიცავს ხორბალი, ბრინჯი, შვრია, წიწიბურა, ლობიო, ნიგოზი.

**რაც შეეხება თევზს**ორსულის რაციონში, ეს, შეიძლება ითქვას, ცალკე განხილვის თემაა, რადგან თევზში არსებული ყველა სასარგებლო ვიტამინი და მინერალი ერთნაირად საჭიროა ნაყოფისთვისაც და დედის ჯანმრთელობისთვისაც. საერთოდ ზღვის პროდუქტების ჩართვა კვირაში რამდენჯერმეა საჭირო იმ შემთხვევაში, თუ დედას ამ პროდუქტებზე ალერგია არ აქვს.

ორსულობის მეორე ტრიმესტრი გარკვეული სპეციფიკით ხასიათდება. ამ დროს აქტუალური ხდება მაგნიუმი, რომელიც ერთ-ერთი მთავარია ბავშვის ძვლოვანი ქსოვილების ფორმირებისათვის. ბოლო წლებში ჩატარებული კვლევებით დადგინდა, რომ ახალშობილის სიგრძე და თავის სიდიდე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რა რაოდენობით მაგნიუმს იღებდა მომავალი დედა. მაგნიუმი აუცილებელია ბავშვის კუნთების ფორმირებისა და მშობიარობის პროცესის ნორმალურად წარმართვისათვის. მაგნიუმს შეიცავს საზამთრო, ნუში, მუქი მწვანე ფერის ხილი და ბოსტნეული, ბანანი.

**ვიტამინი დე და მჟავა ომეგა 3** — ორსულობის მეორე ტრიმესტრში მომავალი დედიკოს თვითშეგრძნება მნიშვნელოვნად უმჯობესდება. როგორც წესი, ამ პერიოდში ნაყოფი სრულფასოვნადაა ჩამოყალიბებული. ამ დროს განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება დე ვიტამინს, რომელსაც დიდი რაოდენობით შეიცავს თევზი, ხიზილალა. ომეგა 3-ის რეგულარულად მიღება კი თრომბის ერთგვარი პროფილაქტიკაა.

**ყურადღება, კალციუმი!** — ორსულობის მე-17 კვირიდან დაწყებული ნაყოფი უკვე მოძრაობას იწყებს. ამ პერიოდში აქტიურად იზრდება ბავშვის ძვლოვანი სისტემა. ამისთვის კი აუცილებელია, დედის ორგანიზმი სათანადოდ მარაგდებოდეს კალციუმით. ის მომავალ დედასაც სჭირდება არამარტო კბილების, თმისა და ფრჩხილების სიჯანსაღისთვის, არამედ მისი დახმარებით რეგულირდება სისხლის წნევა. კალციუმით მდიდარია რძე და მისი პროდუქტები, ასევე ისპანახი, ნუში, გარგარი, ნიგოზი, ჰალვა.

**გავიუმჯობესოთ სისხლის შემადგენლობა** — ორსულობის 22-ე კვირიდან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს რკინის რაოდენობას. ეს ელემენტი საჭიროა სისხლისთვის. რაც შეეხება საკვებ პროდუქტებს, რკინით მდიდარია ღვიძლი (თუმცა მისი ხშირი მიღება ორსულობის პერიოდში არ არის სასურველი), ასევე მუქი მწვანე ფერის ხილი და ბოსტნეული, კვერცხი, ქათმისა და ინდაურის ხორცი, ვაშლი.

## ჟოლო – ივლისის დედოფალი

ჟოლო წვნიანი, არომატული და სასარგებლო კენკრა გახლავთ, რომელიც ერთნაირად უყვართ პატარებსაც და უფროსებსაც. ჟოლოს ბევრი ჯიში არსებობს. საინტერესოა, რომელი უფრო სასარგებლოა და რატომ.



რაც უფრო მუქია ჟოლო, ე.ი. მასში მეტი რაოდენობითაა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები, რომლებიც ნივთიერებათა ცვლის პროცესს აწესრიგებენ. ღია ფერის ჟოლო კი გაცილებით მდიდარია ფოლიუმის მჟავით. ასევე ითვლება, რომ ღია ფერის ნაკლებალერგიულია, ამიტომ ორსულებისა და მეძუძური დედებისთვის უფრო სასარგებლო ღია ფერის ჟოლოა. მასში შემავალი ფოლიუმის მჟავა აუცილებელია როგორც ორსულის, ისე მუცლადმყოფი პატარასთვის.

ჟოლო შეიცავს სასარგებლო შაქარს, ორგანულ მჟავებს, პექტინებს, ასევე უჯრედისს. მასში ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებია, რომლებიც აუცილებელია ორგანიზმში ფერმენტების აქტივობისა და ნივთიერებათა ცვლის პროცესისთვის.

ჟოლო გამოირჩევა მასში არსებული მიკრო და მაკროელემენტებითაც. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია რკინა, ბეტა-კაროტინი, ბე ჯგუფის ვიტამინები. მოგეხსენებათ, გაციებისა და სურდოს დროს ჟოლოიანი ჩაის დალევაზე უკეთესი არაფერია. ის ოფლის გამოყოფას უწყობს ხელს და ტემპერატურას დაბლა სწევს.

ჟოლო ორგანიზმს შლაკებისგანაც წმენდს, გამოდენის ტოქსინებს. შეიცავს სალიცილის მჟავასაც, რომელსაც დაახლოებით იგივე მოქმედება აქვს, როგორიც ასპირინს. ყველაფრიდან გამომდინარე, ივლისის ეს დედოფალი აუცილებელია როგორც დიდების, ისე პატარებისთვისაც.

## რა უნდა ვიცოდეთ ბავშვის სიმაღლესთან დაკავშირებით

1. სიცოცხლის პირველ წელიწადს პატარა სიგრძეში 25 სმ-ით იმატებს. მეორე წელიწადს — 8-12 სმ-ით. შემდეგ კი, თითქმის ყოველწლიურად 6 წლამდე სიმაღლეში დაახლოებით 4-6 სმ-ს იმატებს.

2. დაკვირვებებით დადგინდა, რომ პირველი ანუ უფროსი შვილები ხშირად მეორე შვილებთან შედარებით 3-5 სმ-ით დაბლები არიან.

3. ბავშვები სიმაღლეში ძირითადად ძილის დროს იზრდებიან, რადგან სიმაღლეში ზრდის ჰორმონი ღამის საათებში გამომუშავდება.

4. იმისათვის, რომ ბავშვის სიმაღლეში ზრდა ნორმის ფარგლებში წარიმართოს, საჭიროა როგორც ვიტამინები, ისე მინერალები. ამ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კალციუმსა და დე ვიტამინს. რადგან ამ ჯგუფის ვიტამინის გამომუშავება ხდება მზის სხივების ზემოქმედების შედეგად, ბავშვისთვის აუცილებელია ყოველდღიურად სუფთა ჰაერზე სეირნობა.

5. ხე რომ სიმაღლეში გაიზარდოს, წყალი და მოვლა სჭირდება. რაც შეეხებათ ბავშვებს, მათი ზრდისათვის ძალიან მნიშვნელოვანია დედის სითბო, სიყვარული და ალერსი. აღსანიშნავია, რომ ბავშვები, რომლებსაც იშვიათად ეხუტებიან და კოცნიან, შედარებით დაბლები იზრდებიან. ფსიქოლოგების აზრით, ეს ის მნიშვნელოვანი დეტალია, რომლის გათვალისწინებაც ყველა მშობლისთვის სავალდებულოა!

6. თუ ბავშვი უკვე 3 წლისაა, მაგრამ მისი სიმაღლეში ზრდის მაჩვენებელი ნორმის ფარგლებში არაა, აუცილებელია, კონსულტაციისთვის ენდოკრინოლოგთან მიიყვანოთ.



Cyan Magenta Yellow Black

# თევზეული პატარების რაციონში

თევზეულის მთავარი ღირსება მასში არსებული მჟავა ომეგა 3 გახლავთ. ის არათუ პატარების, მომავალი დედებისთვისაც უმნიშვნელოვანესია.

ნებისმიერი სახეობის თევზი სასარგებლოა, რადგან ენერგიისა და სრულფასოვანი ცილების წყაროა ბავშვის ორგანიზმისათვის. თევზეულის ჩართვა ბავშვების რაციონში საჭიროა დაახლოებით 8-10 თვის ასაკიდან.

## ჯანსაღი ძვლებისა და კბილებისათვის

თევზი ისეთი მნიშვნელოვანი ელემენტის საბადოა, როგორიცაა ფოსფორი, რომელიც სასიცოცხლოდ აუცილებელია ძვლოვანი სისტემისათვის. თევზი ასევე მდიდარია კალციუმითაც, რომელიც არანაკლებ მნიშვნელოვანია მოზარდი ორგანიზმისთვის. შეიცავს დე ვიტამინსაც, რომელსაც სხვაგვარად იმუნიტეტის ვიტამინს უწოდებენ.



შეუძლებელია არ ვახსენოთ თევზის ქონი. ის აუცილებელია, რომ პატარას ორგანიზმმა დაავადებებთან ბრძოლა შეძლოს.

## საკვები ტვინისათვის

ფოსფორი ტვინის ქსოვილის მნიშვნელოვანი შემადგენელია. თევზი ასევე შეიცავს ვიტამინის მსგავს ნივთიერება ქოლინს, რომელიც აუცილებელია ტვინის ფუნქციონირებისა და კარგი მეხსიერებისათვის. ქოლინი აუმჯობესებს ღვიძლის ფუნქციას და ორგანიზმიდან ტოქსიკურ ნივთიერებებს გამოდენის. ასე რომ, ნუ მოაკლებთ შვილებს თევზეულს და რეგულარულად ჩართეთ მათ რაციონში.

# როგორ დავიცვათ შვილები მზის ალერგიისგან



მზის ალერგია არც ისე იშვიათი ჩივილია მოზარდებშიც და ბავშვებშიც. მისი სიმპტომებია კანის სიწითლე და გამონაყარი, რომელიც შემოდგომ საკმაოდ ძლიერ ქავილს იწვევს. ორგანიზმის ამგვარი რეაქცია დაკავშირებულია მზის ულტრაიისფერი სხივების მიმართ მომატებულ მგრძნობელობასთან.

## ვინ არიან რისკჯგუფში

რისკის ქვეშ ხვდებიან მოზარდები და ბავშვები, რომელთაც იმუნიტეტი დაქვეითებული აქვთ, ასევე აწუხებთ თირკმლებისა და ღვიძლის დაავადებები, თეთრი კანისა და ღია ფერის თვალების მქონე ბავშვები.

როგორც წესი, მზის ალერგიის ნიშნები სწრაფად იჩენს თავს. შესაძლოა საკმარისი აღმოჩნდეს მზეზე თუნდაც 15 წუთით გაჩერება. ზოგ შემთხვევაში კანის რეაქცია მოგვიანებით ვლინდება. შეიძლება არასასიამოვნო სიმპტომებმა თავი იჩინოს რამდენიმე საათის ან რამდენიმე დღის შემდეგ.

## იფრთხილეთ წამლებთან!

მზის ულტრაიისფერი სხივებისადმი მგრძნობელობის მომატება შესაძლოა გარკვეული სახის მედიკამენტებმაც გამოიწვიოს. ძლიერ ალერგიულ რეაქციას აქტიური მზის ფონზე ანტიბიოტიკების მიღებაც იწვევს. თუ შვილები ზღვაზე მიგყავთ, თან გარკვეულ მედიკამენტებსაც ასმევთ, კარგად წაიკითხეთ წამლების ანოტაცია და მისი გვერდითი მოვლენების განვითარების რისკები.

## პროფილაქტიკა

თუ უკვე კარგად გესმით ბავშვის ორგანიზმის და რამდენიმე წელია, მზის ალერგიას ებრძვით, მაშინ მეტი წინდახედულებისა და გონიერების გამოჩენა მოგეთხოვებათ. ეცადეთ, ბავშვს ნატურალური ქსოვილის ტანსაცმელი ჩააცვათ. სასურველია სამოსი პატარას სხეულს კარგად ფარავდეს. აუცილებლად გამოიყენეთ ბავშვებისთვის განკუთვნილი მზისგან დამცავი კრემები. თუ შვილთან ერთად ზღვაზე დასვენებას გეგმავთ, სასურველი იქნება, გამგზავრებამდე 2 კვირით ადრე ბავშვს კალციუმის შემცველი პრეპარატები მისცეთ. მათი დახმარებით ალერგიის სიძლიერე და სიმწვავე მნიშვნელოვნად შემცირდება.

# დაბრუნდით ბავშვობაში და გაუგეთ შვილებს

როგორც სპეციალისტები ირწმუნებიან, შვილების გაგება უკეთ რომ შევძლოთ, ვიცოდეთ, რა იმალება მათი ქცევების უკან, ყველაზე მარტივი საშუალება საკუთარ ბავშვობაში დაბრუნებაა. ნებისმიერ მშობელს სურს, შვილი კეთილი და გულუხვი იყოს. თითქოს ამისათვის ძალისხმევასაც არ ვიშურებთ, მაგრამ ყველაფერი ისე არ გამოდის, როგორც გვსურს.

შვილებს პატარაობიდანვე უნდა გავუმახვილოთ ყურადღება, რომ სიხარბე და ღორმუცელობა ცუდი თვისებებია, რომელთაგან გათავისუფლება მოზარდობის პერიოდში რთულია. მშობლები ხშირად არასწორად ვერევით პატარების ქმედებებში და ჩვენი შეხედულებისამებრ ვცდილობთ, მოვარიგოთ ისინი. ხშირად ასეთი საქციელი გამართლებული არ არის. აუცილებლად უნდა გავიხსენოთ საკუთარი ბავშვობა, თუ რა დამოკიდებულება გვქონდა მშობლების მიმართ, როცა ისინი ანალოგიურად ცდილობდნენ თანატოლებთან ჩვენი ურთიერთობის „დალაგებას“. თუ საკუთარ ბავშვობას გავიხსენებთ, ბევრად იოლად შევძლებთ გავიგოთ, რამ განაპირობა ჩვენი შვილის სიხარბე და სიჯიუტე.

რაც უნდა მოხდეს, არ ღირს ბავშვების ურთიერთობაში ზედმეტად ჩარევა. უნდა მივცეთ საშუალება, თავად მორიგდნენ ერთმანეთში. მშობლებმა თვალი შორიდან უნდა ვადევნოთ ისე, რომ ეს პატარებისთვის შესამჩნევი არ იყოს. დაუშვებელია, შვილის ნივთები და სათამაშოები ჩვენ განვკარგოთ, ჩვენი შეხედულებისამებრ გავაჩუქოთ ან გადავყაროთ.

წარმოუდგენელია შვილებთან საქმე ჩხუბითა და დასჯის მეთოდებით მოვაგვაროთ. საჭიროა საკუთარი მაგალითების მოყვანა და იმაზე საუბარი, რამდენად კარგია, როცა ადამიანი კეთილი, ხელგაშლილი და მზრუნველია. მუდმივად უნდა ვუმეორროთ, რომ კეთილი ადამიანი ყველას უყვარს და თუ მასაც სურს მსგავსი სიყვარულისა და დამოკიდებულების მოპოვება, კეთილი და ხელგაშლილი უნდა იყოს.

როგორც სპეციალისტები ამბობენ, ამ მხრივ 4-დან 6 წლამდე ასაკი ბავშვებში ყველაზე კრიტიკულია. სწორედ ამ დროს უნდა ჩამოყალიბდეს მათი თვისებები და ქცევები. მთავარია ჩვენი, მშობლების სწორი მიდგომა, მათთან მუდმივი ურთიერთობა და საკუთარი ბავშვობის მაგალითებით ხელმძღვანელობა.

# შავი მოცვი სიცოცხლეს გვიხანგრძლივებს

შავი მოცვი არამარტო გემრიელია, სამკურნალო საშუალებაცაა, რომელიც ორგანიზმს ინფექციებთან ბრძოლაში ეხმარება და სიცოცხლეს გვიხანგრძლივებს. ის რეკორდსმენია ცე ვიტამინის შემადგენლობით. მასში არის უნიკალური ნივთიერება ლიმონმჟავა, რომელიც წნევას არეგულირებს და არაჩვეულებრივი საპროფილაქტიკო საშუალებაა სახსრების ანთებითი პროცესების დროს.



ხალხურ მედიცინაში შავ მოცვს აქტიურად იყენებენ გაციების, ანთების საწინააღმდეგო, ოფლის მოსადენ და მსუბუქ შარდმდენ საშუალებად. მოცვი აძლიერებს მადას, მატებს ტონუსს, აწესრიგებს ნივთიერებათა ცვლის პროცესს. შავი მოცვის სათანადო და რეგულარული მიღებით რეალურადაა შესაძლებელი კარგი მხედველობის შენარჩუნება ღრმა სიბერემდე, ასევე გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების თავიდან აცილება, შაქრიანი დიაბეტისგან თავდაცვა.

✓ მოამზადა ნათია ტოტიკაშვილმა



Cyan Magenta Yellow Black

# იური მეჩითოვი: „ხომ ლამაზია ეს ჩემი ცოლი, მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა“ — ამაზე დიდი სიმართლე არ არსებობს!“.

## „კაცობრიობა უბედურად მამაკაცებმა აქციეს!“



**„ქალის მამაკაცთან გათანაბრება საქართველოში უფრო ადრე მოხდა, ვიდრე იმ ევროპაში, რომელიც თავის ევროპულობას იკვეხნის. ამერიკაში ლამაზ ქალს კოცონზე წვავდნენ. გერმანია და საფრანგეთი რომ მოიაროთ, ლამაზ ქალს ვერ ნახავთ...“.**

ოთხმოცდაოთხეულოვან... 

ოქტოხელოვან იური მეჩითოვს დედამიწაზე სულელი ქალი არ ეგულება, უფრო მეტიც, თვლის, რომ მშვენიერი სქესი კაცებზე ბევრად ჭკვიანი და ღირსეულია. თუკი კაცობრიობის ისტორიაში რამე ცუდი მომხდარა, ყველაფერს კაცს აბრალებს. ქართულ პოლიტიკაში ქალს ვერ ხედავს, არადა ქვეყნის გადარჩენის პოტენციალი სწორედ მასში ეგულება. ოჯახის მთავარ საყრდენადაც მას მიიჩნევს. თვითონ გაუმართლა და ასეთი ზურგი წლების წინ იპოვა. მისი მეორე ნახევარი თამილა ანგლიკოვსკაია გახლავთ. ოჯახი რომ შექმნეს, ორივე 19 წლის იყო და ოთხ ათეულ წელზე მეტია, ერთად მოდიან. მათ ორი ქალიშვილი და სამი შვილიშვილი ჰყავთ.

— **ბატონო იური, რამდენად დიდია ცხოვრებაში ქალის როლი?**

— ქალს ბევრი რამ აკისრია, მაგრამ მამაკაცი არ უშვებს იმ სფეროში, სადაც თვითონ ვერაფერს აკეთებს. პოლიტიკას ვგულისხმობ, სადაც მამაკაცებმა ყველაფერი დალეწეს და კაცობრიობა უბედურად აქციეს. ქალიც და კაციც ერთადაა ადამიანი და არა ცალ-ცალკე და ისე, როგორც დაწყევლილ დასავლეთს ჰგონია, რომელიც გეებს და ლესბოსელებს გვახვევს თავს... დღევანდელ დღეს პოლიტიკაში სწორედაც რომ ქალი გვაკლია. ქალი და არა — ჩიორა!..

— **ქართულ პოლიტიკაში ქალს ვერ ხედავთ?**

— ჯერჯერობით პოლიტიკაში ქალი არ გვყავს. საქმე ის არის, რომ კაციც არ ჰგავს კაცს! როგორც გითხარით, ადამიანი ქალისა და კაცისგან შედგება, მთელი მსოფლიო პოლიტიკა კი კაცების მიერაა შექმნილი, რაც ძალმომრეობასა და უბედურებას ეყრდნობა, იმიტომაა ყველგან ომი! თუკი პოლიტიკაში სადმე ქალს ხედავთ, ის ქალი არ არის! ჰილარი კლინტონი თუ ქალი გგონიათ, ძალიან ცდებით!

— **ბატონო იური, ისეთ რაღაცებს ამბობთ, ამ სტატიის დაბეჭდვის შემდეგ ბევრი გაგაკრიტიკებთ, თუნდაც ჰილარი კლინტონის ასე მოხსენიებისთვის.**

— ქალურს არაფერს არ ავლენს და რა ვქნათ?! იცით, ქალმა რა უნდა გამოავლინოს? პატარა მაგალითს მოგიყვანთ. რაღაც კვანძის გახსნა მამაკაცს არ შეუძლია, ნერვები არ ჰყოფნის, აიღებს მაკრატელს და გადაჭრის. ქალი კი უპრობლემოდ და ნერვებმოუშლელად გახსნის... იყო დრო, როცა საქართველოში ქალი ფასობდა და მეფეც ქალი გვყავდა.

— **ფიქრობთ, რომ პოლიტიკოსი ქალები ქალურები არ არიან?**

— თვითონ პოლიტიკაა მხეცური და მამაკაცური და თუ იქ ქალი მოხვდა, ისიც კაცდება და უბედურდება.

— **საქართველოში ჭკვიანი პოლიტიკოსი ქალი არ გეგულებათ?**

— როგორ არა, მაგრამ თითოოროლა თუ მოიძებნება. ისე არც ერთი მუშაობდა, რომ მისი ნაბიჯები დამენახა და შემეფასებინა. სალომე ზურაბიშვილმა ცოტა ხნით დადებითი ნაბიჯების გადადგმა მოახერხა, საქართველოდან რუსეთის ჯარების აყვანა პოლიტიკაში მისი ყოფნის დროს მოხდა, ეს თუ დღევანდელ დღეს დიდ პლუსად ჩაითვლება...

ერთ დროს ხელისუფლებაში ჩვენი ქალბატონი, ნინო ბურჯანაძეც იყო, მაგრამ მისი მმართველობა რეალურად არ მინახავს, რომ შევაფასო, რადგან, როგორც მივხვდი, ის მესამე როლებს ასრულებდა. თვითონაც ამბობს, ვერაფერს ვწყვეტდიო.

შეიძლება ქალი პოლიტიკურ საქმიანობაში ძლიერია, მაგრამ ეს მის ნაბიჯებში უნდა აისახოს. ტეტჩერმა ბრიტანეთი დააქცია და სხვანაირ ხასიათზე გადაიყვანა. რომ გარდაიცვალა, მის მიმართ შეფასებები ორად გაიყო. ნახევარი თვლის, რომ გენიოსი იყო, ბევრი რამ გააკეთა და ბრიტანეთი ააღორძინა, მეორე ნახევარი კი საპირისპიროს ფიქრობს. ძლიერი პოლიტიკოსი კი გახლდათ, მაგრამ ცუდი იყო თუ კარგი, დღეს ამის შეფასებასაც ვერ ახერხებენ.

— **როგორც ჩანს, დღეს თქვენთვის მისაღებ პოლიტიკოს ქალს ვერ ხედავთ.**

— ვერანაირად! პარლამენტში დღეს შეიძლება იყოს 10 ქალი, მაგრამ აქედან 9 ქალი არ არის. ახლა ოჯახში ფულის შემომტანი ქალია პოპულარული! მამაკაცებმა შექმნეს სამყარო, სადაც თვითონ ვერ შოულობენ ფულს და არ არიან მამაკაცები. ამ გაუკულმართებაში ისევ ქალი ეხმარებათ. ზოგი თურქეთში წავიდა და ზოგიც სხვა საქმეს მოეკიდა. მაგალითად, მთელ ქუთაისში უსაქმური მამაკაცები დარჩნენ, ქალები კი საზღვარგარეთ გაიქცნენ. ეს ყველაფერი სიტუაციამ, მამაკაცთა სამყარომ, ჭკუამ, გონებამ და პოლიტიკოსობანას თამაშმა მოიტანა. ამას წინათ ერთ-ერთ გადაცემაში ვიყავი, სადაც ასეთი შეკითხვა დამისვეს, რატომ არის პოლიტიკა თქვენი ჰობიო. მე კი ვუპასუხე, იმიტომ, რომ პოლიტიკოსები პოლიტაკას ვერ ქმნიან-მეთქი. მათ ჩემი საქართველო 25 წელიწადში დაანგრიეს. ჩვენი ქვეყანა სწორედაც რომ მამაკაცი პოლიტიკოსების მიერაა დანგრეული!

— **როგორია თქვენთვის ღირსეული ქალი?**

— ქალი სათნო, შემრიგებელი და უფრო ბრძენი უნდა იყოს, ვიდრე მამაკაცი და არის კიდეც. უბრალოდ ხშირ შემთხვევაში ქალის სიბრძნე ისევ და ისევ მამაკაცისა და რელიგიის მიერაა დამალული და დათრგუნული. დედა სხვა ფასეულობა უნდა იყოს. დედა ჩვენთვის ყველაზე ძვირფასიაო, ვამაყობთ, მაგრამ საკუთარი დედის გინება სიტყვებს შორის უბრალო მძიმესავით გახდა.

ჩვენ ევროპის ნაწილი ვართ, აქ ქალის მამაკაცთან გათანაბრება უფრო ადრე მოხდა, ვიდრე იმ ევროპაში, რომელიც თავის ევროპულობას იკვეხნის. ამერიკაში ლამაზ ქალს კოცონზე წვავდნენ. გერმანია და საფრანგეთი რომ მოიაროთ, ლამაზ ქალს ვერ ნახავთ. ჟურნალის გარეკანებს რომ უყურებთ, ისე არ არის საქმე. ჩვენ ყოველთვის სხვა ცივილიზაციის ნაწილი ვიყავით, უფრო წარმატებული.

— **რელიგიის მიერ რატომაა ქალი შეზღუდული?**

— მსოფლიოში არც ერთი რელიგია არ არსებობს, რომელსაც ქალისთვის არ ჰქონდეს გადავლილი. ქალის დათრგუნვამ კი კაცობრიობის დაკნინება გამოიწვია, რომელიც დღეს საშინელ მდგომარეობაშია.

რელიგიებმა, რომლებიც მთელ მსოფლიოში ბატონობენ, მათ შორის ჩვენმა რელიგიამაც, ქალი განდევნა. ქალი რელიგიაში არ არსებობს. ქალი თავისი ნიჭით და გამჭრიახობითაა ქალი. რელიგია მხოლოდ ქალს კი არა, კაცსაც ზღუდავს, რადგან დოგმებზეა დაყრდნობილი.

— **ამაში ვერ დაგეთანხმებით, რადგან ღვთისმშობელი მთელი ქრისტიანული სამყაროსთვის უდიდესი წმინდანია. დედას, ქალს პატივს მიაგებენ. მართლმადიდებლური სწავლებები, თქვენ რომ დოგმებს უწოდებთ, ხშირ შემთხვევაში იმ ტრადიციებს გულისხმობს, რაზეც ქართული სახელმწიფო დგას.**

— ღვთისმშობელი ცალკე გამონაკლისის სახით გვყავს. მას რომ ეთაყვანებიან, ეს იმას არ ნიშნავს, ქალი არ არის დათრგუნული... ჩემი აზრით, დღეს ყველა რელიგიურობანას თამაშობს, როგორც ქალები, ასევე მამაკაცები. სამარხვო ნამცხვარს ეძებენ! ერთხელ ახლობლის საკონდიტროში ვიყავი. 10-დან 9 სამარხვო ნამცხვარი იყო. ვუსაყვედურე, იმ ხალხსაც პატივი ეცით, ვინც არ მარხულობს-მეთქი. იცით, რა მითხრა? ყველა არასამარხვოა, უბრალოდ ასე ვაწერთო.

როგორც ქვეყანა, ასევე მთელი სამყარო

**„მე და თამილა ანგლიკოვსკაია კლასელები ვიყავით და 19 წლის ასაკში ვიქორწინეთ. ლამაზი და, რაც მთავარია, ჭკვიანი გოგო იყო და ამიტომაც მომეწონა. სწორედ მასთან ურთიერთობაში მივხვდი, რომ ქალი უფრო ბრძენია, ვიდრე მამაკაცი“.**



Cyan Magenta Yellow Black

გარდამტეხ ეპოქაში ვართ, არც ტრადიცია ვიცით, რა არის. უკეთესია, ტრადიციულად იცხოვროს ადამიანმა, მით უმეტეს, ქალმა. მას უფრო მეტად ევალება ადათ-წესების დაცვა. თავის ბუდესა და ბავშვის მოვლინებაზე უნდა იფიქროს. მამაკაცი კი თავისი არსით მონადირეა, თუ ის არსი არ დაარღვია. თუ სამსახურში კარგი ხელფასი აქვს და პრემიებსაც იღებს, რა თქმა უნდა, მასში მონადირე კვდება და ხდება ინტრიგანი, რომელიც მხოლოდ სკამის შენარჩუნებაზე ფიქრობს.

**— რელიგიას და პოლიტიკას თავი დავანებოთ და თქვენს მეორე ნახევარზე გვიამბეთ, როგორ შეხვდით მას?**

— რა შეხვედრა უნდოდა! მე და თამილა ანგლიკოვ-სკაია კლასელები ვიყავით და 19 წლის ასაკში ვიქორწინეთ. ლამაზი და, რაც მთავარია, ჭკვიანი გოგო იყო და ამიტომაც მომეწონა. თამილა ჩემზე გაცილებით ჭკვიანია. სწორედ მასთან ურთიერთობაში მივხვდი, რომ ქალი უფრო ბრძენია, ვიდრე მამაკაცი.

**— ჭკვიან ქალთან ურთიერთობა არ გაგიჭირდათ?**

— ყველა ქალი ბრძენია. ყველაზე ჭკვიანი ქალები კაცებს თავს სულელებად აჩვენებენ. ეს კი იმისთვის სჭირდებათ, რომ ქმართან უფრო იოლად გამოუვიდეთ ურთიერთობა, თორემ კაცი თუ მიხვდება, რომ ჭკუით ქალი ჯობნის, ვერ აიტანს. კაცი ხომ ისედაც დაკნინე-ბულია და მას ჭკვიანი ქალი კიდევ უფრო აკნინებს. მოკლედ რომ გითხრათ, კაცის ეპოქა დასრულდა!

**— მამაკაცის ეპოქა როდის იდგა?**

— საუკუნეების წინ, როცა ისინი ქმნიდნენ ქვეყანას. შეიძლება მაშინ მათ ზურგს ქალები უმაგრებდნენ, ახლა კი ასე აღარ არის და ყველაფერი ინგრევა.

**— შვილებზეც გვიამბეთ.**

— ორი გოგო, 42 წლის ლადა და 41 წლის იანა მყავს. ნამდვილად კარგად გაზრდილები და მოწესრიგებული ადამიანები არიან და მამაკაცებში ამიტომაც გაუჭირ-დათ, თუმცა, საბოლოო ჯამში, დღეს ორივეს თავისი ოჯახი აქვს.

**— მამაკაცებში გაუჭირდათო, რომ თქვით, რა იგულის-ხმეთ?**

— მამაკაცები არ არიან! ბევრი კაცი გინახავთ, რომელიც მამაკაცს ჰგავს? ეტყობოდეს, რომ ვაჟკაცია, რაღაცის შემომტანია ოჯახში და მის ზურგს ამოეფა-როთ? ჩემი გოგოები სწორედ მაშინ იქცნენ ქალებად, როცა ქვეყანა დაიქცა. უფროსი ადრე გათხოვდა, ოჯახი რამდენჯერმე დაენგრა. მეორე გოგოც ორჯერ არის გათხოვილი. შვილიშვილებიც გოგონები მყავს, ძალიან კარგი ბაბუა ვარ, ჩემზე გიჟდებიან. ბიჭი არ მყავს და ახლა ვმუშაობ. ათ „ბლატნოი“ ბიჭს ვაჯობებ!

**— ოჯახში რთული პერიოდი ყველას აქვს, რა ეტაპების გავლა მოგიწიათ?**

— როცა განვმარტოვდით, შეიძლება უფრო გასა-ჭირში ვიყავით, მაგრამ ჩვენი ოჯახის წესს ჩვენ თვითონ ვაყალიბებდით. კინკლაობა კი ყველა ოჯახშია. მაგალი-თად, ამას წინათ ჩემმა ცოლმა მითხრა, ისე იქცევი, როგორც განქორწინებული ან უცოლო კაციო.

**— ასე რატომ გითხრათ?**

— ჯერ მე რა ვუთხარი, ისაა საინტერესო. რაღაც წლები დამრჩა და, როგორც მინდა, ისე მაცოცხლე-მეთქი. არ შეიძლება, ცოლი რომ არ გააბრაზო... ჩემთვის მთავარი სამშობლოა, ნამდვილი პატრიოტი ვარ. სამ-შობლოზე უფრო მეტს ფიქრობ, ვიდრე ოჯახის შემოსავალზეო, ცოლი ასე მსაყვედურობს.

**— თქვენზე ამბობენ, მშვენიერი სქესის მიმართ გულგრი-ლი არაათ.**

— ეს ისეთივე მითია, როგორც გამონათქვამი, რაც კარგები ვართ, ქართველები ვართო. ისე, კაცი მექალ-თანე უნდა იყოს, აბა, რა! მამაკაცი, რომელსაც ქალისკენ თვალი არ გაურბის, ის კაცი არ არის! „ხომ ლამაზია ეს ჩემი ცოლი, მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა!..“ — ამაზე დიდი სიმართლე არ არსებობს!

**— ქართველ ქალებს რას უსურვებთ?**

— ვუსურვებ, რომ პარლამენტის ნახევარი ქალები იყვნენ და ხელისუფლებაში ნამდვილი ქალი მოვიდეს!

✓ **სოფიო ბოჭორიძე**

# როჯერ ფედერერს ძროხა აჩუქეს

შვეიცარიის ქალაქ გშტაადში გამართული საჩოგბურთო ტურნირის ორგანიზა-ტორებმა სახელგანთქმულ თანამემამულეს, ჩოგბურთელ როჯერ ფედერერს ძროხა აჩუქეს. ეს ინფორმაცია „ტვიტერში“ თავად სპორტსმენმა გაავრცელა.

ტურნირის ორგანიზატორებმა 31 წლის ჩოგბურთელს სწორედ ამ ხერხით გადაუხადეს მადლობა იმისათვის, რომ მან თანხმობა განაცხადა, 2004 წლის შემდეგ პირველად ეთამაშა ამ ტურნირში. ცერემო-ნია სპორტული კომ-პლექსის ცენტრალურ კორტზე გაიმართა, სა-დაც ფედერერს ძრო-ხა საზეიმო ვითარე-ბაში გადასცეს. ცნო-ბილმა ჩოგბურთელმა ძროხას დეზირე და-არქვა.



სხვათა შორის, როჯერ ფედერერს 2003 წელს ლონდო-ნის უემბლიზე მოპო-ვებული პირველი გა-მარჯვების შემდეგაც აჩუქეს ძროხა, რო-მელსაც მან ჯულიეტა დაარქვა. ძროხა ქალაქ გშტაადის მახლობლად დააბინავეს, სადაც მას ადგილობრივი ფერმერი უვლიდა. მიმდინარე წლის იანვარში ფედერერმა განაცხადა, რომ ჯულიეტა მოკვდა.

როჯერ ფედერერი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი ჩოგბურთე-ლია. შვეიცარიელს 17-ჯერ აქვს მოგებული დიდი სლემის ტურნირები. სულ კი მის ანგარიშზე 77 გამარჯვებაა პროფესიონალი ჩოგბურთელების ასოციაციის (ATP) ეგიდით გამართულ ტურნირებში. 2004 წელს ფედერერმა გშტაადის ტურნირში გაიმარჯვა, რომლის ფინალშიც რუსი ჩოგბურთელი იგორ ანდრეევი დაამარცხა.

# ელენე ისინბაევა კარიერას ამთავრებს

ჭოკით ხტომაში ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ელენა ისინბაევამ ახლახან განაცხადა, რომ მძლეოსნობაში მოსკოვში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ კარიერას დაასრულებს. შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატი სტარტს 10 აგვისტოს აიღებს და 18 აგვისტოს დასრულდება.

— ჩემი კარიერა მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ დასრულდება. ეს ნოსტალ-გიური მომენტი იქნება. ჩემთვის მნიშვნელოვანია ამ შეჯიბრისგან სიამოვნების მიღება და ამიტომ შევეცდები, მთელი ჩემი შესაძლებლობები წარმოვაჩინო, — განაცხადა ისინბაევამ, — მაყურებლების მხრიდან უდიდეს მხარდაჭერას ველი. უბრალოდ იყვირეთ, გამო-ფინეთ პლაკატები და ტრან-სპარანტები, რაც გსურთ, ყველაფერი გააკეთეთ, რა-თა სრულად ვიგრძნო თქვენგან მომავალი ენერ-გეტიკა და რწმენა! უხმოდ ნუ იჯდებით, ნუ დადუმდე-ბით და ნუ შეგეშინდებათ, რომ ამით ხელს შემიშ-ლით.



ისინბაევამ ასევე გა-ნაცხადა, რომ თავისი გა-დაწყვეტილება სხვა თანა-მემამულე ჭოკით მხტომე-ლებსაც გაანდო და რიოს ოლიმპიურ თამაშებამდე სპორტში დარჩენას აღარ აპირებს, როგორც ამას თავიდან გეგმავდა.

— მე თქვენზე 10 წლით უფროსი ვარ, ასე რომ, უკვე თქვენი დროა და თქვენ უნდა გააგრძელოთ ჩემი დაწყებული საქმე, — უთხრა მან თანამემამულე კოლეგებს.

ელენე ისინბაევა 31 წლისაა. მან მოიგო 2004 და 2008 წლების ოლიმპიური თამაშები, ხოლო 2012 წლის ლონდონის ოლიმპიადაზე ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა. ასევე იგი ქალთა შორის ჭოკით ხტომაში 28 მსოფლიო რეკორდის მფლობელია, მათ შორის, ამჟამად მოქმედი რეკორდის, რომელიც 5,06 მეტრს უდრის.

✓ **მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# აგარაკზე მეზობლებთან რომ არ იკამათოთ



აგარაკზე მეზობლებთან თუ არ იმეგობრებთ, ნუ იკამათებთ მაინც. მაგრამ როგორ მოიქცეთ, თუ დასვენებაში ხელს გიშლიან? კონფლიქტურ სიტუაციებში სწორად როგორ იმოქმედოთ, რომ მშვიდობიანი ურთიერთობა შეინარჩუნოთ?

### მუსიკის ჰანგები

სიტუაცია: მეზობლებს მუსიკის გარეშე ცხოვრება არ შეუძლიათ. დილიდან მაღალ ხმაზე რთავენ. ვერც მშვიდად დასვენებას ახერხებთ, ვერც ურთიერთობას და ვერც რამეზე ყურადღების მოკრებას. ამავე დროს არც კი გეკითხებიან თქვენს მუსიკალურ გატაცებებზე, გაიძულებენ, მათ საყვარელ სიმღერებს უსმინოთ. ეს ძლიერ გაღიზიანებთ, მაგრამ პრეტენზიის წაყენების უფლება არ გაქვთ, კანონს არ არღვევენ — დღისით ხმაურობენ და არა — ღამით.

**რჩევა:** მთავარია თავაზიანობა. ჯერ ერთი, შეიძლება თქვენი მეზობლები ვერც კი ხვდებიან, მათი სახლიდან (ეზოდან) ხმა ასე შორს თუ გადის. მეორე, აგრესია ყოველთვის საპასუხო აგრესიას წარმოშობს. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ მეზობლების ქცევა ძალიან გაღიზიანებთ, ეცადეთ, დამშვიდდეთ.

საუბრისთვის მოსახერხებელი მომენტი შეარჩიეთ, როდესაც მეზობლები არაფრით არიან დაკავებულები და სთხოვეთ, მუსიკას დაუწიონ. აუხსენით, რომ ძლიერ მაღალი ხმა გღლით. აგრეთვე გსურთ, თქვენს ნაკვეთში თქვენს საყვარელ სიმღერებს მოუსმინოთ. სხვათა შორის, თუ თქვენს ტერიტორიაზე მუსიკას რეგულარულად ჩართავთ, მეზობლები თქვენს თხოვნას დიდი პატივისცემით მოეპყრობიან და განწყობაც გაუმჯობესდება.

### მეგობრობა ოჯახებით

თქვენი მეზობლები ძალიან კარგი ადამიანები არიან, მაგრამ მეტისმეტად გულზიარი და თავისუფლები. უბრალოდ, გასაქანს არ გაძლევენ: საკმარისია, მათი მხედველობის არეში მოხვდეთ, მაშინვე შეკითხვებით გულს გიწყალებენ, სტუმრად გეპატიჟებიან ან თვითონ შემოირბენენ მოურიდებლად საჭორაოდ. მაშინაც კი, როდესაც ახლობლებისთვის პიკნიკს აწყობთ, თქვენს კომპანიას დაუპატიჟებლად უერთდებიან.

**რჩევა:** ისწავლეთ, მეზობლებს „არა“ უთხრათ. ხოლო მათთან კარგი ურთიერთობა რომ შეინარჩუნოთ, ასე მოიქეცით:

თუ მოცემულ მომენტში მათთან ურთიერთობა არ გსურთ, ეს მტკიცედ უთხარით: „მაპატიეთ, მაგრამ ახლა რაღაც საქმით ძალიან დაკავებული ვარ. მოგვიანებით მე თვითონ შემოგივლით“. უმჯობესია, თქვენი უარის მიზეზი არ ახსნათ — დაკავებული ხართ და წერტილი. სხვაგვარად გამოკითხვას და რჩევების მოცემას დაგიწყებენ.

ზოგჯერ თავად გამოიჩინეთ ინიციატივა. დროდადრო მეზობლები დაპატიჟეთ ან თქვენი საფირმო ღვეზელით გაუმასპინძლდით. ამგვარად აჩვენებთ, რომ მათთან ურთიერთობის საწინააღმდეგო არაფერი გაქვთ, პირიქით! უბრალოდ, ყოველთვის არ შეგიძლიათ ყურადღება დაუთმოთ. უმჯობესია, გულჩათხრობილ ადამიანად ჩაგთვალონ, ვიდრე მუდამ გაგაღიზიანონ.

# საკუთარი თავის ძიებაში

შესანიშნავია, როდესაც ადამიანი უნივერსიტეტში ჩაბარების წინ არჩეული პროფესიით პენსიამდე კმაყოფილი რჩება, მაგრამ ეს არც ისე ხშირად ხდება. ადამიანები, რომლებიც თითქოს საყვარელ ადგილზე 5, 10 და 30 წელი მუშაობენ, ბოლოს ხვდებიან, რომ იმ საქმეს არ აკეთებენ, რაც სურდათ.

როგორ მოიქცეთ შემდეგში? ამ სიტუაციაში მხოლოდ ერთეულები იწყებენ თავის ძებნას და მაძიებლების კიდევ უფრო მცირე ნაწილი პოულობს ახალ საქმეს. უმეტესობა კი გათელილ გზაზე სიარულს აგრძელებს უბრალოდ იმიტომ, რომ შუახნის ასაკში რაღაცის შეცვლას შესაძლებლად არ მიიჩნევს. არადა, სულ ტყუილუბრალოდ: თავის ძიება შეიძლება და საჭიროა ნებისმიერ, 20, 50 და 80 წლის ასაკშიც კი. მთავარია, ეს სწორად გააკეთოთ.

### სტარტს ვიღებთ

მაშ, ასე! გარდამავალი პერიოდი უკან დარჩა, 15 წელი ინჟინერი იყავით, ახლა კი გამოცდები წარმატებით ჩააბარეთ და ბუღალტრად იწყებთ მუშაობას. თავიდან ამოიგდეთ ფიქრი თქვენი უვარგისობის შესახებ. მართალია, კარიერის აგებას 40 წლიდან იწყებთ და ჯერჯერობით გზას 20 წლის კოლეგებს უთმობთ, მაგრამ გახსოვდეთ, მხოლოდ გზის დასაწყისში ხართ. ეს ნიშნავს, რომ გამარჯვება წინ გაქვთ.

სხვათა შორის, ადრინდელი სამუშაოდან მიღებული გამოცდილება თქვენი კოზირია: თქვენი და სხვების საკეთილდღეოდ, ბევრ „მახვილ კუთხეს“ შეამცირებთ ან საერთოდ გამოასწორებთ, სწორედ იმიტომ, რომ იმ ცოდნა-გამოცდილებას ფლობთ, რომელიც თქვენს კოლექტივში არავის აქვს.

### ნუ დააყოვნებთ

იგრძენით, რომ თქვენი სამუშაო უკვე აღარ გაკმაყოფილებთ? ეცადეთ, მისგან სასწრაფოდ გათავისუფლდეთ.

ახალი ადგილის ძიებისას იგივე შეცდომა არ დაუშვათ. გასაგებია, რომ პრინციპულად სხვა სახის საქმიანობის პოვნა ერთეულების ხვედრია, მაგრამ მაინც, ეცადეთ, იმ საქმით დაკავდეთ, რომელიც წინა სამუშაოსგან მაქსიმალურად განსხვავდება. თუნდაც ეს იყოს დროებითი სამუშაო ნაკლები ანაზღაურებით.

### ბარიერს ვძლევთ

ახალი გზა აირჩიეთ. 45 წლის ასაკში უარი თქვით იურისტის კარიერაზე და გსურთ, ექსკურსიამძღოლი გახდეთ. მხნეობას მოუხმეთ. ახლა ბრძოლა მოგიწევთ საკუთარ თავთან, ადამიანთან, რომელიც ჯიუტად ამტკიცებს: „ვერ შევძლებ“, „შენს ასაკში?“ და ა.შ. ნუ დანებდებით: სწორედ თქვენ და სწორედ ახლა შეგიძლიათ ბარიერის გადალახვა. ეს თავზე გამარჯვებით დაამტკიცეთ.

### შესვენებას ვიღებთ

ეს მეთოდი ძალიან კარგია, მაგრამ ყველას არ მიესადაგება ობიექტური გარემოებების გამო.

თუ იმ უმცირესობის რიცხვს მიეკუთვნებით, რომლებსაც შეუძლიათ თუნდაც ერთი თვე სამუშაოზე არ იარონ, ამ ბედნიერი ბილეთით ისარგებლეთ. დაისვენეთ, თქვენი მოწოდება და მისი რეალიზაციის შესაძლებლობა სალი გონებით შეაფასეთ. იდეალური ვარიანტი: კურორტზე ან სოფელში წადით.

### დახმარების ხელი

ვთქვათ, მობეზრებულ სამუშაოზე უარი თქვით. ახლა ახალი გზის არჩევანის წინაშე ხართ. თუ თავად არ შეგიძლიათ, გაიგოთ, რისი გაკეთება გსურთ, პროფესიონალებს მიმართეთ. იპოვეთ ფსიქოლოგი, რომელიც პიროვნული ორიენტაციებით არის დაკავებული. ტესტებით, გასაუბრებით თქვენთვის შესაფერისი სფეროს მოძებნაში დაგეხმარებათ.

### მსხვერპლზე მივდივართ

იშვიათია პროფესია პროფილური განათლების გარეშე. თუ მრავალი წელი ჟურნალისტად იმუშავეთ და უცებ მფრინავი გსურთ, გახდეთ, შეურიგდით აუცილებლობას და ეს საქმიანობა შეისწავლეთ.

ერთი შეხედვით უგუნურებაა დროის, ფულისა და ძალის დახარჯვა სწავლაზე, როდესაც მიმდინარე სამუშაოზე კარგი ანაზღაურება გაქვთ, მაგრამ თავიდან ამოიგდეთ მეამბოხე აზრები. თუ ძველი ადგილი კატეგორიულად არ გაწყობთ, გასავალი ხარჯები შეამცირეთ. ჰავაის კუნძულზე გამგზავრება უკეთესი დროისთვის გადადეთ და ახლა მერხს მიუჯდექით. გახსოვდეთ: საკუთარ თავში თქვენი მომავლის ინვესტიციას დებთ. მაშასადამე, გრძელვადიან პერსპექტივაზე მუშაობთ.

სხვათა შორის, ზოგიერთი სპეციალობა ძირითადი სამუშაოდან მოუწყვეტლად (კურსებზე ან დაუსწრებლად) სწავლის შესაძლებლობას იძლევა.

### მტკიცებულებები

აირჩიეთ ერთი ან ორი მტკიცებულება, რომელსაც ეთანხმებით და აუცილებლობის შემთხვევაში გულში ან ხმამაღლა წარმოთქვით.

არასოდეს არის გვიან ახლის მოსინჯვა.

ცხოვრება ერთხელ გვეძლევა და სისულელე იქნებოდა, თავი სხვადასხვა სფეროში არ მოგვესინჯა.

თუ ახალ ადგილს ვერ მივეჩვევი, ყოველთვის შემიძლია ძველ გზას დავუბრუნდე.

ახალი ცოდნა ახალი გამოცდილებაა. ახალი გამოცდილება შესანიშნავი შენაძენია.

ყოველთვის წინ მივდივარ და ახალ საზღვრებს ვიპყრობ. ეს ჩემი პრინციპია და ის თავის სარგებელს მოიტანს.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძემ



Cyan Magenta Yellow Black

# მწვანე სათვალე ნერვებს ამშვიდებს



### სახის სილამაზისა და ჯანმრთელობისთვის

სათვალის მთავარი კრიტერიუმი მასალაა, რომლისგანაც არის დამზადებული.

ხარისხიანი მინის ლინზები თვალებს A და B სპექტრის ულტრაიისფერი სხივებისგან იცავს.

პოლაროიდული ლინზები (შიგნიდან სარკისებური ფენით დაფარული) საიმედოდ იცავენ ზაფხულში მზის კაშკაშა ათინათისგან ზღვაზე. ამავდროულად გამოსახულებას უფრო მკაფიოსა და კონტრასტულს ხდის.

დღეს ფართოდ გავრცელებულ პოლიმერს წონა თითქმის არ აქვს, დარტყმას უძლებს და პლასტიკურია.

ასევე მნიშვნელოვანია ლინზების ფერი. მოდური ყვითელი, ვარდისფერი და ნარინჯისფერი მინები ცენტრალური ნერვული სისტემისთვის მავნეა. ეს ფერები ბადურას ზედმეტად აღიზიანებს და ე.წ. ოპტიკური სტრესის პროვოცირებას ახდენს. ასევე არ შეიძინოთ ცისფერი, ლურჯი და იასამნისფერი ლინზებით — თვალებს მზისგან არ იცავენ.

როგორც ცნობილია, ნერვებს ამშვიდდებს მწვანე ფერი. ამავდროულად ასეთ მინებს სამკურნალო ეფექტი გააჩნიათ: თვალშიგა წნევას აქვეითებენ.

მზისგან დამცავი ფილტრი არ უნდა იყოს ძლიერ მუქი ან ძლიერ ღია. თვალის ბადურისთვის იდეალური ფილტრია ნეიტრალური ნაცრისფერი გამა, რომელიც ფერს არ ამრუდებს, არამედ მხოლოდ ახშობს.

ძალიან კარგია არათანაბრად დამუქებული მონაცრისფრო ლინზა: ზევით — უფრო მუქი, ქვევით — უფრო ღია. ასეთი სათვალე შესაძლებლობას იძლევა, თავი არამხოლოდ მზისგან დაიცვათ, ასევე ირგვლივ კარგად დაინახოთ.

### სათვალეს სახის ფორმის მიხედვით ვიჩრევთ

**მრგვალი სახე.**მოგიხდებათ მასიური სათვალე მუქი ჩარჩოთი. მრგვალ ჩარჩოს მოერიდეთ.

**ოვალური სახე.** პრაქტიკულად ნებისმიერი სათვალე მოგიხდებათ, მაგრამ ძალიან დიდი ლინზები მეტისმეტად ექსტრავაგანტური გამოჩნდება.

**კვადრატული სახე.** უპირატესობა მიანიჭეთ სათვალის მრგვალ და ოვალურ მოდელებს, მაგრამ გაითვალისწინეთ, ჩარჩო არ უნდა იყოს ძლიერ დიდი და ფართო.



# რითი მოვიკლათ წყურვილი სიცხეში

სიცხეში უმჯობესია, დალიოთ უბრალო გაფილტრული წყალი, სუფრის მინერალური, უგაზო ან მწვანე ჩაი. ყავა ამ მიზნისთვის არ გამოდგება, რადგან შარდმდენი მოქმედება გააჩნია, მაშასადამე, ორგანიზმიდან ტენი გამოაქვს.

სამკურნალო მინერალური წყალი შეგიძლიათ მხოლოდ ექიმის დანიშნულებით მიიღოთ. მინერალური მარილის სიჭარბე გასტრიტს იწვევს. ტკბილ გაზიან წყალში ბევრი შაქარია. ამავდროულად ბუშტუკები კუჭის ნაზ ლორწოვანს აღიზიანებს. წვენები მათი სარგებლობის მიუხედავად, მაინც ძლიერ ტკბილია და წყურვილს არ კლავს. ხოლო ალკოჰოლი საერთოდ გაუწყლოებას იწვევს და წყურვილის სურვილი მხოლოდ ძლიერდება.

# რეცეპტები ყველასათვის

### ცისტიტი



აიღეთ ასეთი უნივერსალური ნაკრები: დათვის კენკრა 2 წილი, არყის, მარწყვის, სამფერი იის, ორკბილას ფოთლები 1 წილი. 2 სუფრის კოვზ ნაკრებს 0,5 ლიტრი მდუღარე დაასხით და წყლის აბაზანაზე 10 წუთი გააჩერეთ. გადმოდგით, გაწურეთ. ნახევარი ჭიქა ნაყენი დღეში 3-4-ჯერ, ჭამამდე 15 წუთით ადრე მიიღეთ.

### ანემია

1 წილ ფარსმანდუკს და 3 წილ აბზინდას 1 ჭიქა მდუღარე დაასხით, ნახევარი საათი დადგით. გაწურეთ, 1/2 ჭიქა ჭამის წინ დალიეთ.

### სახსრების რევმატიზმი, პოდაგრა, ავიტამინოზი, ნივთიერებათა ცვლის დარღვევა

კედრის ნაყოფი ნაჭუჭიანად დანაყეთ, იმდენი არაყი დაასხით, რომ მისი დონე 5-6 სმ-ით მაღლა იყოს. ერთი კვირა დადგით. შემდეგ გაწურეთ. 1 სუფრის კოვზი დღეში 3-ჯერ მიიღეთ.

# პომადა სწორად შეარჩიეთ





გამოთვლილია, რომ 10 წლის განმავლობაში ქალი დაახლოებით 1 კილოგრამ პომადას გეახლებათ. ამიტომ მეტად მნიშვნელოვანია იცოდეთ, რას შეიცავს და რომელი პომადის შეძენა სჯობს.

უარი თქვით ხასხასა ფერის, ძლიერი სუნის და აგრეთვე მაგარ პომადებზე. ისინი შეიცავენ აგრესიულ ქიმიურ საღებავებს და არომატიზატორებს, რომლებიც ხშირად წვას, ქავილს, ალერგიულ რეაქციებს იწვევენ.



ე.წ. კოსმეტიკა დამატებითი ეფექტებით გამოიყენეთ არა ყოველდღიურად, არამედ მხოლოდ დღესასწაულებზე. მბრწყინავი და ისეთი პომადები, რომლებიც ტუჩებს მოცულობაში ზრდიან, კანის დაბერების დამაჩქარებელ ნივთიერებებს შეიცავენ.

შეიძინეთ კოსმეტიკა, რომლის საფუთავზე მითითებულია შემადგენლობა. ერთი და იგივე ტონის პომადიდან შეარჩიეთ ის, რომელიც ნატურალურ ინგრედიენტებს (მაგალითად, ფუტკრის ცვილს, გვირილის ექსტრაქტს) და ცოტა ქიმიურ ნაერთებს შეიცავს. უკანასკნელს მიეკუთვნება, მაგალითად, მიკროკრისტალური ცვილი და ნავთობპროდუქტებიდან მიღებული პარაფინი. ისინი არამხოლოდ კბილის მინანქარს აზიანებენ, ასევე საკვებთან ერთად ორგანიზმში ხვდებიან და გროვდებიან. შედეგად თირკმლებს, ღვიძლსა და ლიმფურ ჯირკვლებს ვნებას აყენებენ. ასეთი თვისებები გააჩნიათ მძიმე ლითონების შენაერთებსაც.

შეიძინეთ პომადა ვარგისიანობის ხანმოკლე დროით. მათში ნაკლები კონსერვანტებია. 3 თვის შემდეგ პომადა შეცვალეთ.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძე



Cyan Magenta Yellow Black

## ჯანმრთელი ქალი ინვალიდობაზე ოცნებობს



მთელი ცხოვრება ეტლში ჯდომა ადამიანების უმრავლესობისათვის ჯოჯოხეთია, 57 წლის ამერიკელი შლო ჯენინგისათვის კი ოცნებას წარმოადგენს. იუტას შტატში მცხოვრები შლო უნარშეზღუდული ადამიანის მსგავსად ცხოვრობს — ეტლში ზის და ასე გადაადგილდება. როდესაც კიბეებზე ასვლა ან ჩამოსვლა სჭირდება, მაშინ კი ეტლიდან დგება. გასაკვირია, მაგრამ ექსტრემალური სპორტი უყვარს და მისდევს კიდეც.

2008 წელს ექიმებმა შლოს სერიოზული ფსიქიკური პრობლემა აღმოუჩინეს, რომლის დროსაც ნებისმიერი ადამიანი თავს უკეთესად გრძნობს, თუ კიდური ამპუტირებული ან პარალიზებული აქვს. ამის გამო მკურნალმა ექიმმა მას ურჩია, ეტლის ან ყავარჯნების დახმარებით გადაადგილებულიყო.

შლო ბავშვობიდან მოყოლებული ოცნებობდა, წელს ქვემოთ პარალიზებული ყოფილიყო. მას ოპერაციის გაკეთებაც კი სურდა (ცალი ფეხის მოკვეთა), მაგრამ ექიმებისგან უარი მიიღო. ამჟამად შლო ჯენინგი დღეში 12 საათს ეტლში ატარებს, ზაფხულობით კი ეტლს ივიწყებს და ფეხით მოგზაურობს.

## ძაღლი თინეიჯერების მშობლებს ეხმარება



გერმანელ მეწარმეს, რეითნერ რეუტერს სპეციალურად გაწვრთნილი ძაღლი ჰყავს, რომელიც ნარკოტიკებსა და სხვადასხვა მედიკამენტებს ეძებს. ძაღლის, სახელად ტორის დაქირავება 125 დოლარი ღირს და მისი მომსახურებით ძირითადად თინეიჯერების მშობლები სარგებლობენ. როდესაც მათი შვილები სკოლებში არიან, ტორი მათ სახლში დაძვრება და ყველაზე მიუვალ ადგილებშიც კი აგნებს დამალულ ნარკოტიკებსა და აკრძალულ პრეპარატებს, რომლებითაც ხშირად ირთობენ თავს თინეიჯერები.

ძაღლს უკვე ძალიან ბევრი მადლიერი მშობელი ჰყავს. ტორის ხშირად დაწესებულ ჰონორარზე მეტსაც კი უხდიან.

## აიფონის დატენვისას კაცი კომაში ჩავარდა

კომპანია „ეფლის“ ყველაზე პოპულარული პროდუქტის, აიფონის ირგვლივ სკანდალი უკვე მეორედ აგორდა. შემთხვევა ჩინეთში მოხდა. კაცს, რომელიც თავისი აიფონის დატენვას ცდილობდა, დენმა დაარტყა და 10 დღე კომაში გაატარა.

23 წლის ჩინელი ქალისგან განსხვავებით (ქალს აიფონით სარგებლობისას დენმა დაარტყა და გარდაიცვალა), მამაკაცს გაუმართლა. ის ზუსტად 10 დღის შემდეგ კომიდან გამოვიდა. ადგილობრივმა პოლიციამ აღიარა, რომ კაცი კომაში მართლაც დენის დარტყმის გამო ჩავარდა, მაგრამ არ დაუდასტურებია, რომ ამის მიზეზი სწორედ აიფონი იყო.

## აკვარიუმი ღობის ნაცვლად



ქალაქ იზმირში მცხოვრები თურქი ბიზნესმენის მეჰმეტ ალი გოკცელუს სასახლის გალავნის წინა ნაწილი უზარმაზარი, 50 მეტრი სიგრძის აკვარიუმია. მეჰმეტმა დიზაინერებს აკვარიუმი ჯერ კიდევ 8 წლის წინ გააკეთებინა და ეს სიამოვნება 21.000 დოლარი დაუჯდა.

აკვარიუმში ათასზე მეტი თევზი ბინადრობს, რომლებსაც მუშები უვლიან. აკვარიუმს 17 სათვალთვალო კამერა აქვს დამონტაჟებული. ფოტოსა და ვიდეოს გადაღება ნებისმიერ მსურველს შეუძლია, მაგრამ, როგორც კი ვინმე შეეხება, სიგნალიზაცია ირთვება.

## მსოფლიოში ყველაზე გრძელი ხიდი ჩინეთში გაიხსნა

ჩინეთში, შანძუნის პროვინციაში, ჯიაზოუს ყურეში მსოფლიოში ყველაზე გრძელი ხიდი გაიხსნა. მისი სიგრძე 36,48 კმ-ს შეადგენს და 8 საავტომობილო ზოლზეა გათვლილი. ხიდი ჩინეთის საპორტო ქალაქ ცინდაოს ნაწილს ხუანდაოს კუნძულოვან რაიონთან აკავშირებს. მისი მშენებლობა 2007 წელს დაიწყო და 2,3 მილიარდი დოლარი დაჯდა. ამ ხიდის წყალობით ქალაქის ორ რაიონს შორის მანძილი 30 კმ-ით შემცირდა, მგზავრობის დრო კი 20 წუთით.

შეგახსენებთ, რომ მტკნარ წყალზე მსოფლიოში ყველაზე გრძელი (38,42 კმ) ხიდი აშშ-ში პონჩარტრეინის ტბაზე მდებარეობს.





Cyan Magenta Yellow Black

## პორტრეტები პიცაზე

შოტლანდიელი მზარეული დომენიკო კოროლა ცნობილი თუ უცნობი ადამიანების პორტრეტებს პიცაზე ქმნის. მისი სამუშაო იარაღი კი ყველი მოცარელა და პომიდვრის სოუსია.




პიცაზე ხატვის პრაქტიკა დომენიკომ ბრუს ლის პორტრეტით დაიწყო. დღეს მზარეულის მენიუში არის პიცები მერილინ მონროს, ფრენკ სინატრას, ლუჩანო პავაროტის, სოფი ლორენისა და უამრავი სხვა ვარსკვლავის გამოსახულებით. აღსანიშნავია, რომ დომენიკო კერძო შეკვეთებსაც იღებს.

## 92 წლის კაცი 22 წლის ქალზე დაქორწინდა



ბაღდადის ჩრდილოეთით მდებარე სოფელ გუბანში მცხოვრებმა 92 წლის ერაყელმა მუსლაი მუჰამედმა ცოლად 22 წლის მუნა ლა-ჯაბური შეირთო. მუჰამედი თავის სოფელში ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურაა. ცოლის სიკვდილიდან 3 წლის შემდეგ ხელახლა დაქორწინება გადაწყვიტა, რადგან მარტოობა მობეზრდა და სურდა, სიცოცხლის დარჩენილი წლები ბედნიერს გაეტარებინა. მას პირველი ცოლისგან 16 შვილი ჰყავს და არ გამორიცხავს, რომ მასზე 70 წლით უმცროს ქალთანაც შეეძინება შვილები.

მუნა თავისი გადაწყვეტილებით კმაყოფილია და თვლის, რომ მუსლაი მისი ბედი იყო, ამიტომ ბევრი არ უფიქრია და სოფლის კოლორიტს ცოლად გაჰყვა. მათი ქორწილის ცერემონიალს რელიგიური ლიდერებიც ესწრებოდნენ.

## უსინათლო გოგო ტუჩებით კითხულობს



ჰონგ კონგში მცხოვრებ 20 წლის უსინათლო ცენგ ქუანს დაბადებიდან თითებში მგრძნობელობა აქვს დაკარგული, ამიტომ ბრაილის შრიფტით ნაწერი ტექსტების წასაკითხად ტუჩებს იყენებს — შრიფტს ტუჩებს ადებს და ასე კითხულობს ნაწერს.

ბრაილის შრიფტი რელიეფურ-წერტილოვანი ანბანია, რომელსაც მხედველობის პრობლემების მქონე ადამიანები წერა-კითხვისთვის იყენებენ. ის 1821 წელს ფრანგმა ლუი ბრაილმა შექმნა.

## რეკორდი დომინოს ქვების წაქცევაში



გერმანიაში თორმეტმა მოხალისემ 270 ათასზე მეტი დომინოს ქვის წაქცევით მსოფლიო რეკორდი მოხსნა. მათ ჩვეულებრივი დომინოს ქვებით არაჩვეულებრივი სანახაობა მოაწყვეს — უზარმაზარი რკინიგზა, ცნობილი ადამიანების პორტრეტები და სხვადასხვა ღირსშესანიშნავი ძეგლი შექმნეს. შემდეგ კი ერთ ქვაზე თითის შეხებით დანარჩენების წაქცევას შეეცადნენ.

ქვები ამ შედევრის მხოლოდ მცირე ნაწილში არ წაიქცა, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია რეკორდის დამყარებაში, სანახაობა კი მართლაც შთამბეჭდავი აღმოჩნდა.

## 52 წლის წინ გაუჩინარებული ქალი ოჯახს დაუბრუნდა



77 წლის ლუსი ჯონსონი 52 წლიანი გაუჩინარების შემდეგ ოჯახს უვნებელი დაუბრუნდა. კანადის პროვინციაში, კერძოდ კი ბრიტანულ კოლუმბიაში მცხოვრები ლუსი 1961 წელს სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნებულა. პოლიციამ ჩათვალა, რომ ის მოკლეს. მკვლელობაში ერთადერთ ეჭვმიტანილად კი ქმარს, მარვინ ჯონსონს ასახელებდნენ, რომელიც მოგვიანებით სახლის უკანა ეზოში მკვდარი იპოვეს.

წლების შემდეგ მათმა ერთადერთმა ქალიშვილმა, ლინდა ჯონსონმა, დედის იდუმალი გაუჩინარების შესახებ გაზეთში სტატია გამოაქვეყნა. მალე ლინდას უცნობმა გოგონებმა დაურეკეს, რომლებიც ირწმუნებოდნენ, რომ მისი ნახევარდები იყვნენ, რომ მის დედას სხვა ოჯახი ჰყავდა და კანადაში, იუკონში ცხოვრობდა.

ეს ინფორმაცია სიმართლე აღმოჩნდა. 52 წლის შემდეგ ლინდამ დედა იპოვა და სახლში დააბრუნა. მიუხედავად ყველაფრისა, დღემდე უცნობი რჩება, წლების წინ რამ აიძულა ლუსი, ოჯახი მიეტოვებინა.

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



Cyan Magenta Yellow Black

# როგორი ცოლი ხართ?



**1. თქვენ და თქვენი ქმარი სამსახურიდან დაბრუნდით და აღმოაჩინეთ, რომ სახლში საჭმელი არ გაქვთ, როგორ მოიქცევით?**

ა) მეუღლეს უახლოეს რესტორანში აგზავნით საჭმლის მოსატანად.

ბ) ქმარს სთავაზობთ, სადილად რესტორანში ან კაფეში წახვიდეთ.

გ) დაღლილობის მიუხედავად სასწრაფოდ საჭმლის მომზადებას იწყებთ.

**2. ინტიმური ურთიერთობისას თქვენ...**

ა) ინიციატივას საკუთარ თავზე არ იღებთ.

ბ) ინიციატორი ყოველთვის თქვენ ხართ.

გ) ინიციატივის გამოჩენა თქვენს ხასიათზეა დამოკიდებული.

**3. ქმარს საღამოს თქვენ გარეშე გატარება სურს, თქვენ...**

ა) ეჩხუბებით.

ბ) საღამოს თქვენც დაქალებთან გაატარებთ, ქმრის გარეშე.

გ) მეუღლეს დიდი ხნით გაებუტებით.

**4. ტელევიზორში თქვენი საყვარელი სერიალი და ფეხბურთის მატჩი ერთდროულად გადის, თქვენ...**

ა) დრო კამათში და ტელევიზორის ერთი არხიდან მეორეზე გადართვაში გაგყავთ, ამის გამო, ფაქტობრივად ვერაფერს უყურებთ.

ბ) კენჭს ყრით, რომელს უყუროთ.

გ) მეუღლეს უთმობთ.

**5. ქმარს ერთი ცუდი ჩვევა აქვს, რომელიც ძალიან გაღიზიანებთ, როგორ იქცევით?**

ა) მუდმივად ამ ნაკლის შესახებ ახსენებთ და თავს აბეზრებთ.

ბ) მშვიდად უხსნით, რომ ამის ატანა აღარ შეგიძლიათ.

გ) მის ნაკლზე ყურადღებას არ ამახვილებთ.

**6. ზამთარში, სიცივეში, მეუღლე ლოგინში ჩაწოლისთანავე თბილ პლედს თავისკენ ექაჩება, თქვენ...**

ა) შეახსენებთ, რომ ლოგინში მარტო არ წევს და თქვენც გცივათ.

ბ) სხვა პლედს იფარებთ.

გ) ცდილობთ, რაც შეიძლება თბილი პიჟამა ჩაიცვათ, რომ არ შეგცივდეთ.

**7. ქმარი ავად გახდა, თქვენ კი აუცილებლად სამსახურში უნდა წახვიდეთ. როგორ მოიქცევით?**

ა) ქმარს ექიმთან აგზავნით.

ბ) მეუღლეს უამრავ წამალს უტოვებთ, თქვენ კი სამსახურში მიდიხართ.

გ) სახლში რჩებით და ქმარს უვლით.

**8. გვიანი ღამეა, საქმეებით ძალიან დაიღალეთ, მეუღლეს კი ალერსი სურს, როგორ იქცევით?**

ა) წიგნის კითხვას იწყებთ.

ბ) ეუბნებით, რომ დაიღალეთ, მაგრამ მალევე უთმობთ მეუღლეს.

გ) მომენტალურად კაპიტულირებთ.

**9. საქეიფოდ იყავით, მეუღლე ნასვამია, სახლში დაბრუნებისას საჭესთან რომელი ჯდებით?**

ა) ქმარი.

ბ) სახლში ტაქსით ბრუნდებით.

გ) საჭეს თავად მიუჯდებით.

**10. მეუღლემ თმა შეიჭრა, მისი ვარცხნილობა საშინლად არ მოგწონთ, თქვენ...**

ა) ეუბნებით, რომ ასეთი ვარცხნილობით გარეთ გასვლა სირცხვილია.

ბ) დაამშვიდებთ და ეტყვით, რომ თმა მალე გაეზრდება.

გ) ეუბნებით, რომ მისი სახის ოვალს და ყურების ფორმას მოკლე თმა ძალიან უხდება.

**11. ქმარი სახლში დაბრუნებისას გიყვებათ, რომ შეხვდა ქალს, რომელთანაც თქვენს გაცნობამდე რომანი ჰქონდა, თქვენ...**

ა) ყველა რომანს იხსენებთ, რომლებიც მეუღლესთან შეხვედრამდე გქონდათ.

ბ) მშვიდად შეეკითხებით, რომელი თქვენგანი უფრო უყვარს.

გ) საშინლად ეჭვიანობთ.

**12. მეუღლესთან წაკინკლავდით, დარწმუნებული ხართ, რომ ის არის დამნაშავე, თქვენ...**

ა) გაებუტებით.

ბ) შერიგებას ამჯობინებთ.

გ) ყველაფერში თავს დაადანაშაულებთ და მეუღლეს ბოდიშს მოუხდით.

**13. ქმარი მივლინებიდან დაბრუნდა, თქვენ...**

ა) პირველ რიგში, გაინტერესებთ, რა ჩამოგიტანათ.

ბ) გამოჰკითხავთ, როგორ ჩაიარა მივლინებამ.

გ) საზეიმო სადილს ამზადებთ და სტუმრებს ეპატიჟებით.

**14. დაბადების დღეზე ქმარმა მოდიდან გადასული სვიტერი გაჩუქათ, თქვენ...**

ა) მოსთხოვთ, მოდურში გამოგიცვალოთ.

ბ) ნაძალადევად უღიმით, სვიტერს გარდერობში ინახავთ და არასოდეს იცვამთ.

გ) გსურთ, ქმარს ასიამოვნოთ და მის საჩუქარს ხშირად იცვამთ.

**15. მეუღლემ სურვილი გამოთქვა, ჭურჭლის დარეცხვაში მოგეხმაროთ, თქვენ...**

ა) ნაზად უღიმით და ჭურჭლის რეცხვას აგრძელებთ.

ბ) მოხმარებისთვის ალერსით აჯილდოვებთ.

გ) ასეთი საქციელი ისე გიკვირთ, რომ დაბნეული საქმეს თავს ანებებთ და მეუღლეს უცქერით.

დაითვალეთ, ტესტის პასუხებში რომელი ვარიანტი ჭარბობს და შედეგები ყურადღებით წაიკითხეთ.

**შედეგები:**

**თუ თქვენს პასუხებში „ა“ ვარიანტი ჭარბობს** —ქმართან კონფლიქტი ხშირად მოგდით, ხშირად ხართ გაბუტულები და დათმობაზე წასვლას არ ჩქარობთ. გირჩევთ, უფრო მომთმენი და მიმტევებელი იყოთ.

**თუ თქვენს პასუხებში „ბ“ ვარიანტი ჭარბობს** — კარგი შედეგია. რასაკვირველია, ოჯახში თანხმობისთვის დათმობაზე წასვლა კარგია, მაგრამ ხანდახან გრძნობას გონება ამჯობინეთ და საღი აზრით იხელმძღვანელეთ.

**თუ თქვენს პასუხებში „გ“ ვარიანტი ჭარბობს** —თქვენი ქმარი ბედს უნდა უმადლოდეს, შესანიშნავი ცოლი ჰყავს. თქვენ კი გირჩევთ, ყოველთვის მსხვერპლის გაღებას მოერიდოთ, ნუ ჩაახშობთ საკუთარ სურვილებსა და ინტერესებს, უკიდურესობა საჭირო არ არის. აგრძნობინეთ მეუღლეს, რომ მონა კი არა, მისი საყვარელი ქალი ხართ.

წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები იხ. გვ. 78

## სუდოკუ

სუდოკუ არის იაპონური თავსატეხი, რომელმაც ბოლო დროს ევროპაშიც მოიკიდა ფეხი. მისი ამოხსნისთვის საკმარისია ლოგიკური აზროვნების უნარი. თავად ამოხსნის პროცესი კი დიდ სიამოვნებას გპირდებათ.

№ 1

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 4 | | | | | 6 | | 7 |
| 1 | | | | 3 | | | | |
| | | 5 | | | 6 | 2 | | |
| 3 | | | 6 | | | | | 5 |
| | | | | 8 | 2 | | 9 | |
| 8 | | 7 | | | | | | 1 |
| | 9 | | 4 | | | | | 3 |
| 6 | | | | 1 | | | 7 | |
| | | 2 | | | 5 | 8 | | |

№ 2

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | | | 5 | | | | | 2 |
| | | 3 | | | | | 7 | |
| | 4 | | | 9 | | 1 | | |
| 6 | | | | | 3 | | | 9 |
| | | 1 | 4 | | | | 8 | |
| 9 | | | 2 | 7 | | 3 | | |
| | | | 3 | | 8 | 5 | | |
| | 5 | 2 | | 6 | | | | 4 |
| | 7 | | | | | | 9 | |

სუდოკუ შედგება 9-9 ჰორიზონტალური და ვერტიკალური სვეტისა და 9 ბლოკისგან. შევავსოთ ცარიელი უჯრები 1-დან 9 ციფრებით ისე, რომ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სვეტებსა და ბლოკებში ერთი და იგივე ციფრი არ განმეორდეს.



Cyan Magenta Yellow Black

# რისკზე თამამად მიდიხართ?

**1. დავუშვათ, ქუჩაში ძაღლმა გიკბინათ...**
ა) მაშინვე ექიმთან წახვალთ — 3
ბ) სახლში თავად უმკურნალებთ თავს — 0

**2. საიუველირო მაღაზიაში უცნობმა პირმა ოქროს სამკაულის ყიდვა შემოგთავაზათ საკმაოდ იაფად, თქვენ:**
ა) უარით გაისტუმრებთ — 2
ბ) აუცილებლად იყიდით — 0

**3. სამსახურში გაგვიანდებათ, ავტობუსი კი უკვე დაიძრა და შეიძლება ვერ მიუსწროთ...**
ა) გაჩერებაზე მშვიდად მიხვალთ და შემდეგ ავტობუსს დაელოდებით — 3
ბ) გიჟივით გაიქცევით, რომ ავტობუსს მიუსწროთ — 0

**4. ადამიანი ერთი ნახვით შეგიყვარდათ...**
ა) შეეცდებით, დაუახლოვდეთ და კარგად გაიცნოთ — 3
ბ) ყველაფერს გააკეთებთ, რომ მასთან ოჯახი შექმნათ — 0

**5. მაღაზიაში კოსტიუმი მოგეწონათ, რომელიც ძალიან ძვირია...**
ა) ცდუნებას არ აჰყვებით — 2
ბ) ფულს ისესხებთ და აუცილებლად იყიდით — 0

**6. საკმაოდ სოლიდური პრემია დაიმსახურეთ, მაგრამ ფულის ნაცვლად აქციებს გთავაზობენ, თქვენ...**
ა) კატეგორიულად მოითხოვთ ნაღდ ფულს — 0
ბ) აქციებს დაყაბულდებით — 2

**7. თქვენს შვილებს სძინავთ. სახლში მარტო ხართ და აღმოაჩინეთ, რომ რძე გაგითავდათ. როგორ მოიქცევით?**
ა) ურძეოდ გახვალთ იოლას — 3
ბ) პატარებს მარტო დატოვებთ და ახლომდებარე მაღაზიაში რძის საყიდლად გაიქცევით — 0

**8. ქუჩის მეორე მხარეს დიდი ხნის უნახავი მეგობარი შენიშნეთ, რომელიც მალე თვალს მიეფარება, შუქნიშანზე კი წითელი ანთია. როგორ მოიქცევით?**
ა) მწვანის ანთებას დაელოდებით — 3
ბ) წითელზე გადაჭრით ქუჩას — 0

**9. კოკისპირულად წვიმს, არადა ძალიან გინდათ ახალი ფილმის ნახვა...**
ა) სახლში დარჩენას ამჯობინებთ — 3
ბ) კინოთეატრში აუცილებლად წახვალთ — 0

**10. პლასტიკური ბარათით რაღაცის შეძენა გსურთ, მაგრამ ანგარიშზე სათანადო თანხა არ გაქვთ...**
ა) სასწრაფოდ ისესხებთ და ბარათზე ფულს დადებთ — 0
ბ) ყიდვისგან თავს შეიკავებთ — 2

**11. ბაზარში შეხვედით და უცებ გაგახსენდათ, რომ ავტოსადგომზე მანქანა არ ჩაგიკეტავთ.**
ა) დაბრუნდებით და მანქანას ჩაკეტავთ — 2
ბ) გზას გააგრძელებთ — 0

**12. ბანკში დანაზოგი გაქვთ, რომლითაც პენსიაზე გასვლის შემდეგ აპირებთ სარგებლობას. ამ დროს კი ცნობილმა ბიზნესკომპანიამ თანხის დაბანდება შემოგთავაზათ, როგორ მოიქცევით?**
ა) ფულის დაბანდებაზე უარს იტყვით — 3
ბ) დანაზოგს პროექტში თამამად ჩადებთ — 0

**შედეგები:**

**20-31 ქულა** — თქვენ მოქმედებთ პრინციპით: ასჯერ გაზომე, ერთხელ გაჭერი. კონსერვატორი ბრძანდებით. გირჩევთ, ცოტა გააქტიურდეთ და საკუთარი ძალების ირწმუნოთ.

**12-19 ქულა** — რისკს ზომიერად ეწევით. შეიძლება ითქვას, ოქროს შუალედში მოხვდით.

**0-11 ქულა** — ზედმეტად რისკიანი ბრძანდებით. ცოტა გონებას უხმეთ, ემოციები დაიოკეთ, თორემ შესაძლოა, თავიც წააგოთ!

# თქვენ და მოდა



**1. თქვენთვის მოდურია...**
ა) ნებისმიერი სამოსი, რომელსაც ცნობილი დიზაინერის მარკა აქვს.
ბ) რაც თქვენ მოგწონთ და გარშემომყოფებს არ აცვიათ.
გ) ტანსაცმელი, რომელიც დანახვისთანავე მოგეწონათ.

**2. რამდენი ცნობილი დიზაინერის სახელი და გვარი შეგიძლიათ ჩამოთვალოთ?**
ა) ოცამდე.
ბ) ათამდე.
გ) ერთი-ორი.

**3. მაღაზიაში ნახეთ კოსტიუმი, რომელიც ძალიან ძვირია, ბაზრობაზე კი ანალოგიური იაფად შეგხვდათ, როგორ მოიქცევით?**
ა) არც მაღაზიაში იყიდით და არც ბაზრობაზე.
ბ) ბაზრობაზე არ იყიდით, რადგან ხარისხიანი არ იქნება, გირჩევნიათ, მაღაზიაში შეიძინოთ.
გ) ბაზრობაზე იყიდით, ვერავინ მიხვდება, რომ იაფად შეიძინეთ.

**4. თქვენი სამოსის ფერი დამოკიდებულია...**
ა) მოდის ტენდენციებზე.
ბ) თქვენს გარეგნობაზე.
გ) თქვენს ხასიათზე.

**შედეგები:**

**თუ პასუხებში ჭარბობს „ა“ ვარიანტი** — თქვენთვის მთავარია არამარტო კარგად გამოიყურებოდეთ, არამედ გარშემომყოფებიც აღფრთოვანებულები იყვნენ. ხანდახან სურვილი გაქვთ, მოდის მწვერვალებიც დაიპყროთ. კარგი იქნება, თუ თქვენს ძალებს მოდის ინდუსტრიაში მოსინჯავთ.

**თუ პასუხებში ჭარბობს „ბ“ ვარიანტი** — მოდაში იმდენად ერკვევით, რამდენადაც გჭირდებათ. მთავარია, გემოვნებით გეცვათ. მოდის ტენდენციების შესწავლა თქვენთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის არ არის. ცხოვრებაში არსებობს ბევრი ისეთი რამ, რაზეც სიამოვნებით დახარჯავდით დროს.

**თუ პასუხებში ჭარბობს „გ“ ვარიანტი** — მოდა თქვენი სფერო არ არის. კარგად კი იმიტომ გამოიყურებით, რომ საკუთარ თავში დარწმუნებული ბრძანდებით.



# სტრესი ხომ არ მოგეპარათ?

ტესტის პასუხებში ქულები ასე დაიწერეთ: „დიახ“ — 1 ქულა, „არა“ — 0 ქულა.

1. დღის განმავლობაში ყველა საქმეს სწრაფად აკეთებდით?
2. ყველაფერს ფათიფუთით აკეთებდით და მაინც ვერ ასწრებდით?
3. ყველაფერზე ნერვები გეშლებოდათ, ამან დაგღალათ და ღონე გამოგაცალათ?
4. დღის განმავლობაში შებოჭილობას გრძნობდით?
5. ღამე ცუდად გეძინათ?
6. დაბნეული იყავით, გიჭირდათ მობილიზება და აზრების მოკრება, გტკიოდათ თავი და მუცელი?
7. ადგილს ვერ პოულობდით, ერთ ადგილას გაჩერება გიჭირდათ?
8. უმიზეზოდ ბრაზდებოდით?
9. გული აჩქარებით გიცემდათ, ოფლი გასხამდათ?
10. დღის განმავლობაში რამდენჯერმე დამამშვიდებელი აბი გადაყლაპეთ?

**შედეგები:**

**5 ქულამდე** — დიდხანს იცოცხლებთ და გარშემომყოფებთან საკმაოდ კარგი ურთიერთობაც გექნებათ. სტრესისგან შორს ხართ.

**6-9 ქულა** — კარგი იქნებოდა, ცხოვრებისეულ სიძნელეებს უფრო მედგრად უტევდეთ და წინ თავდაჯერებით მიიწევდეთ. ასე სტრესიც ნაკლებად შეგაწუხებდათ.

**10 ქულა** — სერიოზულ სტრესამდე ერთი ნაბიჯი გიკლიათ. მდგომარეობას ნუ ეხუმრებით, მიხედეთ ჯანმრთელობას!



Cyan Magenta Yellow Black

# რა არ უყვართ სისხლძარღვებს

100 000 კმ — ასეთია ჩვენი ორგანიზმის ყველა სისხლძარღვის საერთო სიგრძე. ეს შთამბეჭდავი ციფრი სისხლძარღვების სამ ძირითად ტიპს აერთიანებს. თითოეულ მათგანს თავისი მოვალეობა, დამახასიათებელი პრობლემები და დაავადებები აქვს.

არტერიები სისხლძარღვებია, რომელთა მეშვეობით სისხლი გულიდან გამოედინება. არტერიების კედლები საკმოდ მსხვილია, მათში ბევრი კუნთური და ელასტიკური ბოჭკოა. თუ არტერიების ტონუსთან პრობლემები აღმოცენდა, ჰიპერტონია (მაღალი წნევა) ან ჰიპოტონია (დაბალი წნევა) ვითარდება. სისხლძარღვების შიგნით ქოლესტერინის ფოლაქების წარმოქმნა ათეროსკლეროზს იწვევს. ინფექციებით ან თამბაქოს მოწევით გამოწვეულ სისხლძარღვების კედლების ანთებას ვასკულიტი ეწოდება.

ვენები გულისკენ მიმავალი სისხლძარღვებია. ვენებში სისხლის წნევა არც ისეთი დიდია, მათი კედლები მნიშვნელოვნად თხელია, მათში ცოტა კუნთური ბოჭკოა. სამაგიეროდ ვენებში არის სარქველები, რომლებიც სისხლის უკან დინებას აბრკოლებენ. ვენების ძირითადი პრობლემა სწორედ სარქველების მუშაობის დარღვევაა. შედეგად აღმოცენდება ისეთი დაავადებები, როგორიცაა ვარიკოზული გაფართოება, თრომბოფლებიტი და თრომბოზი.

კაპილარები ყველაზე წვრილი და ყველაზე მრავალრიცხოვანი სისხლძარღვებია, რომელთა უმეტესობის დანახვა მხოლოდ მიკროსკოპის ქვეშ შეიძლება. ისინი არტერიებსა და ვენებს ერთმანეთთან აერთებენ. კაპილარების კედლები ბევრი ნივთიერების გამტარია. მათი გავლით უჯრედები ჟანგბადითა და მკვებავი ნივთიერებებით მარაგდება. კაპილარები მეტისმეტად თხელი და სუსტია. სწორედ ამის გამო ხშირად ადგილი აქვს სისხლდენას, მაგალითად, ცხვირიდან. მათი ელასტიკურობის მოშლა სისხლის მიმოქცევასთან სერიოზულ პრობლემებს იწვევს. შესატყვისად, ქსოვილები მკვებავი ნივთიერებებით ცუდად მარაგდება. განსაკუთრებით ეს შეინიშნება გულიდან დაშორებულ სხეულის ნაწილებში, სადაც სისხლის წნევა მინიმალურია — ხელისა და ფეხის თითებში. თუ ისინი მუდამ გეყინებათ, მაშასადამე, კაპილარებთან პრობლემებია.

## სისხლძარღვების სამი მთავარი მტერი

რა მიზეზებით წყვეტენ ჩვენი სისხლძარღვები თავიანთი მოვალეობების ნორმალურად შესრულებას? ბევრ შემთხვევაში მათი მუშაობის დარღვევაში დამნაშავე თავად ვართ.

1. არასწორი კვება. ცხოველური ცხიმების სიჭარბე, სწრაფი კვების პროდუქტები, მუდმივად ზედმეტის ჭამა სისხლის ქოლესტერინით გაჯერებას იწვევს. ეს უკანასკნელი სისხლძარღვების კედლებზე გროვდება და ათეროსკლეროზი აღმოცენდება. ერთფეროვანი კვების დროს ვიტამინებისა და მიკროელემენტების ნაკლებობის გამო, სისხლძარღვების კედლების ელასტიკურობა და სიმკვრივე ირღვევა, მყიფე ხდება.

2. ნაკლებმოძრავი ცხოვრების წესი მნიშვნელოვნად აქვეითებს სისხლძარღვების ტონუსს. განსაკუთრებით იტანჯება ვენები, რომლებსაც სისხლის გულის მიმართულებით მოძრაობაში კუნთების მუშაობა ეხმარება. ვენებს არ უყვართ, როდესაც უმოძრაოდ



დიდხანს დგახართ. ეს პირდაპირი გზაა ვარიკოზის განვითარებისკენ.

3. მოწევა და ალკოჰოლი სისხლძარღვების ჯერ მკვეთრ გაფართოებას იწვევს, შემდეგ კი ასევე მკვეთრ სპაზმებს. ხანგრძლივი ზემოქმედების შედეგად მათი ტონუსის მოშლა, ჰიპერტონია და სხვა სერიოზული დაავადებები ვითარდება.

## აუცილებელი ვიტამინები

სისხლძარღვების კარგი მდგომარეობა, მათი ნორმალური ტონუსი და ელასტიკურობა ბევრადაა დამოკიდებული საკვების გზით ვიტამინების საკმარისად მიღებაზე. ხუთი მათგანი უბრალოდ შეუცვლელია სისხლძარღვების ჯანმრთელობისთვის.

რუტინი (ვიტამინი P) სისხლძარღვების ელასტიკურობას აღადგენს, კაპილარების სიმყიფეს ამცირებს. რუტინის ძირითადი წყაროა ასკილის ნაყენი, ციტრუსები, შავი მოცხარი, ცირცელი, მწვანე ჩაი, ყურძნის წვენი. რუტინი შედის ვარიკოზის საწინააღმდეგო მალამოებისა და კრემების შემადგენლობაში.

პანტოტენის მჟავა (ვიტამინი$B_5$) ცხიმების ცვლას არეგულირებს და სისხლძარღვების კედლებზე ქოლესტერინის ფოლაქების წარმოქმნას ხელს უშლის.$B_5$ ვიტამინით მდიდარია არაქისი, ბურღულეული, ლუდის საფუარი, ქერი, კვერცხის გული, ქათმის ხორცი, კომბოსტო, ბროკოლი. გაცხელების, დაკონსერვებისა და გაყინვის დროს ეს ვიტამინი იშლება, ხოლო თეთრი ფქვილი და კანგაცლილი ბურღულეული მას საერთოდ არ შეიცავს.

ასკორბინის მჟავა (C ვიტამინი) სისხლძარღვების მყიფე კედლებისთვის პროფილაქტიკური საშუალებაა. ხშირი სისხლდენა ცხვირიდან, დალურჯებები სისხლძარღვების სისუსტის სიმპტომებია. ასკორბინის მჟავის საუკეთესო წყაროა ციტრუსები, ტკბილი წიწაკა, შავი მოცხარი, ასკილი, ქაცვი და ჭინჭრის ფოთლები.

რეტინოლი (A ვიტამინი) ეპითელის (ქსოვილი, რომლითაც შიგნიდან დაფარულია სისხლძარღვები) უჯრედების დაცვას უზრუნველყოფს. მისი დეფიციტი ანთებით დაავადებებს იწვევს, ჭრილობის მოშუშებას აფერხებს. A ვიტამინს შეიცავს ღვიძლი, ნუში, ნესვი, სტაფილო, ისპანახი, კომბოსტო, გოგრა, გარგარი, რძე.A ვიტამინი ცხიმში იხსნება, ამიტომ ბოსტნეული მცირე რაოდენობით მცენარეულ ზეთთან ერთად ჭამეთ.

ტოკოფეროლი (E ვიტამინი) სისხლძარღვების კედლებს ამაგრებს და თრომბის წარმოქმნას ებრძვის. მისი დეფიციტი ვარიკოზულ დაავადებას ამძიმებს, კაპილარების სიმყიფეს აძლიერებს.E ვიტამინით მდიდარია მცენარეული ზეთი, განსაკუთრებით სიმინდის, სელის, ზეითუნისა და მზესუმზირის. ასევე შეიცავს ნუში, არაქისი, მზესუმზირის თესლები.

## აბაზანები, რომლებიც ვენებს ამაგრებს

სისხლძარღვების ყველანაირი დაავადების დროს ეხმარება თბილი აბაზანები სამკურნალო მცენარეების დანამატებით.

წყლის ოპტიმალური ტემპერატურა 36-37 გრადუსია, ხანგრძლივობა არაუმეტეს 20 წუთი. აბაზანის შემდეგ აუცილებლად კარგად გაიმშრალეთ და დაისვენეთ. უმჯობესია, აბაზანა საღამოს მიიღოთ, ხოლო კონტრასტული შხაპი სისხლძარღვების ტონუსისთვის გამოიყენოთ.

მდოგვის აბაზანა სისხლის მიმოქცევასა და კაპილარებს ასტიმულირებს. 200-300 გრამი მშრალი მდოგვი თბილი წყლით სავსე აბაზანაში გააზავეთ. აბაზანის ხანგრძლივობა არაუმეტეს 10-15 წუთია. ასეთი აბაზანა უკუნაჩვენებია გულის დაავადებებისა და მაღალი წნევის დროს.

ვალერიანის აბაზანა პირიქით, ჰიპერტონიის დროს ეხმარება, ადუნებს, დაძაბულობასა და ტკივილს ხსნის.

500 გრამ ვალერიანის დაქუცმაცებულ ძირებს 5 ლიტრი ცხელი წყალი დაასხით და 10-15 წუთი ადუღეთ. შემდეგ 2-3 საათი დადგით, გაწურეთ და ნახარში აბაზანაში ჩაუშვით. შეგიძლიათ გამოიყენოთ აფთიაქის ვალერიანის ძირების ნაყენი (2 ფლაკონი).

ჭინჭრის აბაზანა არტერიებს ძალიან კარგად ამაგრებს. რეკომენდებულია ათეროსკლეროზის დროს. მოამზადეთ ჭინჭრის სქელი ნაყენი. აიღეთ ერთი დიდი შეკვრა გამხმარი ან 3 შეკვრა ნედლი ბალახი, 3 ლიტრი ცხელი წყალი დაასხით. 1 საათი დადგით, გაწურეთ და აბაზანაში ჩაუშვით. აბაზანის ხანგრძლივობა 20 წუთია. შემდეგ მსუბუქად შეიმშრალეთ, სამკურნალო ნაყენი რომ არ ჩამოიწმინდოთ.

## უნივერსალური სალათა

თუ ამ სალათას კვირაში თუნდაც 1-2-ჯერ მიირთმევთ, თქვენი სისხლძარღვები, განსაკუთრებით არტერიები და კაპილარები, პირდაპირი გაგებით, გაახალგაზრდავდება.

სალათა მდიდარია არამხოლოდ ვიტამინებითა და მიკროელემენტებით, ასევე შეიცავს ნივთიერებებს, რომლებიც ქოლესტერინის ფენებისგან წმენდს, სისხლძარღვების კედლებს ამაგრებს, ელასტიკურობას აღადგენს. დაგჭირდებათ: 3 ღერი ნიახური, 2 ბოლოკი, 1 ჭარხალი, 1 სტაფილო, 1 ვაშლი, 0,5 ჭიქა ბროწეულის მარცვლები, თითო სუფრის კოვზი სელისა და მზესუმზირის თესლები, 1 სუფრის კოვზი დაქუცმაცებული ნიგოზი, 1 სუფრის კოვზი ქიშმიში, 2 ცალი გარგარის ჩირი. სოუსისთვის: 1 სუფრის კოვზი ზეითუნის ზეთი, 1 ჩაის კოვზი ლიმონის წვენი, 1 კბილი დაქუცმაცებული ნიორი. მარილის მაგივრად 1 ჩაის კოვზი სოიას სოუსით ან 1 ჩაის კოვზი ზღვის მარილით შეაზავეთ.

ნიახური, ბოლოკი, ვაშლი, ჩირი წვრილად დაჭერით, სტაფილო და ჭარხალი გახეხეთ. დაუმატეთ თესლები, ნიგოზი, ქიშმიში. სოუსის ყველა ინგრედიენტი აურიეთ და სალათა შეკმაზეთ. ზემოდან ბროწეულის მარცვლები მოაყარეთ.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძემ



Cyan Magenta Yellow Black

# გვპასუხობს ექიმი



**— ვარ 28 წლის. გავიკეთე სისხლის საერთო ანალიზი, მხოლოდ ეოზინოფილები მაქვს მომატებული, სხვა ყველაფერი ნორმის ფარგლებშია. რისგან შეიძლება იყოს ეოზინოფილები მომატებული?**

— ამ შემთხვევაში საჭიროა ზუსტი მაჩვენებლის დასახელება, რადგან მიზეზი უამრავია. ერთ-ერთი მიზეზი კი ალერგიული ფონია. მიმართეთ ალერგოლოგს, შემდეგ ის დაგაკვალიანებთ, ვის მიმართოთ.

**— წავიკითხე, რომ გასახდომად კარგია უზმოზე ერთი სირჩა ზეითუნის ზეთის დალევა. სირჩაში რამდენი გრამია ან ამ დროს დიეტა აუცილებელია თუ არა და ზეითუნის ზეთის მიღება რამდენად ეფექტურია?**

— დაახლოებით 50 გრამია, მაგრამ მხოლოდ ზეითუნის ზეთის მიღებით წონაში კლება წარმოუდგენელია. ყველა თვითნებური დიეტა საზიანოა. თუ ვერ მიმართავთ დიეტოლოგს ან თვლით, რომ რამდენიმე კილოგრამის დაკლებას თავადაც უპრობლემოდ გაუმკლავდებით, მაშინ შეცვალეთ თქვენი კვების რეჟიმი. არ მიიღოთ ნახირწყლებით გაჯერებული, ძალიან ცხიმიანი საკვები, რის შემდეგაც ძლიერი წყურვილის გრძნობა გექნებათ და მოგიწევთ დიდი რაოდენობით სითხის დალევა. არ მიიღოთ ტკბილი სასმელები. იკვებეთ ძირითადად ცილოვანი საკვებით, აუცილებლად ერთსა და იმავე დროს. რა თქმა უნდა, ძილამდე 4 საათით ადრე მსუბუქად ივახშმეთ.

**— ვარ 10 წლის გოგო, 32 კილოგრამი. მაინტერესებს, ჩემს ასაკში ეს ნორმალურია? რამდენი კილოგრამი უნდა ვიყო?**

— წონა დამოკიდებულია სიმაღლეზეც. ამ ასაკში წონის მკვეთრი მატება სასურველი არ არის, რადგან ორგანიზმის ზრდა და ჩამოყალიბება ხდება, შესაბამისად, საკვებიდან მიღებული „საშენი მასალა“ ცხიმად კი არ გარდაიქმნება, არამედ ორგანიზმში მიმდინარე სხვა პროცესებს მოხმარდება. თუ თავს სუსტად არ გრძნობთ და სხვა არაფერი გაწუხებთ, წონა ნუ შეგაწუხებთ.

**— მენსტრუაციის დროს მქონდა სექსი, ამ დროს რამდენად შესაძლებელია დაფეხმძიმება ან ორგანიზმისთვის საზიანო ხომ არ არის?**

— მენსტრუალური ციკლის დროს დაფეხმძიმება პრაქტიკულად გამორიცხლია. სექსის დროს დიდია ალბათობა, რომ ორგანიზმში ინფექცია გავრცელდეს. ამიტომ გირჩევთ, ამ დროს სქესობრივი კავშირისგან თავი შეიკავოთ.

**— ვარ 16 წლის, მენსტრუაცია ჯერ არ მომსვლია. დედა მეუბნება, საშიში არ არისო. ეს მართალია?**

— აუცილებლად მიმართეთ გინეკოლოგ-ენდოკრინოლოგს, აუცილებელია ჰორმონალური დონის კონტროლი.

**— თუ არსებობს რაიმე საშუალება, რომ მენსტრუალური ციკლი ადრე ან გვიან დაიწყოს?**

— რა თქმა უნდა, არსებობს ჰორმონალური პრეპარატები, რომლებიც მხოლოდ ექიმის მეთვალყურეობით და მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევებში უნდა იქნეს გამოყენებული, თვითნებურმა მიღებამ შეიძლება არასასურველი შედეგი მოგცეთ, დაირღვეს ჰორმონალური ბალანსი.

**— მყავს 13 წლის გოგონა. მენსტრუაციული ციკლი დაწყებიდან 3 თვეში შეუწყდა და ერთი წელია აღარ მოსვლია. საშიშია?**

— პირველი მენსტრუაციიდან დაწყებული ცვლილებები 18 თვის განმავლობაში უნდა დალაგდეს. თუ ამ დროს მაინც არის რაიმე დარღვევა, ხშირი, ჭარბი, არარეგულარული მენსტრუაცია, აუცილებლად მიმართეთ ენდოკრინოლოგ-გინეკოლოგს.

**— ზაფხულობით ფეხისგულებზე მიჩნდება წითელი ლაქები, რომლებიც 2-3 დღის შემდეგ ქრება და ისევ ახალი ჩნდება. რითი ვუშველო?**

— მიმართეთ დერმატოლოგს. გარეგანი დათვალიერების გარეშე წარმოუდგენელია დიაგნოზის დასმა და რჩევის მოცემა.

**— მარცხენა ფეხზე გამიჩნდა სილურჯე. ოპერაციის გარდა, თუ შეიძლება, რომ გავაუფერულო ეს ვარიკოზი?**

— ზოგიერთ ესთეტიკურ ცენტრში შესაძლებელია ამის მოშორება, მაგრამ მანამდე ანგიოლოგთან გაიარეთ კონსულტაცია.

**— ბე ჰეპატიტის გადამდებია?**

— ყველა ტიპის ჰეპატიტი გადამდებია, გადაცემის გზები სხვადასხვაგვარია. საკმაოდ სწრაფად გადადის ბე ჰეპატიტი.

**— ჰემოგლობინი მაქვს ძალიან დაბალი, ვჭამ ხილს, მაგრამ მაინც არ ამიწია. რა შეიძლება სახლის პირობებში მივიღო? თავს ძალიან სუსტად ვგრძნობ.**

— ჰემოგლობინის დონის ცვლილებით ადამიანის ორგანიზმში ბევრი ფუნქციური მოქმედება ირღვევა. მისი მომატება მარტივად არ ხდება, უნდა მიაგნოთ კლების ზუსტ მიზეზს და მკურნალობა შესაბამისად ჩაიტაროთ. ანემია, იგივე დაბალი ჰემოგლობინი სხვადასხვა ტიპისაა, სრულყოფილი კვებით ყოველთვის არ ხდება მისი დონის აწევა. აუცილებლად მიმართეთ სპეციალისტს, რადგან სხვა ანალიზების ჩატარებაც არის აუცილებელი. სანამ ექიმს მიმართავთ, ხშირად მიიღეთ საქონლის ხორცი.



## გულს ვეხმარებით

სიბერე მძიმე ტვირთად რომ არ გექცეთ, თქვენი გულის მდგომარეობას ყურადღებით მიუდექით. გთავაზობთ რამდენიმე საშუალებას, რომლებიც გულის ჯანმრთელობის შენარჩუნებას ეხმარება.

1. შეზღუდეთ მარილის მოხმარება. ის ორგანიზმში წყალს აკავებს. შედეგად ჩნდება შეშუპება, რაც გულზე დატვირთვას ზრდის.

2. ფეხით ბევრი იარეთ. უარი თქვით ლიფტზე. სასარგებლოა დღეში 2-ჯერ, მე-6 სართულზე ფეხით ახვიდეთ და ჩამოხვიდეთ. თუნდაც ეს ნელა გააკეთოთ, გულს მაინც აიძულებთ, იმუშაოს. მისთვის რეგულარული დატვირთვა აუცილებელია.

3. გული ასეთი ელექსირით გაიმაგრეთ. აიღეთ 70 გრამი კულმუხოს ძირები, 30 გრამი თაფლი, 50 გრამი კანგაუცლელი, მაგრამ კარგად გარეცხილი შვრია. შვრიას 0,5 ლ წყალი დაასხით, ადუღებამდე მიიყვანეთ და 3-4 საათი დადგით. კულმუხოს ძირებს ეს ნახარში დაასხით, ყველაფერი ერთად კიდევ წამოადუღეთ და 2 საათი დადგით. გაწურეთ, თაფლი დაუმატეთ. 1/3 ჭიქა დღეში 2-3-ჯერ ჭამის წინ მიიღეთ 2 კვირის განმავლობაში. ეს ელექსირი გულის კუნთს ამაგრებს.

**თუ გსურთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული კითხვის გაგზავნა, აკრიფეთ ასო თ და გაგზავნეთ კითხვა ნომერზე 93887 მაგთიდან და 1779 ჯეოსელიდან. 1 სმს-ის ფასია: მაგთიდან 1 ლარი, ჯეოსელიდან 50 თეთრი.**


გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.





Cyan Magenta Yellow Black

1. სპორტის სახეობა; 2. ბუნებრივი საღებავი; 3. რისამე მიცემისას ხმარებული ნაწილაკი; 4. ვიეტნამის დედაქალაქი; 5. რისამე განვითარების უმაღლესი წერტილი; 6. მღვდელი საფრანგეთში; 7. ჩლუნგ ადამიანზე ამბობენ; 8. ტროპიკული ხილი; 9. კვერნისებრთა ოჯახის მტაცებელი ცხოველი; 10. „გორა ...“; 11. ამერიკული თოჯინა; 12. კუნთის ქსოვილების გამყოფი თხელი ფენა; 13. სავსებით მსგავსი; 14. ვაზის ჯიში; 15. ულაგამო ალვირი; 16. კუთხის და რკალის საზომი ერთეული; 17. კრიტიკული მდგომარეობა კრივში; 18. ქალიშვილი ესპანეთში; 19. რაიმე მოვლენის განვითარების საფეხური; 20. ვერდის „ტრუბადურის“ პერსონაჟი; 21. ხელოვნური ენა; 22. ფრანგული ცეკვა; 23. მამაკაცის სასიმღერო ხმა; 24. პორტუგალიის საფეხბურთო კლუბი; 25. ... ბისმარკი; 26. ლუდხანა ინგლისში; 27. რუმინული ხალხური სიმღერა; 28. იგივეა, რაც ჟარგონი; 29. ქათმისებრთა ოჯახის გარეული ფრინველი; 30. „დარისპანის გასაჭირის“ პერსონაჟი; 31. ვერდის ოპერა; 32. მუდმივი მუშტარი; 33. ტროპიკული ტყეების ნახევრად მაიმუნი; 34. ჭადრაკის ფიგურა; 35. წინწაკა; 36. ყვავილი; 37. არასრული დამბლა; 38. ირანის ფულის ერთეული; 39. სასიგნალო ტივტივა წყალზე; 40. ყვავილის ცენტრალური ნაწილი; 41. ქართული გაზეთი; 42. მთავარი არტერია; 43. ნუსხა; 44. ნუშის ლიქიორი; 45. თერმოდინამიკური ტემპერატურის ერთეული; 46. ჭურჭლის ტევადობა ლიტრებით გაზომილი; 47. ინდოელი პოლიტიკური მოღვაწე; 48. ეგვიპტელთა მზის ღვთაება; 49. პარლამენტის ზედა პალატა აშშ-ში; 50. ნოტი; 51. კოლხი მედეას დედა; 52. ... რაიანი; 53. დროებითი სადგომი; 54. ადგილი გემზე; 55. ყაზახეთის ფულის ერთეული; 56. ქართველი მათემატიკოსი; 57. ქალბატონო ინგლისურად; 58. რ. ჩხეიძის სცენური როლი; 59. ბაბუა ... პაპა; 60. გამარჯვების ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; 61. ... რივზი.




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კოდიანი სკანვორდის პასუხები

1. მადამ; 2. ანანკე; 3. ანა; 4. პრეს; 5. პატიო; 6. სია; 7. კალია; 8. მეტალი; 9. სპორტი; 10. პალტო; 11. ალი; 12. იდიში; 13. ბესიკი; 14. კლიო; 15. კოლიბრი; 16. ნია; 17. პარკი; 18. პილოტაჟი; 19. ბოლონია; 20. კონგლომერატი; 21. ბელი; 22. მორსი; 23. იან; 24. ნეო; 25. ნო; 26. აბაჟური; 27. საინი; 28. ნიასა; 29. დონ; 30. გო; 31. მატე; 32. ირვინი; 33. გრავე; 34. არსენ; 35. არარა; 36. მოპსი; 37. მარენგო; 38. ტრიო; 39. პომპა; 40. ტასო; 41. მორჟი; 42. სან; 43. გებჟალია; 44. რაუტი; 45. ბადე; 46. ტორპედო; 47. და; 48. რეპლიკა; 49. ბრიგადა; 50. არ; 51. სანგარი; 52. ციმორი; 53. ელი; 54. ოპერა; 55. იო; 56. დიუმი; 57. არია; 58. დერბი; 59. ბზა; 60. „ოტელო“; 61. ლამარია; 62. ორთი; 63. ბოლერო; 64. მორევი; 65. შრი; 66. ავგაროზი. **სურათებზე:** რობერტ ფიშერი; მიხეილ ტალი; მიხეილ ბოტვინიკი; გარი კასპაროვი.

**კოდი: ტოხოლა**

# მწვანე სკანვორდი





1. ... ბალაშვილი
2. ბირმის ფული
3. ნოტი
4. ჯუჯა კამეჩი
5. ... ფიცჯერალდი
6. ... რაი
7. ბოლმა, ნაღველი
8. აკრძალვა
9. აშშ-ის ტელეპრემია
10. ისრის წვერი
11. ცხენბურთი
12. ... ალიევი
13. სოფელი ლეჩხუმში
14. სამეტყველო ორგანო
15. საოპერო სიმღერა
16. სიტყვებით თამაში
17. ... ტაილერი
18. ტროპიკული შავი ხე
19. „ურიელ ...“
20. ქართველი ყაჩაღი
21. ფირნიში
22. იტალიელი არქიტექტორი
23. ბერძნული ანბანის ასო
24. ბიბლიური პერსონაჟი
25. ალგორითმული ენა
26. ღირებულება





## წინა ნომერში გამოქვეყნებული მწვანე სკანვორდის პასუხები

1. კონფესია; 2. პო; 3. ფა; 4. აზარფეშა; 5. კაა; 6. სე; 7. საია; 8. მასნე; 9. „მინდია“; 10. პაიკი; 11. სპირტი; 12. მული; 13. ალამი; 14. ვერბალური; 15. დუელი; 16. ილია; 17. ვალსი; 18. თხა; 19. ელენთა; 20. კოშკი; 21. დუბაი; 22. აი; 23. ბუ; 24. რუ. **სურათებზე:** ლაზიერი; ეტლი; კუ; მხედარი.



Cyan Magenta Yellow Black



# ქინძი — შინაური წამალი

ქინძი, როგორც სანელებლი, კულინარიაში უძველესი დროიდან გამოიყენება, მაგრამ ამ მცენარეში არსებული განსკუთრებული ეთერზეთები, ტრიტერპენოიდები და ფენოლკანოვის მჟავები ბუნების ამ პატარა საოცრებას შინაურ წამლად აქცევენ. ქინძი გასტრიტის, კოლიტის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ბევრი სხვა დაავადების დროს იხმარება.

ქინძი გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როდესაც ადამიანს ჩირქოვანი ჭრილობა ან ფეხზე ტროფიკული წყლული აქვს. ქინძის ნაყენით ან ნახარშით ჩირქოვანი ჭრილობის დამუშავება სწრაფ მოშუშებას ხელს უწყობს. ქინძი შესანიშნავი ტკივილგამაყუჩებელი და ანთების საწინააღმდეგო საშუალებაა.

### როგორ ვიმკურნალოთ

კოლიტის ან მეტეორიზმის (მუცლის შებერილობა) დროს რეკომენდებულია ქინძის ნაყენი: 1 სუფრის კოვზ დაქუცმაცებულ ბალახს 1 ჭიქა მდუღარე დაასხით, 1 საათი დადგით, გაწურეთ. 1/3 ჭიქა დღეში 3-ჯერ მიიღეთ. კურსი 7-10 დღე.

**შენიშვნა:** ქინძი უკუნაჩვენებია მიოკარდის ინფარქტის, გულის იშემიური დაავადების, თრომბოფლებიტის, შაქრიანი დიაბეტის დროს.

# იოდიზირებულ მარილს ცხელ კერძებში ნუ ჩაყრით



იოდის მიღება შეიძლება არამხოლოდ ვიტამინებით, ასევე საკვებიდან. რომელი პროდუქტია განსაკუთრებით მდიდარი?

ლიდერად ითვლება ზღვის კომბოსტო. იოდი ასევე ბევრია ზღვის პროდუქტებში, ზღვის თევზში. ეგზოტიკური ხილი ფეიხოა ბევრ იოდს შეიცავს და ზღვის პროდუქტების ზოგიერთ სახეობას მეტოქეობასაც კი უწევს.

მაგრამ იოდიზირებული მარილის გამოყენება ყოველთვის გამართლებული არ არის. მასში არსებული იოდის შენაერთები არამყარია და რამდენიმე თვის შემდეგ მათი შემცველობა მნიშვნელოვნად მცირდება. ასევე არ შეიძლება იოდიზირებული მარილის გამოყენება ცხელი კერძების მომზადებისას, ვინაიდან თერმული დამუშავების დროს იოდის 60% იკარგება. იოდიზირებული მარილი სალათებში და ცივ საუზმეულში დაუმატეთ.



# 10 ჯადოსნური პროდუქტი და მინუს 1,5 კილო

თუ ერთი კვირის განმავლობაში რაციონში მხოლოდ 10 პროდუქტით შემოიფარგლებით და გარკვეულ წესებს დაიცავთ, წონაში სწრაფი დაკლება გარანტირებული გექნებათ. დღეში შეგიძლიათ, არაუმეტეს 1,5 კგ საკვები მიიღოთ, მაგრამ რაციონში აუცილებლად ათივე პროდუქტი უნდა ჩართოთ, რომელთა კომბინირება და მომზადების წესი მთლიანად თქვენს გემოვნებაზეა დამოკიდებული.

დამატებით სიაში შეგიძლიათ ჩართოთ შემდეგი პროდუქტები: ხახვი, ნიორი, კამა, ოხრახუში, ლიმონის წვენი, თაფლი (დღეში 1 ჩ.კ.), მწვანე ჩაი, ზეითუნის ზეთი (დღეში 1 ს.კ.), შავი პური (დღეში 30 გ).

პროდუქტების სია კი ასე გამოიყურება:

1. ქათმის თეთრი ხორცი; 2. კვერცხი; 3. მაწონი ან კეფირი; 4. პომიდორი; 5. კიტრი; 6. ყაბაყი; 7. ყვავილოვანი ან ჩვეულებრივი კომბოსტო; 8. სოკო; 9. ვაშლი; 10. ბადრიჯანი.

თუ აღნიშნულ პროდუქტებს სათანადოდ გამოიყენებთ, შეგიძლიათ, დიეტა კვირაზე მეტხანს დაიცვათ. კვირაში დაახლოებით 1,5 კგ-ს დაიკლებთ.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძე

❖ ერთადერთი ცხოველი, რომელიც რქებით იბადება, ჟირაფია.

❖ ფიჭიან თაფლს გოლეული ჰქვია.

❖ დედამიწაზე მწერებს შორის ყველაზე მეტი ხოჭოა.

❖ სპილოს წონა ლურჯი ვეშაპის ენის წონაზე გაცილებით ნაკლებია.

❖ პინგვინი ერთადერთი ფრინველია, რომელსაც ცურვა შეუძლია, ფრენა — არა.

❖ ბრმა ქამელეონსაც კი შეუძლია იმ გარემოს ფერი მიიღოს, სადაც იმყოფება.

❖ სამეფო კობრას შახმი იმდენად ძლიერია, რომ მის 1 გრამს 150 ადამიანის მოკვლა შეუძლია.

❖ წყლის კუს, რომელსაც ადამიანზე 20-ჯერ პატარა ფილტვები აქვს, შეუძლია, წყლის ქვეშ 20-ჯერ დიდხანს გაძლოს.

❖ რუსეთის დედოფალმა ეკატერინე მეორემ ერთ-ერთ ულამაზეს ყვავილს — ვარდს „ასკილი მაღალი საზოგადოებიდან“ უწოდა.

## ეს იცოდით?

❖ ადამიანის ორგანიზმში ყველაფერი ერთმანეთთანაა დაკავშირებული. მაგალითად, როდესაც ადამიანი სახეზე წითლდება, სახესთან ერთად წითლდება მისი კუჭიც.

❖ მხოლოდ ადამიანს სძინავს ზურგზე.

❖ ადამიანების უმრავლესობა 7 წუთში იძინებს.

❖ ყველაზე სწრაფად შუა თითის ფრჩხილი იზრდება.

❖ ადამიანთა სახელებს ანთროპომონიკა შეისწავლის.

❖ კაცს უფრო ხშირად ასლოკინებს, ვიდრე ქალს.

❖ სტატისტიკურად ადამიანს ობობის უფრო ეშინია, ვიდრე სიკვდილის.

❖ გერმანიაში, ფაშისტური რეჟიმის დროს, ახალდაქორწინებულ წყვილებს გადასცემდნენ ადოლფ ჰიტლერის დაწერილ წიგნს „ჩემ ბრძოლა“ და ეს ტრადიცია გახლდათ.

❖ რომეო — ასე ეწოდებოდა გერმანიაში დაზვერვის მეთოდს, როდესაც ინფორმაციის მოპოვების მიზნით სახელმწიფოს მაღალჩინოსანთა მდივან ქალებს ლამაზი გარეგნობის მამაკაცი აგენტები ეარშიყებოდნენ.

❖ ამერიკის პრეზიდენმა ჯორჯ ვაშინგტონმა საკუთარი საპრეზიდენტო ინაუგურაცია თავად დააფინანსა. მას ამისათვის ფულის სესხებაც კი მოუხდა.

❖ ჰაერში ხმა 4-ჯერ უფრო ნელა ვრცელდება, ვიდრე წყალში.

❖ მემარჯვენეები ცაციებზე 9 წლით დიდხანს ცოცხლობენ.

❖ ინფექციური დაავადებებით ყველაზე იშვიათად ავსტრიაში კვდებიან.

❖ ლუდს მსოფლიოში ყველაზე გრძელი რეცეპტი აქვს.

❖ არკანზასის შტატში კაცს უფლება აქვს, სცემოს ცოლი, მაგრამ მხოლოდ თვეში ერთხელ.



Cyan Magenta Yellow Black

## ქართული ანეკდოტები



**— ადამ, გიყვარვარ? — ეკითხება ევა.**
**— სხვა გზა თუ მაქვს რამე, მითხარი.**

**— ვისიააა, ვისიააა, ქალი ლამაზიი! — გაჰყვირის ქორწილში გადამთვრალი ნეფე.**
**— მაგას ახლა არკვევ შენ, ბიძია? — ჩაილუღლუღა სტუმარმა.**



— რაც დღე გადის, ჩემი სიდედრი უფრო და უფრო მიყვარდება.
— როდიდან დაგეწყო ეს ამბავი?
— აგერ, ხვალ-ზეგ ორმოცს ვუხდით.

— დიახ... და მესამე კითხვა რა გაქვთ?

❖ ❖ ❖

თალიბების შტაბში გენერალი ხელქვეითს ეუბნება:
— ვიწყებთ შტატების ათი პროცენტით შემცირებას, რას იტყვით, საიდან დავიწყოთ?
— მე მგონი, ჯერჯერობით ტექსასი, ფლორიდა და ალაბამა...

❖ ❖ ❖

— ბრალდებულო, რატომ გადააგდეთ ცოლი გაქანებული მანქანიდან?
— სხვა გამოსავალი არ მქონდა, ბატონო მოსამართლევ. მან იმ დროს მომიშალა ნერვები, როცა გაჩერება აკრძალული იყო.

❖ ❖ ❖

გალეწილი მთვრალი ქუთაისელი ტელეფონის ჯიხურში შევიდა და შარდავს. მიადგა ვიღაც ქალი და უკაკუნებს:
— შე საზიზღარო, გამოდი, ახლავე გამოდი მაქედან!
— აუ, ბოდიში, დეიდა, არ ეწერა, ქალების ტუალეტი თუ იყო.

❖ ❖ ❖

— ბეშქენაძე, ამდენს რომ ტლიკინებ და არ მისმენ, გამოდი ჩემს ადგილზე და ლექცია წაიკითხე, თუ მაგარი ხარ, — ეუბნება ლექტორი სტუდენტს.
სტუდენტი ლექტორის ადგილზე დგება, ჩაახველებს და ამბობს:
— დიდი მადლობა ყურადღებისათვის. ლექცია დამთავრებულია!

❖ ❖ ❖

— თუ გინდათ, იცოცხლოთ, არ მოწიოთ, არ დალიოთ, ქალებში და კაზინოში არ იაროთ...
— აბა, რა ვქნა, ექიმო?
— უბრალოდ, დატკბით ცხოვრებით.

**აღელვებული ქალი ექიმს შესჩივის:**
**— ექიმო, ჩემი ბავშვი მთელი დღე წვრილი მილით საპნის ბუშტებს უშვებს და კვდება სიცილით.**
**— მერე რა, ბავშვებს უყვართ ეგეთი გართობები. ნუ ღელავთ, ქალბატონო.**
**— მე არ ვღელავ, მაგრამ მისი ცოლი ლამისაა, ჭკუიდან შეიშალოს. იქნებ თქვენც უთხრათ, რომ სანერვიულო არაფერია?!**



❖ ❖ ❖

— გეთაყვა, წვერი არ ამოგდის, რატომ?
— იმიტომ, რომ ქალი ვარ.
— რა უბედურებაა, თან ქალიც ხარ?!

❖ ❖ ❖

კლიენტი ადვოკატს ეკითხება:
— რამდენს იღებთ?
— ათას ლარს.
— ასე ბევრს?



**ნარკომანის კარზე ზარი რეკავს.**
**— რომელი ხარ, სიმონ?**
**— მე ვარ.**
**— ვაა, რანაირად ვარ მე?**

❖ ❖ ❖

ცოლი: ძვირფასო, მილიონი რომ მოიგო, აღარ გეყვარები?
ქმარი: კი მეყვარები, ჩემო კარგო, მაგრამ ძალიან მომენატრები.

❖ ❖ ❖

— დედამიწის ზურგზე ერთადერთი ადამიანი არსებობს, რომელიც გეუბნება, რომ აბსოლუტურად ჯანმრთელი ხარ და არაფერი გაწუხებს.
— და ვინაა ეს ადამიანი?
— კომისარიატის ექიმი.

❖ ❖ ❖

— თქვენმა ანალიზებმა აჩვენა, რომ სამი დღის სიცოცხლე გაქვთ დარჩენილი, — ურეკავს ექიმი პაციენტს.
— გმადლობთ, ექიმო, ამ სამ დღეში ბევრი რამის გაკეთებას მოვასწრებ.
— ვერაფერსაც ვერ მოასწრებთ. უკვე მესამე დღეა, თქვენთან დაკავშირებას ვცდილობ.

❖ ❖ ❖

ქმარი: ძვირფასო, რა კარგი სუნი აგდის.
ცოლი: შენ რომ ფული მაჩუქე სიმთვრალეში, იმით ფრანგული სუნამო ვიყიდე.
ქმარი: მე არაფერი მიჩუქებია.
ცოლი: მაჩუქე, მაჩუქე... აბა, ჯიბე შეამოწმე ერთი!

❖ ❖ ❖

— შვილო, მართალია, რომ ბოზ ზინასთან დადიხარ? — ეკითხება მამა შვილს.
— მართალია, მამი, მერე რა?
— არც არაფერი... შენს ასაკში რომ ვიყავი, მეც მაგასთან დავდიოდი.

❖ ❖ ❖

— გავეცანი თქვენს ანალიზებს... მდგომარეობა უიმედოა, — ეუბნება ექიმი პაციენტს.
— რატომ, ექიმო?
— თქვენი დაზღვევა ჩვენთან არ მოქმედებს.



**— რა არის ფეხბურთი?**
**— ფეხბურთი არის სპორტის სახეობა, რომლის დროსაც მამაკაცი არ სვამს, არ ეწევა და იკაჟებს ჯანმრთელობას. ათასობით მაყურებელი კი სვამს, ეწევა, ღრიალებს და აუნაზღაურებელ ზარალს აყენებს ამ ფეხბურთელის დედას.**

✓ შეკრიბა მურმან მერკვილიშვილმა, ქეთი ხარატიშვილის ნახატები


გაიადვილეთ საჭმლის მონელება
იქონიეთ მიიღეთ ეფექტური
კრეზამი
თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს
www.krezam.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.




Cyan Magenta Yellow Black

**კლოდ იზნერი**

# მკვლელობა ეიფელის კოშკზე

**დასაწყისი №24-30**



ეიფელის კოშკის მეორე სართულზე ორდარბაზიანი ბიბლიოთეკა მდებარეობდა. იქ შესულმა ვიქტორმა ენციკლოპედიაში თავჩარგული ანტონენ კლიუზელი შენიშნა, მაშინვე უკან გამობრუნდა, პირველ სართულზე დაეშვა და ხალხით გადაჭედილ რესტორანს მიაშურა.

ირგვლივ ყაყანი და სიცილი ისმოდა, ორკესტრი კი ოფენბახს უკრავდა.

ვიქტორს მეტრდოტელი მიუახლოვდა:

— მუსიე, თქვენ ჟურნალისტი ხართ? არა? ვწუხვარ, მაგრამ ეს რესტორანი პრესის წარმომადგენლების და მათი თანმხლები პირებისთვისაა დაჯავშნული.

— ვიქტორ! შენც აქ ხარ? — ეს მარიუს ბონე იყო, რომელსაც თან ედოქსი ალარი ახლდა.

ეს უკანასკნელი შავ თმას ისწორებდა და ვიქტორს პირდაპირ თვალებში უყურებდა.

— ჟორჟ, — მარიუსი მეტრდოტელს მიუბრუნდა, — კარგი იქნებოდა, ორკესტრიდან მოშორებით გვევახშმა.

— მაგაზე ადვილი არაფერია, — გაუღიმა მეტრდოტელმა, — მომყევით.

მან სამივე დარბაზის განაპირა მაგიდასთან მიიყვანა, დაბრძანდითო, უთხრა და ქათქათა სუფრაზე მენიუ დადო.

— ვიქტორ, რატომ არ ჯდები? — შეეკითხა ბონე.

— საქმე მაქვს. მეჩქარება.

„პასპარტუს“ დირექტორმა მეგობარი გვერდზე გაიყვანა.

— დარჩი, რა. ედოქსი ჩემს სტილში არ ჯდება, შენ კი, ეტყობა, თვალი დაგადგა და საერთოდ.

— მაპატიე. ერთს უნდა შევხვდე.

— ქერას თუ შავგვრემანს?

— კარგი. წავედი...

კარისკენ მიმავალმა ვიქტორმა ოსტროვსკის მოჰკრა თვალი, რომელსაც წინ მეტრდოტელი მიუძღვოდა. „ნეტავ, რა უნდა? ვის უნდა შეხვდეს? ტაშას ხომ არა?“ — გაიფიქრა ვიქტორმა, შეტრიალდა და გასასვლელს მიაშურა.

აფიშა იუწყებოდა:

„კაფე „ვოლპინი“
იმპრესიონისტები და სინთეთისტები
პრესის პავილიონის გვერდით.
პოლ გოგენი
და
სხვები და სხვები“

„მხოლოდ იქ თუ ვნახავ ტაშას“, — გაიფიქრა ვიქტორმა და ზემოხსენებული კაფესკენ გაემართა.

ბევრი სურათი გამოეფინათ, მათ შორის, ცხადია, შედევრებიც,. ვიქტორი, ნახატების პარალელურად, დამთვალიერებლებსაც აკვირდებოდა, იქნებ ტაშა შევნიშნოო, მაგრამ ამაოდ.

ყველაზე მეტად მნახველთა არაფრისმთქმელი კომენტარები აღიზიანებდა, ამიტომ ცენტრისკენ წაიწია, უაზრო რეპლიკები რომ არ გაეგონა.

— თქვენ ხართ? — მოესმა ანაზდად და შეტრიალდა: წვერიანი მხატვრის მკლავზე ტაშა ეკიდა და გაკვირვებით შესცქეროდა.

— მგონი.

— მორის, გაიცანი, მუსიე ლეგრი, წიგნებით მოვაჭრე და მოყვარული ფოტოგრაფი. მუსიე ლეგრი, ეს მორის ლომიეა, მხატვარი და გრავიორი.

ვიქტორმა ლომიეს მიმართ უეცარი ზიზღი იგრძნო — დაშა მას შენობით მიმართავდა, მაშასადამე, ახლა მეგობრობა აკავშირებდათ.

ტაშამ ანაზდად დანილოს მოჰკრა თვალი.

— ახლავე დავბრუნდები! თქვენ ისაუბრეთ! — თქვა და სწრაფად გაეცალა მათ.

ლომიემ ზიზღნარევი ტონით წარმოთქვა:

— წიგნების გამყიდველი ფოტოგრაფი! მუსიე, თქვენნაირები ქუჩაში არ ყრია.

ვიქტორმა თავაზიანობა ამჯობინა:

— მე ძირითადად ბიბლიოთეკებში ვარ და არა გალერეებში, ამიტომ მხატვრობაში ცუდად ვერკვევი. იქნებ ამიხსნათ, სინთეთიზმი რა არის?

— ბერტოლზე არაფერი გსმენიათ? არა? მან ორგანულ ქიმიაში სინთეზის ცდები ჩაატარა. დღეს უკვე დადგენილია, რომ ბუნებაში არსებული ნებისმიერი საგნის ხელახლა შექმნა შეიძლება. ამ აღმოჩენას ზოგიერთი მხატვრები იყენებენ, მათ შორის მეც, ანუ უახლესი ტექნოლოგიების დახმარებით არსებული რეალობის ხელახალ კომპონირებას ვახდენთ, მოკლედ, თავიდან ვქმნით.

— კი მაგრამ... სადაა სიახლე? ნოვატორობა? ასე ხომ ფერწერა ფოტოგრაფიის რანგში გადის!

— თქვენთან კამათს არ ვაპირებ. ყველა თავისი გზით მიდის, — კატეგორიულად განაცხადა წვეროსანმა, შეტრიალდა და წავიდა.

— ხომ არ იჩხუბეთ? — ეს ტაშა იყო.

— არა, მაგრამ...

— იკამათეთ?

— ჰო.

— რაზე?

— სინთეთიზმზე შევეკითხე და...

— გაინტერესებთ?

— არა, არა, უბრალოდ, ბარში ერთ რუს კოლექციონერს უნდა შევხვედროდი და... თქვენ ხომ არ იცნობთ?

ტაშას გაეცინა:

— პარიზი რუსებითაა სავსე. შემიძლია ყველას ვიცნობდე?

— არა, მაგრამ... უცნაური ტიპია. კოლექციებიც ორიგინალური აქვს, რარიტეტი, ანტიკვარიატი, მცენარეები...

— რა ჰქვია?

— კონსტანტინ ოსტროვსკი.

— მაგას ვინ არ იცნობს! ჩვენს სახელოსნოშიც ყოფილა ბევრჯერ. ლომიესგან რამდენიმე სურათიც იყიდა.

— თქვენგან?

— ოოო, მე ჯერ დამწყები ვარ და ჩემს ნამუშევრებს არც ვამჟღავნებ.

— „მაკბეტის“ ილუსტრაციები?

— ეს მხოლოდ ფულის საშოვნელად კეთდება.

— მაინც ვნახავდი სიამოვნებით. გუშინ კაფეში რომ ვიყავით, მერე იმუშავეთ?

— გვიანობამდე.

„რა ოსტატურად ცრუობს! თან რა აპლომბით“, — გაიფიქრა ვიქტორმა, ხმამაღლა კი თქვა, — რა უცნაური სუნამო გასხიათ!

— ჰო, იშვიათია. „ბენზოი“ ჰქვია ანუ ესენცია კუნძულ იავადან. „იავა, კუნძი, ბენზოი... მგონი, კუნძის ფლაკონსაც რაღაც ამგვარი ეწერა“.

— მაპატიეთ... უნდა წავიდე, — თქვა ტაშამ ხმადაბლა, — მუსიე ლეგრი, ჩემი „კაპრიჩოს“ არ დაგავიწყდეთ.

ტაშას წასვლამ ვიქტორს შვებაც კი მოჰგვარა, სამაგიეროდ, ეჭვი გაეზარდა რამდენჯერმე. „რა ჯანდაბა მინდა ამ დაწყევლილ კაფეში!“ — ის იყო, გაიფიქრა და გასასვლელისკენ გაემართა, რომ მხარზე ხელის დაკვრა იგრძნო:

— ბატონო! უკვე მიდიხართ? მაშინ მეც თქვენთან ერთად. მადმუაზელ ტაშა ჩემი მფარველი ანგელოზია. მისი წყალობით შეიძლება ოპერაში ვიმღერო. ხვალ მოსმენაა და, წესით, უნდა გამიმართლოს. მართლა, თქვენ საოპერო პარტიტურებსაც ყიდით?

— არა, მხოლოდ წიგნებს. ნებისიერ პარტიტურას, სანაპიროზე რომ ბუკინისტებია, იმათთან ნახავთ.

— მეორე დამხმარე მართლა არ გჭირდებათ? ისევ ტაშას წყალობით ბალზაკი, ფლობერი, ტოლსტოი, დოსტოევსკი გადაკითხული მაქვს. ეს ისტორიები სისხლითა და სიგიჟეებით არის სავსე! ისე, თქვენი მაღაზია სად არის?

— სენ-პერის ქუჩაზე.

— მოვალ, აუცილებლად მოვალ!

— ჰო, ჰო, — დაბნეულად მიუგო ვიქტორმა.

მათ ფრანგული სტილის პატარა ბაღი გაიარეს. ნაირფერი პროჟექტორები ალეგორიული ფიგურებით გარშემორტყმულ შადრევანს ანათებდნენ. კაცობრიობის შიშველი ფიგურის ირგვლივ ჩაფიქრებული ევროპა, საქმიანი ამერიკა, ვნებიანი აზია, დამჯერი აფრიკა და ველური ავსტრალია შემომსხდარიყვნენ. ამერიკის ბარძაყს ზანგი მოხუცი დაყრდნობოდა და მოსეირნეთ აკვირდებოდა.

— გამარჯობა, მუსიე ფოტოგრაფო, — მიესალმა ის ვიქტორს,



Cyan Magenta Yellow Black

— გახსოვართ?
— ჰო, ჰო... ლამბა...
— სამბა ლამბე ტიამი. თქვენ ჩემი გამოსახულებები გაქვთ?
— ჰო, სახლში. აუცილებლად მოგიტანთ. გაიცანით, ეს მუსიე დანილოა...
— დუკოვიჩი, ლირიკული ბარიტონი, — დაამატა სერბმა და თავის თათში სამბას ხელი მოიმწყვდია, — თქვენ რომელი ქვეყნიდან ხართ?
— სენეგალიდან, სენტ-ლუისში ვცხოვრობ.
— ოპერა თუ გაქვთ?
— ჩვენ გვაქვს გუბერნატორის რეზიდენცია, ყაზარმები, საავადმყოფო, ეკლესია, ორი სკოლა და ბევრი მაღაზია, ერთი... შეხედეთ, შეხედეთ! რა სილამაზეა!
მაღლა აიხედეს: ეიფელის კოშკიდან მონადენი შუქი ვეზუვის ამოფრქვევას ჩამოჰგავდა. აქა-იქ შეძახილები და აპლოდისმენტები გაისმა.
— ასულხართ? — იკითხა სამბამ, — მე გამბედაობა არ მეყო.
— მე ბევრჯერ, — წაიტრაბახა დანილომ, — პრივილეგია მაქვს, უფასოდ მიშვებენ. ერთხელ „ოქროს წიგნშიც“ მოვაწერე ხელი. იმათ, ვინც პუბლიკას რაღაცით გააკვირვებს, მედლებსაც ურიგებენ, არადა, მათი ყიდვა სულ იაფად ბულვარშიც შეიძლება.
— იგივე ყოფილა, რაც საპატიო ლეგიონი, — შენიშნა სამბამ, — თურმე მისი ყიდვაც...
— ჩუმად! — შესძახა დანილომ, — აქაურობა ჯაშუშებითა და პოლიციელებითაა სავსე!
— ჭკვიანურია, — დაეთანხმა სამბა, — სიმდიდრე ისევე იზიდავს ქურდებს, როგორც თაფლი ბუზებს, ბუზები კი დიდი პრობლემაა ჩემს ქვეყანაში.
— ჩვენთან კი ფუტკრები გახდა პრობლემა. იქნებ ნიჰილისტები და ანარქისტები განგებ წვრთნიან მკვლელ ფუტკრებს, ადამიანები რომ გაანადგურონ, — ივარაუდა დანილომ.
ვიქტორმა იგრძნო, ეს შტერი მომღერალი სულ უფრო მეტად რომ უშლიდა ნერვებს. „ნეტა, რა ნახა მასში ტაშამ?!“.
— მუსიე დუკოვიჩ, თქვენ გაუკუღმართებული დასკვნებისკენ ხართ მიდრეკილი, — ცივად ესროლა ვიქტორმა.
— მე ვიცი, რასაც ვამბობ და ვამბობ იმას, რაც ვიცი. თუმცა ზოგჯერ სატირადაც მთვლიდნენ, თანაც ვის? მე! ღრმა პატივისცემით რომ ვარ გამსჭვალული სუსტი სქესის მიმართ!
— სუსტი სქესი რა არის? — იკითხა სამბამ.
— ქალები, — მიუგო ვიქტორმა.
— ქალებია სუსტი? — შეიცხადა სენეგალელმა, — შეიძლება თქვენთანაა ასე, ჩვენთან კი ისე მძიმე ტვირთს მიათრევენ, ჯორიც რომ ვერ ზიდავს.
— ნახვამდის, ბატონებო, — სწრაფად თქვა ვიქტორმა და სწრაფადვე გაეცალა მოლაყბეებს.

იენსის ხიდს რომ მიუახლოვდა, ვიქტორს ჯერ მატარებლის საყვირის ხმა მოესმა, მერე კი მატარებელმაც ჩაუქროლა. ანაზდად შედგა. ყოზეფის ნაჩვენები სტატია გაახსენდა, მკვლელ ფუტკრებს რომ ეხებოდა. ბატინიოლის ვაგზალი... რა ერქვა გარდაცვლილს? მერგენი? მარენგო? არა, არა, მერენგა, ჟან მერენგა.

ვიქტორ ლეგრიმ სასურველ მისამართს ძლივს მიაგნო, გრძელი, ჭუჭყიანი დერეფანი გაიარა, მერე ეზოში რომ გადიოდა და ქალის ბოხმა ხმამ შეაჩერა:
— აქ რა დაგკარგვიათ?
მაღალ, ზორბა ქალს ხელში გრძელი ცოცხი ეკავა, რომელსაც, დაგვის გარდა, აშკარად სხვა დანიშნულებაც ჰქონდა.
— მუსიე ჟან მერენგასთან ვარ...
— მაშინ სასაფლაოზე უნდა გეძებნათ!
— მოკვდა?
— და დასაფლავდა კიდეც. მისგან რა გინდოდათ?
— ჟურნალისტი ვარ. რაღაცა უნდა მეკითხა.
— დაგაგვიანდათ, მაგრამ არა უშავს. შეგიძლიათ ბებერ კაპიუსს დაელაპარაკოთ. ისინი ერთ ოთახში ცხოვრობდნენ. ჟანმა ფეხები გაფშიკა, ეს კი საღსალამათია. არადა ჯობდა, პირიქით მომხდარიყო.
— რატომ?



— ანგელოზი არც ის იყო, ამან კი თავისი ექსპერიმენტებით აგვაქოთა. პატარ-პატარა ცხოველებს ხორცის ნაჭრებით იტყუებს, მერე კი ატყავებს! წარმოგიდგენიათ? მეშინია, ჩემი მაკ-მაგონიც ხომ არ შეიტყუა. მაკ-მაგონ! მაკ-მაგონ! — მოჰყვა ქალი ღრიალს, როგორც ჩანს, ამ ჯურღმულების დიასახლისი.
— და... ეს მუსიე კაპიუსი სად ცხოვრობს?
— ეზოში რომ გახვალთ, მარჯვნივ მესამე კარი. მაკ-მაგონ! მაკ-მაგონ!
ვიქტორი ეზოში გავიდა და მინიშნებულ კარზე დააკაკუნა.
— ღიაა! — მოისმა შიგნიდან.
ოთახში ალკოჰოლისა და კარბოლმჟავას სუნი იდგა, ირგვლივ კი ათასგვარი ნივთი ერთმანეთში იყო არეული, რომელთა შორისაც კაცისა თუ თაგვის რამდენიმე ჩონჩხი გამოირჩეოდა.
— რა გინდათ? — შეეკითხა საქმით გართული მოხუცი ისე, თავი არც აუწევია და ხელით ტაბურეტზე მიანიშნა.
ვიქტორი დაჯდა და კედლის თაროს დააკვირდა, სადაც მუქსითხიან ქილებში მწვანე და ყვითელი არსებები შენიშნა.
— თქვენც კოლექციონერი ხართ? — დაინტერესდა „მეცნიერი“, — ახლა მხოლოდ რამდენიმე ეგზოტიკური პეპლის საშუალება მაქვს. შეგიძლიათ შეგვეთა დატოვოთ.
— მაგისთვის არ მოვსულვარ.
— მაშ, რისთვის?
— თქვენ, როგორც ვხედავ, ამ პატარ-პატარა ცხოველებში კარგად ერკვევით და შეიძლება ზოგ პროფესორსაც ჯობდეთ.
— გმადლობთ, ქათინაური მიღებულია.
— თქვენ ისიც გაგონილი გექნებათ, ეიფელის კოშკზე ადამიანები ფუტკრის ნაკბენისგან რომ მოკვდნენ. როგორ გგონიათ, ამგვარი რამ შესაძლებელია?
— გამორიცხულია! მერენგასაც იგივე მიაკერეს, მე კი ვინ დამიჯერა?
— მერენგა ვინ არის?
— ჩემი მეგობარი და კომპანიონი. ერთად ვცხოვრობდით და როცა რამეს ვიშოვიდით, თანაბრად ვიყოფდით.
— აქედან გადავიდა?
— არა, მოკვდა, რასაც თავად შევესწარი. როცა პოლიციაში დამიბარეს და ვუთხარი, ეს ბუნებრივი სიკვდილი არ იყო-მეთქი, სიცილი დამაყარეს. ყველამ თქვა, ფუტკრის ნაკბენმა იმსხვერპლა, შენ კი რას მიედ-მოედებიო.
კაპიუსი დაიხარა, წითელი ღვინის ბოთლი ამოიღო და ორი ჭიქა შეავსო:
— ჟანის მოსაგონარი დავლიოთ... ჩვენც გაგვიმარჯოს... ღმერთს ვფიცავარ, ფუტკარი აქ არაფერ შუაშია.
— დარწმუნებული ხართ? — ვიქტორმა ბლოკნოტი და ფანქარი მოიმარჯვა.
— რომელი გაზეთისთვის წერთ?
— „პასპარტუსათვის“.
— ჟურნალისტები ნათქვამს ამახინჯებენ ხოლმე. იმედია, თქვენ ამას არ იზამთ.
— შევეცდები.
— მოკლედ, იმ დღეს დეპოსკენ ჭრიჭინების შესაგროვებლად წავედით. მან კალათა ჩემზე ადრე გაავსო და ადრევე წავიდა, ბუფალო ბილის ჩამოსვლისთვის რომ ეყურებინა. მერე მეც გავყევი და რას ვხედავ: ჟანი რელსებშუა გდია და არ ინძრევა. მან მხოლოდ „ფუტკარი“ დაიჩურჩულა და სული განუტევა. მე მაშინვე ნესტარი მოვძებნე, მაგრამ არსად იყო. ასევე ვერ ვიპოვე ფუტკარიც, რომელმაც თითქოს უკბინა. მერე ჟანის ნაკბენ ადგილს დავაკვირდი და მივხვდი, ეს რომ ფუტკრის ნაკბენს არ ჰგავდა. არადა, ნაჩხვლეტი კი ეტყობოდა. ეს ჩემი პროფესიაა და, მგონი, დამეჯერება, — მან ახალი ჭიქა გამოსცალა, — საბრალო კაცი. ვის უნდა მოეკლა? რატომ?
— მტრები თუ ჰყავდა?
— ეს აღარ ვიცი. ისე კი, ვერ ვხვდები, რა მტერი უნდა ჰყავდეს მეძველმანეს.
— ჰო, ძნელი სავარაუდოა, — დაეთანხმა ვიქტორი და წამოდგა, — კარგი, ახლა წავალ. დიდი მადლობა, მუსიე კაპიუს.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

*თარგმნა გურამ ხხეტიანმა, ქეთო ხარატიშვილის ნახატი*



Cyan Magenta Yellow Black

თინათინ ბონი

# ოცნების ძიებაში

www.facebook.com/Tinatinbonney

## პირველი თავი

კაი ხანია მღვიძავს. ჩემი თავისუფლების პირველი დილაა და ცოტა დაბნეული ვარ. მე და გივი შვიდი წელი ვიყავით ცოლ-ქმარი. გუშინ ჩვენს ოჯახს კი უკვე დოკუმენტურადაც ჩამოართვეს ეს წოდება. აიპოდს ვიღებ და ყურთსასმენებს ვიკეთებ. „Keep smoking“ მახსენებს, რომ ბედნიერი უნდა ვიყო. ვარ, უბრალოდ ცოტა დაგრუზული. თვითონაც არ ვიცი, შვიდი წელი რატომ ვუყურებდი ამ გამოსირებულს. მამაჩემი გარდაიცვალა, როცა 4 წლის ვიყავი და ალბათ ეს დანაკლისი ასაკით უფროსი ქმრით ავინაზღაურე. ამ უცხო ქვეყანაშიც გადმოვიხვეწე და ახალი ცხოვრება დავიწყე.

ხუთი წელია, რაც ამერიკაში ვცხოვრობთ. ფინანსურად კარგად იყო და არც არაფერს იკლებდა, მათ შორის, არც ქალებს. მე კი, სრული დებილი, ეს წლები არავისკენ ვიხედებოდი. ჩემთვის პირველი კაცი ჩემი ქმარი იყო და ალბათ უკანასკნელიც იქნებოდა, ჩემს საწოლში რომ არ შემესწრო ორ ჩინელ ქალთან. ღალატს ამერიკაში სერიოზულად უყურებენ და ამიტომაც მისი ქონების ნახევარი მერგო. შეიძლება ითქვას, არ მიჭირს. უბრალოდ გულდაწყვეტილი ვარ, რომ 32 წლის ასაკში ოჯახი დამენგრა. ბავშვიც კი არ მყავს. კიდევ კარგი, დედაჩემი მედგა გვერდში. ძალიან დამეხმარა ამ სირთულეების გადალახვაში. მამაჩემის გარდაცვალების შემდეგ აღარ გათხოვილა, პრაქტიკულად ჩემი ცხოვრებით ცხოვრობდა და როდესაც ჩემი ქმრისგან ეს დარტყმა მივიღე, საცხოვრებლად ამერიკაში გადმოვიდა. იტანდა ჩემს ისტერიკებს, ჩვენს ჩხუბებს, ადვოკატებს. მისი დამსახურებაა, რომ საღ გონებაზე ვარ საერთოდ.

ავდგები ახლა და ვისაუზმებ აივანზე.

ჩემი აივნიდან შეუდარებელი ხედია პირდაპირ ოკეანეზე. საერთოდ, თამამი ქალი ვარ და ჩემი პრინციპები რომ არა, ახლა კარგი საყვარელი მეყოლებოდა. თუმცა დღეიდან შემიძლია „დეითინგს“ დავუბრუნდე. იმედია, ეს შეგრძნებაც, რაღაცნაირი მარტოობის, დროთა განმავლობაში გაქრება. მე ხომ მშვენიერი გარეგნობის ვარ. ჩემი თავი ძალიანაც მიყვარს. გივიმ ჯერ არ იცის, რა დაკარგა. ვერც იმას დავიჯერებ, რომ მისი ქალებიდან რომელიმე საწოლში მჯობდა. უბრალოდ მისთვის ერთი ქალი საკმარისი არ იყო. ნუ, რას ვიზამთ, მაგიტომაც ვარ ახლა თავისუფალი და შეძლებული.

— არ დგები? — დედაჩემი ოთახში იხედება.

— კი, ვდგები.

— აივანზე გაშლილია, მე გავდივარ.

— სად მიდიხარ?

— დღეს თბილისში მივფრინავ, დედიკო, დაგავიწყდა?

— უი, ხო. ისე, რას დადიხარ ამ თბილისში წარამარა?

— შვილო, ხომ იცი, როგორ მიყვარხარ, მაგრამ იქ არის ჩემი სახლი. იქ არიან ჩემი ნათესავები და მეგობრები...

— ხო, კარგი, წადი, დედა, წადი, — ვდგები საწოლიდან.

— ნუ მიბრაზდები.

— არ გიბრაზდები, როგორ იცი ხოლმე, რა.

დედაჩემი გადის. კი, ზოგჯერ უკმეხი ვარ, მაგრამ ეს ჩემდაუნებურად ხდება. გადაღლილი ვარ. შევდივარ სააბაზანოში და კბილებს ვიხეხავ. სულ ამოშავებული მაქვს თვალები. მისახედია ეს ყველაფერი. ვივლებ შხაპს, ვიცვამ ხალათს და გავდივარ აივანზე. თბილი ამინდია. ვჯდები და დედაჩემის გამომცხვარ ხაჭაპურს მივირთმევ. სულ მანებივრებს. მე კიდევ უმადური შვილი ვარ, შევჭამე ჩემი პრობლემებით. ფორთოხლის წვენს ვწრუპავ და ვათვალიერებ, რა ხდება სანაპიროზე. სერფერები, ოჯახები, წყვილები, ძაღლიანები, ყველანი ადგილზე არიან. ერთ-ერთი სერფერი მამჩნევს და მიყურებს. ვიცი ეს ბიჭი, ასე მიყურებს უკვე რამდენიმე თვეა. ალბათ 25 წლამდეც არ იქნება. ქერა, დაკუნთული, სლიკინა გულმკერდით. რა კონტრასტია ჩემი შავ-შავი, თმიანი გივის მერე. სერფერი დაფას ქვიშაში აფლობს და ჩემკენ მოემართება. ნეტა, თუ რამე საქმე აქვს ამ მიმართულებით? წყნარად ვსვამ წვენს. მიახლოვდება და ხელს მიქნევს. აივნიდან ოდნავ ვიწევი.

— Hey, — მესალმება.

— Hey, — ვესალმები მეც.

— Come to Surfers' bar tonight at 10, — სერფერების ბარში მპატიჟებს საღამოს.

— I will, — თანხმობას ვაძლევ და კმაყოფილი მტოვებს.

ეს ზუსტად ის გასართობია, რაც ახლა მჭირდება. მე, ჩემი ქმრის გარდა, ერთი მეზობლის ბიჭისთვის მაქვს ნაკოცნი, ისიც 22 წლის ასაკში. კოცნაც არ იყო, ტუჩები შევახეთ და დავიშალეთ. იმის მერე ტელეფონსაც არ ვიღებდი. აი, დღეს გავერთობი ბოლომდე. ვკბეჩ ხაჭაპურს და ვტკბები ჩემი სერფერის სხეულით. ისე ერთზე კი მწყდება გული, რომ ჩემი პირველი კოცნა ზურა არ იყო. ბანაკში გავიცანი, 15 წლის ვიყავი, ის მეჩვიდმეტეში იყო. ორი თვე გავატარეთ ერთად. ერთმანეთზე ჭკუა გვეკეტებოდა, მაგრამ რატომღაც მეგობრული გვეჭირა ორივეს. ერთად ვიყავით სულ. საოცრად ვუგებდით ერთმანეთს. ბანაკიდან რომ დავბრუნდი, ვაპირებდი მასთან დარეკვას, მაგრამ არ დავრეკე. თვითონაც ხომ არ დარეკა! მე სწავლაში გადავვარდი, მოსამზადებელი პერიოდი იყო. მერე უნივერსიტეტი და თაყვანისმცემლები, რომლებიც დისტანციაზე მყავდა. ჩემი შესაფერისი ხომ არავინ იყო... მერე კი გივი და ქორწინება. მთავარია, რომ ახლა თავისუფალი ვარ და შემიძლია, ცხოვრებით დავტკბე.

ვდგები და შევდივარ სახლში. ვრთავ მუსიკას. ჩემი ბავშვობის მიქსია. დღემდე ვუსმენ, როცა რამის გაფუჭების ხასიათზე ვარ. რა ჩავიცვა დღეს საღამოს? ვაღებ კარადას. ძალიან ბევრი ტანსაცმელი მაქვს. ვიღებ თეთრ სარაფანს. ამას ჩავიცვამ. გარუჯული როცა ვარ, ყოველთვის მიხდება. ფეხზეც თეთრი სანდლები. თმას გავიშლი და გავიჩეჩავ. ვნებიანი მინდა, ვიყო. საცვლებიც უნდა შევარჩიო. წითლები მაქმანებით. აი, ახლა ყველაფერი იდეალურია. ვალაგებ ყველაფერს საწოლზე. რაღაც მიჭერს ყელში. თითქოს ყველაფერი მაქვს და ამ დროს არც არაფერი. გავდივარ სამზარეულოში და ვაღებ ჭურჭლის კარადას. ვიღებ დიდ თეფშს. ამაზე უყვარდა გივის სენდვიჩების დაწყობა. ერთი მოქნევით ვახეთქებ იატაკზე. თეფშის ნამსხვრევები მთელ სამზარეულოში იფანტება. ვიღებ ჩაის ჭიქას. ეს გივის დედამისმა აჩუქა და თბილისიდან ვათრიეთ. ერთი მოქნევით იმასაც ვამსხვრევ. თითქოს უკეთ უნდა ვიგრძნო თავი, მაგრამ უარესად ვარ. იატაკზე ვჯდები და ცრემლები მომდის.

— ვერ გიტან! — ვყვირი.

ვახერხებ ნერვების მოთოკვას და ვდგები იატაკიდან. მე არ დავიშლები, მე გავუძლებ. ვიღებ ცოცხს და აქანდაზს და იატაკს ვგვი. ჩემს სახლს არეულობა არ უხდება.

შევდივარ სერფერების ბარში. ჩემი ბიჭი არსად ჩანს. მივდივარ ბარმენთან და ტეკილას ვუკვეთავ. მისხამს და თვალს მიკრავს. არა, გმადლობთ, ბარმენთან ფლირტი ნაკლებად მჭირდება. ვცლი ტეკილას და ლიმონს ვაყოლებ. მეორეს ვითხოვ და მისხამს, უკვე თვალის ჩაკვრის გარეშე. მეორესაც ვცლი. ვითხოვ მესამეს. მამაკაცის ხელს ვგრძნობ წელზე. ჩემი სერფერი ბიჭი ადგილზეა. რატომღაც დიონისეს მაგონებს. აცვია მწვანე უმკლავო მაისური და შორტი. სწრაფად ვცლი მესამე ტეკილას და საცეკვაოდ მივყვები. „Good Or Bad (Satin Jackets remix) - BB & Blake“ უკრავს. შევთვერი. დიონისე, რომლის ნამდვილი სახელი არც კი მიკითხავს, მაბზრიალებს და მეც ვჭიხვინებ. ნეტა, რამდენი წლის არის? ჩემზე ბევრად პატარაა აშკარად. ბზრიალ-ბზრიალში დიონისე მკოცნის. ჰმმ.. კარგია. ტკივილი ყუჩდება. მივდივართ ბარმენთან და კიდევ ვუკვეთავთ ტეკილებს. დიონისეს გადახდა სურს, მაგრამ მე ამის უფლებას არ ვაძლევ. დღეს მე ვიხდი იმიტომ, რომ მე შემიძლია! ტეკილების კიდევ ერთი რაუნდი და კარგად ვარ. ახლა მე ვკოცნი დიონისეს და მაგრად მკიდია ყველაფერი. ხელს ვკიდებ და მიმყავს.

ფეხით მივუყვებით სანაპიროს. რაღაცეებს ხუმრობს და ისტერიკულად ვიცინი. ჩემს სახლს ვუახლოვდებით. ვაღებ კარს და დიონისე მორჩილად მომყვება. ვიხდი სანდლებს და ფეხშიშველი საძინებლისკენ მივდივარ. ამ საძინებელში მე და გივის წლები გვაქვს გატარებული, მაგრამ შესაძლებელია გივის ქალები ხშირად სტუმრობდნენ აქ, როდესაც მე გამაჯანსაღებელ პროცედურებზე მიშვებდა. თავში ყველაფერი ირევა. დიონისე მაისურს იხდის და იატაკზე აგდებს. ვეხეთქები საწოლზე და ჩემ გვერდით ვარტყამ ხელს, რომ დიონისეც შემომიერთდეს.

დიონისეს სძინავს. მე ვწევარ და ყველაფერი ტრიალებს. მე ეს გავაკეთე. უაზრო, არასაჭირო, უემოციო სექსი მქონდა. კარგი იყო. თანაც დავრწმუნდი, რომ გივი დიდად ნიჭიერი არ ყოფილა. ვდგები და სააბაზანოში გავდივარ. თავბრუ მეხვევა. ვავსებ აბაზანას გრილი წყლით და შიგნით ვწვები. მე ფულიანი, კაი ვიდზე ნაშა ვარ! საძინებელში კალმით ნახატი ბიჭი მიწევს და არავის წინაშე არ ვაგებ პასუხს. თვალები მეხუჭება.

გაყინული ვიღვიძებ. წყალი გაცივდა. გადმოვდივარ და ვიმშრალებ სხეულს. ვიხედები სარკეში.

— ალექსანდრა, შენ ყველაფერს შეძლებ! შენ არ გჭირდება არც გივი და არც სხვა კაცი იმისათვის, რომ იყო ბედნიერი. კაცები გინდა მხოლოდ გართობისთვის, — ვკოცნი ჩემს გამოსახულებას სარკეში. ვთიშავ შუქს და საძინებელში გავდივარ. შიშველ დიონისეს ძალიან საყვარლად სძინავს. ვწვები და ვიძინებ.

მაღვიძებს დიონისეს ფხაკური. შარვალს ეძებს. არ ვინძრევი. არ მინდა გაიგოს, რომ მღვიძავს. ძლივს იცვამს. მიახლოვდება, ბეჭზე მკოცნის და ჩუმად მიდის. შვებით ვსუნთქავ. ფხიზელზე არცთუ ისე საამაყოა ჩემი საქციელი. ცოტა გულიც მერევა და ნაცემივით ვარ. ვდგები საწოლიდან და გავდივარ აივანზე. რაღაც მაინც შეიცვალა ჩემში. მე სიყვარულის არსებობის აღარ მჯერა. დღეს გავალ მასაჟზე, მერე სალონში, მერე გავცურავ და მერე.. მერე გამოჩნდება რამე.

დაქანცული ვწევარ. ყველგან ვიყავი, სადაც შემეძლო. ხასიათი მქონდა ისეთი, გეგონება, ნობელის პრემია გადმომცეს, მაგრამ მოსაღამოვდა და ეს ხრაშუნა შეგრძნება დაბრუნდა. ვრთავ ლეპტოპს. შევიჭყიტები სკაიპში. ნინია არ ანთია, სამაგიეროდ სვეტას ღვიძავს. ვურეკავ.

— გოგოოო, შენ ცოცხალი ხარ? — მიყვირის სკაიპის ფანჯრიდან. თმა გაწეწილი აქვს და სახეზე ნიღაბი უსვია.





Cyan Magenta Yellow Black

— გოგო, კი. თქვენ რას შვრებით?
— რას ვიზამთ? მივყარე ბავშვები. ნიკო მივლინებაში. ვზივარ აგერ და ველაპარაკები ვიღაცეებს.
— ვერ ისვენებ, მოკლედ.
— ვაიმე, ვინმეს ხომ უნდა ველაპარაკო? ნიკო სახლში როცაა, მაშინაც არ მელაპარაკება, — სიგარეტს უკიდებს.
— ნინია რას შვრება?
— ნინიაც არის, რა. სამსახური დაკარგა და ცოტა დეპრესიაშია.
— კაი, არ ვიცოდი, — ვიღუშები.
— ხომ იცი, რა ტიპია, არ მოგახვევს თავის პრობლემებს.
— მერე, რას აპირებენ?
— არ ვიცი. კრედიტი, თან ეს ბიძამისი ჩავარდნილი. მოკლედ, ცუდ ამბებშია.
— როგორ არ დამირეკა, რა! მოსაკლავია.
— დაგირეკავს, სად წავა.
— ეგ გოგო ასე პირადი ცხოვრებისთვის ვერასდროს მოიცლის.
— რა ვუყოთ მერე? ქალიშვილი მოკვდები-მეთქი, ვეუბნები, მაგრამ არ მისმენს.
— პრინციპში, რა ქნას.
— რა და მონახოს ვინმე. ოცდაათს რომ გადასცდები, იქ უკვე რთულდება ამბები, ეგ კი ჩვენზე ორი წლით უფროსია.
— ფულს მაინც მივცემ, გოგო.
— არ გამოგართმევს, ხომ იცი.
— დედაჩემს მივუგზავნი და მოაგვარებს, ხომ იცი, ლილი რა მასტია.
— საითაა ლილი?
— მაქეთ. უკვე კი უნდა ჩამოფრენილიყო. დროში ავირიე ცოტა.
— კაი, შენ ის მითხარი, როგორ ხარ განქორწინების მერე?
— მოგატყუებ, რომ გითხრა, კარგად ვარ-მეთქი, მაგრამ სისულელე ჩავიდინე გუშინ და ცოტა მომეშვა.
— რა ქენი? — სვეტა მეორე სიგარეტს უკიდებს.



— პატარა ბიჭი გავიცანი და ჩემთან დარჩა გუშინ.
— მერე?
— ნუ, მერე რა, გივის იქით არავინ მყოლია და ამიტომაც... ძალიან მაგარი იყო!
— აუუ, მაგარი ხარ შენ, რა! ეგ გივი საერთოდ რა ფენომენი გამოდგა, რა.
— კაი, არ მინდა მაგაზე, მთავარია, ახლა თავისუფალი ვარ.
— გოგო, ბავშვი ტირის, — სვეტა მითიშავს.

ვხურავ ლეპტოპს. რა გავაკეთო? აქაურ მეგობრებს შევუარო? რამე ხომ უნდა გავაკეთო? ვდგები საწოლიდან, ვივლებ შხაპს, ვიცვამ სარაფანს და „ფლიპფლოპებს“, ოკეანესთან ჩავდივარ. ძალიან მშვიდი და ლამაზი საღამოა. ვსეირნობ წყალთან. დიონისე მამჩნევს და კილომეტრიდან მორბის ჩემკენ. არ მინდა, რა, ეს მიჯაჭვულობა! ვაიგნორებ და სხვა მიმართულებით მივდივარ. გულდაწყვეტილი უბრუნდება თავის მეგობრებს. მივდივარ სახლისკენ, ვჯდები მანქანაში და ჩემი მეგობრის, მელანის სახლში ვაპირებ წასვლას. საერთოდ ვურეკავ ხოლმე, მაგრამ ახლა მინდა, დავადგე ისე. გაუხარდება, ვიცი. მაგრად მიგებს და გვერდში მიდგას. სასმელი ექნება, დავლევთ და საერთოდ მასთან დავრჩები, თუ რამეა.

გზას საათს ვუნდები. ამერიკის მასშტაბებისთვის საკმაოდ ახლოს ცხოვრობს ჩემგან. ვაჩერებ მანქანას და გადავდივარ. სახლში შუქი ანთია და მუსიკაც უკრავს. საერთოდ მაგარია, თუ „სასტავი“ ჰყავს. უფრო გავერთობით. ვაკაკუნებ კარზე, მაგრამ არავინ მიღებს. ვრეკავ ზარს. მუსიკის ფონზე არ ესმით, ეტყობა. წრეს ვარტყამ სახლს და ეზოში შევდივარ. უკანა კარი ღიაა. ვაღებ და ვეძახი მელანის, მაგრამ ხმას არავინ მცემს. შევდივარ სახლში. პირველ სართულზე არავინაა. ნეტა, კაცი ხომ არ ჰყავს? მაგრამ არავის ხვდებოდა ბოლო ერთი წელიწადი და რა ვიცი. ცუდად ხომ არაა? ავდივარ კიბეზე. ლამაზი სახლი აქვს. კედლებზე სულ მისი ფოტოებია. ვუახლოვდები საძინებლის კარს და რაღაც მიჭერს ყელში. რატომ ვარ ცუდად? მოდი, ჯობია, წავიდე. კიბისკენ ვტრიალდები, რომ წავიდე. ამ დროს საძინებლის კარი იღება და გამოდის აბრეშუმის ხალათში გამოწყობილი გივი. სიმწრისგან თვალებში მიბნელდება. ჩემს დანახვაზე ხელიდან ბოკალი უვარდება. რბილი იატაკია და ბოკალი ჩუმად ეცემა იატაკზე, შამპანური კი მომენტალურად ლაქას ტოვებს. ვიცი, რაც ხდება, მაგრამ არ მინდა, რომ დავიჯერო. არ ვიცი, რა მემართება, მაგრამ იატაკიდან ვიღებ ჟურნალს და მთელი ძალით ვერტყამ გივის სახეში. ბარბაცით ოთახში შედის, მე კი წყნარად მივდივარ.

ვჯდები მანქანაში და მივქრივარ. მიმართლებს, რომ პოლიცია არ მაჩერებს. ვატყობ, რომ ცუდად ვხდები. ჰაერი აღარ მყოფნის. ძალიან ცუდად ვარ. მეზიზღება ყველა და ყველაფერი! ვაჩერებ მანქანას სადგომში და სანაპიროსკენ ვიხედები. დიონისე კოცონთან ზის, მეგობრების გარემოცვაში. მივდივარ მისკენ. გაოცებული მიყურებს. ხელით ვანიშნებ, რომ გამომყვეს. უხმოდ მემორჩილება. შევდივართ სახლში. ვასხამ ორ ჭიქა ღვინოს და ერთს დიონისეს ვაწვდი. საყვარლად წრუპავს. ჯიბეში ვიყოფ ხელს და სამას დოლარს ვიღებ. დიონისეს ვუწვდი. ვერ ხვდება, რა მინდა.
— I want you to take it, — ვეუბნები, რომ ფული გამომართვას.
— Why? — ვერ იგებს, რა ხდება.
— Because, tonight I wish to pay for sex, — ვეუბნები, რომ დღეს მინდა, სექსში ფული გადავიხადო.

გაოგნებული მართმევს სამას დოლარს და შორტის უკანა ჯიბეში იდებს. უეცრად ცინიკური გამომეტყველება უხდება. ეს მისთვისაც პირველი შემთხვევაა, რომ ფულს უხდიან სექსში.
— How do I please you? — მზად არის, ყველაფერი გააკეთოს.
— On the floor, now! — იატაკზე დაშვებას ვუბრძანებ.

სწრაფად იხდის ტანსაცმელს და იატაკზე წვება. მის თავთან ვდგავარ კმაყოფილი. ხელში წითელი ღვინით სავსე ბოკალი მიჭირავს. ოდნავ ვხრი ბოკალს და მის შეუდარებელ, დაკუნთულ მკერდზე წითელი წვეთები ეწვეთება. ბოკალს ვცლი და იატაკზე ვამსხვრევ. დიონისე ურეაქციოა. მიხვდა, ეტყობა, რომ ვერ ვარ „მატორზე“, მაგრამ სახე უდაოდ კმაყოფილი აქვს. ვიხდი სარაფანს, იატაკზე ვაგდებ და დიონისეს სხეულზე ვეშვები.

მთელი სახლი არეულია. ბოლო გაჩერება საძინებელი იყო. დიონისეს მოკუნტულს სძინავს. მეც ვცდილობ, რომ დავიძინო. ვითიშები.

ვდგავარ მაღალი კორპუსის წინ. ბნელა. რა მინდა აქ? ფეხზე არ მაცვია და მცივა. ახლა ბოლო სართულზე ვარ. არავინაა. ვის ვეძებ? კოცონი. ქარია და ფოთლების შრიალი მესმის.
— ალექსანდრა, — მესმის მამაკაცის ხმა.

ვტრიალდები, მაგრამ არავინაა. საქართველოში ვარ? დენი არ არის? მამაკაცი მიახლოვდება, მაგრამ მის სახეს ვერ ვხედავ.
— როგორ მომენატრე, — მეუბნება.
— ზურა? — ვამბობ გაოცებული.
— რატომ არ დამირეკე? — მეკითხება მოწყენილი.
— არ ვიცი, მინდოდა, ძალიან მინდოდა.
— ნეტა, დაგერეკა.
— შენ რატომ არ დამირეკე?
— იმიტომ, რომ მე მოვკვდი!

ცივ ოფლში მეღვიძება. ეს რა იყო? გული მაქვს ამოვარდნაზე. თითქოს ბავშვობაში დავბრუნდი. ძალიან მინდა ზურასთან. რა მემართება? ეს ემოცია იმ წლების მერე აღარც მიგრძვნია. ვხტები საწოლიდან და სამზარეულოში გავრბივარ. უჯრაში ერთ ღერ სიგარეტს ვპოულობ და აკანკალებული ხელით ვუკიდებ. რა ვქნა? უნდა ვიპოვო. უნდა გავიგო, რას შვრება. ნეტა როგორია? ნეტა ვახსოვარ? დავდივარ წრეზე და ხველებით ვეწევი. ვიღებ ტელეფონს და ვურეკავ დედაჩემს.
— შვილო, რატომ არ გძინავს? — მეკითხება შეწუხებული.
— სახლში ხარ?
— კი.
— ჩემს ყოფილ ოთახში რომ ტუმბო დგას, ზედა უჯრაში უნდა იდოს ჩემი ძველი დღიური, მიდი, აბა, ნახე.

ველოდები გულის კანკალით.
— კი, დევს.
— გადაშალე ბოლო გვერდზე.
— გადავშალე.
— წერია ვინმე ზურას ნომერი?
— შვილო, კარგად ხარ?
— დედა!
— კი, წერია.

დედაჩემი ნომერს მკარნახობს და ხელსახოცზე ვიწერ.
— კაი, დე, წავედი.

ვუკიდებ და ნომერს ვაშტერდები. ან ახლა, ან არასდროს! და რომ ვერ გამიხსენოს? ან საერთოდ, რა ვუთხრა? გამარჯობა, მე ბავშვობაში გემეგობრებოდი ბანაკში, ახალი ბებერი ძროხა ვარ და დამესიზმრე? ვეტყვი, რომ... რამეს ვეტყვი მოკლედ. კანკალით ვკრეფ ნომერს. დაკავებაა. არა უშავს. ვისხამ წითელ ღვინოს და ერთი მოყუდებით ვცლი. ხელები მიკანკალებს. რა დამემართა, კაცო? ვკრეფ ნომერს თავიდან. ისევ დაკავებაა. პრინციპში შეიძლება იქ აღარც ცხოვრობს. ვკრეფ თავიდან და გადის. ჰაერი არ მყოფნის. ენა დამებმება, ვიცი!
— გისმენთ, — მპასუხობს მამაკაცის ხმა.

ენა მუცელში მივარდება. რა ვუთხრა?
— გისმენთ, — ხმას უწევს მამაკაცი.
— გამარჯობა, — ვეუბნები და თავბრუ მეხვევა.
— გამარჯობა. ვინ გნებავთ?
— ზურა მინდა, — ვცრი კბილებში.

ღმერთო, შენ მიშველე!

გაგრძელება შემდეგ ნომერში


Cyan Magenta Yellow Black

ლელა ცუცქირიძე

# მამა

ეზოში შესულმა ნინომ მანქანებისა და ავტოფარეხებისგან გადარჩენილ ასფალტის ნაგლეჯზე მეზობლის ბავშვების მიერ ფერადი ცარცით დახატული კლასი დაინახა. ჯერ გვერდი აუარა, მერე გულმა არ მოუთმინა, უკან დაბრუნდა, აქეთ-იქით მიმოიხედა, ვინმე არ მიყურებდეს, მაინც უხერხულია, გათხოვილი ქალი ვარ, ბავშვი ხომ არაო. დარწმუნდა, რომ არავინ უყურებდა, უფრო სწორად, ეზო საერთოდ დუმდა მისდა გასაოცრად და, სკუპ-სკუპ, ასკინკილა გადახტა. სკუპ-სკუპ, ახლა უჯრაზე დახტა. მერე გაეცინა და უკან დატრიალდა.

უხასიათობა ბრტყელ ქვასავით გასრიალდა და თვალს მიეფარა. მხრებიდანაც თითქოს წლები ჩამოუცურდა ატლასის ურჩი თავსაფარივით.

ამ აჩხაბაჩხა ნახატმა ის გააკეთა, რასაც მთელი დღის განმავლობაში ცდილობდნენ ელენე და ნონიკო.

— ამის საშველი არ არის, — დაასკვნა ბოლოს ნონიკომ.

— ამისი კი არა, ჩვენი საშველი არ არის, ეს რომ ასეთია, — თავისი ვერსია დადო ელენემ.

— ორივე შემთხვევაში, საშველი არ არის, — გაეცინა ნინოს, — და გეყოფათ ახლა ჩემზე ჭორაობა.

— რა ჭორაობა? — გაუკვირდა ნონიკოს, — ჭორაობა ისაა, ვიღაცას რაღაცას რომ უგონებ, ჩვენ კი სიმართლეს ვამბობთ.

— ნუ, როგორც არის, — ხელი ჩაიქნია ნინომ.

ძნელია, ენაკვიმატ მეგობრებს აჰყვე და სიტყვა მოუგო. იცოცხლე, ენა თავადაც კარგად უჭრის, მაგრამ წელან კაფეში ისეთ ხასიათზე იყო, კვიმატობის და იუმორის სურვილი არ ჰქონდა. ახლა კი თავის ძველ ეზოში დახატულმა კლასმა ხასიათზე მოიყვანა. აჯობეს ეზოს ბავშვებმა ნონიკოს და ელენეს.

ჰოდა, ახლა დედასთან ავა თუ არა, მაშინვე დაურეკავს მეგობრებს და ეტყვის: „ესე იგი, გოგოებო, აიღეთ ერთმა ფერადი ცარცი, მეორემ ბრტყელი ქვა — „სალკა“, დახაზეთ კლასი, მე კი კლასობანას ვითამაშებ ხოლმე. ნუ, თუ გინდათ, თქვენც ამყევით. როგორც ჩანს, ბავშვობაში დაბრუნებას, თუნდაც დროებით, არაფერი სჯობს. უკვე მშვენიერ ხასიათზე ვარ“.

— სკუპ-სკუპ, — ისევ გადახტა...

— რას აკეთებ? — მოესმა ხმა და შეკრთა.

მეზობლის ქალი მოწკურული თვალებით უყურებდა.

„მაინცდამაინც ეს კაბიანი ციციკორე უნდა შემფეთებოდა!“ — გაიფიქრა უკმაყოფილოდ.

— და ვერ ხედავთ, რას ვაკეთებ? კლასობანას ვთამაშობ, — უთხრა გამომწვევად.

— რაღა დროს შენი კლასობანაა, დროზე რომ გათხოვილიყავი, ახლა შვილიშვილები გეყოლებოდა.

„ფუი, ეს ბებერი კუდიანი! ამისი ლოგიკით სადღაც 13-14 წლისა უნდა გავთხოვილიყავი. ან ეს რომ ვინმეზე რამეს იტყვის“.

მეზობელს ზურგი შეაქცია და პასუხგაუცემლად გაერიდა.

„ეგღა მაკლია, ამას გავუყადრო თავი!“.

— ჰმ, პასუხის ღირსადაც რომ არ მაგდებს, — გააგონა ქალმა, — დედამისის შვილი რა უნდა იყოს, როგორი ქმარი ვერ შეინარჩუნა. ესეც ასე იქნება ცოტა ხანში.

„აი, ეს რაღა შუაში იყო? ან დედაჩემი, ან მამაჩემი, — წამოენთო, სულაც აღარ უნდოდა დღეს მამის გახსენება, — ან ამან რა იცის, რატომ და რისთვის მოხდა ყველაფერი? დარწმუნებული ვარ, ამასაც მოსწონდა მამაჩემი, ჰო, ეგრე იქნებოდა“.

ცოტა დააკლდა, ახლა მართლა არ შებრუნებულიყო და ეს ქალბატონი არ გაელანძღა, მთელი თავისი ცხრაფუთიანი მშვენიერებით და წითლად აბურბურებული თმით.

„ერთი, ორი, სამი, ოთხი...“ — დაითვალა ნერვების დასაწყნარებლად. მერე სადარბაზოში შევიდა და ამოისუნთქა. აღარც მეზობლის ცხრაფუთიანი ქალი ჩანდა და აღარც მისი ხმა ისმოდა. ლიფტის ღილაკს თითი მიაჭირა, მაგრამ გადაიფიქრა და ფეხით აირბინა კიბეები.

— მშიერი ხარ, ხომ? — კარის გაღებისთანავე ჰკითხა დედამ, აკოცა და მაშინვე სამზარეულოსკენ წავიდა, — დაიბანე ხელები და მოდი, სადილი მზადაა.

— აუ, კარგი, რა, დე, მთელი ცხოვრება უნდა მეძახო, ხელები დაიბანეო? და თან არ მშია, გოგოებთან ერთად კაფეში ვიყავი, — ხელები გადაიბანა, სამზარეულოში შევიდა. დედამ ტაფიდან აღებული ცხელი ხაჭაპური მაგიდაზე დადო.

— თუ არ გინდა, კი არ გაძალებ, — გაეცინა და შვილს შეხედა.

— ოო, ამაზე უარს ვერ ვიტყვი, არადა ცომეულის ჭამა არ მინდა. რატომ გააკეთე? — ვითომ უსაყვედურა და ხაჭაპურის ნაჭერი გადმოიღო.

— შენთვის არ გამიკეთებია, ნიკას გავუკეთე, არ მოვა? — ჰკითხა დედამ.

— აი, სიდედრიც ასეთი უნდა, როგორ ზრუნავს სიძეზე, — ნინომ ხაჭაპურს სული შეუბერა, — შეიძლება მოვიდეს კიდეც, მაგრამ მარტო არ იქნება. ხომ იცი, რომ შენი ყოფილი ქმარი ერთი წუთითაც არ ტოვებს, ქალბატონო მაკო, შეიძლება ითქვას, რომ ჩაგვისახლდა. გამაგიჟა უკვე მაგ კაცმა.

— ჩემი ყოფილი ქმარი მამაშენია, სხვათა შორის, — გაეცინა დედას.

— ეჭვი მაქვს, რომ ოჯახს ამირევს, — მიაჩერდა ნინო, გაუხარდა, რომ მამაზე საუბარი თავისთავად ჩამოვარდა, — ვაიმე, რა გემრიელია! ჰო, მართლა, ის ქალბატონი შემხვდა ეზოში, აი, ის, ცხრაფუთიანი, ეკა. ნერვები მომიშალა.

— მაგასაც მოსწონდა მამაშენი, — უთხრა დედამ.

— აჰა, სწორად გამომიცნია, — გაეცინა ნინოს, — ისე მოულოდნელად გადმოგწვდა და მამაჩემიც ისე ახსენა, მაშინვე ეგ ვიფიქრე.

— ამ შემთხვევაში, შემიძლია დანამდვილებით გითხრა, რომ მამაშენს ეგ ქალი არ მოსწონდა, — ცოტა არ იყოს, სიამაყით თქვა დედამ.

„რა უცნაურია, — გაიფიქრა ნინომ, — ამდენი წლის დაშორებულები არიან და, როგორც ჩანს, დედა ისევ ფიქრობს მამაზე. ან რაღაც სხვა გრძნობა აქვს. მაგალითად, ოჯახის წევრის, რომელმაც რაც უნდა გაწყენინოს, მაინც ოჯახის წევრად რჩება და მასთან, თუნდაც გულში, უხილავი ძაფები სიცოცხლის ბოლომდე გაკავშირებს. მე მგონი, დედა მართლა არ იტყვის უარს მამასთან შერიგებაზე“.

უცებ გაბრაზდა, მამის ლოდინში თეთრად გათენებული ღამეები გაახსენდა, ბავშვობის ოცნებები, რომელიც სულ მამას უკავშირდებოდა.

„არა, მაინც როგორ წავიდა ასე?! რატომ წავიდა? კარგი, დედაჩემს ვერ შეეგუა, უფრო სწორად, ბებიაჩემს, მათთან ცხოვრება ვერ აიტანა, მაგრამ მე რა დავუშავე, მე?! ან დედაჩემმა? მოეკიდა ხელი ჩვენთვის და გადავეყვანეთ იქ, სადაც თვითონ იქნებოდა. არა, ბატონო, მარტო წაბრძანდა. თავის ჭკუაზე ყოფნა უნდოდა. მახსოვს, თავიდან, რომ მოდიოდა, როგორ მიხაროდა, მერე უფრო იშვიათად გამოჩნდებოდა ხოლმე და როგორ განვიცდიდი. მერე საერთოდ გადაიკარგა, ახლა კი, რაც გავთხოვდი, სულაც ჩემთან არ გადმოსახლდა?! მე კი ვიცი, რატომაც, წასასვლელი აღარსად აქვს და იმიტომ, მაგრამ...“

— არ მინდა, არა! მარტო მინდა ცხოვრება ჩემს ქმართან ერთად. ჯერჯერობით მაინც, — უთხრა დედასაც ისევე, როგორც წელან გოგოებს.

— მერე, ნუ უშვებთ სახლში და ეგ იქნება, — უთხრა დედამ.

— ქუჩაში ხომ არ დავტოვებ, აბა, — ამოიოხრა ნინომ.

როგორ დატოვებს, მამაა, რაც უნდა იყოს, მაგრამ... მაგრამ ის, რომ, ჯერ ერთი, მართლა მარტო უნდა ცხოვრება თავის ქმართან ერთად. სულ ამაზე ოცნებობდა, ნიკასთან ერთად მარტო ცხოვრებაზე და რა გამოდის? არა, სიდედრები რომ უსახლდებიან სიძეებს, გასაგებია, მაგრამ სიმამრი სიძეს ჩასახლებოდეს, ნუ, ყოველ შემთხვევაში, ჯერ არ გაუგია. და მეორეც, სადღაც ეშინია კიდეც, მამამ ნიკაზე უარყოფითი გავლენა არ მოახდინოს, რაც უნდა იყოს, დიდი მექალთანე ბრძანდებოდა ვაჟბატონი. ნინომ დედას გამომცდელად შეხედა: „ვუთხრა თუ არ ვუთხრა, ვუთხრა თუ არ ვუთხრა?“

და ბოლოს მაინც ჰკითხა:

— დე, არ გინდა, ისევ გათხოვდე?

— ჯვარი მწერია, — სასწრაფოდ პირჯვარი გადაიწერა დედამ, — გადასარევად ვარ მარტო. ახლა ვიღაცას წინდები ვურეცხო კიდევ, მერე მისი პრეტენზიები ავიტანო, მერე მოვემსახურო, მერე... აჰ, არა, არავითარ შემთხვევაში! ასე ცხოვრებას მივეჩვიე და ვერაფრით დავთმობ.

— მაინც, მაინც? — ჩაეკითხა ნინო, — აი, ვინმე ძალიან სიმპათიური მამაკაცი რომ გამოჩნდეს, მომხიბლავი, თავბრუდამხვევი...

— სულ რომ ოქროს ქოჩორი ჰქონდეს, მაინც არ მინდა, — გააწყვეტინა დედამ, — და საერთოდ, რა სისულელეებს ლაპარაკობ და მეც ამიყოლიე?

— აუ, გაყევი, რა, ისევ მამაჩემს, — როგორც იქნა, ამოთქვა ნინომ, — იცი, რა კერძებს ამზადებს? გაგიჟდები.

— აი, თურმე რა, — გაეცინა დედას, — კი მაგრამ, ამ წუთას ძალიან უკმაყოფილო იყავი მამაშენით და ახლა ასე უცებ შეიცვალა და კარგი გახდა?

— უკმაყოფილო არა, — გააპროტესტა ნინომ, — მარტო მინდა ცხოვრება ნიკასთან ერთად, ეგ კი არსად აპირებს წასვლას.

— აი, ეკას მოვუყვანოთ, გინდა? — ცხრაფუთიანი მეზობლის ქალი გაახსენდა უცებ დედას, — ორივე მხარე კმაყოფილი დაგრჩება. ეკა იმით, რომ მამაშენი ბოლოს და



Cyan Magenta Yellow Black

ბოლოს გვერდით ეყოლება და მამაშენი იმით, რომ ბინიან, ფულიან და ზედმეტად ფერხორციან ქალს მოიყვანს ცოლად, ანუ, მორიგ თბილ ბუდეს იშოვის. რას იტყვი, ხომ არ გვეფიქრა ამაზე?

— არა, — ჩაიბურტყუნა ნინომ, — რაც უნდა იყოს, მამაჩემია და ეგეთი მონსტრისთვის უბრალოდ ვერ გავიმეტებ. წელან ისე მწარედ მიკბინა, რომ...

— ეკამ? სერთოდ რომ არ გადაგყლაპა, არ გიკვირს? და რა უნდოდა შენგან? — გაუკვირდა დედას.

— მე რა ვიცი, კლასობანას ვთამაშობდი და...

— რა კლასობანას? — შეაწყვეტინა დედამ.

— კლასი იყო ეზოში დახატული და ცოტა ვიხტუნავე. იცი, რა კარგი იყო? ჩემი თავი ისევ პატარა მეგონა.

— გახსოვს, მამაშენთან ერთად რომ თამაშობდი კლასობანას? — უცებ გაახსენდა დედას და გაეღიმა, — გახსოვს?

— როგორ არა, — გაეცინა ნინოს.

ყველაფერიც ახსოვს, რაც იმ ღრმა ბავშვობაში მამას უკავშირდება. მამა როცა მასთან იყო, კლასობანასაც ეთამაშებოდა, ომობანასაც, დედაშვილობანასაც კი. ერთხელ დედას ტანსაცმელი ჩაიცვა და ქუსლებზეც შედგა. სწორედ ამ დროს მოვიდა სახლში ბებია და ქალურად გამოწყობილი, შეღებილი და ხმადაწვრილებული მამის დანახვაზე სკამზე კივილით მიესვენა. ბებიას კიდევ ეს უნდოდა?! მგონი, მაგის მერე საბოლოოდ მოიძულა.

— და შენი კაბა რომ გადაიცვა? — ახლა ნინომ გაახსენა.

— აბაა, ეგ აღარ მახსოვდა, — აჰყვა დედაც, — მე მგონი, მაქედან დაიწყო ფარული და მერე კი აშკარა ბრძოლა ბებიაშენსა და მამაშენს შორის.

— აი, ნახე, ყველაფერი ბებოს ბრალი ყოფილა, — შეაპარა ნინომ, — ეგ რომ არა, ახლა თქვენ ერთად იქნებოდით აქ და მე კი ნიკასთან ერთად ვიქნებოდი ცალკე.

— შენ საკუთარ თავზე ზრუნავ, ჩემზე თუ მამაშენზე? — გამომცდელად ჰკითხა დედამ და გაუღიმა.

— მთელ ოჯახზე, — იცრუა ნინომ.

რა თქმა უნდა, საკუთარ თავზე ზრუნავდა. დღეს მთელი დღე იმაზე წუწუნებდა ელენესთან და ნონიკოსთან, თუ რა უბედური იყო იმით, რომ მამასთან ერთად უწევდა ცხოვრება. თანაც ისეთ მამასთან, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში ნანახიც არ ჰყავდა და რომელსაც შვილი ახლა გაახსენდა, თანაც ისე, პირდაპირ ჩემოდნებით მოადგა.

— კარგი, ჰო, ვიცი, ცუდი შვილი ვარ, მაგრამ არ მინდა ამ მამაჩემთან ერთად ცხოვრება და რა ვქნა, თქვენ მაინც ხომ არ მოგატყუებთ? — უთხრა გოგოებს.

— ის ხომ, რას ამბობ, გადასარევი მამა იყო, — დაამშვიდა ნონიკომ, — რამდენჯერ მაგის გამო გიტირია ჩვენთან. აღარ გახსოვს?

— ჰო, — აჰყვა ელენეც, — საერთოდ ეგეთი მამები ახლოსაც არ უნდა გაიკარო, შენ კიდევ კარგად მოიქეცი.

— მე, რა, ნიკამ შემოუშვა, მაინც სიმამრიაო და... ისე შეხვდა, სადღა წავიდოდა, — მოწყენით თქვა ნინომ, — იცი, რა, თან ძალიან სერიოზულად მაფიქრებს მისი წარსული. ხომ იცი, რამდენი ცოლი ჰყავდა, საერთოდ, რამდენი ქალი... ნიკაც თავის ჭკუაზე არ გადაიყვანოს.



— ოო, ეგ სისულელეა, — არასერიოზულად მოეჩვენა ელენეს ნინოს ეჭვი, — ჯერ ერთი, ახლა ხომ არავინ ჰყავს და მეორეც, ნიკას ცოლების და ქალების ცვლა თუ უნდა, მამაშენის გარეშეც მოახერხებს და თანაც, ნიკასთან თუ უსიამოვნება გექნება, ეს მამაშენისთვისაც ცუდი იქნება, ასე არაა?

— ოჰ, მამაშენი ისეთი სიმპათიური ტიპი იყო, თავად რომც ნდომოდა ერთგულება, ვინ დააცლიდა, არ იცი, როგორიცაა? — უთხრა ნონიკომ, — მოიცა, აი, რომ დაჯდე და აუხსნა, მარტო მინდა ჩემს ქმართან ერთად ცხოვრებაო, სადმე სხვაგან გადადიო, ბოლოს და ბოლოს, რომელიმე ცოლს დაუბრუნდიო, არ გამოვა?

— არა, მაგას ვერ გავაკეთებ, — იუარა ნინომ, — რამდენჯერმე დავაპირე, მაგრამ მაშინვე ის დრო გამახსენდა, როცა კარგი მამა იყო და... მოკლედ, ჩემგან ეგ საქმე არ გამოვა, ნიკასგან — მით უმეტეს. არ ვიცი, რა ვქნა.

— და ვინმე ქალი რომ გააცნო? — იდეა მოუვიდა ნონიკოს.

— ეგ კარგი იქნება, — აჰყვა ელენე.

— რას ამბობთ! მე ისეთი ბედი მაქვს, იმ ქალსაც სახლში მომიყვანს, — ეს ვერსიაც არ მოეწონა ნინოს.

— ვაიმე, გადამღალე და ეგაა, — ამოიოხრა ელენემ, — აქამდე მარტო შენს პრობლემებს ვისმენდი და ახლა მამაშენიც დაემატა.

— მოემზადეთ, — წამოიძახა ნონიკომ, — იდეა მაქვს! იდეა კი არა, ფანტასტიკა! ვყიდი, იცოდეთ! გამოსავალი ნაპოვნია.

— მიდი, აბა! — მიაჩერდნენ ნონიკოს.

— დედაშენი!

— რა დედაჩემი? — ვერ მიხვდა ნინო.

— დედაშენი გაათხოვე ისევ მამაშენზე! რა მაგარი იქნება! ჯერ ერთი, ორივე მარტოა, მეორეც, დედაშენთან იცხოვრებენ, მესამეც, მე მგონი, არც ერთი იქნება უარზე და არც — მეორე.

— რა სისულელეა, — ისევ და ამჯერად უკვე კატეგორიულად იუარა ნინომ.

კარგად ახსოვდა, რა მწარე დღეები ჰქონდა დედას მამის გამო გადატანილი. მაგრამ აი, ახლა, აქ, დედასთან, სამზარეულოში ზის და სწორედ იმას ცდილობს, დედა მამასთან შერიგებაზე დაითანხმოს.

„რა ცუდი შვილი ვარ! — შერცხვა, მაგრამ იქვე გაიმართლა თავი, — და იქნებ დედას უნდა და უბრალოდ რცხვენია ჩემთან ამის თქმა? აბა, რატომ არ გათხოვდა აქამდე?

— იცი, დე, მამამ გუშინ გარგარის ღვეზელი გამოაცხო. ნეტავ, სად ან როდის ისწავლა ასეთები? თან არც ეზარება, პირიქით, სულ ღიღინით აკეთებს, გაგიჟება შეიძლება. არ გინდა, ერთხელ აქაც გააკეთოს? თან იცი, სულ შენზე მეკითხება, სულ შენზე უნდა საუბარი, ხომ ვხვდები, არა? — ვერ მოისვენა.

დედამ არაფერი უპასუხა, გამომცდელად შეხედა.

„მერჩივნა, ეპასუხა“, — გაიფიქრა ნინომ და ჩაიბუტბუტა:

— კარგი, ჰო, მესმის, რომ საშინლად ვიქცევი. იმის გამო, რომ მე და ნიკა მარტოები ვიყოთ, შენ გაიძულებ, მამასთან შერიგებას, მაგრამ, ხომ იცი, ჩვენ ცალკე ცხოვრებაზე ვოცნებობდით, კრედიტიც იმიტომ ავიღეთ, რომ ახალ ბინაში ცალკე გვეცხოვრა. ეს რომ ასე ძალიან არ გვდომებოდა, აქ ვიქნებოდით, ვინ დაგვიშლიდა? და ამ დროს მთელი ეს ოცნება ფა-ფუ! ქრება და თანაც ვისგან? კაცისგან, რომელთანაც, ბავშვობის გარდა, აღარაფერი მაკავშირებს..

დედა წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა, გაიხედა, დიდხანს იდგა ასე, მერე მოტრიალდა და უთხრა:

— რაღაც მართლა მოსაფიქრებელია. დაურეკე, აბა, ნიკას, ამოვიდეს, იქნებ ერთად მოვიფიქროთ რამე.

ნინო მაშინვე წამოხტა, სამზარეულოდან გავიდა და ნიკას გადაურეკა:

— ნიკ, სად ხარ? არ მოდიხარ? იცოდე, მამაჩემიც ამოიყვანე, აუცილებლად ამოიყვანე!

— ნინ, ახლა ვაპირებდი ისედაც მოსვლას. სტრანნი რაღაც მოხდა, მამაშენმა ცოლი მოიყვანა.

— რაა?! — მობილური ლამის გაუვარდა ნინოს, — არ არსებობს! თუმცა როგორ არა, — მიაყარა სწრაფად, — და ვაიმე, რა ბედნიერებაა, ახლა გადავა და მოვისვენებ, მე კი დედაჩემი შევჭამე. ვაიმე, რა კარგი სიურპრიზია!

— ვერ მიხვდი, როგორც ჩანს, — გააჩერა ნიკამ, — მამაშენმა ცოლი მოიყვანა ჩვენთან, ჩვენ-თან!

— როგორ ჩვენთან? — ვერ მიხვდა ნინო.

— აი, ასე, წავიდა ერთი და მოვიდა ორი, ხომ არ გავაგდებ, არა? კაცს თაფლობისთვე აქვს.

— ნიკ, ხუმრობის დროა ახლა? — ხმა შეეცვალა ნინოს.

— რა ხუმრობა, ნინ, ჯერ მეც ვერ ვხვდები, რა და როგორ, ხომ გესმის? ერთი ის ვიცი, რომ მანდ მოგვიწევს დარჩენა, ეგაა, რა. კარგი, არ გაგიჟდე, რამეს მოვიფიქრებთ. გაგდებით კი ვერ გავაგდებ. სწორად გამიგე, რანაირად გავაგდო? მამაშენია, უცხო ხომ არა. კაცურად მთხოვა თან, აქ ვიქნებითო. მოვალ, მოკლედ.

ნინომ მობილური გათიშა, საწოლზე ჩამოჯდა.

„ეს ყველაფერი ალბათ იმიტომ მოხდა, რომ მინდოდა, მამაჩემი დედაჩემთან გადმოსულიყო საცხოვრებლად და ამით დედაზე კი არა, საკუთარ თავზე ვფიქრობდი ეგოისტურად. თან რა უსინდისოდ მოვატყუე, სულ შენზე მეკითხება-მეთქი... არასოდეს, არასოდეს უხსენებია დედა“.

მერე წამოდგა და სამზარეულოში გავიდა.

— რა მოხდა, ნინ? ხომ მშვიდობაა? — შეშფოთებით ჰკითხა დედამ, როცა მის წაშლილ სახეს შეხედა.

— თუ ამას მშვიდობა ჰქვია, კი. მამამ ცოლი მოიყვანა, თან ჩვენთან, — ჩაიბუტბუტა და ცრემლები წამოუვიდა, — მე კი... მე კი...

— არ გინდა არაფრის თქმა, — უთხრა დედამ, — ისედაც ვიცი, რას ფიქრობ და ნუ ნერვიულობ, ყველაფერი კარგად იქნება. ბოლოს და ბოლოს აქ გადმოვიყვან მამაშენს თავის ახალ ცოლთან ერთად, დიდი ამბავი, — თავის ნათქვამზე თავადვე გაეცინა, მერე შვილთან მივიდა და მისი თავი გულზე მიიკრა.



Cyan Magenta Yellow Black

## გავიცნობ, ვეძებ

sms-ები გამოგზავნეთ ორშაბათიდან. sms-ის გამოგზავნის ბოლო ვადაა შაბათი, 3 აგვისტო 17 საათი.

### გავიცნობ ქალს შეხვედრებისთვის

1. გავიცნობ ქალს პერიოდული შეხვედრებისთვის. 557123705

2. ვარ თბილისელი, 26 წლის ბიჭი. მსურს გავიცნო თბილისელი, სასიამოვნო გაეგნობის გოგონა შეხვედრებისთვის, ვარ თავისუფალი ადამიანი. 555005224. დათო

3. გავიცნობ თბილ ქალს შეხვედრებისთვის. ვარ 28 წლის, ვცხოვრობ თბილისში, მაქვს სამსახური. 555582290. გია

4. გავიცნობ ქალს შეხვედრებისთვის. ვარ 28 წლის. 595161210. გიორგი

5. სამეგობროდ გავიცნობ 35 წლამდე თბილისში მცხოვრებ ქალს. ვარ მაღალი, ცოტა შავგვრემანი, სიმპათიური მამაკაცი. 555307958. გიო

6. ვარ 30 წლის, სიმპათიური, სპორტსმენი მამაკაცი, ხანგრძლივი შეხვედრებისთვის გავიცნობ 38 წლამდე თბილისელ ქალს. 557632073

7. ვარ სიმპათიური, თბილისელი, მყავს მანქანა, შეხვედრებისთვის გავიცნობ სიმპათიურ გოგოს. 593135572. დათო

8. ვარ 30 წლის, დაოჯახებული ბიჭი, შეხვედრებისთვის გავიცნობ ლამაზ, გამხდარ, სერიოზულ 25 წლამდე გოგოს, მყავს მანქანა. 555136496. ლევანი

9. სამეგობროდ გავიცნობ სასიამოვნო გარეგნობის 27 წლამდე რუსთაველ ან თბილისელ გოგოს. ვარ 25 წლის, კარგი პიროვნება. 577474753

10. შეხვედრებისთვის გავიცნობ პუტკუნა ქალს. 555532394

11. გავიცნობ თბილისში მცხოვრებ სიმპათიურ, 24-40 წლამდე ქალს სამეგობროდ. ვარ 33 წლის. 593935925. ზურა

12. გავიცნობ რუსთავში ან თბილისში მცხოვრებ ქალს, განათხოვარს, ან გათხოვილს. ვარ 27 წლის. 555163585. ლაშა

13. ანონიმურობის სრული დაცვით გავიცნობ იმერელ, მხოლოდ ქვრივ, სერიოზულ 36 წლამდე ქალს. ვარ 39 წლის, სიმპათიური მამაკაცი ქუთაისიდან. დამიმესიჯეთ საღამოს 5 საათამდე. 557994113. ჯონი

14. გავიცნობ იმერეთში მცხოვრებ, ლამაზ 24-დან 38 წლამდე ქალს შეხვედრებისთვის. ვარ 7 წლის, სიმპათიური ახალგაზრდა. 551224006

15. ვარ 35/180/83, ევროპული სტილის, თბილისელი მამაკაცი. შეხვედრებისთვის გავიცნობ ასევე ევროპული სტილის ქალს, განურჩევლად ასაკისა. 557317378

16. გავიცნობ 25 წლამდე გოგოს შეხვედრებისთვის. 591343862

17. სამეგობროდ გავიცნობ თბილისელ ქალს. ვარ 30 წლის. 557703081

18. გავიცნობ თბილისში მცხოვრებ 22-დან 44 წლამდე ქალს შეხვედრებისთვის. ვარ მაღალი, სიმპათიური, 30 წლის მამაკაცი. 557678872. გიო

19. ახლო ურთიერთობისთვის გავიცნობ თბილისელ, სიმპათიურ, 40 წლამდე ქალს. ვარ მაღალი, სპორტული აღნაგობის, 38 წლის. 599909457. გია

20. გავიცნობ თავისუფალ, მშვიდ და სიცოცხლით სავსე ქალს. 555675264. ნიკა

21. შეხვედრებისთვის გავიცნობ 40 წლამდე არამსუქან, ნორმალურ ადამიანს, თბილისში მცხოვრებს. ვარ 29 წლის. 557630647. დიმა

22. გავიცნობ 25 წლამდე გოგოს შეხვედრებისთვის. 591343862

23. გავიცნობ 36 წლამდე თბილისელ ქალს, რწმენას დავუბრუნებ, დავაჯერებ, რომ არ უნდა გაწყდეს კაცების სინსილა. 555677253

24. შეხვედრებისთვის გავიცნობ ქალს, რომელსაც სურს ნამდვილი მეგობრობა ერთგულ და სერიოზულ მამაკაცთან. ვარ 42 წლის, სიმპათიური, სპორტული აღნაგობის მამაკაცი. 557589381

25. გავიცნობ ფინანსურად უზრუნველყოფილ, ლამაზ ქალს, ასაკს მნიშვნელობა არა აქვს. ვარ 37 წლის მამაკაცი. 555569959. ზაალი

26. გავიცნობ 25-დან 45 წლამდე ქალს ხანგრძლივი შეხვედრებისთვის. 557292742

27. გავიცნობ ქალს შეხვედრებისთვის. ვარ 28 წლის. 595161210. გიორგი

28. ვარ მაღალი, ცისფერთვალება, სიმპათიური მამაკაცი, გავიცნობ თბილისელ, 35 წლამდე ლამაზ გოგონას. მაქვს ბინა და მყავს მანქანა. 557412499

29. ვარ 32 წლის, თბილისელი, სპორტული აღნაგობის ბიჭი, ვარ დასაქმებული. შეხვედრებისთვის გავიცნობ 25-35 წლამდე ქალს. 599255915. ლადო

30. გავიცნობ 35 წლამდე სუსტ, კოხტა გოგოს ხანგრძლივი შეხვედრებისთვის, ქუთაისელს ან სამტრედიელს. ვარ 27 წლის. 557700745. დაჩი

31. ვარ 40 წლის, სიმპათიური, თბილისელი მამაკაცი, ცოლს გაცილებული, უანგაროდ ვიმეგობრებ ასაკით უფროს ქალთან. 555639450

2017

32. გავიცნობ 25-35 წლამდე თბილისში მცხოვრებ ქალს, სასურველია იყოს ცოტა პუტკუნა და გათხოვილი. ვარ 30 წლის, თბილისელი, უცოლო მამაკაცი, დასაქმებული და ფინანსურად უზრუნველყოფილი. 557758816. ნიკა

33. ვარ 27 წლის. სამეგობროდ გავიცნობ 22-დან 35 წლამდე ქალს. 555604139. მიშო

34. ვარ 28 წლის. შეხვედრებისთვის გავიცნობ თბილ და მომხიბვლელ ქალს. 598297402. ლაშა

### გავიცნობ ქალს ოჯახის შესაქმნელად

1. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 35 წლამდე ქალს. ვარ აზერბაიჯანელი, მაქვს საკუთარი სახლი. 557343697

2. ვარ 59 წლის, თბილისელი მამაკაცი, სუფთა წარსულით, სამსახურით და ყველაფრით უზრუნველყოფილი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 35-45 წლამდე სიმპათიურ, განათლებულ, თბილისელ ქალს. 555255301. ლევანი

3. ვარ 45 წლის თბილისელი მამაკაცი, მაქვს ჩემი ბიზნესი, ვარ სიმპათიური, კარგი ხასიათის პიროვნება, ოჯახის შესაქმნელად გავიცნობ 34 წლამდე ქალიშვილ, სადა, კარგი ხასიათის განათლებულ პიროვნებას. 558215498

4. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 25-დან 30 წლამდე თბილისელ ქალს. ვარ 35 წლის თბილისელი, სიმპათიური მამაკაცი. 555552239

5. ვარ 64 წლის მამაკაცი, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 38 წლამდე ქართველ ქალს, რომელსაც არ ჰყავს და უნდა რომ ჰყავდეს ბავშვი და იყოს დიასახლისი. 595469342

6. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 18-დან 35 წლამდე გოგოს, თუნდაც განათხოვარს და შვილიანს. ვარ დასაქმებული, ყურადღებიანი, სიმპათიური, კეთილსინდისიერი და შრომისმოყვარე ადამიანი, მთელი ცხოვრების მანძილზე უბედნიერეს ქალად გაქცევთ. 558111799. გიორგი

7. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 40 წლამდე ქალიშვილს ტრადიციული ოჯახიდან. 599218955

8. ახალგაზორდა, სიმპათიური, თბილისელი, მარტოხელა მამაკაცი ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისში მცხოვრებ 25-დან 35 წლამდე ქალს. 558270100

### გავიცნობ მამაკაცს ოჯახის შესაქმნელად

1. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ქალაქში მცხოვრებ, ბინიან 40-50 წლამდე საიმედო მამაკაცს. ვარ ყოველმხრივ დადებითი ადამიანი. 555342025

2. ვარ 26 წლის, სუფთა წარსულით, უზრუნველყოფილი ვარ სოფელში ბინით. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 28-38 წლამდე ასაკის, სუფთა წარსულის მქონე, დასაქმებულ მამაკაცს. 551508823

### გავიცნობ მამაკაცს შეხვედრებისთვის

1. გავიცნობ 40-45 წლამდე სერიოზულ მამაკაცს სამეგობროდ. 591216042

2. ვარ ლამაზი და მიმზიდველი 30 წლის ქალი. გავიცნობ 40-50 წლამდე სერიოზულ და დასაქმებულ მამაკაცს სამეგობროდ. 558522996

3. ვარ ლამაზი და მიმზიდველი 30 წლის ქალი; გავიცნობ 40-50 წლამდე სერიოზულ და დასაქმებულ მამაკაცს სამეგობროდ. 558522007

## მიყვარხარ, მენატრები

მარიკა, მე შენ გაღმერთებ და სიგიჟემდე მიყვარხარ, მინდა იცოდე, რომ მე ვზრუნავ ყველა იმ ადამიანებზე, ვინც მიყვარს და ასევე შენზეც, მინდა ბედნიერი იყო და ლამაზი მომავალი გისურვო. მიყვარხარ და სიცოცხლის ბოლომდე მეყვარები. არ იტირო, ის შენი ცრემლების ღირსი არ არის. ცხოვრებაში უნდა შეძლო გააკეთო სწორი არჩევანი, ვიღაცა გადახაზო, ვიღაცა შემოხაზო, ვიღაცას მოუხაზო!.. პატივისცემით მუდამ შენი უცნობი-ნაცნობი!..

პაჩანიკა, როგორ ხარ, ჩემო საყვარელო? უკვე რაღაც უნდა გადაწყდეს და რომ მოგეცემა საშუალება, შენც მაქსიმალურად სთხოვე... აკეთე ყველაფერი ძველებურად... იქნებ შენც გამაგებინო შენი ამბავი, ბავშვის წამოყვანას ვაპირებ უკვე. მენატრები სიგიჟემდე, არ ვიცი, უშენობას როგორ გადავიტან, ლამის მოვკვდე. მიყვარხარ, გამაგრდი და სხვა გზა არაა, უნდა გავუძლოთ, ოღონდ შენი სიტყვა და სიყვარული მჭირდება. მიყვარხარ. გელოდები. ჩემი სული და გული შენთანაა. მიყვარხარ.

თუ გსურთ, ახლობელს მიულოცოთ რამე ან გაუმხილოთ თქვენი გრძნობები ჟურნალ „სარკის" მეშვეობით, აკრიფეთ ასო „M", შემდეგ — ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე 2017 ჯეოსელის და 93887 მაგთის აბონენტებმა. გაცნობის განცხადებებში მიუთითეთ თქვენი ტელეფონის ნომერი. თქვენი ტექსტი დაიბეჭდება „სარკის" უახლოეს ნომერში. sms უნდა გამოგზავნოთ 3 აგვისტოს 17 საათამდე.
ერთი sms-ის ღირებულებაა 1 ლარი. წერილი, რომელიც 3-ზე მეტ სმს-ში იქნება მოთავსებული, არ დაიბეჭდება!
ერთი აბონენტისაგან მიწერილ ორ ბარათზე მეტი არ დაიბეჭდება



Cyan Magenta Yellow Black

← 9

**— რა შეგიძლიათ მარიამზე გვითხრათ? ბოლო დროს „ფეისბუქის“ მის გვერდზე ცოტა არ იყოს, უცნაური პოსტები იდებოდა. როგორი ბუნების ბავშვი იყო?**

— საერთოდ, თავისებური იყო. ზედმეტად განათლებული ადამიანები ცოტა სხვანაირები არიან. ჩანაწერებს აკეთებდა, ჩაკეტილი ბავშვი იყო. სხვანაირი კი იყო, მაგრამ ვერ გეტყვით, რომ მის თავს საოცარი რამ ხდებოდა.

**— მარიამის დღიური, რომელიც მკვლელობის ადგილიდანაა ამოღებული, წაიკითხეთ?**

— ის სამართალდამცავებს აქვთ, ჩვენ არაფერი წაგვიკითხავს. სანამ გამოძიება არ დასრულდება, მისი ნივთებიდან უკან არაფერი დაგვიბრუნდება.

**— ერთ-ერთი ვერსიით, მარიამს რწმენასთან დაკავშირებით აზრი შეეცვალა, ბოლო პერიოდში ჯვარიც არ ეკეთა.**

— მარიამი სასულიერო გიმნაზიაში სწავლობდა, გალობდა, მრევლი, აღმსარებელი იყო. აღსარებას აბარებდა და მარხულობდა.

**— თვითმხილველები ამბობენ, რომ ზღვის ტერიტორიაზე დიდი ხნის განმავლობაში ვიღაც მაწანწალა ცხოვრობდა. თქვენი აზრით, შესაძლებელია, მას მოეკლა მარიამი?**

— კი, ნამდვილად, რადგან ის იმ ადამიანმა ამოიცნო, ვინც მარიამის ადგილსამყოფელი მიგვასწავლა. მან სავარაუდო მკვლელი დაახლოებით 7 საათისთვის ველოსიპედით მიმავალი დაინახა. გააჩერა და ჰკითხა, თუ საიდან ჰყავდა ეს ველოსიპედი, რადგან დაეჭვდა — მაწანწალასავით ცხოვრობდა და საიდან უნდა ჰყოლოდა. ალბათ თავს მაწანწალად ასაღებდა... მან გატეხილი ქართულით უპასუხა, რომ ველოსიპედი იქირავა. როცა მარიამის ცხედარი ვიპოვეთ, ამ კაცმა თავზე ხელი შემოირტყა. მიხვდა, რომ ის ველოსიპედი მარიამის იყო... მკვლელმა დრო მოიგო, მარიამის ველოსიპედით ბენზინგასამართ სადგურამდე მივიდა, შემდეგ კი ტაქსით — საზღვრამდე. ფაქტია, რომ ეს ყაჩაღობა კი არა, განზრახ მკვლელობა იყო. ალბათ მანიაკი იყო, არაადამიანი! ზოგიერთი თვითმხილველი მას მაწანწალას უწოდებს, ზოგს კი ის გეოლოგი ეგონა. საშინლად დაბნეულები ვართ.

**— რატომ ცხოვრობდა მარიამი ნათლიასთან და არა — თავის ოჯახთან ერთად?**

— მისი ნათლია მე-7 სართულზე ცხოვრობს, მარიამის ოჯახი კი — მე-6 სართულზე. როცა მარიამი დაიბადა, მისი მშობლები ბიზნესით იყვნენ დაკავებული და ნათლია თავიდან ძიძად აიყვანეს, მერე მონათლა ბავშვი. ის თითქმის ნათლიასთან იზრდებოდა, მას ძალიან მიეჩვია. ნათლიაც ისე ზრდიდა, როგორც შვილს, რადგან თვითონ გაუთხოვარია.

**— სად სწავლობდა მარიამი?**

— მე-4 კლასამდე სასულიერო გიმნაზიაში სწავლობდა, ამის შემდეგ თურქულ ლიცეუმში გადავიდა. ფინანსური პრობლემების გამო მშობლებს მისი იქიდან გამოყვანა უნდოდათ, მაგრამ დირექტორმა არაფრით გაუშვა. ძალიან ნიჭიერი და სასახელო მოსწავლე იყო, ამიტომ ლიცეუმში უფასოდ სწავლობდა. მისი დამთავრების შემდეგ მარიამის საბუთები ისევ სასულიერო გიმნაზიაში გადაიტანეს. გარდაცვლილს ორი და ჰყავს.

**ნატალია კვინტრაძე,** მარიამის ნათლია:

— მარიამის დედას იმ საშინელ დღეს ჟურნალისტებმა ჰკითხეს, სახლიდან რომელ საათზე გავიდაო. ეს ბავშვი ჩემთან იზრდებოდა, ჩემთან ცხოვრობდა. დედამისს 7 საათი ახსოვდა და მთელი ისტორია ამაზე ააგეს. მარიამი სახლიდან 7-ის 10 წუთზე გავიდა.

**— ყველაზე ახლოს მარიამს ალბათ თქვენ იცნობდით. როგორი ბავშვი იყო?**

— ძალიან ჭკვიანი, ყველა მხრივ და ყველა სფეროში განათლებული იყო. წერდა, კითხულობდა, მეტი გატაცება მას არ ჰქონია. სკოლაში ფრიადოსანი იყო, ფრენბურთზე, ცეკვაზე დადიოდა. თბილისში სხვადასხვა კონკურსში მონაწილეობდა, საცოდავი სულ პირველ-მეორე ადგილებს იღებდა. მართლმადიდებელი, მორწმუნე მრევლი იყო.

**— მარიამის ჩანაწერები თუ წაგიკითხავთ? ამბობენ, საკმაოდ უცანურ რამეებს წერდაო.**

— ცოტა უცნაურობა მისი გარდატეხის პერიოდს მივაწერე. ამ ბოლო დროს ფილოსოფია მოსწონდა, ჩათვალა, რომ ისტორია ამოწურა. რომანები ნაკლებად აინტერესებდა, უფრო დეტექტივები მოსწონდა და კითხულობდა. ბოლოს საერთოდ ფილოსოფიით და ფსიქოლოგიით იყო გატაცებული. ჩანაწერებსაც აკეთებდა. მართალია, ეს ძალიან ცუდი საქციელია, მაგრამ მის ჩანაწერებს ჩუმად ვკითხულობდი და ასე ვამოწმებდი. მარიამის მამა ორი წლის წინ გარდაიცვალა, ჩანაწერებში მის მონატრებაზე წერდა. წიგნებიდან ზღვაზე, მთვარეზე ციტატებს ამოიწერდა ხოლმე და თავის ჩანაწერებში იყენებდა.

**„ძალიან ჭკვიანი, ყველა მხრივ და ყველა სფეროში განათლებული იყო. წერდა, კითხულობდა, მეტი გატაცება მას არ ჰქონია. სკოლაში ფრიადოსანი იყო, ფრენბურთზე, ცეკვაზე დადიოდა. თბილისში სხვადასხვა კონკურსში მონაწილეობდა, საცოდავი სულ პირველ-მეორე ადგილებს იღებდა. მართლმადიდებელი, მორწმუნე მრევლი იყო".**

**— ჩაკეტილი ბავშვი იყოო, ამბობენ.**

— ამას ვერ ვიტყვი, უბრალოდ, მისი ასაკის ბავშვებივით 24 საათი ქუჩაში არ იყო, ამ მხრივ გახლდათ თავისებური. სულ კითხულობდა, ჩანახატებს აკეთებდა, ინტერნეტით და „ფეისბუქით“ სარგებლობდა.

**— ამბობენ, ბოლო დროს კომპიუტერთან ღამეებს ათევდაო.**

— ბოლო დღეებში კი არა, ყოველთვის უყვარდა კომპიუტერთან ჯდომა, უბრალოდ სკოლის პერიოდში, როცა დილით იყო ასადგომი, ადრე წვებოდა. ახლა არდადეგებია, ამიტომ კომპიუტერთან გვიანობამდე იჯდა. ყველაფერს ხომ არ დავუშლიდი? თუმცა ვაკონტროლებდი, წერილებსაც ვკითხულობდი... მისთვის ისეთი არაფერი შემიმჩნევია, თორემ სადმე გავუშვებდი?!



■ მოჰამადინ როოინთანი

**— რადგან მარიამმა თურქული კარგად იცოდა, შესაძლებელია მკვლელთან ინტერნეტით მანამდე მიმოწერაც ჰქონოდა. ამ ვერსიას უშვებთ?**

— დაუშვებელი არაფერია, მაგრამ მარიამის „ფეისბუქის“ მეგობრებში ის ვერ ვიპოვე. ტერორისტია თუ არა, ამის თქმა არ შემიძლია, მაგრამ ასეთი ადამიანი ტერორისტიც არის, ნაგავიც და ცხოველიც! მან უმწიკვლო ბავშვს ყელი გამოსჭრა!

**— მარიამზე თქვით, რომ ეკლესიური იყო, არადა ამბობენ, ბოლო დროს ჯვარს აღარ იკეთებდაო.**

— როგორ გეკადრებათ! მარიამს ჯვარი იმ დღესაც ეკეთა. როცა მისი ცხედარი იპოვეს, ყელზე ზონარი ჰქონდა. ჯვარი ვერ ნახეს, მოწყვეტილი იყო. მარტო ზონარს ხომ არ გაიკეთებდა? ჯვარს მხოლოდ მაშინ იხსნიდა, როცა დასაბანად შედიოდა. გამოვიდოდა თუ არა, მაშინვე ჩამოიკიდებდა ხოლმე გულზე. რადგან არდადეგები ჰქონდა, ხან მეგობრებს ხვდებოდა, ხან რაღაცეებს აკეთებდა, ამიტომ ეკლესიაში ისე ინტენსიურად აღარ დადიოდა, როგორც ადრე. სახლში ხატების კუთხეს თვითონ უვლიდა.

**— იმ ვერსიაზე რას ფიქრობთ, რომ მარიამი სწორედ იმ პიროვნებამ მოკლა, ვინც სანაპიროზე მაწანწალასავით ცხოვრობდა?**

— კი, ამ ვერსიას ვუშვებ, რადგან ყველაფერი ემთხვევა.

**— რაში დასჭირდებოდა გოგონას მოკვლა?**

— რა გითხრათ, არ ვიცი. მარიამს ვერავინ გამიცოცხლებს და აღარც არაფერი მაინტერესებს. თუ მას დაიჭერენ, ერთი ის გამაგებინოს, რატომ მომიკლა ბავშვი. მარიამს მტერი არ ჰყავდა, არც შეყვარებული, რომ მისთვის უარი ეთქვა და ამიტომ ყელი გამოეჭრა.

✓ **მაკა ლემონჯავა**

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



Cyan Magenta Yellow Black





# თუ ვეძებთ ღმერთს, ის ყოველთვის გამოგვიცხადებს თავის თავს

## ცხოვრება წმინდისა ეპიფანესი, ჯვიპროსელი ეპისკოპოსისა (ეპიფანე ჯვიპრელი)

**გაგრძელება**

სრულიად ახალგაზრდა მონაზონი ეპიფანე თავის მიმრქმელთან (ნათლიასთან) და სულიერ მოძღვარ ლუკიანესთან ერთად შეუდგა მონასტრულ მოღვაწეობას. მისთვის მისაბაძი მაგალითები იყვნენ როგორც ლუკიანე, ასევე უდიდესი ავტორიტეტის მქონე მამა ილარიონი და მამა კლავდიოსი, რომლებიც დახვდნენ მონასტერში ახალგაზრდა, ჭაბუკ ეპიფანეს. მამების მსგავსად მღვიძარება, მყუდროება, მარხვა და მოთმინება გახდა მისთვის, როგორც დამწყები მოღვაწისთვის, უმთავრესი საზრუნავი.

მონასტერი, რომელშიც წმინდა ეპიფანე ძმებთან ერთად მოღვაწეობდა, მდებარეობდა შუა უდაბნოში, საიდანაც წყარო დაშორებული იყო რვა კილომეტრში და იმის გამო, რომ დღისით შეუძლებელი იყო უდაბნოში სიარული, ღამით მიდიოდნენ წყლის მოსატანად. ასეთ ურთულეს პირობებში უხდებოდათ მამებს მოღვაწეობა.

იყო ასეთი შემთხვევა, როცა მონასტრის წევრები უდაბნოში მიდიოდნენ და პირუტყვებზე აკიდებული ღვინო მიჰქონდათ მონასტერში. გაუსაძლისი სიცხის გამო მოსწყურდათ, მაგრამ არავის აღმოაჩნდა წყალი. საქმე იქამდე მივიდა, წყურვილისგან შეიძლება დახოცილიყვნენ კიდეც, რომ ღმერთშემოსილმა ეპიფანემ წამოიძახა: „განა არ ვიცით, ძმებო, რომ ჩვენმა უფალმა იესო ქრისტემ კანაში მომხდარი სასწაულის შედეგად წყალი გადააქცია ღვინოდ, ახლა კი ძალუძს, ჩვენი ღვინო წყლად აქციოს და ამით გამოგვიხსნას განსაცდელისგან". მართლაც, ნახეს და მათი ღვინო წყლად გადაქცეულიყო. მომხდარი სასწაულით უზომოდ ბედნიერებმა და გაოცებულებმა მოიკლეს წყურვილი თვითონაც და პირუტყვიც გადაარჩინეს დახოცვას.

ამ სასწაულის შემდეგ გაითქვა მამა ეპიფანემ სახელი, ამან კი მყუდროების მოსურნე ბერს მოსვენება დაუკარგა. რადგან მამა ლუკიანეს გარდაცვალების შემდეგ მონასტერს მამა ილარიონი წინამძღვრობდა, მისგან ითხოვა კურთხევა, განმარტოებით დასახლებულიყო სამოღვაწეოდ კიდევ უფრო უკაცრიელ უდაბნოში, ვიდრე მანამდე ცხოვრობდა საძმოსთან ერთად. დასახლდა მარტოდმარტო, რასაც განიცდიდნენ ძმები, მაგრამ რაც დრო გადიოდა, წმინდა ეპიფანე უფრო და უფრო ძლიერდებოდა. სამ დღეში ერთხელ ჭამა ყველაზე კარგი შემთხვევა იყო მის ცხოვრებაში.

ერთხელ იმ უდაბნოში, სადაც მამა ეპიფანე მოღვაწეობდა, სარკინოზთა ასეულს მოუხდა გავლა და შენიშნეს მლოცველი მამა. ერთ-ერთ მათგანს, რომელიც ცალი თვალით უსინათლო იყო, ბოროტი აზრი მოუვიდა თავში და გადაწყვიტა, მარტო მლოცველი ქრისტიანი სიცოცხლეს გამოესალმებინა. მიუახლოვდა წმინდანს და ის იყო, ხანჯალი უნდა ჩაერტყა მისთვის, რომ დამშრალ თვალში ხედვა აღუდგა და მოწყვეტით დაეცა მიწაზე წმინდა მამის ფეხებთან.

როცა დანარჩენი მეომრები მიუახლოვდნენ შემთხვევის ადგილს, ნახეს მათი თანამებრძოლი, რომელიც ძირს ეგდო ცოცხალი და ორივე თვალით მხედველი გაკვირვებული მისჩერებოდა ხან წმინდა მამას, ხანაც მეომრებს. მაშინ მოუწოდეს მამა ეპიფანეს, ეთქვა მათთვის, რა ძალით მოახერხა ცალთვალა თანამებრძოლის გამოჯანმრთელება. მიუგო წმინდანმა: „ძალითა ქრისტე ღვთისაისათა". სარკინოზებმა უთხრეს, ჩვენ არ ვცნობთ ქრისტეს, ჩვენთვის შენ ხარ ღმერთი და ჩვენთან ერთად მოგიწევს წამოსვლა, რათა შენი ძალით აგვარიდო ყოველი განსაცდელი, რომელიც კი მოგველისო და წმინდა მამის ნების საწინააღმდეგოდ მაინც წაიყვანეს.

გზადაგზა წმინდანი უქადაგებდა ქრისტეს სარწმუნოებას, მოუწოდებდა მათ, თავი დაენებებინათ ძარცვა-ყაჩაღობისათვის, ვინაიდან მათი საქციელი მიუღებელი და ცოდვის შემცველი იყო ღვთის წინაშე. ზოგმა შეისმინა წმინდა მამის დარიგება, ზოგი კი მაინც განაგრძობდა ღვთისთვის საძულველ საქმიანობას.

ექვსი თვის ხეტიალის შემდეგ ისევ თავის ადგილზე დააბრუნეს წმინდა ეპიფანე, აუშენეს საცხოვრებელი და გამოემშვიდობნენ. ეს ამბავი შემოგვინახა და გადმოგვცა ერთ-ერთმა ყოფილმა ავაზაკმა, რომელიც იმყოფებოდა სარკინოზებს შორის და მონაზვნის სქემით შეიმოსა მამა ეპიფანეს ძველ მონასტერში, სადაც მოღვაწეობდა მამა ილარიონი.

ბევრი ეხვეწნენ ძმები მამა ეპიფანეს, დარჩენილიყო მათთან და მათ გვერდით გაეგრძელებინა მოღვაწეობა, მაგრამ უარი მიიღეს. „მეც მთხოვა, — მოგვითხრობს მამა იოანე, — გადამეწყვიტა, დავრჩენილიყავი თუ თან გავყოლოდი, რაზეც ჩემგან დადებითი პასუხი მიიღო და მეც საბოლოოდ გავყევი. გზად მიმავალთ შემოგვხვდა ერთი ეშმაკისეული, რომელიც დემონთაგან იტანჯებოდა და არავინ იყო მისი მშველელი. მიუგო დემონმა, რომელიც ჩასახლებულიყო ყმაწვილში: „გსურს, ეპიფანე, განმდევნო ჩემი საცხოვრისიდან, მაგრამ იცოდე, რომ შემიძლია დავსახლდე სპარსეთის მეფესთან და გაიძულებ, რომ იქ ჩამოხვიდე უზომოდ დამწუხრებული". ამ სიტყვების დამთავრების შემდეგ გათავისუფლდა ყმაწვილი, მაშინვე ჩაუვარდა ფეხებში წმინდანს და ადიდებდა უფალს მომხდარი სასწაულის გამო".

რაც შეეხება დემონს, რომელსაც დაეტოვებინა ყმაწვილი, განრისხებული სპარსეთის მეფის კარზე დაძრწოდა. მისი მორიგი მსხვერპლი მეფის ასული იყო, უფრო მეტი მრისხანებით განცხოველდა მასში, მეფის ასულის პირით გაჰკიოდა: „თუ არ მოვა აქ ეპიფანე, მეფეო, რომელმაც მე გამომგზავნა, აქედან ფეხის მომცვლელიც არ ვარ". ისევ თვითონ იმეორებდა შემდეგს: „ეპიფანე, რომელიც იმყოფები ფინიკიაში, მოდი აქ, რათა დავტოვაო მეფის ასული".

მეფეც იძულებული გახდა, ამ სიტყვების შემდეგ გაეგზავნა თავისი მსახურები ფინიკიაში, რათა მოეყვანათ ეპიფანე, რომელსაც ასე ხშირად ახსენებდა დემონი მეფის ქალიშვილის პირით. მეფის მსახურებმა ფეხ-დაფეხ შემოიარეს მთლიანად ფინიკია, მაგრამ ამაოდ, ვერსად მიაკვლიეს ეპიფანეს კვალს. დაბრუნდნენ უკან დამწუხრებულები და მოახსენეს მეფეს.

მაშინ მეფემ შეარჩია ოცდაათი უერთგულესი მსახური, უბრძანა მათ, შემოსილიყვნენ რომაელთა სამოსით და მისულიყვნენ სპანიდრიონში, რომელიც მდებარეობდა ფინიკიაში და იქ იმყოფებოდა ეპიფანე. მიადგნენ ღამით წმინდანის სენაკს და დაუკაკუნეს კარზე. ამ დროს წმინდა მამა ლოცვად იყო მუხლმოყრილი და არც შეუმჩნევია დაუპატიჟებელი სტუმრები. ამის შემდეგ ძალით მოინდომეს სენაკში შევარდნა და რომელიც იყო ინიციატორი, მაშინვე დაისაჯა — ის ხელი გაუხმა, რომლითაც კარის შემტვრევას აპირებდა. რა ნახეს სასწაული, მაშინვე მოშორდნენ წმინდანის სენაკს.

როცა წმინდა მამამ ლოცვა დაასრულა, გამოვიდა და ნახა ხელგამხმარი, რომელიც ისევ წმინდანისგან ითხოვდა შველას: „შემიწყალე მე, მონაო უკვდავო ღმერთისაო". რაზეც წმინდანმა მიუგო: „რას ითხოვ ჩემგან, ცოდვილისა და მოკვდავისგან?". ხელგამხმარმა უთხრა: „მოვედი ჯანმრთელი და ახლა კი ხედავ, რომ საკუთარი მარჯვენი აღარ მემორჩილება". ადექი და იარე ჯანმრთელმაო, მიუგო წმინდა მამამ და ხელიც მაშინვე მოურჩა.

რა ნახეს მომხდარი სასწაული, ყველანი მუხლებში ჩაუვარდნენ მამა ეპიფანეს და ერთხმად ითხოვდნენ შენდობას. მიზეზიც გააცნეს, თუ რისთვისაც იყვნენ მასთან მოსულები — ის დემონი, რომელიც განდევნე, მეფის ასულს აწვალებს და მეფემ გამოგვგზავნა, იქნებ წამოხვიდე და ამით ჩვენც ავიცილებთ მეფის მრისხანებასო.

ოცდაათი დღე მოანდომეს სპარსეთში ჩასვლას. უამრავი ხალხი შეყრილიყო წმინდა მამის დასახვედრად. არ სურდა მამა ეპიფანეს მეფესთან მისვლა, მაგრამ არც სხვა გზა დარჩენოდა. მეფე თავის ტახტზე იჯდა და ელოდა. როგორც კი მიუახლოვდა მამა ეპიფანე, მაშინვე მიუგო: „მეფეო, მარტო სარწმუნოება კმარა შენი შვილის განსაკურნებლად. დემონი, რომელმაც დატოვა ერთი ყმაწვილი, შენს ქალიშვილს მოადგა და ახლა ამას ტანჯავს. ჯვარცმული იესოს ძალით, რომელიც უნდა გწამდეს, შეუძლებელია მისი აქ დარჩენა და შენი შვილის შეწუხება".

მაშინ ბრძანა მეფემ თავისი ქალიშვილის მასთან მოყვანა. მიუგო წმინდანმა: „დამშვიდდი, შვილო, ახლავე თაყვანი ეცი შენს ზეციერ მამას და მგელი მაშინვე მიგატოვებს". გადასახა ავადმყოფს სამგზის ჯვარი და გაირინდა სასწაულის მოლოდინში. უბრძანა დემონს: „ახლავე გიბრძანებ, დატოვო მეფის ასული და წახვიდე იქ, სადაც არავინ სახლობს, რათა არავინ შეაწუხო ამ გოგონას მსგავსად". ამის მნახველმა მეფემ და იქ შეკრებილმა ხალხმა, რომლებიც გაოცებისგან ხმას ველარ იღებდნენ, ისღა მოახერხეს, რომ შენდობა ეთხოვათ მამა ეპიფანესგან და სთხოვდნენ, სამუდამოდ დარჩენილიყო მათ ქვეყანაში.

არაერთი სასწაული აღასრულა უფალმა სპარსეთში ჩასული წმინდა ეპიფანეს ხელით. არაერთი შენიშვნა მისცა თვით მეფესაც, რომელიც მოთმინებით იტანდა წმინდა მამის შენიშვნებს. მეფე შეშინებული იყო იმ სასწაულებით, რომელთაც ხედავდა საკუთარი



Cyan Magenta Yellow Black

თვალით. წმინდა მამამ არაერთ მაგსა და ჯადოქარს აალებინა ხელი ჯადოქრობაზე. თვით მეფე უამრავ სიმდიდრეს, ფულსაც, ოქრო-ვერცხლსაც, პირუტყვსაც სთავაზობდა მამა ეპიფანეს, მაგრამ ამაოდ. ამ ყოველივეზე უკვე უარი მაქვს ნათქვამი და განრიდებული ვარ, გინდა, რომ მეც შენს მსგავსად მიწიერ ამაოებაზე ვიფიქრო და ბოროტის განზრახვით დავკარგო საუკუნო, არა, ჩემო ხელმწიფევ, ისევ შენთვის და შენნაირებისთვის დამითმია და თუ თქვენც ჩემსავით მოიქცევით, თქვენი გული და გონებაც თავისუფალი იქნება სოფლის საზრუნავისგანო.

მამა იოანე მოგვითხრობს: „ათი დღე დავრჩით და როგორი ხელცარიელებიც მივედით მეფესთან, ისევე წამოვედით. სენაკში დაბრუნებულებს წყალი არ გვქონდა. რომ არა მამა ეპიფანე, წყურვილით ამოგვძვრებოდა სული. მოიყარა შეწუხებულმა წმინდანმა მუხლი და შეჰღაღადა უფალს: „უფალო ღმერთო ჩვენო, რომელსაც ძალგიძს, ქვისაგან გადმოადინო წყარონი, ქვესკნელისაგან მდინარენი, შეისმინე შენი ცოდვილი მონის ვედრება, მოგვეც ნუგეშად ჩვენდა წყარო ნაყოფიერებისა“. სამგზის მოიყარა მუხლი, აიღო ნიჩაბი და მიწა ამოთხარა, საიდანაც წყალი გარდამოვიდა, კიდევ უფრო ღრმად ამოთხარა და ნამდვილი საოცრება, წყარომ ამოჩქეფა, ისეთმა წყარომ, რომელმაც მორწყა იქაურობა. ბოსტანიც გავაკეთეთ საკუთარი და იმ დღიდან უწყლობას აღარ შევუწუხებივართ. თუმცა გვაწუხებდნენ ველური ცხოველები, რომლებიც უტევდნენ ჩვენს ბოსტანს. ერთხელაც დადგა ბოსტანში მამა ეპიფანე და ესაუბრებოდა ცხოველებს ისე, როგორც ადამიანებს: „რატომ იქცევით ასე? იმიტომ ხომ არა, რომ მე ვარ ცოდვილი ამ უკაცრიელ ადგილას საკუთარი ურჯულოების მოსანანიებლად და ეს ბოსტანი მაქვს ერთ-ერთ ნუგეშად. ამის შემდეგ ღმერთის სახელით გიბრძანებთ, ნუღარასდროს მოხვალთ და ნუღარ გააფუჭებთ ჩვენ სანუგეშოდ მოწყობილ ბოსტანს“. ის დღე იყო და აღარასდროს შევუწუხებივართ ნადირს“.

სარკინოზები, რომლებმაც აუშენეს მამა ეპიფანეს სენაკი, ისევ ესტუმრნენ, შეიტყვეს რა მისი დაბრუნება სპარსეთიდან და ინახულეს უდიდესი სიყვარულით. კიდევ აუშენეს რამდენიმე სენაკი და დატოვეს იქაურობა. უკვე მთელ ფინიკიაში გაითქვა ღმერთშემოსილი მამის სახელი. ამ უკაცრიელ უდაბნოში სხვებმაც მოინდომეს წმინდა მამის გვერდით მოღვაწეობა. ამის შემდეგ უამრავი სასწაული აღესრულა წმინდანის ხელით, იკურნებოდნენ ეშმაკეულები.

ახლომახლო სოფლების მოსახლეობა, რომლებიც სახლობდნენ მონასტერთან ახლოს, შეწუხებულები იყვნენ ნადირთა თავდასხმებით, მხეცები არც ადამიანებს ინდობდნენ. მიაკითხეს წმინდა ეპიფანეს. წმინდანმა კი უთხრა მათ, თუ გწამთ, აუცილებლად გათავისუფლდებით ამ განსაცდელისგანო. გაჰყვა მათ იმ ადგილას, სადაც ლომი ჭამდა შინაურ პირუტყვსაც და გზად მიმავალ ადამიანსაც. როგორც კი ლომი გამოჩნდა გამხეცებული და დაინახა მამა ეპიფანე, მაშინვე მიწაზე დავარდა და სულიც განუტევა. ამის მნახველმა ადგილობრივებმა შვებით ამოისუნთქეს და ადიდებდნენ მამა ეპიფანეს, როგორც მათ მხსნელს. მამა ეპიფანემ კი მიუგო: „თუ გექნებათ რწმენა იესო ქრისტესადმი იმ ფორმით, როგორც მე მაქვს, ყველანი იმ ლომივით დაეცემიან თქვენ წინაშე, ვინც კი დაგიპირისპირდებათ“.

იმის გარდა, რომ წმინდანი უამრავი სათნოებით იყო შემკობილი, საუცხოოდ შეეძლო საღვთო გარდამოცემის განმარტება და დეტალურად განხილვა. ყველასთვის გასაგებ ენაზე გადმოსცემდა ძველ თუ ახალ აღთქმას. ედესაში მოღვაწეობდა ვინმე, ისიც სახელად ეპიფანე, განთქმული მოაზროვნე და ფილოსოფოსი. შეიტყო წმინდა მამის შესახებ და გადაწყვიტა, მასთან წასულიყო ქრისტიანული ფილოსოფიის მოსასმენად. იმის სურვილიც ამოძრავებდა, იქნებ ეკამათა კიდეც მასთან და თავისი გონიერება და გამჭრიახობა დაემტკიცებინა.

მიესალმა წმინდა მამას და მდაბლად პატივი მიაგო, მოიკითხა. ჰკითხა ეპიფანემ: „გაოცებული ვარ, ასეთი დიდი მოაზროვნე და ფილოსოფოსი რატომ მოხვედი ჩემნაირ უწიგნურ და უსწავლელ ბერთან, თანაც ცოდვილთან“. მოაზროვნემ უპასუხა: „ნუ გაოცდები, წმინდაო მამაო, ვინაიდან მოაზროვნეს უხარია ყველა მოაზროვნესთან ურთიერთობა და საუბარი. ნამდვილი მოაზროვნე არის ის, ვინც მიილტვის იქითკენ, რომ კიდეც უფრო მეტი ისწავლოს მოწინააღმდეგისგან“. ეს თქვა და ეპიფანე გაჩუმდა წმინდა მამის საუბრის დაწყების მოლოდინში.

სამი დღე ისაუბრეს. წმინდანმა ყველაზე დიდი დრო დაუთმო ძველი აღთქმიდან დაბადების წიგნის განმარტებას. მხოლოდ მეოთხე დღეს მიუგო ფილოსოფოსმა ეპიფანემ, რომ თუ წინააღმდეგი არ იქნებოდა, მასთან დარჩენის ნებართვა მიეცა სამუდამოდ, რაზეც წმინდა მამამ მიუგო: „ეს არის შენი გადაწყვეტილება და შენი არჩევანი, თუ გსურს, დარჩი და იცხოვრე“. ფილოსოფოსმა უთხრა, მაშინ იმის ნებაც დამრთე, რომ ჩემი ნივთები და ჩემი ბიბლიოთეკაც აქ მოვიტანოო. წმინდა მამის თანხმობის შემდგომ სთხოვა, რომ მისი წიგნებისთვის წასულიყო კალისტოსი. ეს იყო აეტიოსის ვაჟი, რომის იმპერიის პირველი ეპარხოსი და რომელიც აგრეთვე შეპყრობილი ჰყავდა დემონს.

ღამით ძილში ჩვენება იხილა კალისტოსმა, რომელშიც წმინდა ეპიფანე ეკითხებოდა: „გსურს, კალისტოს, შენგან განვდევნო დემონი?“, რაზეც კალისტოსმა უპასუხა: „შენ ვინ ხარ, რომ ძალგიძს ჩემგან დემონთა განდევნა?“ წმინდანმა უთხრა: „მე ვარ ეპიფანე პალესტინის ფინიკიიდან და ვცხოვრობ სპანიდრიოს მონასტერში. თუ შენგან გავლენ დემონები, შენც წამოხვალ ჩვენთან მონასტერში საცხოვრებლად?“ მიუგო კალისტოსმა: „ჩემო ბატონო, გამათავისუფლე ბოროტი სულებისგან და მეც აუცილებლად ვიცხოვრებ თქვენ გვერდით“. წმინდა მამამ უთხრა: „ყურადღებით იყავი და ნუ დაარღვევ შენს პირობას, რადგან შესაძლებელია ისევ დაბრუნდნენ შენთან ბოროტი სულები“.

კალისტოსმა მამამისს აუხსნა ხილვა, რომელიც იხილა და მისგან მიიღო კურთხევა, წასულიყო წმინდა ეპიფანესთან მონასტერში, თან უამრავი ვერცხლი და ოქრო გაატანა წმინდა მამასთან მოსაკითხად. კალისტოსმა თან ფილოსოფოსის წიგნებიც წაიღო მონასტერში და იმ დღიდან დარჩა იქ საცხოვრებლად.

**ქრისტესმიერი სიყვარულით პროტოდიაკონი მირიანი. ამინ!**

გაგრძელება შემდეგ ნომერში

# „მიწიერ ცხოვრებაში ოჯახურ სითბოსა და სიყვარულზე უფრო მეტი სიხარული არ არსებობს“



■ მამა გიორგი

ეკლესია გვასწავლის, რომ ბედნიერი ქორწინების საწინდარი ღვთის მიერ მოცემული წესების გააზრება-შესრულებაა. ქორწინება როგორც კაცობრიობის გამრავლების, ასევე ვნების ცოდვისგან თავდასახსნელი საშუალებაა. მისი წმინდად შენახვა გულისხმობს იმას, რომ ღალატი დაუშვებელია. ამ მარადიულ თემაზე, რასაც ქალისა და მამაკაცის სიყვარული და შემდგომ ამ კავშირის გვირგვინი — ქორწინება ჰქვია, იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძრის დეკანოზი, **მამა გიორგი** (სხირტლაძე) გვესაუბრება და წმინდა მამათა განმარტებებს გვაწვდის.

**— მამაო, რა კრიტერიუმებით უნდა შეარჩიოს ქრისტიანმა მორწმუნემ მეორე ნახევარი?**

— ღირსეული თანამგზავრის შერჩევისას, პირველ რიგში, აუცილებელია, ადამიანში (საქმროში ან საცოლეში) სულიერი სათნოება და ზნეკეთილობა ვეძებოთ. წმინდა იოანე ოქროპირს საკმაოდ სიღრმისეულად აქვს ჩამოყალიბებული ქორწინების საიდუმლოების დანიშნულება. იგი ღრმად ჩასწვდა ადამიანის გულს, კარგად შეისწავლა პიროვნების სულის სიღრმეში დაფარული შრეები და გამოამზეურა, რათა ყოველმა ადამიანმა იცოდეს ქორწინების მნიშვნელობა და ისიც, რომ ეს არის ბუნებრივი მოთხოვნილება, ღვთით დადგენილი კანონი.

ერთ-ერთ თავის ქადაგებაში წმინდა იოანე ოქროპირი წერს: „ვინც მდიდარ და ლამაზ ცოლს ირჩევს, ის უფრო

**„ოჯახური ბედნიერებისათვის რწმენითა და გულწრფელი სიყვარულით აღვლენილ ლოცვებს ყოველი წმინდანი ისმენს, განსაკუთრებით კი წმინდა ნიკოლოზს ევედრებიან, როგორც მსწრაფლშემწესა და საკვირველმოქმედს. ჭეშმარიტი, ქრისტიანული ოჯახის შექმნის მსურველებს შეუძლიათ წაიკითხონ დაუჯდომელი საგალობელი ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისა ხატისათვის — დაუჭნობელი ყვავილი“.**

ქალბატონს ირთავს, ვიდრე ცოლს. სილამაზე სხეულში როდია, არამედ სხეულის სილამაზე დამოკიდებულია ადამიანის ხასიათზე, განათლებაზე, მშვიდობისმყოფელობაზე. ჯობს, დავქორწინდეთ ღარიბზე, მაგრამ ზნეკეთილ ქალზე, ვიდრე მდიდარსა და დიდი მოთხოვნილებების მქონეზე“.

საქმროს შერჩევისას წმინდა იოანე ოქროპირი გვმოძღვრავს, რომ მისი გარეგნული სილამაზე და სიმდიდრე კი არ უნდა მივიღოთ მხედველობაში, არამედ სულიერი ღირებულებები და უმთავრესად კეთილმორწმუნეობა. მშობლებს ურჩევს, რომ უფალს ევედრონ კეთილშობილი სასიძოსთვის: „ეძებე შენი ქალიშვილისთვის მეუღლე, ჭეშმარიტად დამცველი და მფარველი მისი. ეძებე არა ფული, სიმდიდრე, წინაპრები, გვარიშვილობა, ეს ყოველივე წარმავალია, არამედ ეძებე კეთილშობილება სულისა, კეთილგონიერება, მოკრძალება, ღვთისმოშიშება, რათა შენი ქალიშვილი ცხოვრობდეს ბედნიერად“.

**— რას ნიშნავს ქრისტიანული ქორწინება და რა არის ქორწინების მიზანი?**

— ქრისტიანული ქორწინება თავისი ჭეშმარი- →74

ტი არსით წარმოადგენს ცოლისა და ქმრის არამარტო გარეგნულ, ხორციელ შეერთებას, არამედ მათი სულების შინაგან გამთლიანებას, ურთიერთშეწევნას და სრულყოფილებისკენ ლტოლვას. რაც შეეხება ქორწინების მიზანს, აქ წმინდა მამები გამოყოფენ ორ ძირითად პირობას, რის გამოც ქორწინება შედგება: პირველი — ღვთივდადგენილი კანონი ადამიანთა მოდგმის გასაგრძელებლად და მეორე — ასევე განხურვების თავიდან ასაცილებლად, რასაც ადასტურებს წმინდა წერილი: „სიძვის თავიდან ასაცილებლად ყველა კაცს თავისი ცოლი ჰყავდეს და ყველა ქალს თავისი ქმარი, რათა სატანამ არ გაცდუნოთ თქვენი თავშეუკავლობისა გამო“.

**„ფიზიკური სილამაზე ქმრისა ან ცოლისა შეიძლება სიამოვნებას განიჭებდეს ათი, ოცი ან ოცდაათი დღის განმავლობაში, მაგრამ დიდხანს ვერ გასტანს, თუ მეუღლეებმა ურთიერთსიყვარულის, ურთიერთნდობისა და პატივისცემის გრძნობა წინა პლანზე არ წამოსწიეს. სადაც ჭეშმარიტი სიყვარულია, იქ სიმდიდრე, ბედნიერება და დოვლათია".**

მას შემდეგ, რაც სასიძო კეთილგონივრულად შეარჩევს საცოლეს, ხოლო ქალიშვილი — საქმროს, აღსრულდება ღვთის ნება, შეიქმნება ოჯახი, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს ქორწინებაში. შესაძლებელია ის სიყვარული, რომელსაც შეუღლებამდე გრძნობდნენ მოსიყვარულე წყვილები, აღგზნებული და ვნებასაყოლილი აღმოჩნდეს, რადგან ფიზიკური სილამაზე ქმრისა ან ცოლისა შეიძლება სიამოვნებას განიჭებდეს ათი, ოცი ან ოცდაათი დღის განმავლობაში, მაგრამ დიდხანს ვერ გასტანს, თუ მეუღლეებმა ურთიერთსიყვარულის, ურთიერთნდობის და პატივისცემის გრძნობა წინა პლანზე არ წამოსწიეს. სადაც ჭეშმარიტი სიყვარულია, იქ სიმდიდრე, ბედნიერება და დოვლათია და პირიქით, თუ არ არსებობს სიყვარული, არ არსებობს ურთიერთთანხმობა, ოჯახში უსიამოვნება და ქაოსი ისადგურებს.

— **რატომ არის დაოჯახება აუცილებელი ქრისტიანისთვის?**

— ჭეშმარიტი ქრისტიანის გულს განუწყვეტელი სიყვარულის გრძნობა თან სდევს. ამ სიყვარულის ძალით ადამიანმა შეიძლება ან ოჯახის შექმნისაკენ გადადგას ნაბიჯი, ან კიდევ მონასტრული ცხოვრებისაკენ, რაც სიყვარულის უმაღლეს სახეში — ღმერთთან თანამყოფობასა და სიახლოვეში განიცდება. ასე რომ, ყველასათვის აუცილებლობას არ წარმოადგენს დაოჯახება, ოჯახის შექმნა. წმინდა წერილში ვკითხულობთ, რომ ყველას როდი ძალუძს ქორწინება: „უფალმა მოწაფეებს უთხრა: არიან საჭურისნი, რომელნიც დედის საშოდანვე ასე იშვნენ, არიან საჭურისნი, რომელნიც კაცთაგან დასაჭურისდნენ და არიან საჭურისნი, რომელთაც თავად დაისაჭურისეს თავი ცათა სასუფევლის გულისათვის. ვისაც წვდომის თავი აქვს, ჩასწვდეს“.

— **რატომ ვუწოდებთ ცოლქმრულ კავშირს უღლის ტარებას და ღვთის მიერ რა მოვალეობები ეკისრებათ ჯვარდაწერილ მეუღლეებს ერთმანეთის წინაშე?**

— ამქვეყნიურ, მიწიერ ცხოვრებაში ოჯახურ სითბოსა და სიყვარულზე უფრო მეტი სიხარული არ არსებობს. ბედნიერი ოჯახი რომ გვქონდეს, გამუდმებით უნდა ვიზრუნოთ მისი კეთილდღეობისთვის. ჩვეულებრივ, ფიქრობენ ხოლმე, რომ ოჯახური საზრუნავი ყველაზე მძიმე ტვირთია ცხოვრებაში, რაც მცდარი შეხედულებაა. ამგვარი აზრი ადამიანს ცხოვრებაზე არასწორი შეხედულებებისა და ჭეშმარიტი ღვთისმოშიშობის დეფიციტის გამო უჩნდება.

**„ღმერთი სიწმინდის და პატიოსნების დასაცავად კაცს ცოლს უბოძებს, ქალს კი — ქმარს, რათა ხორციელი ლტოლვა დააცხროს".**

მართალია, ოჯახური ყოფა-ცხოვრება საზრუნავს ამრავლებს, მაგრამ ყოველივე ამას ოჯახისთვის ბედნიერება მოაქვს. ადამიანი, რომელსაც მიზნის მისაღწევად დიდი წინააღმდეგობების გადალახვა უხდება, უდიდეს სიხარულსა და ბედნიერებას განიცდის, როდესაც ნატვრას აისრულებს. საკუთარი შრომისა და გარჯის ნაყოფი კი უტკბესია. ისე არავინ უფრთხილდება თავის ჯანმრთელობას და ისე არავის ახარებს ავადმყოფის გამოჯანმრთელება, როგორც იმას, ვინც ერთხელ მაინც გამხდარა ავად და თავის თავზე უწვნევია ავადმყოფობის მთელი სიმძიმე. მცენარე, რომელიც ჩვენი ხელით დავრგეთ, მოვუარეთ, გავახარეთ, ხომ უფრო მეტ სიამოვნებას გვანიჭებს თავისი სილამაზით, ვიდრე ის, რომელიც ჩვენ არ დაგვირგავს. ასეა ოჯახურ ყოფაშიც.

— **როგორ დავიცვათ ქორწინების სიწმინდე?**

— ქორწინების სიწმინდის დაცვა ერთ-ერთი უპირველესი მოვალეობაა ცოლქმრულ ცხოვრებაში. ამის შესახებ საუბარია ძველ აღთქმაში. კერძოდ, მალაქია წინასწარმეტყველი წერს: „უფალი არ შეიწირავს თქვენს შესაწირავს. თქვენ ამბობთ, რისთვისო? იმისთვის, რომ მოწმე იყო უფალი შენსა და შენი სიყრმის ცოლს შორის, რომელსაც უღალატე. ის კი შენი მეგობარი და შენი აღთქმის ცოლი იყო“. ასევე ცოლქმრული ერთგულების სიწმინდით დაცვაზე წმინდა იოანე ოქროპირი გვმოძღვრავს: „ცოლქმრული სიწმინდის დაცვა აუცილებელია, საწოლი უნდა იყოს უბიწო და შეუგინებელი, ქორწინებაც ხომ იმიტომ არის დაწესებული, რომ ვნებათაღელვა დააოკო და ზღვარს არ გადასცდე“. ღმერთი სიწმინდის და პატიოსნების დასაცავად კაცს ცოლს უბოძებს, ქალს კი — ქმარს, რათა ხორციელი ლტოლვა დააცხრო.

— **რომელი ხატის წინაშე უნდა ილოცონ ბედნიერი ოჯახის შექმნის მსურველებმა და რა ლოცვები უნდა წაიკითხონ მათ?**

— ოჯახური ბედნიერებისათვის რწმენითა და გულწრფელი სიყვარულით აღვლენილ ლოცვებს ყოველი წმინდანი ისმენს, განსაკუთრებით კი წმინდა ნიკოლოზს ევედრებიან, როგორც მსწრაფლშემწესა და საკვირველმოქმედს. ჭეშმარიტი, ქრისტიანული ოჯახის შექმნის მსურველებს ასევე შეუძლიათ წაიკითხონ დაუჯდომელი საგალობელი ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისა ხატისათვის „დაუჭკნობელი ყვავილი“.

✓ **მანანა ნოდია**

# ვინ ამზადებს პატრიარქის უმაღლეს ჯილდოს — წმინდა გიორგის ორდენებს

## მამა საბა: „სანამ ეკლესიის წიაღში საბოლოოდ შევაღებდი კარს, 20 წელი ვიხეტიალე“

მამა საბა (ჭიკაიძე) სულ რამდენიმე თვეა, რაც მოძღვარი გახდა, ეკლესიურად კი წლებია ცხოვრობს. სკოლის მოსწავლე იყო, ტაძარში სიარული რომ დაიწყო და ამას დედას უმადლის. ჯერ სასულიერო სემინარია დაამთავრა, მერე — სასულიერო აკადემია. გულში ყოველთვის იცოდა, რომ ერთ დღეს ეკლესიის კარს საბოლოოდ შეაღებდა და იქ დარჩებოდა. დაახლოებით 20 წელი კი ამ ყველაფრისგან ცოტა მოშორებით იდგა, თუმცა იმ წლებმა დიდი გამოცდილება მისცა და მოძლერობა გაუადვილა. მამა საბამ იმ პერიოდში ტიხრული მინანქრის ტექნოლოგია შეისწავლა და ამ ოსტატობას ის და მის ცოლი ეკლესიის სამსახურის ახმარენ. თავის საერო და სასულიერო ცხოვრებაზე მამა საბამ „სარკეს“ უამბო.

— **მამაო, პირველ რიგში, გკითხავთ ტიხრულ მინანქარზე, საქმეზე, რომელიც საერო ცხოვრებაში დაიწყეთ და დღემდე აგრძელებთ.**

— ტიხრული მინანქარი ჩემი ცხოვრების ცალკე თემაა. ჩემი ნამუშევრები არის როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში. უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის მიერ გაცემული უმაღლესი ჯილდოს — წმინდა გიორგის ორდენებს მე ვაკეთებ. წმინდა ნინოს ორდენის დამზადებაც დავიწყეთ. ერთი თვეა, რაც მე და ჩემმა მეუღლემ სახარების შემკობა დავასრულეთ. 20-მდე მინიატურა გამოვიდა. ეს სახარება სალხინოს წმინდა გიორგის სახელობის მამათა მონასტერში დაბრძანდება. უკვე მღვდელი ვარ და ბევრი დრო არ მრჩება, მინანქარზე მუშაობა კი ძალიან ბევრ დროს მოითხოვს. სამწუხაროდ, წვრილ-წვრილი შეკვეთებისთვის ვერ ვიცლი. უფრო მეტად სერიოზულ შეკვეთებზე ვმუშაობ, რომელიც ჩემთვის შემოქმედებითად საინტერესოა. რაც შეეხება საქართველოს საპატრიარქოს, მათ თუ სჭირდებათ რამე, ყოველთვის ვეხმარები.

— **საქართველოს პატრიარქს თქვენი დამზადებული რამე ნივთი თუ აქვს?**

— ერთხელ მე და ჩემმა მეუღლემ ჩვენივე მოხატული სააღდგომო კვერცხი ვაჩუქეთ და ერთხელ — გამშვენებული ჯვარი, ძოწებით შემკული. თავის დროზე წმინდა სინოდმა გადაწყვიტა, პატრიარქისთვის საჩუქარი გაეკეთებინა. 2008 წლის 14 ოქტომბერს, სვეტიცხოვლობას, ამავე ტაძარში მის უწმინდესობას ეკლესიის უმაღლესი ჯილდო — მაცხოვრის კვართის ორდენი გადასცეს. ეს ორდენიც მე და ჩემმა მეუღლემ გავაკეთეთ. ულამაზესი გამოვიდა, მარგალიტებით იყო შემკული.

— **თქვენს შვილებსაც ხომ არ აქვთ ტიხრულ მინანქარზე მუშაობის ნიჭი ან სურვილი?**

— უფროს გოგონას ჰქონდა ამისი სურვილი, მაგრამ ამჟამად სტუდენტია და მთლიანად თავისი საქმით არის დაკავებული. ჯერჯერობით მუსიკალურ სამყაროშია გადართული, ის უფრო უყვარს და აინტერესებს. ტიხრულ მინანქარზე მუშაობა იცის და ადრე რაღაცეები გაუკეთებია კიდეც. შესაძლოა, დროთა განმავლობაში ამის სურვილი ისევ გაუჩნდეს.

— **სანამ სასულიერო პირი გახდებოდით, კიდევ რა**



Cyan Magenta Yellow Black

**სტუდიოში მუშაობდით?**

— ორი წლის განმავლობაში თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტში (თეუსუ) ვასწავლიდი. იქ ცხონებული გურამ თავართქილაძის თხოვნით მივედი, ტიხრული მინანქრის სახელოსნო გავხსენით. 250 სტუდენტი მყავდა. ბევრი მათგანი დღესაც აგრძელებს მინანქარზე მუშაობას. მანამდე ეროვნულ ზარაფხანაში ვმუშაობდი, ასევე სხვადასხვა სკოლაში საღვთო სჯულს ვასწავლიდი. მე და ჩემს მეგობრებს ანსამბლი გვქონდა და ვმღეროდით. მოკლედ, ყოველთვის ხელოვნებას ვემსახურებოდი და საინტერესო წლებიც გამოვიარე. დღესაც ხელოვნებას ვემსახურები — ვთვლი, რომ ყველაზე დიდი ხელოვნება ადამიანებთან ურთიერთობაა.

**— მრევლთან ურთიერთობის ხელოვნება როგორ გამოგდით?**

— მგონი, კარგად. ჩემს წარმოდგენაში სასულიერო პირად ყოფნა ყოველთვის საშიში იყო. მუდმივი სიფრთხილის შეგრძნება მქონდა. დღეს ჩემი სულიერი მოძღვარი მამა იოანეა (ხვედელიძე), რომელიც ზოვრეთის მამათა მონასტრის წინამძღვარი გახლავთ. ჩვენ წლების განმავლობაში მეგობრები ვიყავით. სანამ მღვდლობას დავაპირებდი, აზრი სწორედ მას ვკითხე. რომ არა ეს პიროვნება, მე ალბათ ასეთ ნაბიჯს ვერასდროს გადავდგამდი, რადგან ძალიან მეშინოდა. სწორედ მამა იოანეს დამსახურებაა, რომ სასულიერო პირი გავხდი. ასეთი ცხოვრებისთვის გაცილებით მომზადებული აღმოვჩნდი, ვიდრე მეგონა. 10 თვე დიაკვანი ვიყავი და, როცა მღვდლად მაკურთხეს, შიში უფრო გამიმძაფრდა. ძალიან მეშინოდა პირველი აღსარების მიღების, მაგრამ ღვთის მადლით ჩემთან, როგორც მღვდელთან, მოსულ პირველივე ადამიანთან საუბარმა წარმატებით ჩაიარა. მას შემდეგ მრევლთან ურთიერთობა მიადვილდება.

**— სასულიერო ცხოვრებით რა ასაკიდან დაინტერესდით?**

— ამას ყოველთვის დედას ვუმადლი. წარმოშობით მთიული ვარ. მთის ხალხს რწმენა ყოველთვის გამძაფრებული აქვს. ჩემი მშობლებიც მორწმუნეები იყვნენ და სწორედ დედის დამსახურება იყო ჩემი ეკლესიაში მისვლა. ეკლესიური ცხოვრება პირველად მან დაიწყო, შემდეგ მე და ჩემი დაც მივედით. დედამ აგვიხსნა, რას ნიშნავდა ტაძარში სიარული და ისიც გვითხრა, თუ სურვილი გაქვთ, თქვენც იარეთო. როგორც ჩანს, მე შინაგანი მზაობა უკვე მქონდა და ეკლესიური ცხოვრება დავიწყე. ტაძრამდე გრძელი გზა განვვლე. სკოლის დამთავრებისთანავე სასულიერო სემინარიაში ჩავაბარე, შემდეგ სასულიერო აკადემია დავამთავრე. ამის მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა, სანამ საბოლოოდ გადმოვდგამდი ნაბიჯს ეკლესიის წიაღში. ერისკაცულ ცხოვრებას ვეწეოდი და ვცდილობდი, ჩემი ადგილი სადმე სხვაგან მენახა. მართალია, დაახლოებით 20 წელი ვიხეტიალე, მაგრამ სკოლის დამთავრების შემდეგ უკვე ვიცოდი, რომ ერთ დღეს მაინც სასულიერო პირი გავხდებოდი. მანამდე ექიმობა ან ფსიქოლოგობა მინდოდა, რომ ხალხს დავხმარებოდი.

შინაგანად ყოველთვის მქონდა რწმენა, მაგრამ ეკლესიური წესებით არ მიცხოვრია. კარგად არც კი ვიცოდი, რას ნიშნავდა მოძღვრობა და რომ ყველას ჰქონდა შანსი, სასულიერო პირი გამხდარიყო. მას შემდეგ, რაც დავრწმუნდი, მეც შემეძლო ეკლესიის წიაღში ყოფნა და ხალხის დახმარება, ჩემი ოცნებაც შეიცვალა. ერთი პერიოდი ვფიქრობდი, რომ ვერასოდეს გავხდებოდი მღვდელი, რომ ამისთვის მზად არ ვიყავი, თუმცა შინაგანად სულ ვიცოდი, რომ ჩემი „ბოლო გაჩერება“ ტაძარში იქნებოდა. მართლაც ასე მოხდა. რაღაც მომენტში მთელი არსებით ვიგრძენი, რომ დრო იყო.

**— თქვენი პირველი სულიერი მოძღვარი ვინ იყო?**

— ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტი, მეუფე დიმიტრი (შიოლაშვილი). როცა მისი სულიერი შვილი გავხდი, მამა დავითად იწოდებოდა და ანჩისხატის ტაძარში მსახურობდა. მასთან ურთიერთობის შემდეგ სასულიერო პირების ცხოვრებამ მეც დამაინტერესა. ეს არ იყო ბავშვური ახირება, უბრალოდ დავინახე, რომ ეს იყო ის, რაც შინაგანად ყოველთვის მინდოდა. როდესაც მამა დავითი ბათუმში გადაიყვანეს, ბუნებრივია, იქ ველარ ვივლიდი, ამიტომ, მისივე კურთხევით, მთელი ოჯახი მამა არჩილთან (მინდიაშვილი) მივედით,



„ასეთი ცხოვრებისთვის გაცილებით მომზადებული აღმოვჩნდი, ვიდრე მეგონა. 10 თვე დიაკვანი ვიყავი და, როცა მღვდლად მაკურთხეს, შიში გამიმძაფრდა. მეშინოდა პირველი აღსარების მიღების, მაგრამ ღვთის მადლით ჩემთან, როგორც მღვდელთან, მოსულ პირველივე ადამიანთან საუბარმა წარმატებით ჩაიარა. მას შემდეგ მრევლთან ურთიერთობა მიადვილდება“.

რომელიც ავლაბარში მოციქულთა თავთა წმინდა პეტრე-პავლეს ტაძარში მსახურობს. რამდენიმე წლის განმავლობაში რეგენტი ანუ მგალობლების ხელმძღვანელი გახლდით. გარკვეული მიზეზების გამო მამა არჩილს, ჩემსა და ჩემს მეგობრებს შორის უთანხმოება მოხდა და სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყო ჩემი „ხეტიალი“. ძალიან დიდხანს ვიარე ასე და ისევ დედა ეკლესიას დავუბრუნდი, როგორც უძღები შვილი.

**— გული გწყდებათ, რომ ის წლები „ხეტიალში“ გაატარეთ?**

— არა, პირიქით, აუცილებელი იყო, ეს გზა გამევლო. ყველა იმ ლაბირინთის გავლა საჭირო იყო, რომ აქამდე მომეღწია. თუ ცხოვრებისეულად რამე ვისწავლე და დღეს ვინმეს ჩემი მღვდლობა მოსწონს, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეს იმ წლების დამსახურებაა. იმ დროს ღმერთმა ყველანაირ ადამიანს შემახვედრა და ყველასთან ურთიერთობა მასწავლა. დღეს თავს ისე ვგრძნობ, როგორც თევზი წყალში, რადგან მრევლთან ურთიერთობა არ მიჭირს. მგონი, არც მათ უჭირთ ჩემთან თავიანთ ცხოვრებაზე საუბარი. იმ პერიოდში ტიხრული მინანქრის ტექნოლოგია შევისწავლე. შემდეგ ჩემი მეუღლეც შემომიერთდა და აგერ უკვე 20 წელია ამ საქმეს ერთად ვაკეთებთ. ჩვენი ნამუშევრები აუცილებლად რელიგიური თემატიკისაა.

**— რამდენი ბავშვი იზრდება თქვენს ოჯახში?**

— 1992 წელს ლეილა რუსიშვილზე ვიქორწინე. თავის დროზე ერთმანეთს გალობამ დაგვაკავშირა. ის იმ გუნდში გალობდა, რომლის ხელმძღვანელიც მე ვიყავი. ოთხი შვილი გვყავს — ორი გოგო და ორი ბიჭი. უფროსი გოგონა 19 წლის არის, თბილისის კონსერვატორიის სტუდენტია, საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტზე სწავლობს. მეორე შვილი, ბიჭი — 17 წლისაა, მესამე ბიჭი — 4 წლის და უმცროსი გოგონა — 2 წლის. პატარებმა ჩემი ცხოვრება გაახალისეს. ჩემი შვილები ტაძარში დადიან. უფროსები ეკლესიურად ცხოვრობენ, უმცროსები ჯერ ამისთვის ცოტა პატარები არიან, მაგრამ ტაძარში მოსვლა უხარიათ.

**— როგორც ვიცით, არცთუ დიდი ხანია, რაც წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ტაძარში მსახურობთ.**

— 2012 წლის 16 ოქტომბერს მღვდლად მაკურთხეს და იმის შემდეგ ამ ტაძარში ვარ. ამჟამად დამხმარე ნაგებობაში ვატარებთ ღვთისმსახურებას, რადგანაც მთავარ ტაძარს რემონტი უკეთდება. ამ ადგილს საინტერესო ისტორია აქვს. 1902 წელს რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ მეორის დედის, მარია ფიოდოროვნას პატრონობით, ყოფილი მე-9 საავადმყოფოს ტერიტორიაზე სასულიერო სემინარია აშენდა. მის ცენტრალურ ნაწილში კი წმინდა ანდრია პირველწოდებულის ტაძარი იყო. დროთა განმავლობაში აქ ხან ლაზარეთი იყო, ხან — საავადმყოფო. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებითაც გამოიყენებოდა. მოხდა სასწაული და წლების შემდეგ საქართველოს საპატრიარქოს კუთვნილი ტერიტორია დაუბრუნეს. ამჟამად რემონტი მიმდინარეობს და აქ ისევ სემინარია განთავსდება, შუა ნაწილში კი ტაძარი იქნება, როგორც ადრე.

✓ თეონა კუნჭუაშვილი

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# ლაბირინთი

დაეხმარეთ თხუნელას, მეგობრებთან მივიდეს.



# გააფერადეთ







Cyan Magenta Yellow Black

## ზრაზი კვერცხით და მჟავე კიტრით

მასალა 4 ულუფისათვის:
ღორის მჭლე ხორცი — 300 გ
ხახვი — 2 თავი
თეთრი პური — 2 ნაჭერი
კვერცხი — 1 ცალი
წითელი დაფქული წიწაკა — მწიკვი
მარილი — გემოვნებით
მოხარშული კვერცხი — 2 ცალი
მჟავე კიტრი — 2 ცალი
რძე — 50 მლ
საფანელი — 50 გ
გამხმარი რეჰანი — 1/2 ჩ.კ.
ზეთი — 3-4 ს.კ.

**მომზადება:** თეთრ პურს კანი შემოაცალეთ, რძეში დაალბეთ და ფრთხილად გაწურეთ. ერთი თავი ხახვი და ხორცი საკეპში გაატარეთ, 1 კვერცხი ათქვიფეთ და ფარშს შეურიეთ. დაუმატეთ რეჰანი, წიწაკა, მარილი და მოურიეთ. დააფარეთ პოლიეთილენი და შედგით მაცივარში.



გულსართისათვის დარჩენილი ხახვი აკეპეთ, მოხარშული კვერცხი და მჟავე კიტრი კი კუბიკებად დაჭერით. ხახვი ზეთში მოშუშეთ და კვერცხსა და კიტრს ჩაუმატეთ.

მაცივრიდან ფარში გამოიღეთ და 8 ნაწილად გაყავით. თითოეულისგან 2 ბრტყელი ფენა მოამზადეთ. ერთზე სუფრის კოვზი გულსართი დადეთ, მეორე თავზე დააფარეთ და გვერდები შეაწებეთ. მომზადებული ზრაზები საფანელში ამოავლეთ. ტაფაში ზეთი გააცხელეთ, ჩაალაგეთ ზრაზები და ორივე მხრიდან შეწვით.

ზრაზის გარნირად შეგიძლიათ კარტოფილის პიურე მიიტანოთ სუფრასთან.

## ჩერის სალათა მჟაუნის და ფიჭვის თესლებით

მასალა:
მჟაუნა — 3 კონა
პომიდორი ჩერი — 1 ქილა
ფიჭვის თესლები — 1 ს.კ.
წითელი ხახვი — 1 ჩ.კ.
მარილი, პილპილი — გემოვნებით
სოუსისათვის:
ზეითუნის ზეთი — 1 ჩ.კ.
ძმარი „ბალზამიკო“ — 1 ს.კ.
ნიორი — 1-2 კბილი
მდოგვი — 1/3 ჩ.კ.
თაფლი (ან შაქარი) — 1/2 ჩ.კ.
რეჰანი (აკეპილი) — 1 ს.კ.

**მომზადება:** მჟაუნა გარეცხეთ, შეაშრეთ და ხელით დაფლითეთ. პომიდვრები ოთხად გაჭერით, ხახვი რგოლებად დაჭერით. ყველაფერი სასალათეში მოათავსეთ, შეაზავეთ მარილით და პილპილით და მოურიეთ.



სოუსისათვის აურიეთ ზეითუნის ზეთი, „ბალზამიკო“, დაჭყლეტილი ნიორი, მდოგვი, თაფლი და რეჰანი. ეს მასა კარგად ათქვიფეთ, მოასხით სალათას და მოურიეთ. სალათას ზემოდან ფიჭვის მოშუშული თესლები მოაყარეთ.

## სარდინა ბადრიჯნის ხიზილალით



მასალა 2 ულუფისათვის:
სარდინა ზეთში — 1 ქილა
ბადრიჯანი — 2 ცალი
ხახვი — 1 თავი
ნიორი — 1 კბილი
პომიდორი — 1-2 ცალი
ოხრახუში, კამა, ქინძი — თითო ძირი
ლიმონის წვენი — 1 ს.კ.
ზეითუნის ზეთი, მარილი, პილპილი — გემოვნებით

**მომზადება:** ხახვი და ნიორი დაჭერით და ცოტა ზეითუნის ზეთში მოშუშეთ. პომიდორი გაფცქვენით და კუბიკებად დაჭერით.

ბადრიჯნები ჩანგლით ჩაჩხვლიტეთ და ღუმელში 180 გრადუსზე გამოაცხვეთ 30-40 წუთი. როცა მზად იქნება, ერთი ცალი დანით წვრილად აკეპეთ, მეორე კი ბლენდერში ერთგვაროვან მასად აქციეთ მწვანილთან, პომიდორთან, ლიმონის წვენთან, ზეთთან და მოშუშულ მასასთან ერთად. შემდეგ ეს მასა აკეპილ ბადრიჯანს შეურიეთ კოვზით.

ფართო ლანგარზე სუფრის კოვზით ბადრიჯნის ხიზილალის ბურთულები დააწყვეთ, ზემოდან კი სარდინები დაალაგეთ.

## სტეიკი წიწაკის სოუსით

მასალა:
ხორცის სტეიკი — 1 ცალი
მცენარეული ზეთი — 3 ს.კ.
სოუსისათვის:
ბულგარული წიწაკა — 1 ცალი
მწარე წითელი წიწაკა — 1 ცალი
ხახვი — 1 თავი
ნიორი — 2 კბილი
დაფქული წითელი წიწაკა — 1/2 ჩ.კ.
ძმარი — 2 ს.კ.



**მომზადება:** სტეიკს ზეთი წაუსვით. ღუმელი 180 გრადუსამდე გაახურეთ. სტეიკი ფირფიტაზე დადეთ და 2 წუთის განავლობაში გამოაცხვეთ. შემდეგ გადააბრუნეთ და კიდევ 2 წუთი გააჩერეთ ღუმელში. ეს პროცედურა 6-7-ჯერ გაიმეორეთ. შემდეგ გადმოიღეთ, დადეთ ლანგარზე და შეაგრილეთ.

ბულგარული წიწაკა შუაზე გაჭერით და თესლები ამოაცალეთ. კიტრი და წიწაკა კუბიკებად დაჭერით და ზეთში მოშუშეთ. ჩაუმატეთ აკეპილი ხახვი, დაჭყლეტილი ნიორი და ცოტა ხანს კიდევ შუშეთ. მოაყარეთ დაფქული წითელი წიწაკა, შეაზავეთ მარილით და მოურიეთ. ეს სოუსი სტეიკს მოასხით და სუფრასთან მიიტანეთ.



Cyan Magenta Yellow Black

ხელსაქმე

# ლამაზი კვადრატები აქსესუარებში

ასეთი გასაწყობი კვადრატების დამზადება სულ რამდენიმე წუთშია შესაძლებელი. მათი გამოყენება კი მრავალფეროვნად შეიძლება: კაბებზე, კოფთებზე, ჩანთებზე, თმის სამაგრებზე და სხვა. კვადრატების ზომა და ფერები სურვილისამებრ შეგიძლიათ შეარჩიოთ. ლამაზია ჯინსისა და კუბოკრული ქსოვილის, ლურჯისა და ყვითლის და ა.შ. კომბინაციები. კვადრატებისთვის აუცილებლად მყარი ქსოვილი უნდა გამოვიყენოთ.

კვადრატების გარდა, შეგვიძლია გამოვჭრათ წრეები და სხვა გეომეტრიული ფიგურები. დაგვჭირდება: მუყაო, ქსოვილის ნაკუწები, წებო და გულსაბნევის ლითონის სამაგრი.

მუყაოსგან გამოვჭრათ სასურველი ზომის შაბლონები, შაბლონების დახმარებით კი ქსოვილისგან გამოვჭრათ კვადრატები. კვადრატები ერთმანეთს დავაწებოთ სიდიდის (ქვევიდან ზევით) და ფერების მიხედვით. უკან კი მივაწებოთ გულსაბნევის ლითონის სამაგრი. სულ ესაა.

**გისურვებთ წარმატებას!**

✓ ლელა ცუცქირიძე





### წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

**№ 1**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 8 | 5 | 2 | 1 | 6 | 7 | 9 | 4 |
| 7 | 2 | 4 | 3 | 8 | 9 | 1 | 6 | 5 |
| 9 | 6 | 1 | 5 | 4 | 7 | 8 | 3 | 2 |
| 4 | 3 | 8 | 9 | 7 | 2 | 6 | 5 | 1 |
| 1 | 5 | 7 | 8 | 6 | 4 | 3 | 2 | 9 |
| 2 | 9 | 6 | 1 | 3 | 5 | 4 | 7 | 8 |
| 6 | 7 | 2 | 4 | 5 | 8 | 9 | 1 | 3 |
| 5 | 4 | 3 | 7 | 9 | 1 | 2 | 8 | 6 |
| 8 | 1 | 9 | 6 | 2 | 3 | 5 | 4 | 7 |

**№ 2**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 3 | 7 | 2 | 8 | 5 | 4 | 6 | 9 |
| 6 | 2 | 8 | 4 | 1 | 9 | 7 | 5 | 3 |
| 9 | 4 | 5 | 6 | 3 | 7 | 2 | 1 | 8 |
| 7 | 9 | 2 | 5 | 4 | 1 | 8 | 3 | 6 |
| 4 | 8 | 3 | 7 | 9 | 6 | 5 | 2 | 1 |
| 5 | 6 | 1 | 3 | 2 | 8 | 9 | 7 | 4 |
| 3 | 5 | 4 | 9 | 6 | 2 | 1 | 8 | 7 |
| 8 | 7 | 6 | 1 | 5 | 4 | 3 | 9 | 2 |
| 2 | 1 | 9 | 8 | 7 | 3 | 6 | 4 | 3 |

### ეს იცოდით?

❖ ყველაზე გამოყენებადი საფოსტო ყუთი ჩიკაგოში მდებარეობს. მას დღეში 6-ჯერ ცლიან.

❖ რაინი მსოფლიოში ყველაზე დაბინძურებული მდინარეა.

❖ სტატისტიკის მიხედვით, ყოველდღიურად მსოფლიოში 20 ბანკი იძარცვება. საშუალოდ მძარცველებს 2.500 დოლარი მიაქვთ.

❖ ბილიარდის კიის სიგრძე 142,5 სანტიმეტრია.

❖ ისლანდიის მცხოვრებთა უმეტესობას გვარი არ აქვთ. მათ სახელითა და მამის სახელით მოიხსენიებენ.

❖ ბიბლია რეკორდსმენი წიგნია როგორც გაყიდვის, ისე მოპარვის თვალსაზრისითაც.

❖ ამერიკაში 11 სექტემბრის ტერაქტის დროს პირველი თვითმფრინავი, რომელიც ტყუპებს დაეჯახა, 11 ნომერი იყო.

❖ ჩრდილოამერიკელი ბავშვები ყოველ წელს ნახევარ მილიარდ დოლარს ხარჯავენ საღეჭ რეზინებში.

❖ ერთ წელიწადში 31 557 600 წამია.

❖ ბიგ ბენის საათის წუთების ისრის სიგრძე 3,3 მ-ზე მეტია.

❖ მდინარე ნილოსი 2-ჯერ იყო გაყინული — მე-9 და მე-11 საუკუნეებში.

❖ სიგარეტ „ქემელის" კოლოფზე გამოსახულ აქლემს ბებერი ჯო ჰქვია.

❖ პლანეტა იუპიტერში მზის სისტემის ყველა პლანეტა ერთად მოთავსდება.

❖ მე-15 საუკუნის ფლამანდრიელი ნატურალისტი კარლ კლოზი შოკოლადის შესახებ ამბობდა: „ის უფრო ღორების საქმელია, ვიდრე ადამიანის".

❖ მსოფლიოში ყველაზე მეტ ფილმს ინდოეთში იღებენ. იქ ყოველწლიურად დაახლოებით 750-მდე ფილმი გამოდის, ანუ დღეში 2 ფილმი.

❖ კინოსერიალში მთავარი როლის ყველაზე ხანგრძლივად თამაშისათვის რეკორდი მსახიობ პიტერ ფალკს ეკუთვნის.

❖ არნოლდ შვარცენეგერს 15 მლნ დოლარი გადაუხადეს ფილმისთვის „ტერმინატორი 2". ფილმის განმავლობაში მსახიობმა სულ 700 სიტყვა წარმოთქვა, ანუ მისი თითოეული სიტყვა 21.429 დოლარად იყო შეფასებული.

❖ მსოფლიოში ყველაზე დიდი წინადადება ვიქტორ ჰიუგოს აქვს გამოყენებული ნაწარმოებში „საბრალონი". ეს წინადადება 823 სიტყვისგან შედგება.

❖ მსოფლიოში ხელოვნების ყველაზე დიდ მუზეუმად სანქტ-პეტერბურგის ერმიტაჟია მიჩნეული. იგი 332 გალერეას და ხელოვნების 3 მილიონზე მეტ ნიმუშს აერთიანებს.



Cyan Magenta Yellow Black

ვარსკვლავთსიახლენი

## ჯენიფერ ენისტონი: „ვთვლი, რომ უკვე გათხოვილი ვარ!“



ჰოლივუდში ახლა ყველაზე მეტს ჯენიფერ ენისტონისა და ჯასტინ ტერუს მოსალოდნელ ქორწინებაზე ლაპარაკობენ. უამრავი ვერსია ვრცელდება, თუ სად, როგორ და რა ვითარებაში დაიწერენ ჯვარს. შეყვარებულები კი თავიანთი საქმით არიან გართული. ცოტა ხნის წინ ჯენიფერმა პრესკონფერენციაზე პირველი კომენტარი გააკეთა საკუთარ ქორწინებაზე:

— ნუ ნერვიულობთ ჩემს ქორწინებასთან დაკავშირებით. მე უკვე ვთვლი, რომ ჯასტინზე ვარ გათხოვილი. ჩვენ არსად გვეჩქარება, უბრალოდ გვინდა, რომ იდეალური მომენტი ვიპოვოთ ჩვენი ქორწინებისათვის, ყოველგვარი დაჩქარებისა და მძიმე სამუშაო გრაფიკის გარეშე. გვერწმუნეთ, თარიღი ჯერ შერჩეული არ გვაქვს.



## ჯონი დეპი კინოდან მიდის

50 წლის ჯონი დეპს პენსიაზე გასვლა მოუნდა. მსახიობმა ოფიციალურად განაცხადა, რომ კინოდან წავა და თან ძალიან მალე.

— კინოს ცხოვრების დიდი ნაწილი დავუთმე, მაგრამ კიდევ ბევრი საინტერესო რამ არის ამქვეყნად, რისი გაკეთებაც მინდა. დიდი დრო არ არის დარჩენილი იქამდე, როცა ეკრანიდან საბოლოოდ გავქრები, — ამბობს მსახიობი.

ამ ინფორმაციის შემდეგ გავრცელდა ჭორები, რომ ჯონის კინოდან წასვლა მის ქორწილს დაემთხვევა. მსახიობი სერიოზულადაა გატაცებული 27 წლის მსახიობ ამბერ ჰარდით. ჯონიმ უკვე თავის შვილებსაც გააცნო ამბერი და უახლოეს მომავალში ოფიციალურად აპირებს, ხელი სთხოვოს.

— ვანესა შესანიშნავი დედა და კარგი ქალია, ჩვენ შორის არავითარი წყენა აღარ არის. იმედი მაქვს, რომ ერთ მშვენიერ დღეს ჩვენ ერთ ფილმშიც ვითამაშებთ. ვუსურვებ, ბედნიერება იპოვოს პირად ცხოვრებაში, — ამბობს ჯონი დეპი ყოფილ ცოლ ვანესა პარადიზე.

## ტონი ბრექსტონი ქმარს გაეყარა



■ კელი ლუისი და ტონი ბრექსტონი

45 წლის მომღერალი ტონი ბრექსტონი 11 წლიანი თანაცხოვრების შემდეგ მუსიკოს ქმარს, კელი ლუისს გაეყარა. მათი სასამართლო პროცესი 2009 წლიდან ჭიანურდებოდა.

— ჩემი 11 წლიანი ცხოვრება კრახით დასრულდა. რაც ქმარს გავეყარე, უფრო ძლიერი ქალი გავხდი. თავიდან დეპრესია მქონდა, სამყარო აუტანლად მეჩვენებოდა, ვერ ვიჯერებდი, რომ ეს ყველაფერი მე დამატყდა თავს და ორი შვილი მარტოს უნდა გამეზარდა. მთელი ჩემი ცხოვრება ერთ წუთში დაინგრა, მაგრამ ახლა, როცა სრულიად თავისუფალი ვარ და დეპრესიაც დავძლიე, კარიერაში უფრო აქტიური გავხდები, — ამბობს ტონი.

6 გრემის მფლობელი მომღერლის ცხოვრებაში სირთულე მხოლოდ ქმართან განშორება არ ყოფილა. მეუღლესთან ერთად მან დიდი ფინანსები დაკარგა და პრობლემები შეექმნა ჯანმრთელობასთან დაკავშირებით — ექიმებმა კაპილაროპათია დაუდგინეს, მისი უფროსი შვილი კი აუტიზმითაა დაავადებული.

— მთელ ჩემს ენერგიას შვილების ბედნიერებისთვის წარვმართავ. ჩემს ცხოვრებაში ბევრი სიხარული არ არის, ამიტომაც ჩემი სიმღერები სევდიანია, — განაცხადა ბრექსტონმა.

## სექსუალური დათუნია — ჯენიფერ ლოპესის ახალი მეტსახელი



■ ჯენიფერ ლოპესი და კასპერ სმარტი

24 ივლისს ჯენიფერ ლოპესმა 44-ე დაბადების დღე აღნიშნა. ამჯერად გრანდიოზული წვეულება არ გამოვიდა, რადგან ნიუ იორკის მერის ოფიციალურ გამოსვლაზე იყო მიწვეული. მისმა 26 წლის შეყვარებულმა კასპერ სმარტმა კი საყვარელ ქალს დაბადების დღე სოციალური ქსელით მიულოცა.

— დაბადების დღეს გილოცავ, ჩემო ყველაზე გემრიელო, ნაზო, სასაცილო და სექსუალურო დათუნია, მიყვარხარ ყველაზე მეტად!

ჯენიფერის ახალი მეტსახელი — სექსუალური დათუნია, დასავლურმა პრესამ მაშინვე აიტაცა. ამბობენ, რომ კასპერის ასეთმა თამამმა წერილმა ჯენიფერი გაალიზიანა, მაგრამ გაბრაზებამ მალე გადაუარა, რადგან დაბადების დღის შემდეგ წყვილმა უიქენდი ერთად გაატარა.



## პენელოპა კრუსი გოგონას დედა გახდა

39 წლის ჰოლივუდის ვარსკვლავ პენელოპა კრუსს მეორე შვილი შეეძინა. ხავიერ ბარდემისა და პენელოპას გოგონა ზუსტად იმ დღეს გაჩნდა, როცა ბრიტანეთის სამეფო კარი ბიჭის დაბადებას ზეიმობდა. ჩვილის სურათებს ვარსკვლავური წყვილი საგულდაგულოდ მალავს. პენელოპამ ცოტა ხნის წინ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა:

— მინდა, ჩემი შვილი ისე გაიზარდოს, არაფერი იცოდეს ჩემი პოპულარობის შესახებ და ამისათვის ყველაფერს გავაკეთებ. მისმა მშობლებმა რომ პოპულარული პროფესია აირჩიეს, არავის აძლევს უფლებას, მას მომავალი დაუნგრიოს.

პენელოპა და ხავიერი 2007 წლიდან ხვდებოდნენ ერთმანეთს. 3 წლის შემდეგ კი ბაჰამის კუნძულებზე დაქორწინდნენ. 2011 წლის 25 იანვარს წყვილს ვაჟი შეეძინა — ლეო ენკინას ბარდემი.

## ჯესიკა სიმპსონმა 20 კილო მოიმატა



33 წლის ჯესიკა სიმპსონი მშობიარობის შემდეგ ფოტოობიექტივში პირველად აღმოჩნდა. 30 ივნისს მან საყვარელ მამაკაცს, სპორტსმენ ერიკ ჯონსონს, ბიჭი გაუჩინა. მშობიარობის შემდეგ მომღერალი სახლში ჩაიკეტა, თავის სოციალურ ქსელში კი დაწერა, რომ სანამ ფორმაში არ ჩადგება, არც ერთ პრემიერასა და კონცერტზე არ გამოჩნდება.

ცოტა ხნის წინ ჯესიკა მაღაზიაში შესვლისას ფოტორეპორტიორებმა მაინც დააფიქსირეს და მაშინვე აჭრელდა ჟურნალ-გაზეთები ინფორმაციით, რომ მას 20 კილო აქვს მომატებული. ასეთმა რეაქციამ მომღერალი გაანაწყენა:

— დაანებეთ თავი ჩემს კილოგრამებზე ლაპარაკს! მე ორი შვილის დედა ვარ, ერთ შვილს კიდევ გავაჩენ, შემდეგ ფორმაში აუცილებლად ჩავდგები და საყვარელ მამაკაცსაც გავყვები ცოლად, — წერს ჯესიკა თავის ბლოგზე.




Silk lab

თვეში 5 ლარიდან

ლიცენზირებული ანტივირუსი
სილქნეტისგან

Find us on: facebook.

2 100 100
silknet.com/antivirus

KASPERSKY lab

eset NOD32 antivirus system

